

გენდერული იდენტობის რეპრეზენტაცია მედია-დისკურსში
(2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის ამსახველი ადგილობრივი
ინგლისურენოვანი გაზეთების მიხედვით)

ნინო გულიაშვილი

*სადისერტაციო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო
უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე
ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების
მოთხოვნების შესაბამისად*

სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებების ინტერდისციპლინური
სადოქტორო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: რეზო მარსაგიშვილი, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2018

განაცხადი

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნინო გულიაშვილი

24.04.2018

მადლობა

სადისერტაციო ნაშრომის მომზადებისას გაწეული დახმარებისათვის განსაკუთრებული მადლობა მინდა ვუთხრა ჩემს ხელმძღვანელს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს, რეზო მარსაგიშვილს. მისი პროფესიული და ადამიანური მხარდაჭერა მნიშვნელოვანი იყო სადისერტაციო ნაშრომის განვითარებისა და დასრულებისათვის.

მადლობა მინდა ვუთხრა გლაზგოს უნივერსიტეტის პროფესორებს, ნაომი ჰედს და დევიდ სმიტს, რომელთა შენიშვნებმა და კომენტარებმა განაპირობა ჩემი სადისერტაციო თემის მიმართულება და განვითარება, როდესაც ვიმყოფებოდი გლაზგოს უნივერსიტეტში პროგრამის ERASMUS ფარგლებში.

ასევე მინდა მადლობა ვუთხრა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს ნინო დობორჯგინიძეს კორპუსულ კვლევასთან დაკავშირებული საკითხების განხილვისათვის.

და ბოლოს, მინდა აღვნიშნო ჩემი ოჯახის წევრების წვლილი, რომლებიც თანადგომით და გაგებით ეკიდებოდნენ ჩემს სამეცნიერო -კვლევით აქტივობას.

აბსტრაქტი

ნებისმიერი სოციალური მოვლენა თუ ქმედება დაკავშირებულია ადამიანის აქტივობასთან, რომელიც ხშირად დისკურსულ რეპრეზენტაციას პოვებს მედიაში. ამ თვალსაზრისით, ომი არ არის გამონაკლისი. დისკურსულ სტრუქტურებს გააჩნიათ *იდეაციის* ფუნქცია, რომელიც სამყაროს ადამიანისეულ ხედვას წარმოაჩენს.

მეტაფორა ძლიერი ლინგვისტური იარაღია, რომელიც ზემოაღნიშნულ ფუნქციას ასრულებს. ომის ამსახველ მედია-დისკურსში ქალისა და მამაკაცის მიერ რეალობის განსხვავებული ხედვა აირეკლება, რომელსაც გენდერული იდენტობის რეპრეზენტაციის იმპლიციტურ საშუალებად მივიჩნევთ. წინამდებარე კვლევის მიზანია 2008 წლის ომის ამსახველ ადგილობრივ ინგლისურენოვან ბეჭდურ მედიაზე დაყრდნობით კონცეპტუალური მეტაფორების გამოვლენა, რომლებიც, სავარაუდოდ, ქალისა და მამაკაცის მიერ რეალობის აღქმას განსხვავებულად წარმოაჩენენ. განსხვავებულობის ფაქტი მედიაში *მასკულინური ჰეგემონიის* და *სტერეოტიპული ფემინურობის* ნიშნებს აფიქსირებს ქვეყანაში საომარი ვითარების დროს. ნაშრომში წარმოდგენილია არა მხოლოდ *ვერბალური*, არამედ *ვიზუალური* მეტაფორებიც, რომლებიც აღნიშნულ ომთან დაკავშირებით შეიქმნა და კონცეპტუალური მეტაფორების ვერბალური გამოხატვის ალტერნატივაა. შესაბამისად, კვლევა ეყრდნობა კოგნიტური/კონცეპტუალური მეტაფორის თეორიას.

ზემოთ ხსენებული კვლევის შედეგების განზოგადებისათვის გამოვიყენეთ ინგლისური და ქართული ენის კორპუსები. ინგლისური ენის კორპუსი **Brigham Young University Corpora** (BYU), რამდენიმე კორპუსის გაერთიანებაა: COCA-თანამედროვე ამერიკული ინგლისურის კორპუსი, COHA- ისტორიული ამერიკული ინგლისურის კორპუსი, NOW Corpus - ახალი ამბები ვებ-გვერდებზე, GLOWBE-საერთაშორისო ინგლისური ვებ-გვერდებისათვის, BYU-BNC- ბრიტანული ეროვნული კორპუსი (ნაწილი) და ქართული ენის ეროვნული კორპუსი (NGC).

სადისერტაციო ნაშრომში ასევე განხილულია ქალისა და მამაკაცის, როგორც სოციალური აქტორების დისკურსული რეპრეზენტაცია ზემოხსენებული 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის ამსახველ ადგილობრივ ინგლისურენოვან ბეჭდურ მედიაზე დაყრდნობით. ამ თვალსაზრისით, კვლევა ეფუძნება თეო ვან ლიუვენის

მიერ შემუშავებული დისკურსული კატეგორიების გაანალიზებას, რომლებიც განაპირობებენ დისკურსში ქალისა და მამაკაცის ჩართულობას ან გამორიცხვას, რაც, სავარაუდოდ, მათი გენდერული როლებით არის განპირობებული. ვფიქრობთ, რომ კონცეპტუალურ მეტაფორებთან ერთად სოციალური აქტორების რეპრეზენტაციის კვლევა მნიშვნელოვანია იდენტობის დისკურსული ბუნების შესწავლისათვის.

კვლევის ძირითად თეორიულ და მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს *კრიტიკული დისკურს-ანალიზი* (დისკურსის კრიტიკული ანალიზი), რომლის მიზანი წინამდებარე ნაშრომში გენდერული ასიმეტრიის იდენტიფიცირება და გაანალიზებაა. ამ უკანასკნელს კი დაბალანსებული დისკურსის მიღწევის წინაპირობად განვიხილავთ.

ძირითადი საძიებო სიტყვები: *კრიტიკული დისკურს-ანალიზი, გენდერული იდენტობა, ჰეგემონური მასკულინობა, სტერეოტიპული ფემინურობა, კონცეპტუალური მეტაფორა, სოციალური აქტორები.*

Abstract

Any social event or phenomenon connected to human activity has a discursive representation in the print media. In this regard, war is not an exception. Discourse structures have an *ideational* function which represents human view of the world.

Metaphor is a powerful linguistic tool to serve the above-mentioned function. Apparently, media discourse representing war reveals different male and female perceptions of the reality, which we suppose to be an implicit way to represent gender identity in the discourse.

The objective of the present research is to reveal war conceptual metaphors based on the local English-language print media of 2008 Russo-Georgian war, which reflect male and female perceptions of the reality, thereby resulting in the signs of *hegemonic masculinity* and *stereotypical femininity* in the media-discourse with regard to war and conflict; We researched not only verbal but visual metaphors as well, which were created in reference to the abovementioned war and are supposed to be alternatives to discursive representations of conceptual metaphors. In this respect, the research draws on the theory of cognitive/conceptual metaphors.

To enhance the results of the abovementioned research, English and Georgian Language Corpora were used. **Brigham Young University Corpora** (BYU), which incorporates several subcorpora: COCA-the Corpus of Contemporary American English, COHA-Corpus of Historical American English, NOW Corpus- News on the web, GLOWBE-Corpus of Web-based English, BYU-BNC - British National Corpus. Also, Georgian National Corpus (NGC).

The last part of the dissertation deals with discursive representations of men and women as *social actors* based on the local English-language print media of 2008 Russo-Georgian war. The above-mentioned draws on Theo van Leeuwen's discourse-analytical categories, which determine *inclusion* and *exclusion* of men and women as social actors in the discourse. Moreover, gender roles, supposedly, determine the representations of male and female social actors in the media-discourse depicting war. We reckon that conceptual metaphors along

with the representations of men and women in the print media will create certain view on the discursive nature of identity.

The basic theoretical and methodological approach is Critical Discourse Analysis with the objective of identifying and later analyzing gender asymmetries which is essential to study discursive representations of gender identity in order to achieve balanced discourse.

Key Words: critical discourse analysis, gender identity, hegemonic masculinity, stereotypical femininity, media discourse, conceptual metaphor, social actors.

სარჩევი

სარჩევი	viii
ცხრილების ჩამონათვალი.....	x
დიაგრამების ჩამონათვალი.....	xi
სურათების ჩამონათვალი.....	xi
აბრევიატურის ჩამონათვალი.....	xi

შესავალი.....	1
---------------	---

თავი 1. ენის, გენდერის, იდენტობის და დისკურსის ურთიერთმიმართების

შესახებ	13
1.1. ენა და გენდერი	14
1.2. გენდერის თეორიები: დომინირების და განსხვავებულობის თეორიებიდან სოციალურ კონსტრუქციონიზმამდე.....	20
1.3. დისკურსი და გენდერი.....	25
1.4. იდენტობა და მისი არსი გენდერთან მიმართებაში.....	36

თავი 2. უახლესი თეორიული და მეთოდოლოგიური ტენდენციები.....

2.1. კრიტიკული დისკურს-ანალიზი და გენდერი.....	44
2.2. კონცეპტუალური მეტაფორის თეორია.....	52
2.3. ომის კონცეპტუალური მეტაფორები ლინგვისტურ კვლევებში.....	57
2.4. ომის მეტაფორული ფრეიმინგი.....	62
2.5. სოციალური აქტორების რეპრეზენტაცია.....	64

თავი 3. ომის კონცეპტუალური მეტაფორების კრიტიკული ანალიზი

გენდერთან მიმართებაში	67
3.1. კვლევის მეთოდი.....	68
3.2. შედეგები.....	75
3.2.1. ლინგვისტური მეტაფორული გამოთქმები.....	76
3.2.2. ომის კონცეპტუალური მეტაფორები	83

3.2.3. ომის კონცეპტუალური მეტაფორების დისკურსული სისტემატიურობა.....	94
3.2.4. BYU კორპუსის მონაცემები	95
3.2.5. ქართული ენის ეროვნული კორპუსის (ქეეკ - GNC) მონაცემები	101
3.3. დისკუსია	107
3.4. დასკვნები.....	113
თავი 4. ომის ვიზუალური მეტაფორების კრიტიკული ანალიზი გენდერთან მიმართებაში.....	117
4.1. კვლევის მეთოდი.....	119
4.2. შედეგები და დისკუსია.....	121
4.3. დასკვნები.....	130
თავი 5. ქალი და მამკაცი, როგორც სოციალური აქტორები და მათი დისკურსული რეპრეზენტაცია კონფლიქტის ამსახველ მედიაში	131
5.1 კვლევის მიზანი და საკვლევი კითხვები.....	137
5.2. კვლევის მეთოდი.....	138
5.3. შედეგები.....	139
5.3.1. სოციალური აქტორების აქტივაცია და პასივაცია.....	140
5.3.2. სოციალური აქტორების კატეგორიზაცია და ნომინაცია	150
5.3.3. სოციალური აქტორების გენდერული როლები.....	154
5.5. დისკუსია და დასკვნები	160
შემაჯამებელი დასკვნა და მომავალი კვლევის პერსპექტივები	162
დანართი (საკვლევი კორპუსი).....	164
ბიბლიოგრაფია.....	171

ცხრილების ჩამონათვალი

ცხრილი 1: გაზეთის (<i>The Georgian Times</i>) კორპუსის ბაზაზე მოძიებული მეტაფორული გამოთქმები	76
ცხრილი 2: ომის კონცეპტუალიზაციის წყარო დომენები	84
ცხრილი 3: სხვადასხვა წყარო დომენების მეტაფორული პროდუქტულობა გაზეთის (<i>The Georgian Times</i>) საკვლევი მასალის მიხედვით.....	94
ცხრილი 4: წყარო დომენები BYU კორპუსის მონაცემებში	96
ცხრილი 5: კონკორდანსი WAR IS A GAME (COHA).....	97
ცხრილი 6: კონკორდანსი WAR IS A GAME (GLOWBE)	98
ცხრილი 7: კონკორდანსი WAR IS A GAME (NOW)	99
ცხრილი 8: კონცეპტუალური მეტაფორის წყარო დომენები ქვეკ-ში.....	105
ცხრილი 9: სოციალური აქტორების გამორიცხვა და ჩართულობა გაზეთების <i>The Georgian Times</i> და <i>The Messenger</i> კორპუსებში.....	140
ცხრილი 10: გაზეთში <i>The Georgian Times</i> სოციალური აქტორების როლების გადანაწილება გენდერის მიხედვით	142
ცხრილი 11: გაზეთში <i>The Messenger</i> სოციალური აქტორების როლების გადანაწილება გენდერის მიხედვით	143
ცხრილი 12: გაზეთებში <i>The Georgian Times</i> და <i>The Messenger</i> სოციალური აქტორების რეპრეზენტაციის სიხშირეების სტატისტიკური სანდოობის ტესტი	144
ცხრილი 13: გაზეთებში <i>The Georgian Times</i> და <i>The Messenger</i> სხვადასხვა როლში წარმოდგენილი მამაკაცი და ქალი სოციალური აქტორების რეპრეზენტაციის სიხშირეები და პროპორციები.....	146
ცხრილი 14: სოციალური აქტორების როლების კონკორდანსი (GT- შედეგები გაზეთისთვის <i>The Georgian Times</i> და M-შედეგები გაზეთისთვის <i>The Messenger</i>).....	148
ცხრილი 15: სოციალური აქტორების კატეგორიზაცია (GT- შედეგები გაზეთისთვის <i>The Georgian Times</i> და M- შედეგები გაზეთისთვის <i>The Messenger</i>)	150

ცხრილი 16: სოციალური აქტორების ნომინაცია (GT- შედეგები გაზეთისთვის <i>The Georgian Times</i> და M- შედეგები გაზეთისთვის <i>The Messenger</i>)	153
--	-----

დიაგრამების ჩამონათვალი

დიაგრამა 1: ომის მეტაფორული გამოთქმების სიხშირეები BYU კორპუსში სხვადასხვა წყარო დომენის მიხედვით	100
დიაგრამა 2: ომის მეტაფორული გამოთქმების სიხშირეები სხვადასხვა წყარო დომენის მიხედვით ქვევ-ში	106

სურათების ჩამონათვალი

სურათი 1: კარიკატურა (GT).....	121
სურათი 2: კარიკატურა (GT).....	123
სურათი 3: კარიკატურა (GT).....	125
სურათი 4: კარიკატურა (M).....	127
სურათი 5: კარიკატურა (GT).....	128

აბრევიატურის ჩამონათვალი

- ქვევ- ქართული ენის ეროვნული კორპუსი
- კდა- კრიტიკული დისკურს-ანალიზი ან დკა -დისკურსის კრიტიკული
ანალიზი
- მაპ- მეტაფორის ამოცნობის პროცედურა
- ტოდა - ტექსტზე ორიენტირებული დისკურსის ანალიზი
- CDA - Critical Discourse Analysis
- CM- Conceptual Metaphor
- MIP- Metaphor Identification Procedure
- GNC- Georgian National Corpus
- BYU - Brigham Young University Corpora
- mTTR - The metaphoric Type-Token ratio
- GT - *The Georgian Times*
- M- *The Messenger*

შესავალი

საკითხის შესწავლის წინაპირობა და მიზანი: ენისა და გენდერის ურთიერთმიმართების კვლევა ინტერესის საგანს წარმოადგენს თანამედროვე ლინგვისტიკის მრავალი მიმართულებისთვის. სოციოლინგვისტიკის თვალსაწიერიდან, ენა სოციალური ქმედებაა, რომლის საშუალებით ადამიანი წარმოაჩენს საკუთარ თავს, აყალიბებს სოციალურ ურთიერთობებს და შეიმეცნებს სამყაროს. სოციალიზაციის პროცესი და სოციალური კონტექსტი განაპირობებს ადამიანის მიერ საკუთარი თავის აღქმას, სოციალური იდენტობების, მსოფლმხედველობის, პრიორიტეტების, ღირებულებებისა და მოლოდინების ჩამოყალიბებას (Gustafsd 1998; Wharton 2005).

მედია კი წარმოადგენს სოციალური მოვლენებისა თუ ქმედებების დისკურსული რეპრეზენტაციის სივრცეს, რომელიც დაკავშირებულია ადამიანების აქტივობასთან და ამასთანავე ქმნის *ვერბალური ბრძოლის* ველს, სადაც ქალი და მამაკაცი გარკვეულ პოზიციებს იკავებენ. წინამდებარე კვლევის მიხედვით, ქალი და მამაკაცი ომს უმეტესწილად განსხვავებულად აღიქვამენ, რომელიც მედიაში გარკვეული სტრუქტურების - მეტაფორების სახით გამოვლინდება სხვა დისკურსულ ელემენტებთან ერთად. მეტაფორა ძლიერი ლინგვისტური იარაღია, რომელიც დისკურსის *იდეაციურ* ფუნქციას ასრულებს. ეს არის რეალობის კონცეპტუალიზაციის მცდელობა, რომელიც ლინგვისტიკაში ჰალიდეიმ დაამკვიდრა (Halliday 1978,117; Lakoff & Johnson 1980; Koller 2004). ომი, ძირითადად, მამრობით სქესთან ასოცირებული ქმედებაა, რომელიც, თავის მხრივ, დისკურსის მასკულინიზაციას იწვევს და შესაბამისად „ომის მეტაფორა შეფარულად აძლიერებს ტრადიციულ გენდერულ მიკერძოებულობას“ (Fleischmann 2001,485).

აღნიშნული ფუნქციის გამო, მეტაფორის საშუალებით ჩვენ ჩვენსავე რეალობას ვქმნით დისკურსში. თუ მეტაფორა რეალობის შექმნის/კონსტრუირების საშუალებაა, მაშინ უფრო მართებული იქნება თუ ვიტყვით, რომ მეტაფორა აყალიბებს ჩვენს აზრს, ჩვენს ცოდნას და ღირებულებათა სისტემებს (Lakoff & Johnson 1980). ის ამასთანავე განაპირობებს სუბიექტის პოზიციის და მისი იდენტობის ფორმირებას.

შესაბამისად, ჩვენი კვლევის მიზანია, ომის ამსახველი კონცეპტუალური მეტაფორების განხილვა გენდერთან მიმართებაში. ვფიქრობთ, რომ სამყაროს მეტაფორული იდეაცია განსხვავებულია ქალისა და მამაკაცის შემთხვევაში. აღნიშნული განსხვავებულობა შესაძლებელია იყოს ასიმეტრიული, რაც იმას ნიშნავს, რომ გარკვეული მეტაფორები და სუბიექტის პოზიციები მდებარეობითი სქესის წარმომადგენლების სტერეოტიპული იდენტობის და, ამასთანავე, ჰეგემონური მასკულინური დისკურსის განვითარებას ემსახურება. ამ მხრივ კვლევა ლინგვისტურ ინტერესს იძენს და ის არის მცდელობა, რომ დისკურსული რეპრეზენტაციების გენდერთან დაკავშირებული განსხვავებანი ქალისა და მამაკაცის კონცეპტუალურ/კოგნიტური სისტემის საფუძველზე ახსნას. აქ ვგულისხმობთ კონცეპტუალური მეტაფორების იდენტიფიკაციას, გაანალიზებას, კატეგორიზაციას და იმ ტენდენციების გამოკვეთას, რომლებიც ასოცირებულია დისკურსის ქალ და მამაკაც მონაწილეებთან.

სადოქტორო ნაშრომის კვლევის ობიექტია ასევე ქალისა და მამაკაცის, როგორც *სოციალური აქტორების*¹ დისკურსული რეპრეზენტაცია ომისა და კონფლიქტის ამსახველ ბექდურ მედიაში. კონცეპტუალური მეტაფორები კი სოციალური აქტორების ომთან დაკავშირებულ სუბიექტურ პოზიციებთან ასოცირდება; შესაბამისად, პოსტსტრუქტურალისტური გაგებით დისკურსში რეალიზებული კოგნიტური მოდელები ვერ იარსებებს დისკურსის მონაწილეების გარეშე. ამიტომ ზემოხსენებული ასპექტების კვლევა ერთობლიობაში გენდერული იდენტობის რეპრეზენტაციაზე უფრო ნათელ სურათს მოგვცემს.

ნებისმიერი მოვლენა, რომელიც დაკავშირებულია ადამიანების აქტივობასთან, მისდამი ინტერესიდან და მისი მნიშვნელობიდან გამომდინარე, პოვებს მედია ასახვას. რა თქმა უნდა, ომი და კონფლიქტი არ არის გამონაკლისი და ისიც მედია-დისკურსის სივრცეში აისახება. ომი არის ისეთი მოვლენა, რომელიც თავისი სიმძაფრის შესაბამისად იწვევს მედია-დისკურსის ცვლილებას საომარი ვითარების პარალელურად; აღნიშნული გულისხმობს იმას, რომ მშვიდობის პერიოდში ქვეყანაში არსებობს დემოკრატიული მექანიზმები, რომლებიც არეგულირებენ

¹ სოციალური აქტორის ცნება, როგორც დისკურსის ანალიტიკური კატეგორია ლინგვისტურ კვლევებში თეო ვან ლიუვენმა შემოიტანა ანალიტიკური მოდელის სახით, რომლის მიხედვითაც მედიაში სოციალური აქტორების რეპრეზენტაციის ლინგვისტური სტრუქტურები საზოგადოებაში მოქმედ იდეოლოგიებს წარმოაჩენს (van Leeuwen 2008).

საჯარო ინფორმაციის პროდუცირებას და ცირკულაციას. სრულიად განსხვავებული დისკურსის ნაკადი იქმნება ომის დროს, რაც ემსახურება ომში და კონფლიქტში ჩართული ძალების კატეგორიზაციას: ძალა, რომელიც ჩვენს ქვეყანას იცავს და ძალა, რომელიც ჩვენს ქვეყანას ებრძვის (Bugarski 1997). წინა პლანზე გამოდის მმართველი პოლიტიკური ძალის სოციალური ურთიერთმომართებები და ინტერესები (van Dijk 2006, 15), რომელიც, რა თქმა უნდა, მტრის ინტერესების საწინააღმდეგოა.

აღნიშნული მოვლენა დისკურსის ერთგვარ „მილიტარიზაციას“ და „მასკულინიზაციას“ უკავშირდება, აძლიერებს რა გენდერულ ბიპოლარობას/ გენდერულ დიქოტომიას და, სავარაუდოდ, ამცირებს გენდერული იდენტობის მრავალსახეობას. შედეგად, სახეზე გვექნება ჰეგემონური დისკურსის გამოვლინება.

ზოგადად *„მასკულინობა-ფემინურობა გულისხმობს სქესთა სოციალური დიფერენცირებულობის ხარისხს. მასკულინურ კულტურებში უპირატესობა ენიჭება მიღწევას, მატერიალურ წარმატებას და შეჯიბრს; ხოლო ფემინურ კულტურებში უპირატესობა ენიჭება ჰარმონიას, ადამიანურ ურთიერთობებს, მზრუნველობას, დახმარებას და საყოველთაო თანასწორობის იდეას“* (ჰოფსტედე, ჰოფსტედე 2011). ამასთანავე უნდა აღვნიშნოთ, რომ *ჰეგემონური მასკულინობა* ძალით არ მიიღწევა, ეს არის უპირობო პრივილეგიები, რასაც პატრიარქალურ ტრადიციულ საზოგადოებაში საზოგადოება „ჩუქნის“ მამაკაცს (Connell 2005).

სადავო არ არის ის ფაქტი, რომ ომში ცენტრალური ფიგურა არის მეომარი/მებრძოლი, რომელიც ასოცირებულია ძალასთან, აგრესიასთან და შეჯიბრთან. ეს ის თვისებებია, რაც სტერეოტიპულ მასკულინურ იდენტობას ქმნის დისკურსში და ამასთანავე ტრადიციული ფემინურობის საპირისპიროა (Prividera and Howard 2006, 29-30). შედეგად, ომის ამსახველი ქრონიკები ქალის წვლილს და მცდელობას კონფლიქტის შეფასების თუ გადაჭრის საკითხში ძირითადად გვერდს უვლის ან აკნინებს. ასე რომ, ომის დისკურსის წიაღში თავიდანვე ვლინდება ტრადიციული სტერეოტიპული ფემინური იდენტობა, რომელიც ქალს მსხვერპლი დედის, მეუღლის ან შვილის სახით წარმოაჩენს (Bracewell 1996).

მეოცე საუკუნის დასაწყისიდან მოყოლებული უამრავი მაგალითი არსებობს იმისა, თუ როგორ ქმნის ომის დისკურსი გენდერულ იდენტობას (Grayzel 1999). ომის პერიოდში თავდაცვის საჭიროება და ყველა სოციალური მექანიზმი მიმართულია

ფიზიკურად ძლიერი მეომრების მომზადებისთვის ან ომში ჩართვისთვის. ამავდროულად, ქალის ბიოლოგიური თუ სოციალური სტატუსი მას, ძირითადად, მზრუნველ, მხარდამჭერ და რეპროდუქციულ როლში წარმოგვიდგენს (Yuval-Davis 1997).

ლინგვისტურ კვლევებში კი მასკულინური და ფემინური დისკურსის ცნება შემოიტანა ჯულია კრისტევა (Kristeva 2000), შემდეგ კი განავრცო ვერონიკა კოლერმა, რომელმაც ყურადღება გაამახვილა ომის მეტაფორაზე, რომელიც დისკურსის მასკულინიზაციას იწვევს (Koller 2004).

ომის მედია ასახვა და ზემოხსენებული გენდერული ასიმეტრიის დისკურსული რეპრეზენტაცია ერთგვარ სუბსტრატს ქმნის კრიტიკული დისკურს-ანალიზისთვის². ჩვენი კვლევა ძირითადად ეფუძნება 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის ამსახველ ადგილობრივ ინგლისურენოვან ბეჭდურ მედიას. საკვლევ კორპუსზე დაყრდნობით კვლევა სამი მიმართულებით განვახორციელებთ:

I როგორია ქალი და მამაკაცი დისკურსის მონაწილეების მიერ ომის აღქმის კონცეპტუალური საწყისი, რაც კონცეპტუალური მეტაფორების იდენტიფიკაციას და გაანალიზებას გულისხმობს;

II სამყაროს იდეაციური ფუნქციის გამომხატველი კონცეპტუალური მეტაფორების ალტერნატიული გამოვლინების - ვიზუალური/პიქტორიალური მეტაფორების განხილვა გენდერთან მიმართებაში;

III სოციალური აქტორების დისკურსული რეპრეზენტაცია გენდერთან მიმართებაში;

კვლევის პირველი ნაწილის განხორციელებისთვის მნიშვნელოვანი ჰიპოთეზა და საკვლევ კითხვებია:

დისკურსის მდებრობითი და მამრობითი სქესის მონაწილენი ომის კონცეპტუალური მეტაფორების საშუალებით განსხვავებულ მსოფლმხედველობებს წარმოაჩენენ მედიაში / ისინი ომის ფრეიმინგს განსხვავებულად ახდენენ.

² კონცეპტუალური მეტაფორის თეორია კოგნიტური სოციოლინგვისტიკის (Kristiansen and Dirven 2008), სოციალური აქტორების რეპრეზენტაცია (van Leeuwen 2008) და დისკურსის კრიტიკული ანალიზი (Fairclough and Wodak 1997) კი გამოყენებითი სოციოლინგვისტიკის მნიშვნელოვანი თეორიული მიმდინარეობებია (McKay 2011).

1. რომელ ლინგვისტურ მეტაფორებს გამოიყენებენ ქალი და მამაკაცი დისკურსის მონაწილეები ომის კონცეპტუალიზაციისთვის / ფრეიმინგისთვის?

2. კონცეპტუალური მეტაფორების რომელი წყარო დომენები ახდენენ ომის კონცეპტუალიზაციას?

3. როგორია კონცეპტუალური მეტაფორების პროდუქტულობის/ სისტემატიურობის მაჩვენებელი, რომელთა საშუალებით ქალი და მამაკაცი დისკურსის მონაწილეები ახდენენ ომის ფრეიმინგს? (კვლევის რაოდენობრივი ასპექტი)

4. რომელი კონცეპტუალური მეტაფორები ჭარბობს ქალისა და მამაკაცის დისკურსში?

ჩვენ განვიხილავთ არა მხოლოდ ვერბალურ, არამედ ვიზუალურ მეტაფორებსაც, რომლებიც ქალ და მამაკაც დისკურსის მონაწილეებთან ასოცირდება და კონცეპტუალური მეტაფორების დისკურსული გამოვლინების ალტერნატივაა. აღნიშნულიდან გამომდინარე საკვლევი კითხვებია:

1. რა ტიპის პიქტორიალური მეტაფორები არის წარმოდგენილი საკვლევ ბაზაში?

2. რა კოგნიტური საფუძველი აქვს პიქტორიალურ მეტაფორებს?

3. რა მიმართებაშია აღნიშნული პიქტორიალური მეტაფორები დისკურსის მონაწილეებთან - ქალთან და მამაკაცთან?

კვლევის მესამე ნაწილი კი შეეხება ქალისა და მამაკაცის, როგორც სოციალური აქტორების დისკურსულ რეპრეზენტაციას კონფლიქტის ამსახველ ბეჭდურ მედიაში. შესაბამისი საკვლევი კითხვებია:

1. როგორ არიან წარმოდგენილი ქალი და მამაკაცი სოციალური აქტორები ომის ამსახველ ბეჭდურ მედიაში?

2. თუ ქალი და მამაკაცი სოციალური აქტორები განსხვავებულად არიან წარმოდგენილი დისკურსში, რა იდეოლოგიური საფუძველი შეიძლება ჰქონდეს ამ განსხვავებულობას?

კვლევის აქტუალობა: ქალისა და მამაკაცის დისკურსული რეპრეზენტაცია მედიაში, ასევე მათ მიერ რეალობის აღქმის დისკურსული გამოვლენება, რასაც

კონცეპტუალური მეტაფორები უდევს საფუძვლად, სოციოლინგვისტიკის დღის წესრიგში დგას, რადგან აღნიშნული ორივე საკითხის შემთხვევაში ადამიანისა და სოციალური რეალობის არსებობა უშუალო კავშირშია, შეიძლება ითქვას, შერწყმულია ენასთან. სოციალური აქტორები და სოციალური ქმედებები ვერ იარსებებს დისკურსის გარეშე და ვერც დისკურსი იარსებებს მათ გარეშე.

ქალთან და მამაკაცთან ასოცირებული კონცეპტუალური მეტაფორების იდენტიფიკაცია-გაანალიზება, ასევე მათი დისკურსული რეპრეზენტაციები უდავოდ, საინტერესო მასალას იძლევა ენის ფუნქციონირების და იდენტობის დისკურსული ბუნების შესწავლის თვალსაზრისით, რადგან „თანამედროვე ლინგვისტიკისთვის აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს არა მხოლოდ საკუთრივ ენის და მისი შინაგანი პროცესების შესწავლა, არამედ ის, თუ როგორ გამოიყენება კონკრეტული ენა ამ ენაზე მეტყველთა მიერ, ანუ როგორ ფუნქციონირებს იგი“ (ლადარია 2002, 5-6).

კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური მიმდინარეობები: ნაშრომის თეორიული ნაწილი განიხილავს და აანალიზებს თანამედროვე მიმდინარეობებს და ტენდენციებს, რომელიც ენის და გენდერის სინთეზური ანალიზისათვის მნიშვნელოვანია.

დისკურსის ცნებას მარვალმხრივი ინტერპრეტაცია შეიძლება ჰქონდეს. ჩვენი კვლევა ეყრდნობა დისკურსის კვლევის იმ მიდგომას, რომელიც ლანკასტერის უნივერსიტეტის პროფესორმა, სოციოლინგვისტმა ნორმან ფეარკლაფმა შეიმუშავა. ფეარკლაფის მიხედვით დისკურსი სოციალური ქმედებაა/პრაქტიკაა, რომელიც სოციალური მოვლენის - ტექსტების სახით რეალიზდება (Fairclough 2003,24). შესაბამისად, ტექსტს ქმნის ორი „ძალა“: ერთის მხრივ, სოციალური სტრუქტურები და სოციალური ქმედებები-დისკურსები, მეორეს მხრივ კი სოციალური აქტორები - ადამიანები, რომლებიც ჩართულები არიან სოციალურ პროცესებში (Archer 1995; Sayer 2000). სოციალური აქტორები ქმნიან ტექსტებს, ისინი ტექსტის ელემენტებს შორის ამყარებენ ურთიერთმიმართებებს (Fairclough 2003,23). ამიტომ სოციალური აქტორების და მათი დისკურსული რეპრეზენტაციის შესწავლა დისკურსის ნაკადში ჩაქსოვილი მედია ტექსტების ლინგვისტური კვლევის გარეშე შეუძლებელია.

ზემოხსენებულიდან გამომდინარე, ძირითადი თეორიულ - მეთოდოლოგიური მიდგომა დისკურსის კრიტიკული ანალიზია/კრიტიკული დისკურს-ანალიზია (დკა/კდა), რომელიც ფაქტობრივად ჩვენი კვლევის სამივე ნაწილის ღერძია; წინამდებარე ნაშრომში მისი მიზანია გენდერული ასიმეტრიის იდენტიფიცირება და გაანალიზება, რასაც დაბალანსებული დისკურსის მიღწევის წინპირობად განვიხილავთ.

გენდერულ ასიმეტრიებს, შესაძლებელია, რომ სხვადასხვა ლინგვისტური სტრუქტურები წარმოაჩენდნენ დისკურსში. ამიტომ კრიტიკული დისკურს-ანალიზის განხორციელებისთვის დაგვჭირდა შემდეგი თეორიების ჩართვა: 1) კოგნიტური/ კონცეპტუალური მეტაფორის თეორია (Lakoff and Johnson 1980) პიქტორიალური მეტაფორის გათვალისწინებით, რომელიც კონცეპტუალური მეტაფორის ვიზუალური გამოვლინებაა და 2) სოციალური კონსტრუქციონიზმის თეორია, რომლის მიხედვითაც გენდერი და გენდერული იდენტობა სოციალურადაა კონსტრუირებული.

კონცეპტუალური/კოგნიტური მეტაფორის თეორია ეფუძნება შემდეგ ნაშრომებს: „მეტაფორები, რომლებითაც ვცხოვრობთ“ (Lakoff and Johnson 1980), „ერაყის ომის მეტაფორული რეპრეზენტაციები“ (Underhill 2004) და ჯორჯ ლაკოფის ნაშრომი „მეტაფორა და ომი“ (Lakoff 1992). მნიშვნელოვანია ვერონიკა კოლერი, რომელიც იკვლევდა მეტაფორას და გენდერს ბიზნეს მედია-დისკურსში. კვლევის შედეგი იყო ისეთი კონცეპტუალური მეტაფორის გამოვლენა, როგორცაა **ბიზნესი ომია**, რომელიც კრიტიკული თვალსაზრისით აღნიშნული დისკურსის მასკულინიზაციას იწვევს (Koller 2004).

სოციალური კონსტრუქციონიზმის თეორიაში კი მოიაზრება *სოციალური აქტორების დისკურსული რეპრეზენტაცია*, რომლის ანალიტიკური მოდელი შეიმუშავა თეო ვან ლიუვენმა. აღნიშნული ანალიტიკური მოდელის მიხედვით, გარკვეული ლინგვისტური კატეგორიები „ემსახურება“ სოციალური აქტორების დისკურსულ რეპრეზენტაციას და რომლებსაც, სავარაუდოდ, იდეოლოგიური ელემენტი შეიძლება ჰქონდეს (Leeuwen 1994; 2008).

საკვლევი საკითხების კომპლექსური ხასიათიდან გამომდინარე კვლევა შერეული ტიპისაა (თვისობრივი და რაოდენობრივი). შესაბამისად, ნაშრომში

გამოყენებულია კვლევის შემდეგი მეთოდები: *დისკურსის კრიტიკული ანალიზი (კრიტიკული დისკურს-ანალიზი), კონცეპტუალური მეტაფორის ანალიზი, ვიზუალური მეტაფორის ანალიზი, შედარებითი ანალიზი, სოციალური აქტორების დისკურსული რეპრეზენტაციების ანალიტიკური მოდელი და კონკორდანსი კორპუსული მასალის თვისობრივი ანალიზისთვის*. რაოდენობრივი მეთოდებიდან კი გამოვიყენეთ *სტატისტიკური ანალიზი და კონკორდანსი კორპუსული მასალის რაოდენობრივი ანალიზისთვის*.

ვან ლიუვენის მეთოდოლოგიური ჩარჩო ლინგვისტური რეპრეზენტაციების მრავალ კატეგორიას განიხილავს. ჩვენი კვლევის ფოკუსი გარკვეული კატეგორიებია, როგორცაა სოციალური აქტორების დისკურსული *ჩართულობა* ან *გამორიცხვა*. ჩართულობაში კი მოიაზრება სოციალური აქტორების *აქტივაცია* და *პასივაცია*, *კატეგორიზაცია* და *ნომინაცია*; ვფიქრობთ, რომ აღნიშნული კატეგორიები მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებენ გენდერული იდენტობის დისკურსულ რეპრეზენტაციებში.

შეპირისპირებითი ანალიზის მეთოდში მოიაზრება ქართული და ინგლისური ენების შეპირისპირებითი მეთოდი, რომელიც ერთმანეთს ადარებს ქართული და ინგლისური ენის კორპუსული კვლევის შედეგად მიღებულ მონაცემებს.

აღნიშნული თეორიული და მეთოდოლოგიური მიმართულებები საკვლევი საკითხების გაანალიზებისთვის და მართებული კვლევის განხორციელების მხრივ მნიშვნელოვან საფუძველს ქმნიან.

საკვლევი მასალის ზოგადი დახასიათება:

კვლევის პრაქტიკული ნაწილი წარმოდგენილია ადგილობრივი, ყოველკვირეული, ინგლისურენოვანი გაზეთების-*The Georgian Times* და *The Messenger* - 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის ამსახველი ტექსტებით. რადგან ამ გაზეთების მხოლოდ ბეჭდური ვერსია მოიპოვება აღნიშნული პერიოდისთვის, ასლები დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის პერიოდიკის განყოფილებაში (ნაციონალური ქართული კორპუსი ჯერ სრულად გაციფრებული არ არის, რის გამოც აღნიშნული საკვლევი მასალა მანუალურად იქნა შესწავლილი). დროის ჩარჩო მოიცავს პერიოდს 2008 წლის რუსეთ-საქართველოს

ომის დაწყებიდან (7 აგვისტო) 11 სექტემბრამდე, როდესაც ფაქტობრივად მოხდა რუსული ჯარების საქართველოს ტერიტორიიდან გაყვანა. ომის ამსახველი პირველი სტატიები დაიბეჭდა 11 აგვისტოს. *The Georgian Times* და *The Messenger* არის ინგლისურენოვანი გაზეთები, რომლებიც გვთავაზობენ მოცემული პერიოდისთვის საკითხების ვრცელ მიმოხილვას; ამასთანავე, მსგავსი ტიპის კვლევების დიდი გამოცდილება არსებობს ინგლისურენოვან მასალაზე დაყრდნობით.

საკვლევი კორპუსი წარმოდგენილია აღნიშნულ თემაზე 68 საგაზეთო ტექსტით (სტატია და ინტერვიუ), რომელიც შეადგენს სულ 57267 სიტყვას, გაზეთისთვის *The Georgian Times*. ხოლო გაზეთი *The Messenger* წარმოდგენილია აღნიშნული თემაზე 45 საგაზეთო ტექსტით, სულ 38854 სიტყვა.

2008 წლის ომის ამსახველი ადგილობრივი ინგლისურენოვანი გაზეთების კვლევის შედეგების განმტკიცების და განზოგადებისათვის გამოვიყენეთ ინგლისური და ქართული ენის კორპუსები. ინგლისური ენის კორპუსი **Brigham Young University Corpora** (BYU), რამდენიმე კორპუსის გაერთიანებაა: COCA-the Corpus of Contemporary American English (520 მილიონი სიტყვა-ფორმა), COHA-Corpus of Historical American English (400 მილიონი სიტყვა-ფორმა), NOW Corpus-News on the web (5.19 მილიარდი სიტყვა), GLOWBE- Corpus of Web-based English (1.9 მილიარდი სიტყვა), BYU-BNC - British National Corpus (100 მილიონი სიტყვა). ყველა ქვეკორპუსი განთავსებულია შემდეგ ინტერნეტ გვერდზე: <http://corpus.byu.edu/>. აღნიშნული კორპუსი შექმნა პროფესორმა მ.დევისმა 2008 წელს, რომელიც მუდმივად განახლებადია. BYU კორპუსზე წვდომა თავისუფალია მკვლევარებისთვის, რაც ჩვენთვის მნიშვნელოვანი პირობა იყო. ამასთანავე, აღნიშნული კორპუსი ჟანრობრივად მეტ-ნაკლებად დაბალანსებულია და ბრიტანული კორპუსის შემდეგ ყველაზე მასშტაბურ პროექტს წარმოადგენს.

ქართული ენის ეროვნული კორპუსი (ქეეკ/GNC) არნოდ ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტის პროექტია. ის რამდენიმე ქვეკორპუსისგან შედგება: ძველი, საშუალო და ახალი ქართული ენის ქვეკორპუსები, რეფერენციალური ქვეკორპუსი, დიალექტური ქვეკორპუსი (GDC) და სოციოლინგვისტური სიტუაცია

თანამედროვე საქართველოში (SSGC). ჩვენი კვლევისთვის სამიზნე კორპუსია რეფერენციალური ქვეკორპუსი, რადგან ინტერესის ობიექტია მედია-დისკურსი.

კვლევის სიახლე და თეორიულ - პრაქტიკული მნიშვნელობა: ნაშრომის კომპლექსური ხასიათი აუცილებელს ხდის კვლევის ინტერდისციპლინურობას, რაც განსაზღვრავს თემის თეორიულ ღირებულებას. ნაშრომი წარმოადგენს მომიჯნავე მეცნიერებებისა და ენათმეცნიერული დარგების ერთ ფოკუსში თავმოყრის და გააზრების ცდას. ესენია: კრიტიკული სოციოლინგვისტიკა, კოგნიტური სოციოლინგვისტიკა, კორპუს ლინგვისტიკა. დისკურსული რეპრეზენტაციების ანალიზისთვის საჭიროა ტექსტის ლინგვისტიკა, სემანტიკა (კონცეპტუალური დომენების კონოტაციური და დენოტაციური მნიშვნელობის დასადგენად), პარალინგვისტიკა (პიქტორიალური მეტაფორებისთვის), ლექსიკოლოგია, რიტორიკა. აღნიშნული მეცნიერული დარგების ინტერდისციპლინურმა შეჯამებამ უნდა მოგვცეს საკვლევი საკითხის გარკვეული ხედვა, ტენდენცია, რადგან კონცეპტუალური მეტაფორების და სოციალური აქტორების გენდერული რეპრეზენტაციების კრიტიკული დისკურსის ჭრილში კვლევა ქართული სამეცნიერო სივრცისთვის სიახლეს წარმოადგენს და ბევრი საკითხი დაზუსტებას და შემდგომ კვლევებს საჭიროებს საკითხის სრულყოფილი განზოგადებისთვის.

სადოქტორო ნაშრომის სიახლეს განსაზღვრავს:

1. საკვლევი თემის სიახლე, რადგან ქართული სოციოლინგვისტიკა მწირ მასალას იძლევა დისკურსში გენდერთან ასოციირებული ასიმეტრიების თუ დისბალანსის შესწავლის კუთხით. აღსანიშნავია ნინო კირვალიძის საკონფერენციო ნაშრომი ქართულ და ამერიკულ პოლიტიკურ დისკურსში კონცეპტუალური მეტაფორების შესახებ (2009). თუმცა, აღნიშნული ნაშრომი კონცეპტუალურ მეტაფორებს განიხილავს ქართულ და ინგლისურ პოლიტიკურ დისკურსთან და არა გენდერთან მიმართებაში.

2. კვლევის მეთოდის სიახლე, რადგან, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, სოციალური აქტორების დისკურსული რეპრეზენტაციის კვლევა გენდერთან მიმართებაში ლიუვენის თეორიული და ანალიტიკური მოდელის მიხედვით პირველია ქართულ სამეცნიერო სივრცეში.

შესაბამისად, კვლევის ზემოთ ხსენებული ასპექტები კორპუსულ კვლევასთან ერთად სიახლეს წარმოადგენს.

სადოქტორო ნაშრომის კვლევის შედეგები, პრაქტიკული თვალსაზრისით, შესაძლებელია გამოყენებული იქნას სამი მიმართულებით:

1) განათლების სისტემაში, რადგან გენდერული ლინგვისტიკა კრიტიკული სოციოლინგვისტიკის და, ზოგადად, სოციოლინგვისტიკის შედარებით ახალი მიმართულებაა. ამერიკის და ევროპის მრავალ უნივერსიტეტში ის სასწავლო კურიკულუმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საგანია (Gender Studies), რომელიც ინტერდისციპლინურ ხასიათს ატარებს და ფართო აუდიტორიის განსჯის ობიექტს წარმოადგენს.

2) მედია კვლევებში, რადგან აღნიშნული არის ბუნებრივი დისკურსის წყარო, რომელიც ადამიანების, მათი სოციალური აქტივობის მნიშვნელოვანი დისკურსული სივრცეა, სადაც ქალისა და მამაკაცის რეპრეზენტაცია თუ სუბიექტის პოზიციებთან ასოცირებული ენობრივი ელემენტები გარკვეულწილად განსხვავებულია და იდეოლოგიურ ელფერსაც ატარებს, სავარაუდოდ. შესაბამისად, მედია-დისკურსის დემოკრატიზაცია-დაბალანსების კუთხით მართებულია კვლევის შედეგად გამოვლენილი ტენდენციების გათვალისწინება.

3) პოლიტიკის და საზოგადოებრივი ცხოვრებისთვის; ქალი და მამაკაცი განსხვავებული დისკურსული აქტივობებით ხასიათდებიან, რაც, ცხადია, დისკურსში გარკვეული, მეტ-ნაკლებად განსხვავებული სტრუქტურებით წარმოჩნდება. ჩვენი კვლევის მიზანია განმარტებული ნიშან-თვისებების დანახვა, გაცნობიერება და დაბალანსებული დისკურსის მისაღწევად გარკვეული სოციალური ცვლილებების გამოწვევა. გენდერის მიხედვით დისკურსული ასიმეტრია გარკვეული იდეოლოგიური ელფერის მატარებელი შეიძლება იყოს, რომლის კრიტიკული გაანალიზება სწორედ სოციალური ცვლილების საწინდარია.

სადისერტაციო ნაშრომის სტრუქტურა: სადოქტორო ნაშრომი წარმოდგენილია შემდეგი სტრუქტურული კომპონენტების სახით: შესავალი, ხუთი თავი, დასკვნები. რადგან აღნიშნული ნაშრომი ინტერდისციპლინური ხასიათის არის, საჭიროდ ჩავთვალეთ, რომ პირველ თავში გვეჩვენებინა კავშირი კვლევის ძირითად

კონცეპტებს შორის, როგორცაა *ენა*, *დისკურსი*, *გენდერი* და *იდენტობა*. მეორე თავი მიმოიხილავს უახლეს თეორიულ და მეთოდოლოგიურ ტენდენციებს; მესამე, მეოთხე და მეხუთე თავები ნაშრომის კვლევით ნაწილს წარმოადგენს. კერძოდ, მესამე თავი შეეხება ომის კონცეპტუალური მეტაფორების კრიტიკულ ანალიზს გენდერთან მიმართებაში; მეოთხე თავი პიქტორიალური მეტაფორების კრიტიკული ანალიზია. რაც შეეხება ბოლო, მეხუთე თავს, ის წარმოადგენს ქალი და მამაკაცი სოციალური აქტორების დისკურსული რეპრეზენტაციის ასპექტებს.

ნაშრომი მთავრდება დასკვნებით, რომლებიც კვლევის სამივე ნაწილის შედეგებს ეყრდნობა და ამასთანავე, მომავალი კვლევის შინაარსს და აუცილებლობას უსვამს ხაზს.

თავი 1. ენის, იდენტობის, გენდერის და დისკურსის ურთიერთმიმართების შესახებ

წინამდებარე ნაშრომი ინტერდისციპლინურ ხასიათს ატარებს; შესაბამისად, აღნიშნულ თავში წარმოვადგენთ მნიშვნელოვან კონცეპტებს, რომლებიც საფუძვლად უდევს ჩვენს კვლევას. მიმოხილვა შეეხება ენისა და გენდერის ურთიერთმიმართების საკითხს, რაც სუბსტრატს ქმნის გენდერის, გენდერული იდენტობების და მათთან ასოცირებული ლინგვისტური ასპექტების კვლევისთვის. სუბიექტის და მისი მსოფლმხედველობის რეპრეზენტაცია, რომელიც დისკურსული კვლევების ცენტრალური იდეაა, იქმნება და ცვლილებას განიცდის დისკურსის წიაღში. შესაბამისად, ზემოაღნიშნული კონცეპტები უწყვეტ ჯაჭვს ქმნიან და მათი ერთმანეთთან კავშირისა და ურთიერთმიმართების განხილვის გარეშე წარმოუდგენელია დისკურსში კონცეპტუალური მეტაფორების და ქალისა და მამაკაცის, როგორც სოციალური აქტორების რეპრეზენტაციის მეცნიერული კვლევა.

1.1. ენა და გენდერი

თანამედროვე სოციოლინგვისტიკის მიზანია ენის, როგორც სოციალური ქმედების, ცოდნის შექმნის, სოციალური კონტროლის და ცვლილების ინსტრუმენტის შესწავლა. ეს ხედვა განსხვავებულია ტრადიციული, სტრუქტურალისტური მიდგომისგან, რომელიც ენას სწავლობდა, როგორც განყენებულ სისტემას. გამოყენებითი ლინგვისტიკის თეორეტიკოსების (Wilson 1992, Swales 1998) და ასევე ლინგვისტების (ჰალიდეი და მისი მიმდევრები) დამსახურებაა ის, რომ მოხდა თეორიის და პრაქტიკის შერწყმა დისკურსის კვლევის ფარგლებში. ენა „თავის თავში არა მხოლოდ ირეკლავს, არამედ ქმნის სოციალურ წყობას, ასევე უზრუნველყოფს ინდივიდების საზოგადოებასთან ურთიერთქმედებას“ (Jaworski & Coupland 1999, 3). ამავე დროს, გენდერული კვლევები ინტერდისციპლინურია, რადგან მრავალი დისციპლინის ჩართვას მოითხოვს, რაც ნაშრომის შესავალშიც აღვნიშნეთ.

საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანია გენდერის არსის გაცნობიერება, რადგან იყო ქალი ან მამაკაცი, არ ნიშნავს მხოლოდ ბიოლოგიური სქესის განსხვავებულობას; აღნიშნულ დიქტომიას თან ახლავს ფსიქო-სოციალური განსხვავებულობის სიმრავლე, რომელიც გავლენას ახდენს ადამიანების მოქმედებაზე და იმაზე, თუ როგორ აღიქმება მათი ვერბალური თუ არავერბალური ქმედება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, გენდერი ზეგავლენას ახდენს იმაზე, თუ როგორია ადამიანის ვერბალური აქტივობა საკუთარი თავის იდენტიფიკაციის ან სხვების დახასიათების დროს. ზემოაღნიშნული ლინგვისტური განსხვავება ქალსა და მამაკაცს შორის უფრო თვალსაჩინოა კონსერვატიულ კულტურებში, სადაც მათი სოციალური როლები ფიქსირებული და უცვლელია (Talbot 1998,5).

ენა ახდენს რეალობის კატეგორიზაციას (მაგ, ორი განსხვავებული კატეგორია „დღე“ და „ღამე“). თუმცა, ამ კატეგორიებს შორის რიგ შემთხვევებში საზღვარი ბუნდოვანია. რთულია ზუსტად თქვა, სად მთავრდება ღამე და სად იწყება დღე (Bergvall et al 1996:1). იგივე შეიძლება ითქვას გენდერულ დიქტომიაზეც; შედეგად, გენდერი კონტინუუმია, ხოლო მასკულინობას და ფემინურობას ამ კონტინუუმში

ხარისხები გააჩნია. ამიტომ სრულიად ბუნებრივი იქნება თუ ვიტყვით, რომ ერთი ადამიანი მეორესთან შედარებით უფრო მასკულიური ან ფემინურია.

ენის და გენდერის ურთიერთმიმართების სამ ასპექტზე შეგვიძლია ვისაუბროთ: **1) ენაში აირეკლება გენდერი; 2) ენა ქმნის გენდერს; 3) ორივე შეხედულება თანაბრად მართებულია ენის და გენდერის კვლევებისთვის (Graddol & Swann 1989).** პირველ ასპექტთან მიმართებაში, შესაძლებელია ვთქვათ, რომ ლინგვისტური განსხვავებები სოციალურ განსხვავებებს აირეკლავს და რადგანაც საზოგადოება ქალსა და მამაკაცს სხვადასხვაგვარად აფასებს, აღნიშნული განსხვავებანი ბუნებრივია, რომ არსებობს დისკურსში (Coates 1986, iv), რაც, თავის მხრივ, ქალისა და მამაკაცის სისტემურად განსხვავებული სოციალური განსხვავებების არსებობის შედეგია (Graddol & Swann 1989, 9). რაც შეეხება მეორე შეხედულებას, ის ეფუძნება იმ აზრს, რომ ენა ჩვენს რეალობას გარკვეულ ჩარჩოში ათავსებს, ენა არის სამყაროს მოწესრიგების მცდელობა, ენის შესწავლით ადამიანი სწავლობს სამყაროს/რეალობის ხედვას, ის არის რეალობის შემეცნების საშუალება (Spender 1985,3).

ამ შეხედულების მიხედვით, ენა ახდენს გენდერის კონსტრუირებასაც, რადგან ის ჩვენი რეალობის ნაწილია. ანუ, მედიის და ყოველდღიური ინტერაქციის ენა აყალიბებს შეხედულებებს მამაკაცისა და ქალის მახასიათებლებზე და როგორც სარკე აირეკლავს გენდერულ ურთიერთმიმართებებს. შესაბამისად, საომარი და კონფლიქტური სიტუაციების მედია ასახვა სუბსტრატს ქმნის ზემოთ აღნიშნული ურთიერთმიმართებების შესწავლისა და გაანალიზებისთვის.

ჩვენ მიმოვიხილეთ გენდერის და ენის ურთიერთმიმართების საკითხი, თუმცა გვერდს ვერ ავუვლით კონცეპტებს - *სქესი* და *გენდერი* - შორის განსხვავებას. პირველად მათ ყურადღება ბრიტანელმა ფემინისტმა ანა ოუკლიმ მიაქცია (Oakley 1972). *სქესი* ბიოლოგიური ტერმინია, გენებთან და ჰორმონებთან ასოცირებული. მდებარეობითი კვერცხუჯრედი შეიცავს X სასქესო ქრომოსომას, ხოლო მამრობითი სპერმატოზოიდი კი - X ან Y სასქესო ქრომოსომას. გენეტიკურ დონეზე *სქესი* ფუნდამენტალურად ბინარულია (Talbot 1998,7), თუმცა არსებობს გარკვეული გენოტიპური გამონაკლისები (XXX -ის ან XXY სინდრომი-გენეტიკური მუტაციები) .

გენდერს რაც შეეხება, ის ადამიანის ყოველდღიური არსებობის მნიშვნელოვანი მახასიათებელია. ადამიანს გენდერთან შეხება დაბადებამდეც კი უწევს, როდესაც

მშობლები ჩვილის ამქვეყნად მოვლინებამდე ამზადებენ ტანსაცმელს და დეკორაციებს ოთახში. ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ ადამიანი დაბადებული არ არის და უკვე ხდება იმის განასზღვრა, თუ რა უნდა ჩაიცვას, რა ფერის უნდა იყოს ტანსაცმელი, სად უნდა დაიძინოს ჩვილმა და ა.შ. თუ ამ ზემოთ აღნიშნულ გარემოებებთან ერთად სხვადასხვა კულტურის მახასიათებლებსაც გავითვალისწინებთ, შედეგად ვიღებთ რეგულაციებს და წესებს, რომლებსაც ადამიანები ემორჩილებიან (Le Guin 1981, 200).

გენდერის ბინარულ ოპოზიციას, კერძოდ ადამიანების დაყოფას ორ კატეგორიად (მამაკაცი და ქალი) ღრმა ფესვები აქვს. არისტოტელემ თავის ნაშრომში „მეტაფიზიკა“ შეაჯამა პითაგორას ოპოზიციების ცხრილი და შეეცადა წარმოედგინა, თუ როგორ მუშაობენ ეს ოპოზიციები. ერთ მხარეს მოათავსა: **ზღვარი, კენტი, ერთი, მარჯვენა, მამრი, დასვენება, სწორი, სინათლე, კარგი, კვადრატი**; მეორე მხარეს კი: **უსაზღვრო, ლუწი, სიმრავლე, მარცხენა, მდედრი, მოძრაობა, მრუდი, სიბნელე, ცული, მართკუთხედი** (Aristotle 1968, 69). არისტოტელე უფრო ჩაუღრმავდა ბინარულ ოპოზიციებს ნაშრომში „ეკონომიკა“ დააზუსტა რა, რომ მამაკაცები არიან უფრო ძლიერები და საგარეო საქმეებით დაკავებულნი; ხოლო ქალები კი სუსტები, ფრთხილები და საშინაო საქმეებით დაკავებულნი. კაცები შვილებს განათლებას აძლევენ, ქალები კი კვებავენ მათ (ibid. 1968, 69).

გენდერის ბინარული დაყოფა შესაძლოა სხვადასხვა ხასიათს ატარებდეს. ორი ნახევარი შეიძლება განვიხილოთ როგორც თანასწორი, მაგრამ საწინააღმდეგო (ჩინური ფილოსოფიის სიმბოლო ინ/იანი). მაგარამ უფრო ხშირია ამ ოპოზიციის იმგვარი წარმოდგენა, სადაც მდედრობითი სქესი იკავებს დაქვემდებარებულ პოზიციას. ამის მაგალითია მეცხრამეტე საუკუნის ანთროპოლოგის და ანატომის პაულ ბროკას ნაშრომი. მან გამოიკვლია მამაკაცისა და ქალის ტვინი და მისეული შეფასებით ტვინის მასის გამო მამაკაცის ტვინი უფრო განვითარებული იყო, ვიდრე ქალის: “We are therefore permitted to suppose that relatively small size of the female brain depends in part upon her physical inferiority and in part upon her intellectual inferiority” (ციტ. Gould 1981,14). თუმცა შემდგომი კვლევებით დასაბუთდა, რომ ტვინის მასა სხეულის მასის პროპორციულია, რითაც სქესთან შეჭიდული ინტელექტუალობა გამოირიცხა. განმანათლებელი მარია მონტესორი კი ბინარულ ოპოზიციას ქალის

უპირატესობით წარმოაჩენდა. მას მიაჩნდა, რომ ქალი არის ადამიანური მორალის და ღირსების მცველი (Synott 1993). რა თქმა უნდა, აღნიშნული ბინარული ოპოზიციის განსხვავებული კონფიგურაციებით წარმოდგენა მიუთითებს ადამიანების მიერ სამყაროს განსხვავებულ აღქმაზე. თუმცა საერთო ამ ხედვებს შორის ისაა, რომ ბინარულ ოპოზიციაში ნახევრები ერთმანეთს განსაზღვრავს. აქ ვგულისხმობთ იმას, რომ ერთი ნახევარი არის წარმოდგენილი, როგორც დომინანტური ნიშანი, რომლითაც განისჯება მეორე, მისი საპირისპირო ნიშანი.

ტერმინი „გენდერი“ პირველად ინგლისურენოვან სამეცნიერო ნაშრომებში შემოვიდა, როგორც სქესის გრამატიკული კატეგორიის აღმნიშვნელი. თუმცა მოგვიანებით ის უესტის და ციმერმანის ნაშრომში „სოციალური სქესის“ მნიშვნელობას იძენს (West & Zimmermann 1991, 13). შესაბამისად, „სქესი“ უნდა დავინახოთ როგორც ბიოლოგიური დიფერენციაცია ქალსა და მამაკაცს შორის, ხოლო „გენდერი“ კი დიფერენციაციას ფსიქოლოგიური, სოციალური და კულტურული ნიშნით ახდენს (ლადარია 2002, 59).

ზემოხსენებული განმარტებებიდან გამომდინარე, სქესი სოციალურ–კულტურული ფაქტორების ზეგავლენით ქმნის გენდერს. თუმცა ჩვენ არ შეგვიძლია იმის მტკიცება, რომ გენდერსა და სქესს შორის კავშირი არ არსებობს. რა თქმა უნდა, კავშირი არსებობს და ბიოლოგიური სქესი გარკვეულწილად განაპირობებს სოციალური სქესის ფორმირებას ადამიანში.

გენდერი თავის მხრივ წარმოადგენს მნიშვნელობათა ერთობლიობას გარკვეული საზოგადოებებისთვის; ფაქტობრივად, აღნიშნული მნიშვნელობები საზოგადოების გადალაგებას ახდენენ. ანთროპოლოგ მარგარეტ მიდის მიხედვით (1949), სქესი ბიოლოგიური კუთვნილებაა, გენდერი კი სოციალური. ამ კვლევის შედეგად თვალსაჩინო გახდა ის ფაქტი, რომ გარკვეული ქცევა ერთ კულტურაში შეიძლება განიხილებოდეს, როგორც მამაკაცისთვის დამახასიათებელი, მეორეში კი, პირიქით, ქალისთვის დამახასიათებელი.

ინდივიდები იზადებიან სქესით, მაგრამ ითვისებენ/სწავლობენ მამაკაცის და ქალის როლებს (Garfinkel 1967, 116-85; 285-88). სიმონ დე ბოვუარის მიხედვით ადამიანი ქალად კი არ იზადება, არამედ ხდება ქალი საზოგადოებაში მოქმედი წესების ზემოქმედების შედეგად (de Beauvoir 1952, 267). ამიტომ, სქესსა და გენდერს

შორის განსხვავების ნათლად წარმოჩენა მნიშვნელოვანია. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ადამიანის ბიოლოგიური სქესი სხეულის კუთვნილებაა, გენდერი კი სოციალურად კონსტრუირებული.

გენდერი არის სქესის სოციო-კულტურული განზომილება, რომლის არსებობაც განპირობებულია მთელი რიგი მნიშვნელობათა სისტემებით, რომლებიც საზოგადოების ორგანიზებას, დახარისხებას ახდენენ. შესაბამისად ვიღებთ შემდეგს, ქალის სხეული ასოცირებულია „ქალურ საქციელთან/ქმედებასთან“, ქალის იდენტობასთან, მამაკაცი კი - მასკულინობასთან.

სად მთავრდება სქესი და სად იწყება გენდერი? ამ კითხვაზე ბევრი თეორეტიკოსი განსხვავებულად მსჯელობს. ფემინისტური ფსიქოანალიზი დეტალურად განიხილავს გენდერის საწყისს. გენდერი არის როლების და მნიშვნელობათა სისტემა, რომელსაც ადამიანი ითავისებს *ეგოს* ფორმირებისას ოჯახში, აღმზრდელით დაწესებულებებში, თანატოლებთან ურთიერთობაში. მაგრამ აღზრდის წესის და დამოკიდებულებების ცვლილებამ შესაძლოა გამოიწვიოს ქალსა და მამაკაცს შორის არსებული სივრცის შევსება (Chodorov 1978).

ტალბოტი წერს, რომ საზოგადოება გენდერს თავად ქმნის, ის „*სოციალურად კონსტრუირებული*“ ფენომენია; შესაბამისად ადამიანები იქცევიან ისე, როგორც მათ გარკვეული წესები კარნახობენ (Talbot 1998,7). როგორც ჩანს, ადამიანი გენდერს „სწავლობს“ და იმის მიხედვით, თუ როგორ მოხდება აღნიშნულის სწავლა/ათვისება, „*ადამიანი შეიძლება იყოს მეტნაკლებად ფემინური ან მასკულიური*“ (Graddol & Swann 1989,8). ანუ, ადამიანი საკუთარი თავის გენდერიზაციას ახდენს (Talbot 1989, 7).

ფროიდ-ლაკანისეული ფსიქოანალიზი კი ირჩევს შემდეგ მიმართულებას; ადამიანის (ქალისა და მამაკაცის) სქესობრივი განსხვავება არის პროცესი, რომელიც აყალიბებს მეტყველ სუბიექტს. ანუ, სუბიექტი ყალიბდება სქესობრივ განსხვავებაზე დაქვემდებარების პროცესში.

იკვეთება ორი განსხვავებული წარმოდგენა: პირველის მიხედვით გენდერი გვევლინება, როგორც კულტურული დეტერმინაცია, რომელსაც სუბიექტი ითვისებს (დე ბოვუარი, უესტი და ციმერმანი); და მეორე, სქესობრივი განსხვავება არის მატრიცა, რომელიც წარმოშობს მეტყველ სუბიექტს (ფროიდ-ლაკანისეული

მიდგომა). აღნიშნული ნაშრომი კი გენდერის შემეცნების პირველ წარმოდგენას ეფუძნება.

სქესს, როგორც ბიოლოგიური მახასიათებელს, საფუძვლად უდევს ანატომია, ფიზიოლოგია, ჰორმონები. გენდერი კი შეძენილი სტატუსია, რომელსაც ქმნის ადამიანის ფსიქო-სოციალური და კულტურული განვითარება (West & Zimmerman 1991,13). ასე რომ, დაუშვებელია მათი სინონიმებად მიჩნევა, რადგან ისინი ორ სრულიად დამოუკიდებელ კატეგორიას ქმნიან.

ასე რომ, გენდერული განსხვავება ბუნებრივი მოცემულობა კი არ არის, არამედ იგი ცოდნის და ძალაუფლების ურთიერთქმედების შედეგია, რომელიც ადამიანის არსებობის ყველა სფეროში იჭრება. ადამიანები სქესით იბადებიან, მაგრამ ითვისებენ გენდერულ როლებს და შემდგომში, როგორც დისკურსის მონაწილენი, ასრულებენ მათ.

თუ ზემოხსენებულს ომის და კონფლიქტის დისკურსში მოვიაზრებთ, გენდერის და ენის ურთიერთმიმართების საკითხი აქაც დაწინაურდება, რადგან ქალისა და მამაკაცის განსხვავებული როლები განსხვავებულ გამოცდილებებთან და, შესაბამისად, რეალობის განსხვავებულ აღქმასთან ასოცირდება, რაც დისკურსში გარკვეული ფუნქციის მქონე ენობრივ სტრუქტურებში აირეკლება.

1.2. გენდერის თეორიები: დომინირების და განსხვავებულობის თეორიებიდან სოციალურ კონსტრუქციონიზმამდე

მეოცე საუკუნის 70-80-იან წლებში ენისა და გენდერის ურთიერთმიმართების კვლევები ძირითადად ქალისა და მამაკაცის ვერბალური აქტივობების განსხვავებულობაზე იყო აგებული. ეს კი იმპლიციტურად თუ ექსპლიციტურად მიუთითებდა იმაზე, რომ ქალი და მამაკაცი წარმოადგენდა ბინარულ ოპოზიციას. სწორედ ამიტომ, კვლევების ინტერესს წარმოადგენდა ლინგვისტური განსხვავებულობის შესწავლა/ახსნა. განსხვავებულობა აშკარა იყო, რაც დომინირების თეორიებით აიხსნა (Cameron 1992). მამაკაცის დომინირების გამოვლენამ ყოველდღიურ ვერბალურ აქტივობებში განაპირობა ქალთა სუბორდინაციის ვერბალური რეფლექსის წარმოჩენა. რობინ ლაკოფი (Lakoff 1975) ნაშრომში „ენა და ქალის ადგილი“ ამბობს, რომ ქალის მერყეობის და ნაკლები ძალაუფლების გამომხატველი ლინგვისტური/ვერბალური თავისებურებანი მის სუბორდინაციულ სტატუსს ამტკიცებს. უესტის და ციმერმანის ნაშრომში კი აღნიშნულია, რომ საუბრის შეწყვეტინება მამაკაცის დომინირების გამოვლენის ნიშანია (West & Zimmerman 1983), მაშინ როდესაც ფიშმანი ამტკიცებს, რომ ქალები ჩერდებიან, იმისთვის რომ საუბარი გაახანგძლიონ საპირისპირო სქესის წარმომადგენლებთან (Fishman 1983).

დომინირების თეორიის მხრივ, საყურადღებოა დეილ სპენდერის ნაშრომი *Man Made Language* (Spender 1980), სადაც იგი წარმოგვიდგენს „მამაკაცების ძალაუფლების მონოლითურ ხედვას“. ეს მიუთითებდა იმაზე, რომ დომინირება ყველა მამაკაცის დამახასიათებელი ნიშანია, რაც შემდგომი კვლევებით არ დადასტურდა.

მკვლევარები, რომლებიც აკრიტიკებდნენ გენდერის, როგორც აბსტრაქტული სისტემის რეპრეზენტაციას ინგლისურ ენაში „დომინირების“ მიმდევარი თეორეტიკოსების მსგავსად, ცდილობდნენ ეჩვენებინათ გენდერული მიკერძოებულობის ენობრივი ასპექტები. ამ მიკერძოებულობის გამოვლენის ერთი ფორმა იყო იმ სიტყვების იდენტიფიცირება, რომლითაც ქალები შეუმჩნევლნი ხდებოდნენ (he, man, chairman); მეორე ფორმა კი შეეხებოდა იმ სიტყვების

გამოვლენას, რომლებიც ქალს წარმოადგენდნენ ტრივიალური, სტერეოტიპული სახით (a blonde, manageress) და მესამე, ფორმა-სიტყვები, რომლებიც ახდენენ ქალის დამდაბლებას (bitch, tart). სპენდერის ნაშრომმა “Man Made Language” (Spender 1980) ფართო საზოგადოებას გააცნო ზემოხსენებული მონაცემები. ამ კვლევების პარალელურად მიმდინარეობდა კამპანია „ინკლუზიური“, „ალტერნატიული“ და „არა-სექსისტური“ ენის გამოყენებისთვის. ორგანიზაციებისთვის და მწერლებისთვის იქმნებოდა სახელმძღვანელოები ამ მიმართულებით.

სექსისტური დამოკიდებულება ენის მიმართ შედარებით გაფერმკრთალდა მეოცე საუკუნის ბოლოს, რადგან ზოგიერთი ნეიტრალური სიტყვა, როგორცაა *ხალხი* შეიძლება გამოყენებულ იქნას სექსისტური მნიშვნელობითაც. რიჩარდ ადამსი წერდა გაზეთში *The Independent* 5/1/90: “The commons were popular with Newburians and other locals. People took picnics, ‘walked out’ with their girls, picked bluebells and primroses in season...”

ამ კვლევების ყველაზე დიდი პრობლემა იყო ის, რომ თუმცა ისინი ეხებოდა ენის და გენდერის ურთიერთმიმართებას, მაინც ვერ ასახავდნენ განსხვავებას გენდერსა და სქესს შორის, რომ ენა გენდერის უბრალო მახასიათებელი კი არ არის, არამედ ძერწავს მას.

ამასთან ერთად, დომინირების თეორიის მნიშვნელოვანი ხარვეზი იყო დომინირების მონოლითური სახე. ტალბოტი წერს, რომ ყველა მამაკაცი არ არის იმ პოზიციაში, რომ დომინირებდეს ყველა ქალზე; მნიშვნელოვანია იმ სიტუაციების, ინსტიტუციებისა და გარემოებების გაანალიზება, რომლებიც მამაკაცების დომინირებას უწყობენ ხელს (Talbot 1998, 134).

განსხვავებულობის ახსნის სხვაგვარი შეხედულება წარმოადგინა კამერონმა (Cameron 1992), რომლის მიხედვითაც ქალი და მამაკაცი ორ სხვადასხვა კულტურულ ჯგუფს მიეკუთვნებიან (განსხვავებულობის თეორია) და განსხვავებული სამეტყველო სტილებით ხასიათდებიან, რომლებსაც ისინი ბავშვობაში სოციალიზაციის გზით იძენენ (Maltz & Borker 1982; Tannen 1990). განსხვავებულობის თეორიის ფესვები გამპერზის სოციოლინგვისტური ნაშრომიდან მომდინარეობს, რომლის მიხედვითაც ქალისა და მამაკაცის არსი სხვადასხვა კულტურულ ჯგუფში ყალიბდება. გენდერული განსხვავებები მალცმა და ბორკერმა (1982) შეაფასეს,

როგორც „კულტურული განსხვავებანი“. ტანენისთვის (Tannen1990,47) მამაკაცისა და ქალის დამახასიათებელი სამეტყველო/საკომუნიკაციო სტილი განაპირობებს მისკომუნიკაციას, გაუგებრობას კომუნიკაციის დროს.

კულტურული ჯგუფების შესახებ მიდგომა გააკრიტიკა ბევრმა მეცნიერმა (Feed 1992; Henley & Kramarae 1991; Uchida1992; Cameron 1992,1995, Tromel-Plotz 1991), რადგან მათი აზრით, მამაკაცსა და ქალს ვერ მივაკუთვნებთ განსხვავებულ კულტურულ ჯგუფებს, ისინი ერთი საზოგადოების, ერთი კულტურის წიაღში არსებობენ; შესაბამისად, მათ შორის საუბარი ვერ იქნება ინტერკულტურული კომუნიკაცია.

ამ თეორიის მეორე ხარვეზი იყო განსხვავებულ კულტურულ ჯგუფებს შორის „მისკომუნიკაციის“ არსებობა. ეკერტისა და მაკკონელ-ჯინეტის კვლევამ (Eckert & McConell-Ginet 1992 b, 467) ცხადყო, რომ მამაკაცები კარგად აღიქვამენ ქალების ინტერაქციულ ნორმებს, რომ მათაც შეუძლიათ მაღალფარდოვანი და სასიამოვნო საუბარი (Freed 1992,149).

ჰენლი და კრამერი (Henley &Kramarae1991) აქცენტს უფრო მეტად ქალისა და მამაკაცის კულტურულ ჯგუფებს შორის განსხვავებულობაზე აკეთებენ, ვიდრე მსგავსებაზე. ასეთი შეხედულება კი უფრო აძლიერებს გენდერულ პოლარობას. თუმცა აზრს მოკლებული არ იყო შეხედულება, რომლის თანახმადაც ბინარული ოპოზიციის ზემოხსენებული ჯგუფები შეუძლებელია აბსოლუტურად ჰომოგენური იყოს. ეს იმაზე მიანიშნებს, რომ ჯგუფის შიგნითაც შესაძლებელია არსებობდეს ვარიაციები. თანაც, 70 -80 იანი წლების კვლევები, რომლის მიხედვითაც ქალის საკომუნიკაციო სტილი უფრო თანადგომაზე და თანამშრომლობაზეა ორიენტირებული, ხოლო მამაკაცის კი კონკურენტულობაზე, ეყრდნობოდა გარკვეულ პოპულაციაზე ჩატარებულ კვლევებს (ჩრდილოეთ ამერიკა, საშუალო კლასის წარმომადგენლების საუბრები) და ნამდვილად გადაჭარბებული იყო შედეგების ასეთი განზოგადება (McElhinny 1996). ფრიდისა და გრინვუდის კვლევამ (Freed & Greenwood1996) აჩვენა, რომ მეგობრების საუბრებში, სადაც ქალიც და მამაკაციც იღებენ მონაწილეობას, ორივე სქესის წარმომადგენლის ლინგვისტური ქმედება ერთმანეთს ემთხვევა და თანამშრომლურ ხასიათს ატარებს და, შესაბამისად, გენდერი კი არ განაპირობებს საკომუნიკაციო სტილის წარმოქმნას,

არამედ ურთიერთდამოკიდებულება თავად საზოგადოების წევრებს შორის. ესე იგი, საკომუნიკაციო/სამეტყველო სტილები სოციალურად არის კონსტრუირებული და თუ გარკვეული სტილი ასოცირდება ან ქალთან ან მამაკაცთან, მაშინ გენდერიც სოციალურად არის კონსტრუირებული.

სოციალური კონსტრუქციონიზმის მიხედვით, მაგალითად, მეგობრულობა, რომელიც ზემოხსენებული თეორიების მიხედვით უფრო ქალთან არის ასოცირებული, არ არის ინდივიდის ბუნებრივი ნიშანი. იგი ფემინურობასთან ასოცირებული ხდება იმიტომ, რომ მდებარეობითი სქესის წარმომადგენლები უფრო მეტად არიან ასოცირებული ისეთ სიტუაციებთან ან კონტექსტთან, რომელიც მეგობრულ ხასიათს ატარებს. ფრიდისა და გრინვუდის კვლევამ აჩვენა, რომ თანამშრომლური საკომუნიკაციო სტილი გახდა გენდერიზებული, ფემინურობასთან ასოცირებული, რადგან ემპირიული მონაცემები ძირითადად ეყრდნობოდა ისეთ კონტექსტს და სიტუაციას, რომელიც, უდავოდ, ასეთ შედეგს მოგვცემდა. ასე რომ, გენდერული მახასიათებლები/მარკერები არის სოციალურ-კულტურული კონსტრუქტი, რომელიც „კონტექსტუალურად არის დეტერმინირებული“ (ibid. 1996,39).

ინტერესს არ არის მოკლებული ეკერტის და მაკკონელ-ჯინეტის მოსაზრება (Eckert & McConell-Ginet 1992a; 1999), რომლის თანახმადაც გენდერის შესწავლა უნდა მოხდეს ქმედებათა ერთობლიობაში (“communities of practices”). აღნიშნული კი უფრო ფართო ანალიტიკურ სივრცეს წარმოადგენს, ვიდრე მხოლოდ „ქმედებები“ (McElhinny 2003). ეკერტი და მაკკონელ-ჯინეტიც თვლიან, რომ გენდერი არ არის ინდივიდის თანდაყოლილი კუთვნილება, იგი წარმოიშობა ინდივიდის სოციალურ ქმედებათა ქსელში ჩართვით და, შესაბამისად, ინდივიდი ხდება გენდერიზებული. ბატლერის (Butler 1990) *პერფორმატიულობის* თეზისის მსგავსად, გენდერი არის გარკვეული ტიპის სოციალურ ქმედებებში ჩართვის შედეგი/ეფექტი და არა მიზეზი. მისი აზრით, გენდერი ადამიანის სოციალური და ვერბალური აქტივობის შექმნის საშუალებაა, ადამიანი ითვისებს იმ გენდერულ როლს სხვა ადამიანებზე დაკვირვების შედეგად, რომელიც მის სქესს უფრო შეესაბამება და, შესაბამისად, როლის სხვისგან კოპირება არის „პაროდია“.

ამგვარად, ენასა და გენდერს შორის ურთიერთმიმართება ყოველთვის დაკავშირებულია სოციალურ ქმედებებთან თუ აქტივობებთან. შედეგად, გენდერი გვევლინება, როგორც სოციალური კონსტრუქტი, როდესაც ენის თავისებურებანი პირდაპირ მიუთითებს გენდერული ნიშნით არსებულ განსხვავებულობაზე (Ochs 1992,340).

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, თუ გენდერიზებული სამეტყველო/კომუნიკაციური სტილები ინდივიდის თანდაყოლილი ნიშანი კი არა, არამედ გენდერთან სიმბოლურად ასოცირებული სოციალურ-კულტურული კონსტრუქტია, მაშინ ინდივიდები თავად ქმნიან საკუთარ გენდერულ იდენტობას ან სხვების იდენტობის ინტერპრეტაციას ახდენენ სიმბოლური რესურსების (სოციალური ქმედებები, ლინგვისტური ქმედებები) გამოყენებით. ეს კი ლოგიკურად იმის თქმის საშუალებას გვაძლევს, რომ სხვადასხვა კულტურაში თუ საზოგადოებაში სხვადასხვაგვარად ხდება რესურსის გამოყენება და ინტერპრეტაცია. შესაბამისად გენდერული იდენტობა (ფემინურობა, მასკულინობა) განსხვავებულია. ამიტომ შესაძლებელია არსებობდეს არა ფიქსირებული ფემინურობა და მასკულინობა, არამედ ფემინურობები და მასკულინობები. ზემოთ აღნიშნული იდენტობები შესაძლებელია იცვლებოდეს სინქრონულ ჭრილში (დრო იგივე, საზოგადოება და კულტურა სხვადასხვა) ან დიაქრონულად (დროის მონაკვეთი სხვადასხვა, კულტურა და საზოგადოება იგივე).

ენისა და გენდერის უახლესი კვლევები ეფუძნება დისკურსის მაკონსტიტუირებელ ბუნებას. შესაბამისად, ენის სექსისტური გამოვლინებების კვლევა შეიცვალა დისკურსში ძალის ასიმეტრიის კვლევით. მრავალი მკვლევარი (Cameron 2006; Weatherall 2002) მიიჩნევს, რომ ქალების დაკნინება ხდება არა მხოლოდ სექსისტური ენით, არამედ სოციალურ ქმედებებში სტერეოტიპული და მიკერძოებული ენის გამოვლინებით. უფრო მეტიც, კვლევები რომლებიც მოიცავენ გენდერის რაობას და მის გამოვლინებებს დისკურსში, ჩანაცვლდა კვლევებით, რომელთა ფოკუსია გენდერი, რომელიც გარკვეულ კონტექსტში (მაგ. ომის დისკურსში) და ქმედებათა ერთობლიობაში გვევლინება, როგორც დისკურსის მოქმედების პროდუქტი (Lazar & Kramarae 2011,221). შედეგად, ენის და გენდერის კვლევისთვის წინა პლანზე გამოდის დისკურსის კრიტიკული ანალიზი.

1.3. დისკურსი და გენდერი

ბოლო დროის გამოცემები ცხადყოფენ, თუ რაოდენ დიდია დისციპლინათა და მიმართულებათა რიცხვი, რომლებიც დაინტერესებული არის დისკურსის კვლევით: დისკურსი და პოლიტიკა (Schaffner & Kelly-Holmes 1996; Howarth et al 2000), იდეოლოგიის კვლევები (Schaffner 1997), ეროვნული იდენტობის დისკურსული კვლევები (Wodak et al. 1999), დისკურსი და გენდერი (Walsh 2001; Wodak 1997; Romaine 1998), გამოყენებითი დისკურსული ფსიქოლოგია (Willig 1999), პროფესიული დისკურსი (Gunarson et al 1997), დაკითხვის და აღიარების დისკურსი (Shuy 1998), აკადემიური დისკურსი (Swales 1998), დისკურსი კულტურათშორის კომუნიკაციაში (Hatim 2000), დისკურსი ყოველდღიურობაში (Locke 1998; Cameron 2000; Delin 2000) და სხვა მრავალი. უნდა აღვნიშნოთ, რომ როგორც კი დაისვა შეკითხვა ეპისტემოლოგიაში, თუ როგორ იქმნება ცოდნა, დაწინაურდა ლინგვისტიკა და დისკურსის კვლევები (Jaworski & Coupland 1999, 3-6) და დღეს ის ფაქტობრივად პიკს აღწევს.

დისკურსის ცნებას სხვადასხვა დისციპლინაში სხვადასხვაგვარი ახსნა აქვს. დისკურსის ძირითადი ლინგვისტური არსი არის ის, რომ იგი წინადადებაზე მაღლა დგას, წინადადების არსებობის საფუძველია (Stubbs 1983, 1). ანალიტიკოსების უმრავლესობა თანხმდება იმ აზრზე, რომ დისკურსი ზეპირსიტყვიერი და წერილობითი ტექსტების ნაკადია; თუმცა, ის ზოგჯერ მეტყველებას შეეხება მხოლოდ. თუ ინტერპერსონალური კუთხიდან შევხედავთ, დისკურსი გულისხმობს ენას, რომელიც მნიშვნელობას ქმნის კონტექსტში. მაგალითისთვის შეიძლება მოვიყვანოთ ადამიანებს შორის ზეპირი კომუნიკაცია რეალურ სოციალურ სიტუაციაში (Cameron 1990). ანუ, დისკურსი სოციალური სიტუაციების ენობრივი/ლინგვისტური მახასიათებელია.

ლინგვისტურ და სემიოტიკურ ტერმინთა ლექსიკონი (2001) დისკურსს წარმოგვიდგენს როგორც ტექსტების ერთობლიობას, რომლებსაც საერთო თემატური, კულტურული ან კიდევ სხვა რაიმე ნიშანი აერთიანებს. ის არ არის ჩაკეტილი სივრცე, მისი შევსება შესაძლებელია მსავსი ნიშანთვისების მქონე სხვა ტექსტებითაც.

თუმცა, იდეოლოგიურ-სოციალური თეორიის მხრივ (რომელიც, ლინგვისტიკის ინტერესის საგანიცაა), დისკურსი განისაზღვრება, როგორც სოციალური ქმედების ფორმა, რომელიც რეალობის გარკვეულ ასპექტებს ქმნის (Fairclough 1992; Chouliaraki & Fairclough 1999, 63). ამ შინაარსით დისკურსი არის, რა თქმა უნდა, ენასთან ასოცირებული ცოდნის გარკვეული ფორმა, მაგრამ ის ასევე არის ქმედება, მოვლენა, რაზეც შეიძლება ილაპარაკო ან დაწერო სოციალური და ისტორიული კონტექსტის გათვალისწინებით (Foucault 1989, 25-58).

ჯავორსკი და კუპლანდი (Jaworski & Coupland 1999:3) დისკურსს ენის სოციალური სისტემების ანარეკლად მიიჩნევენ: *„დისკურსი არის სოციალურ, პოლიტიკურ და კულტურულ ფორმირებებთან დაკავშირებული ენობრივი აქტივობა-ეს არის ენა, რომელიც არამარტო აირეკლავს სოციალურ წესრიგს, ის ასევე ახდენს მის ფორმირებას“*. დისკურსი პოსტსტრუქტურალისტური გაგებით კი არის სოციალურ-იდეოლოგიური ქმედების გამოვლინება (Fairclough 1992). ფუკოს მიხედვით *„ქმედებები/პრაქტიკები სისტემურად ქმნიან ობიექტებს, რაზეც მეტყველებენ“*, ამიტომ გარკვეული დისკურსი არსებობს გარკვეულ დროს და გარკვეული სოციალური კონტექსტის გათვალისწინებით. ანუ, ტექსტთა ნაკადი იმიტომ შეიქმნა/იქმნება, რომ მას გარკვეული ბიძგი აქვს/ჰქონდა (Foucault 1972, 49). ფუკო არ უარყოფს, რომ დისკურსები ნიშნებისგან შედგება. მაგრამ ნიშნებს გაცილებით უფრო მეტი დატვირთვა აქვთ, ვიდრე უბრალოდ რაღაცის აღნიშვნა. ეს *უფრო მეტი* არის ის, რაც ნიშანს არ დაიყვანს მხოლოდ ენის ან მეტყველების დონეზე. ეს *უფრო მეტი* დისკურსს წარმოგვიდგენს, როგორც ცოდნის ფორმას, რომელიც მართავს სოციალურ და კულტურულ ქმედებებს. დისკურსი სისტემურად ქმნის სამყაროს არსს წერილობითი და ზეპირი ტექსტების სახით, რომლებიც მჭიდრო კავშირშია დისკურსულ/სოციალურ ქმედებებთან.

აი რას ამბობს კრესი დისკურსზე: *„დისკურსი, ეს არის შესაძლო ფრაზების/წინადადებების წყება, რომელიც სტრუქტურულად აწესრიგებს გარკვეულ საკითხზე, საგანზე თუ პროცესზე საუბრის მანერას“* (Kress 1985, 6-7). გიიც მსგავსად აღნიშნავს, რომ დისკურსები *„განაპირობებენ ჩვენი საჯარო აქტების შეცნობადობას და გააზრებულობას“* (Gee 1992, 110).

დისკურსი, როგორც ტექსტი. საინტერესოა ტექსტის და დისკურსის შედარება. ტექსტი შეიძლება იყოს როგორც ზეპირი, ასევე წერილობითი. „სოციალური ქმედების“ მნიშვნელობით დისკურსი ფართო მნიშვნელობისაა და ვან დაიკის მიხედვით ეს არის „ტექსტი კონტექსტში“ (van Dijk 1990,164). ფეარკლაფი კი *ტექსტს* აღწერს როგორც ფიზიკურ საგანს, რომელიც არსებობს დისკურსულ და სოციალურ ქმედებებთან კავშირში (Fairclough 1992). ტალბოტისთვის კი ტექსტი არის „ქსოვილი, რომელშიც დისკურსი არის წარმოდგენილი“ (Talbot 1995a, 24). ის შეიცავს მახასიათებლებს-„კვალს“, რომელიც მიუთითებს, თუ როგორ შეიქმნა ტექსტი, ან როგორ უნდა წავიკითხოთ, ან გავიგოთ იგი. მაშ, ტექსტი შეიძლება არსებობდეს ფიზიკურად (ფურცელზე წერილობითი სახით) ან ხალხის მეხსიერებაში მოგონებების სახით. დისკურსი კი დროში და სივრცეში შეზღუდული არ არის, ის ამორფულია და უფრო ინტერპრეტაციის და პროდუცირების პროცესია სხვადასხვა დროს და კონტექსტში სხვადასხვა ადამიანების მიერ განხორციელებული (Talbot 1995a,25). დისკურსის ანალიზი აუცილებლად მოითხოვს ტექსტის, როგორც დისკურსის პროდუქტის ანალიზს სოციალურ კონტექსტთან ერთად.

გ. ლებანიძის (2004) მიხედვით, დისკურსის და ტექსტის გამიჯვნა რთულია, რადგან ისინი შეიძლება სინონიმებადაც მოგვევლინონ. თუმცა სინონიმებს შორისაც შეიძლება განსხვავების შემჩნევა. დისკურსი ენის აქტუალიზაციის შედეგია, ხოლო ტექსტი კი დისკურსის სემიოტიკურად ფიქსირებული რეზულტატი, რომელიც მაშინაც კი განაგრძობს არსებობას, როდესაც გარკვეული დისკურსი წარსულს ეკუთვნის. ტექსტის ანალიზისთვის აუცილებელია დისკურსის რეკონსტრუქცია და იმ რეალობის რეკონსტრუქციაც, რომელშიც ეს დისკურსი არსებობდა. ე.ი დისკურსი და ტექსტი განუყოფელია, რადგან ტექსტი დისკურსის პროდუქტია, დისკურსი კი ვერ იარსებებდა ტექსტების გარეშე.

არსებობს თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც, დისკურსი გაგებულია უფრო ფართოდ, როგორც ყველაფერი, რაც ითქმება და იწერება, ანუ როგორც, სამეტყველო ქმედება, რომელიც იმავე დროს წარმოადგენს ენობრივ მასალასაც ბგერითი თუ გრაფიკული გამოხატვით. ტექსტი კი (ვიწრო მნიშვნელობით) გაგებულია, როგორც წერის საშუალებით ფიქსირებული მასალა (ომიაძე 2009 , 75).

დისკურსი: რეპრეზენტატიური და მაკონსტიტუირებელი. ენას აქვს რეპრეზენტატიულობის უნარი, იგი წარმოაჩენს სამყაროს ჩვენეულ ხედვას. გენდერის რეპრეზენტაცია გვხვდება ფილმებში, რეკლამებში, სიმღერებში, ლექსებში, მოთხრობებში, ზეპირ ტექსტებში. დისკურსის ანალიზი აუცილებლად მოითხოვს ტექსტის, როგორც დისკურსის პროდუქტის ანალიზს სოციალურ კონტექსტში, საგაზეთო სტატიებში (Hall 1997). ამასთანავე, რეპრეზენტაციის ეს ფორმები ყოველთვის ასახავს იმას რაც უკვე არსებობს, ამიტომაც შეძლება განვიხილოთ როგორც „რეკონექსტუალიზაციის“ საშუალებები (Chouliaraki & Fairclough 1999).

მაგრამ აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ დისკურსი ცოდნის და სოციალური ქმედების მხოლოდ რეპრეზენტატიული კი არა, არამედ მაკონსტიტუირებელიცაა. ფუკოს სიტყვებით დისკურსი არის ქმედება/პროცესი, რომელიც სისტემურად ქმნის ობიექტს, რაზეც თვითონ საუბრობს (Foucault 1972,49). დისკურსი მნიშვნელობას ანიჭებს გამოცდილებას და ამასთანავე სამყაროს აღქმის და შეცნობის საშუალებაა.

დისკურსი ახდენს არა მარტო გენდერული და სოციალური ქმედებების რეპრეზენტაციას, არამედ მათ რეკონსტრუირებას მცირედ ან რადიკალურად განსხვავებული გზებით ან სრულიად ახალ დისკურსს წარმოშობს (Haraway, 1984, Coates, 1997; Kiteu & Sunderland 2000).

სოსიურიდან დისკურსამდე. სტრუქტურალიზმის ფუნდამენტური პრინციპებიდან გამომდინარე სოსიური ცდილობდა პასუხი გაეცა კითხვაზე, თუ რა არის ენა, როგორია ის გარკვეულ მომენტში; რადგან ენა მუდმივად განიცდის ცვლილებას, როგორი იქნება ენის მახასიათებლები, თუ დროის რაღაც მომენტში შევაჩერებთ მას, მის განვითარებას, ან გავყინავთ მას. სტუდენტებმა მისი გარდაცვალების შემდეგ ლექციის – ზოგადი ლინგვისტიკის კურსის – ჩანაწერებში აღმოაჩინეს (1974). ეს კითხვა მნიშვნელოვანი იყო, რადგან სტრუქტურალიზმი ითხოვდა სისტემის შესწავლას; სისტემის და მისი შემადგენელი ელემენტების და ელემენტებს შორის მიმართებების შესწავლას. სოსიურისთვის ენა ნიშანთა სიტემაა. ნიშანს, იგი ორი მიმართულებით განიხილავდა: სწავლობდა ნიშნის შინაგან მახასიათებლებს და ნიშნის მიმართებას სხვა ერთეულებთან. სოსიური ასევე

ცდილობდა წარმოეჩინა ის პრინციპები, რომლებიც ახდენენ ამ ნიშნების თვისებების და ნიშანთა შორის ურთიერთობების შენარჩუნებას.

სოსიური ნიშანს განიხილავდა ორი ტიპის სტრუქტურაში: ასოციაციურ ღერძზე (ნიშანთა ვერტიკალური წყება) და კომბინაციურ ღერძზე (ნიშანთა ჰორიზონტალური წყება). დანიელმა ლინგვისტმა, ლუი ელმსლევმა (1961), აღნიშნულ ღერძებს, შესაბამისად, *პარადიგმატური* და *სინტაგმატური* უწოდა.

სოსიურის მიხედვით, აღსანიშნა და აღმნიშვნელს შორის ურთიერთმიმართება არის პირობითი, არბიტრალური. არბიტრალურობაში იგი გულისხმობს, რომ აღსანიშნა და აღმნიშვნელს შორის არ არის ბუნებრივი, მოტივირებული კავშირი და, შესაბამისად, ის ვერ შესძენს სიტყვას მნიშვნელობას. ხმაბაძვითი სიტყვები ამ წესის მიხედვით ვერ აიხსნება, მაგრამ სოსიური აღნიშნავდა, რომ ხმაბაძვითი სიტყვები არ წარმოადგენს ლინგვისტური სისტემის ორგანულ ელემენტებს. სოსიურის თეორიაში გადამწყვეტი როლი ენიჭება მნიშვნელობის წარმოქმნის თვალსაზრისით, არა აღმნიშვნელის და აღსანიშნის კავშირს, არამედ იმას, რომ სიტყვა-ნიშანი მნიშვნელობას იძენს სხვა ნიშნისგან განსხვავებულობის გამო. რადგან სიტყვები ავტონომიური სისტემის ნაწილია, ადამიანებს არ შესწევთ უნარი სიტყვის მნიშვნელობის შეცვლის ან ახალი მნიშვნელობის შექმნის. სწორედ ეს არის სოციალური სუბიექტის დეცენტრალიზაცია, სტრუქტურალიზმის დამახასიათებელი ნიშანი (Saussure 1960, 67-120).

სოსიური ამტკიცებდა, რომ მნიშვნელობა იქმნება სისტემურად. სიტყვები - ენის ძირითადი ერთეულები მნიშვნელობას იძენენ ერთმანეთისგან განსხვავებულობის გამო. განსხვავებულობა კი არის ბუნებრივი ოპოზიცია, რომელიც სიტყვებს ერთმანეთისგან განასხვავებს. შედეგად ვიღებთ განსხვავებათა ისეთ ჯაჭვს, რომლის კონტროლი სოციალურ სუბიექტს - ადამიანს არ ძალუძს.

დისკურსი ზოგადი ლინგვისტური გაგებით არის წერილობითი ან ზეპირი ტექსტი, სადაც წინადადებები ერთმანეთთან ლოგიკურად არის დაკავშირებული. მიშელ ფუკომ *დისკურსი* სხვაგვარად წარმოგვიდგინა. მისთვის ამოსავალი წერტილი იყო წესები და ქმედებები, რომლებიც საფუძვლად უდევს მნიშვნელობის მქონე წინადადებების შექმნას და რომლებიც არეგულირებენ დისკურსს სხვადასხვა ისტორიულ პერიოდში. ფუკოსთვის *დისკურსი* წინადადებების წყებაა, რომელიც

ქმნის ენობრივ მასალას რაიმე საკითხზე საუბრისათვის ისტორიული დროის გარკვეულ პერიოდში; ე.ი. დისკურსის არსია ცოდნის შექმნა ენის საშუალებით. ნებისმიერ სოციალურ ქმედებას აქვს თავისი *მნიშვნელობა*, სწორედ ეს *მნიშვნელობები* აყალიბებს და გავლენას ახდენს ჩვენს საქციელზე; აქიდან გამომდინარე ყველა ქმედებას დიკურსული ასპექტი აქვს (Hall 1992,291). ასე რომ, *დისკურსი* არის *ენისა* და *ქმედების* კომბინაცია. დისკურსის საშუალებით შესაძლებელია დავადგინოთ ურთიერთმიმართება ენასა და ქმედებას შორის, ანუ რასაც ადამიანი ამბობს და რასაც ის აკეთებს. ფუკოსთვის *დისკურსი* ქმნის თემას, ის განსაზღვრავს და ქმნის ჩვენი ცოდნის საგანს. დისკურსი არეგულირებს და გავლენას ახდენს იდეების ქმედებებად გარდაქმნაზე. ფუკო ამბობს, რომ *დისკურსი* არასოდეს არის წარმოდგენილი ერთი წინადადებით, ერთი ტექსტით, ერთი ქმედებით ან ერთი წყაროთი. და თუ ადამიანი დისკურსის საშუალებით ქმნის ცოდნის საგანს, მნიშვნელობას ანიჭებს ამ საგანს, მაშინ, ცხადია, დისკურსის მიღმა არ არსებობს არცერთი ობიექტი, რომელსაც მნიშვნელობა აქვს. ანუ ფუკოს სიტყვებით, რომ ვთქვათ დისკურსის მიღმა არაფერს აქვს *მნიშვნელობა* (1972). ნებისმიერი ობიექტი, რომელიც ადამიანის დაკვირვების და შესწავლის საგანი ხდება, იწყებს არსებობას დისკურსში; ანუ, თუ ადამიანისთვის რაიმე ობიექტი, ან მოვლენა უხილავია, ან მისი ინტერესის სფეროში არ შედის, ის არსებობს დისკურსის მიღმა და მას მნიშვნელობა არ აქვს.

ასე რომ, ფიზიკური სხეულები/საგნები და მოვლენები/ხდომილებები, რა თქმა უნდა, არსებობს, მაგრამ ისინი მნიშვნელობას მხოლოდ და მხოლოდ დისკურსში იძენენ და ჩვენი ცოდნის ობიექტები ხდებიან. სწორედ ზემოაღნიშნული უდევს საფუძვლად მნიშვნელობის და რეპრეზენტაციის კონსტრუქციონისტულ თეორიას. ფუკოს აზრით, საგნებს თავისთავად მნიშვნელობა არ აქვთ, საგნებს მნიშვნელობას ვაძლევთ ჩვენ დისკურსის საშუალებით.

ფუკოს მიხედვით, დისკურსის კვლევა შემდეგი ელემენტებისგან შედგება: წინადადებები, რომლებიც გარკვეულ ცოდნას გვაძლევს გარკვეულ საგნებსა თუ მოვლენებზე; წესები, რომლებიც არეგულირებენ რა შეიძლება ითქვას, ან არ ითქვას გარკვეულ საკითხზე;

ფუკოს აზრით, ნებისმიერი საკითხის სიმართლე რელევანტურია მხოლოდ იმ გარკვეული ისტორიული მომენტისთვის, როდესაც ეს გარკვეული დისკურსის წიაღში არსებობდა. მისი აზრით ნებისმიერ პერიოდში დისკურსი ქმნის ცოდნას, ობიექტს, სუბიექტს და ქმედებებს, რომლებიც რადიკალურადაა განსხვავებული სხვა პერიოდის დისკურსისგან. ფუკოს არ სჯეროდა დისკურსების ისტორიული უწყვეტობის. იგი აღნიშნავდა, რომ უფრო მნიშვნელოვანია რადიკალური ცვლილებები და რღვევები ერთი დისკურსული ფორმირებიდან მეორეზე გადასვლისას.

ფუკოს *პირველი* განსაზღვრება დისკურსის შესახებ ყველაზე ფართო მნიშვნელობისაა. ამ მნიშვნელობით *დისკურსი არის ყველა წინადადების ერთობლიობა, რომელიც ქმნის მნიშვნელობის მქონე ტექსტებს, რომლებსაც აქვს ზეგავლენის უნარი რეალურ სამყაროში* (ცოდნა, მეცნიერებები). *მეორე* განსაზღვრების მიხედვით *დისკურსი არის „წინადადებების ინდივიდუალიზებული ჯგუფი“*. ამ განსაზღვრებას იგი მიმართავს, როდესაც საუბრობს დისკურსის წიაღში აღმოცენებულ გარკვეულ სტრუქტურებზე (მაგ, ფემინურობის დისკურსი და ა.შ). *მესამე* განსაზღვრება ყველაზე მეტად გავრცელდა სამეცნიერო წრეებში, რომლის მიხედვითაც დისკურსი არის *„რეგულირებული ქმედება, რომელიც განაპირობებს გარკვეული წინადადებების, ტექსტების შექმნას“*. ამ განსაზღვრებით, ფუკო უფრო მეტად ინტერესდება იმ წესებით და რეგულაციებით, რომლებიც განაპირობებენ ტექსტის შექმნას.

ფუკო ერთმანეთს უკავშირებს ცოდნას და ძალას/ძალაუფლებას (ძალცოდნა). ცოდნის ძალაუფლებასთან კავშირს შუძლია არსებული ცოდნა ჭეშმარიტებად აქციოს. ნებისმიერ ცოდნას, რომელიც სამყაროში წარმოჩნდება, აქვს ეფექტი/შედეგი და ის ამ გაგებით ხდება „ჭეშმარიტი“. ფუკო წერს, რომ არ არსებობს ძალაუფლების გამოვლენა, შესაბამისი ცოდნის ფორმირების გარეშე და არ არსებობს ცოდნა, რომელიც თავის თავში არ მოიზრებს და არ ქმნის ძალაუფლებას (1977,27). ამასთანავე, ეს ძალა არ არის მხოლოდ ნეგატიური, ეს არის პროდუქტული ძალა, რომელიც ქმნის ცოდნას და დისკურსს. ძალა არის ქსელი, რომელიც მთელ სოციალურ სხეულში არსებობს (Foucault 1980,119).

ფუკოს *“The Archeology of Knowledge and the Discourse on Language”* - „ცოდნის არქეოლოგია და დისკურსი ენის შესახებ“ (1972), ისევე როგორც სოსიურის ლინგვისტური თეორია, არის მნიშვნელობის ჰოლიზმის გამოხატულება. ფუკოსთვის სისტემა არის *ეპისტემე* - ცოდნა და არა ენა, რომელიც აწესრიგებს ადამიანების მიერ სამყაროს აღქმას, მის ხედვას და საკუთარი თავის გამოხატვას. სოსიურისთვის კი ენა სისტემაა, რომლის ძირითადი ერთეული არის სიტყვა. ფუკოსთვის ეპისტემე არის დაუწერელი კოდი, რომელიც ადამიანის არსებობას აძლევს მნიშვნელობას, რომელიც დისკურსულად შექმნილ ნებისმიერ გამოვლინებას წინ უსწრებს (Foucault 1970: xxi). *ეპისტემე* რეალობაა, რომელიც სოციალურ სუბიექტებს სამყაროს მოწესრიგების უნარს აძლევს, რომლის ძირითადი ერთეული არის წინადადება და არა სიტყვა. წინადადებები არის მნიშვნელობის მქონე ერთეულები, რომლებიც ადამიანებმა შექმნეს. დრეიფუსის და რეინბოუს მიხედვით (1982,48), ცალკეული წინადადებები ვერ მოიცავს ყველაფერს, რისი თქმაც ადამიანებმა გარკვეულ საკითხთან მიმართებაში შეძლეს ისტორიული ეპოქის გარკვეულ პერიოდში. უფრო მნიშვნელოვანია სამეტყველო აქტები.

სად მოიაზრება ამ მსჯელობაში *სუბიექტი*? სოსიური რეპრეზენტაციის საკითხში სუბიექტის არსებობას არ აქცევდა ყურადღებას. მისი სქემა, სადაც სუბიექტი წარმოგვიდგება, როგორც ინდივიდუალური სამეტყველო აქტების ავტორი, არ იძლევა ენის მეცნიერული ანალიზის შესაძლებლობას. ფუკო ამ აზრს იზიარებს, თუმცა ამბობს რომ ცოდნას ქმნის არა სუბიექტი, არამედ დისკურსი. სუბიექტი ქმნის ტექსტების გარკვეულ ოდენობას და სიმრავლე ამ ტექსტებისა ფუნქციონირებს ეპისტემის საზღვრებში, დისკურსულ ფორმირებაში, ჭეშმარიტების რეჟიმში და ისტორიული ეპოქის გარკვეულ მომენტში. რა თქმა უნდა, სუბიექტი დისკურსის წიაღშია, რომელიც არის იმ ცოდნის მატარებელი, რომელიც დისკურსმა შექმნა. სუბიექტი ასოცირდება სუბიექტურ პოზიციასთან, რომლითაც ის ახდენს ზეგავლენას მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, როდესაც ის ამ პოზიციას გააცნობიერებს. ეს პოზიცია დისკურსის მეშვეობით იქმნება; მაშასადამე, სუბიექტიც დისკურსის ფუნქციონირების წარმონაქმნია.

სოსიურის ლინგვისტურმა სტრუქტურალიზმმა გავლენა მოახდინა ფუკოზე (Miller 1993,133). სოსიურის თეორია იყო ქვაკუთხედი, რომელზე დაყრდნობითაც

ფუკომ ენისა და დისკურსის სრულიად ახლებური ხედვა მოგვცა. სოსიურის ლინგვისტური თეორია არის მნიშვნელობის ჰოლიზმის გამოხატულება, რომლის მიხედვითაც ენის შესწავლა უნდა მოხდეს სისტემურად. თითოეული სიტყვა ენაში მნიშვნელობას იძენს ენის სხვა ელემენტებთან ურთიერთობაში. სიტყვას არ აქვს ლინგვისტური ღრეზულება ლინგვისტური სისტემის მიღმა. სახელდების თეორიის მიხედვით (რომელსაც ვიტგენშტაინმა უწოდა “ენის ავგუსტინური თეორია”), სიტყვა მნიშვნელობას იძენს იმ ფაქტის გამო, რომ ის რაღაცას აღნიშნავს (Saussure 1960,65). ამ თეორიის მიხედვით ფორმის პირდაპირი ურთიერთმიმართება საგანთან ან მოქმედებასთან, რომლებიც ლინგვისტური სისტემის გარეთაა, ქმნის მნიშვნელობას.

წინადადება შეიძლება იყოს წერილობითი ან ზეპირი. ფუკოსთვის კი წინადადება შეიძლება იყოს ნებისმიერი რეპრეზენტაციის ან ინფორმაციის ნებისმიერი ფორმა. ცხრილი, გრაფიკული ასახვა, დიაგრამა არის არავერბალური წინადადების მაგალითი. სოსიურისთვის ცალკეული სიტყვა მნიშვნელობას იძენს სხვა სიტყვასგან მისი განსხვავებულობის გამო, ფუკოსთვის კი არ არსებობს წინადადება, რომელიც სხვა მანამდე არსებულ წინადადებას არ გულისხმობდეს (Foucault 1989b,99). წინადადება მნიშვნელობას იძენს კონტექსტში, სადაც არსებობს სხვა წინადადებებიც. ამ წინადადებებს აზრი და მნიშვნელობა აქვთ მხოლოდ განსაზღვრულ ეპისტემეში, მაგრამ კარგავენ მნიშვნელობას, თუ მოვათავსებთ სხვა ეპისტემეში. როგორც სოსიურთან სიტყვები ერთმანეთთან ურთიერთმიმართებით იძენენ მნიშვნელობას, ასევე ფუკოსთან წინადადებები ერთმანეთთან ურთიერთმიმართებების გამო არსებობენ და ქმნიან უწყვეტ ნაკადებს (Fairclough 1989b,99).

თითოეულ წინადადებას ეპისტემეში აქვს სპეციფიკური მნიშვნელობა, რომელიც მხოლოდ ამ განსაზღვრული ეპისტემესთვის არის დამახასიათებელი. სიტყვებს, რომლებიც სხვადასხვა ლინგვისტურ სისტემებს მიეკუთვნება, განსხვავებული მნიშვნელობა აქვთ. შესაბამისად, წინადადებები, რომლებიც სხვადასხვა ეპისტემის წიაღში წარმოიქმნა, ხასიათდება უნიკალური იდენტობით, რომლის მსგავსი სხვა ეპისტემეში ვერ მოიძებნება (Foucault 1989 b,103).

ზემოთქმულიდან გამომდინარე შეიძლება ვთქვათ, რომ არ არსებობს აბსოლუტურად ექვივალენტური ეპისტემები, ისევე როგორც არ არსებობს ერთი ენიდან მეორე ენაზე აბსოლუტური სიზუსტით ნათარგმნი ტექსტი.

ეპისტემე არის თვითმყოფადი სისტემა, ამიტომ არ არსებობს პირდაპირი განვითარება ერთი ეპისტემედან მეორეზე. წინადადებების ნაკადი, რომელიც იქმნებოდა ლინგვისტიკაზე კლასიკურ პერიოდში, სრულიად განსხვავებულია წინადადებების ნაკადისგან, რომელიც სახეზე გვაქვს მოდერნულ ეპოქაში. სოსიურიც იგივეს ამბობდა, მხოლოდ სიტყვებთან მიმართებაში, რომ არ არსებობს სიტყვების აბსოლუტურად ზუსტი ექვივალენტები. თუ ენობრივი სისტემა ავტონომიურია და სიტყვის მნიშვნელობა სისტემურად იქმნება, შესაბამისად ერთი სისტემიდან მეორე სისტემაში გადატანისას სიტყვას/წინადადებას მნიშვნელობა ეცვლება. ერთი ეპისტემე მეორე ეპისტემეში კი არ გადადის, არამედ განიცდის ტრანსფორმაციას; ტრანსფორმირებული კი უკვე განსხვავებულია სრულიად. შესაბამისად, წარმოუდგენელია, რომ სხვადასხვა ეპისტემეში ერთი და იგივე წინადადება წარმოქმნილიყო, რადაგან სოციალურ სუბიექტებს ვერ ექნებოდათ „ჭეშმარიტების რეჟიმის“ წესებიდან გამომდინარე იდენტური წინადადების თქმის უფლება. დავუშვათ, რომ ეთქვათ კიდევ, ამ წინადადებებს სხვადასხვა მნიშვნელობა ექნებოდა. ეს ხდება იმის გამო, რომ (სოსიურის თეორიის მიხედვით) სიტყვები და (ფუკოს თეორიის მიხედვით) წინადადებები სისტემურად იქმნება.

სოსიურთან სიტყვა მნიშვნელობას არ იძენს სისტემის გარეთ არსებული საგნიდან, ფუკოსთან კი წინადადება მნიშვნელობას არ იძენს სუბიექტისგან; სუბიექტს შეუძლია თქვას რაც უნდა, მაგრამ ყველა წინადადება, რასაც იტყვის, არ იქნება მნიშვნელობის მქონე. წინადადება მაშინ იძენს მნიშვნელობას, როდესაც იგი ექვემდებარება სისტემის-ეპისტემის წესებს, ისევე როგორც სიტყვა, რომელიც მნიშვნელობას იძენს, როდესაც ის ენობრივი სისტემის წესებს ექვემდებარება (მაგ. განსხვავებულია სხვა სიტყვისგან). ფუკოსთვის კი არ არსებობს ჭეშმარიტება როგორც ასეთი; ჭეშმარიტება იქმნება დისკურსული ფორმირების წიაღში. დისკურსული ფორმირება კი, თავის მხრივ, მნიშვნელობას იძენს ეპისტემეში.

ჩვენი ნაშრომი დისკურსს განიხილავს, როგორც სოციალურ, პოლიტიკურ და კულტურულ ფორმირებებთან დაკავშირებულ ენობრივ აქტივობას, რომელიც

აირეკლავს სოციალურ წესრიგს და გარკვეულწილად ახდენს მის ფორმირებასაც (Jaworski & Coupland 1999:3). ტექსტები კი, როგორც დისკურსის სემიოტიკურად ფიქსირებული ელემენტები (ლებანიძე 2004), გვამღევეს იმის საშუალებას, რომ ენობრივი სტრუქტურების გაანალიზებით წინა პლანზე წამოვწიოთ სუბიექტის/დისკურსის მონაწილის მიერ საკუთარი თავის თუ რეალობის აღქმა გარკვეული კონტექსტის გათვალისწინებით.

1.4. იდენტობა და მისი როლი გენდერთან მიმართებაში

იდენტობა მომდინარეობს ლათინური სიტყვიდან *identitas* და ფრაზიდან „Idem et Idem“, რაც სიტყვასიტყვით ნიშნავს "იგივე და იგივეს", ანუ „ერთსა და იმავეს.“ ოქსფორდის ლექსიკონის მიხედვით იდენტობა ნიშნავს საგნების იგივეობას - საგანი A1 არის საგანი A 2-ის და არა საგანი B1-ის იდენტური. ანუ, იდენტობა შედარების ორ კრიტერიუმს მოიცავს: მსგავსებას და განსხვავებულობას (Jenkins 2014,13).

იდენტობას ჰუმანიტარული მეცნიერებები სხვადასხვა - ფილოსოფიურ (Noonan 2003; Perry 1975, 2008; Garret 1998), ფსიქოლოგიურ (Coate & Levin 2002), სოციალურ (Gumperz 1982; Tajfel 1978, 1981; Tajfel & Turner 1979;) და კულტურულ (Hall 1989) ჭრილში განიხილავენ. დე ფინას ფორმულირების მიხედვით იდენტობა ინდივიდის ან ჯგუფის კუთვნილებაა, რომელიც სოციალური ურთიერთქმედების შედეგად წარმოჩნდება, ის არსებობს ადამიანის გონშიც და სოციალურ ქმედებაშიც (de Fina 2011, 265).

იდენტობას საკუთარი თავის აღქმასთან აკავშირებენ, განსაკუთრებით ფსიქოლოგიაში, რასაც პერსონალურ იდენტობას ვუწოდებთ. იდენტობას აქვს სოციალური განზომილებაც (სოციალური იდენტობა), რომელიც ადამიანის გარკვეული სოციალური ჯგუფის წევრობით რეალიზდება (Tajfel 1972). პერსონალური იდენტობა წარმოაჩენს იმ გარემოებას, რომ თითოეული ადამიანი არის თვისებების განუმეორებელი კომბინაცია, რომელიც მას განასხვავებს სხვა ადამიანისგან, რომ მისი იდენტური სამყაროში არ არსებობს, რადგან ფსიქოსოციალური მახასიათებლები ხდის მას ერთადერთს (Deschamps & Devos 1998,3). ჰალი აღნიშნავს, რომ იდენტობა ინდივიდებსა და სოციალურ ჯგუფებს შორის განსხვავებების საფუძველზე იქმნება (Hall 1989, 4-5). ამასთანავე, თუ იდენტობა საკუთარი თავის სხვისგან განსხვავებულობის გამო იქმნება, იდენტობის პოლიტიკის ინტერესი სწორედ განსხვავებულობის შექმნაა (Benhabib 1996,3).

იდენტობის ბუნებაზე თუ ვისაუბრებთ, საგულისხმოა ის ფაქტი, რომ იგი არ არის სინგულარული; იდენტობა მრავალწახნაგია (Ivanic 1998,11), ადამიანი მუდმივად

აკეთებს არჩევანს საკუთარი თავის წარმოდგენის არსებული გზებიდან, ამიტომ იდენტობა უფრო პროცესია ვიდრე მდგომარეობა (Sunderland & Litosseliti 2007,2).

იდენტობა პერფორმატიულია. იდენტობის პერფორმატიული ბუნების წარმოჩენას საფუძველი გენდერული იდენტობის კვლევებმა ჩაუყარა. ამ მხრივ აღსანიშნავია ჯუდიტ ბატლერის ნაშრომი “Gender Troubles”(1990), სადაც იგი ამბობს, რომ გენდერული იდენტობა სოციალურად კონსტრუირებული დინამიკური და მოქნილი სტრუქტურაა. ბატლერი (1999, xiv) უღრმავდება გენდერის პერფორმატიულ ბუნებას და ხსნის, რომ პერფორმატიულობა ერთჯერადი აქტი კი არ არის, არამედ გამეორების რიტუალია, რომელიც ნატურალიზაციის გზით აღწევს მიზანს და ეს მიზანი კი არის იდენტობის ფორმირება (1990, 25).

სოციალური კონსტრუქციონიზმის მომხრე მეცნიერები თვლიან, რომ იდენტობა პროცესია, რომელიც ადამიანებს უყალიბებს საკუთარი თავის აღქმას, ასევე სხვების გარკვეულ იდენტობასთან ასოცირებას (Hall 2000). ე.ი იდენტობა ის კი არ არის, რაც შეიძლება რომ ადამიანს *ჰქონდეს* ან *იყოს*, არამედ არის ის, რასაც ადამიანი *აკეთებს* ან *ასრულებს*. თუ უფრო ჩავუღრმავდებით იდენტობის ბუნებას, იყო ქალი ან მამაკაცი, ან მიეკუთვნებოდე გარკვეულ სოციალურ ჯგუფს ნიშნავს, მუდმივად განიცდიდე იდენტობის კონსტრუირება-რეკონსტრუირებას. იდენტობის ცნების პერფორმატიულობასთან დაკავშირება გულისხმობს, რომ იდენტობა წარმოჩნდება გარკვეულ სოციალურ ვითარებაში და კომუნიკაციურ სიტუაციებში ვერბალური და სოციალური ქმედების საფუძველზე (de Fina 2011,266). მაშასადამე, იდენტობის კვლევა უკავშირდება იდენტობების კონსტრუირებას, რომელიც უნდა ჩავთვალოთ სოციალურ და დისკურსულ ქმედებად (Zimmerman & Wieder1970).

ბერგვალი (Bergvall 1996) სწავლობდა საინჟინრო ფაკულტეტის სტუდენტების გენდერული იდენტობების კონსტრუირებას და მათ ვერბალურ და სოციალურ გამოვლინებას. საინჟინრო ფაკულტეტი ითვლებოდა ძირითადად მასკულინური ტიპის სასწავლო გარემოდ. ბერგვალი ამბობს, რომ ასეთ გარემოში გოგონებს უწევთ დიდი გამოწვევების წინაშე ყოფნა. ერთის მხრივ, ისინი ინარჩუნებენ სტერეოტიპულ ფემინურ სახეს; მეორეს მხრივ, წარმატების მიღწევის მიზნით, მათ უწევთ დამაჯერებელი, კონკურენტუნარიანი ვერბალური თუ არავერბალური ქმედებების

გამოვლინება, რაც მასკულინური ნიშანია. სახეზე გვაქვს ახალი ფემინური იდენტობების კონსტრუირება, რაც ახალი გენდერული როლების შეთვისებით და გამოვლენით იქმნება (ibid. 1996,175). ახალი გენდერული იდენტობები სტუდენტებს ჩამოუყალიბდათ მასკულინური და ფემინური როლების ურთიერთქმედების საპასუხოდ.

ასე რომ, გენდერული იდენტობა პერფორმატიულობით ხასიათდება; ეს შეიძლება იყოს ლინგვისტური ან არალინგვისტური (Barret, 1999; Rowe, 2000). პერფორმატიულობის საშუალებით ადამიანების კომუნიკაცია შეიძლება განვიხილოთ, როგორც რიტუალური პროცესი, რომელიც კომუნიკაციის მონაწილეებს აძლევს იმის უნარს, რომ შექმნას და წარმოაჩინოს იდენტობის სასურველი ვერსიები გარკვეული ქმედებების თანმიმდევრობით, რომელიც გამიზნულია გარკვეული აუდიტორიისთვის.

იდენტობა და დისკურსი. რა ურთიერთმიმართებაა დისკურსსა და იდენტობას შორის? როგორც კამერონი აღნიშნავს, ჩვენს მიერ ნათქვამი სიტყვები ყოველთვის ატარებს ინფორმაციას ჩვენს შესახებ; როდესაც ვლაპარაკობთ, ჩვენ ყოველთვის ვუყვებით მსმენელს რაღაცას ჩვენს შესახებ (Cameron 2000, 170). ენა ფაქტობრივად მედიატორის როლს თამაშობს ინდივიდსა და კულტურულ ძალას შორის (Butler 1990,143-145). იგივე ითქმის წერილობით ტექსტზეც. უფრო ზუსტად „კომუნიკაციის დროს ხალხი წარმოადგენს სამყაროს არა აბსტრაქტულად, არამედ მათი სხვებთან სოციალური ურთიერთობების წარმოჩენის მიზნით” და ადამიანს „არ შეუძლია სემიოტიკურად მოახდინოს რეალობის პრეზენტაცია/კონსტრუირება, საკუთარი თავის იდენტიფიკაციის და სხვებთან მიმართების დადგენის გარეშე” (Chouliaraki & Sunderland 1999, 41-50).

ის, თუ როგორ ვესაუბრებით ადამიანებს და ვსაუბრობთ მათზე, გარდაქმნის ინდივიდებს დისკურსის შემადგენელ სუბიექტებად; დისკურსები კი, თავის მხრივ, ქმნიან ჩვენს სუბიექტურობას (Jaworski & Coupland 1999,412–413). დისკურსი შეიძლება განვიხილოთ, როგორც საკუთარი და სხვების იდენტობის მედიატორი (Litosseliti and Sunderland 2002, 23). იდენტობა კი დისკურსში იქმნება და ადამიანები მუდმივად იქმნებიან ნარაციაში და ნარაციით (Brah 1996,10).

იდენტობის კონსტრუირების ხვადასხვა ლინგვისტური გზა არსებობს: პირდაპირი, ექსპლიციტური გზა, როდესაც ადამიანი საკუთარ თავს უწოდებს „თამამ მოქალაქეს“, „თავდადებულ მამულიშვილს“ ა.შ. და არაპირდაპირი, იმპლიციტური გზა, როდესაც იდენტობა აზრობრივი ასოციაციებით -კოგნიტური მოდელებით იქმნება (de Fina 2011, 269).

თანამედროვე ფემინიზმისთვის კრიტიკულია ის აზრი, რომ იდენტობა არის ფრაგმენტირებული, მრავალმხრივი და არა ცალსახა. დონა ჰარაუეი წერს: „იდენტობები ურთიერთსაპირისპირო, უსასრულო და სტრატეგიულია“ (Haraway 1991, 155). მისი ფორმულირების მიხედვით სუბიექტს მრავალი როლი და პოზიცია აქვს, ის არასოდეს არის ფოკუსირებული მხოლოდ ერთ როლზე და პოზიციაზე. ზოგჯერ ეს პოზიციები შეიძლება ერთმანეთის საწინააღმდეგოც კი იყოს და ის სუბიექტური პოზიცია, რომელსაც სუბიექტი წარმოაჩენს გარკვეულ მომენტში, გარკვეულ კონტექსტთან მიმართებით, არის სტრატეგიული.

ჩულიარაკი და ფეარკლაფი აღნიშნავენ, რომ ადამიანები იდენტობებს ქმნიან ტექსტების ინტერპრეტაციის სხვადასხვაგვარი გზებით და უფრო მეტიც, ამ ტექსტების საკუთარ ქმედებებში ჩართვით (1999,14). ეს იმას ნიშნავს, რომ ადამიანს არ ძალუძს ისაუბროს რაღაცაზე, რაც წაიკითხა ან გაიგო საკუთარი თავის რაღაცნაირად რეპრეზენტაციის და კონსტრუირების გარეშე; შესაბამისად, ასე ამყარებს იგი კავშირს მსმენელთან ან მკითხველთან. ტექსტის საშუალებით დისკურსში იქმნება იდენტობა და თვითონ ტექსტი ჩუმ მსმენელს ან მკითხველს გარდაქმნის აქტიურ რეციპიენტად.

გენდერული იდენტობა ყალიბდება ადამიანის სოციალიზაციით და ფსიქო-სექსუალური განვითარების შედეგად. სოციალიზაცია და სოციალური აღზრდა არის გენდერული იდენტობის ცენტრალური ელემენტი. შედეგად, გენდერი არის იდენტობა, უფრო ზუსტად კი იდენტობათა დინამიკური ერთობლიობა, რომელიც არასოდეს სრულდება, ის მუდმივად იცვლება, განიცდის ტრანსფორმაციას (Jaworski & Couplan 1999,412-413). შესაბამისად, არსებობს ფემინურობისა და მასკულინობის სხვადასხვა გამოვლინება. ჯონსონი გენდერულ იდენტობებს (მასკულინობის და ფემინურობის გამოვლინებებს) ახასიათებს, როგორც „მუდმივ სოციალურ

პროცესებს, რომელიც სისტემატიურად განიცდის გადახალისებას”, რომელსაც იგი უწოდებს „იდენტობის საქმის შესრულება” (“doing identity work”) (1997:22).

მასკულინობის მრავალმხრივი ბუნების შესწავლამ ენასთან მიმართებაში აჩვენა, რომ მასკულინობის, როგორც იდენტობის საზღვრები უფრო რიგიდულია, ვიდრე ფემინურობის (Sunderland 1995, 1998; Chodorov 1978), რადგან დასავლური სამყაროს ანტისექსისტური დისკურსები ქალის იდენტობის/ ფემინურობის მრავალსახეობის წარმომობას უწყობს ხელს. სახეზეა ‘მასკულინობის კრიზისი’, რადგან ეს გენდერული იდენტობა შედარებით ნაკლებად ინტენსიურ სახეს იღებს (Litosseliti 2001).

გენდერი და სუბიექტურობა. იდენტობასა და სუბიექტურობას შორის განსხვავება ბუნდოვანია. ეს კონცეპტები გენდერთან მიმართებაში ერთმანეთს ანაცვლებენ. იდენტობა მოდის მოდერნული დისკურსიდან, მაშინ როდესაც სუბიექტურობა პოსტმოდერნული და პოსტსტრუქტურალისტური დისკურსის წიაღში წარმოიშვა, რომლის ინტერესის საგანია სუბიექტის კონსტრუირება. ესტელა სერეტი წერს: „იდენტობა სუბიექტურობის კონსტრუირების შედეგია”(1992,150).

ლუი ალთუსერის მიხედვით, ფემინურობა და მასკულინობა არის იდეოლოგიები (Althusser1971), რომ ჩვენ ყველა ვართ იდეოლოგიის სისტემის ნაწილი. ინდივიდი არ არსებობს იდეოლოგიის გარეთ; სწორედ იდეოლოგიასთან ურთიერთქმედებით იზადება სუბიექტი. მიშელ ფუკოს მიხედვით კი, სუბიექტი იქმნება ჩვენი არსებობის სხვადასხვა დისკურსის ურთიერთქმედების შედეგად.

ყველა თეორია, რომელიც სუბიექტს ეხება, არ არის ბუნებრივი წარმონაქმნი, იგი რეგულირდება სოციალური წესებით და ინსტიტუციებით. ტერეზა დე ლორეტმა, (ფემინისტი კინო კრიტიკოსი) ალთუსერის და ფუკოს ნაშრომებზე დაყრდნობით წარმოადგინა „გენდერის ტექნოლოგია“ (1987). მან წარმოადგინა ოთხი მნიშვნელოვანი ასპექტი. 1.გენდერი არის რეპრეზენტაცია; 2. ის სემიოტიკურია. 3. იგი მოქმედებს დისკურსის, ნიშნების და იმიჯების ურთიერთქმედების საშუალებით. 4. გენდერი არ არის ის, რაც შეიძლება არსებობდეს ადამიანის სხეულში. ლორეტი ხედავს გენდერს (ეფექტების ერთობლიობას), რომელიც

წარმოჩნდება 'სახელმწიფო იდეოლოგიურ აპარატში' (ალთუსერი), როგორცაა მედია, სკოლა, სასამართლო, ოჯახი და ა.შ.

უფრო მეტიც, ლორეტის თეორიის მოხედვით, გენდერი არის: „საკუთარი თავის რეპრეზენტაციის პროცესიც და პროდუქტიც”(1987,9). ეს ის არის, რასაც ალთუსერიც ამბობდა, რომ არავინ არსებობს იდეოლოგიის გარეთ.

ემილ ბენვენისტის (1971) მიხედვით, ადამიანი ენის საშუალებით ქმნის საკუთარ თავს, როგორც სუბიექტს. იგი ამბობს, რომ სუბიექტურობას მხოლოდ მაშინ აქვს ადგილი, როდესაც ვამბობთ 'მე' და სწორედ ამ სიტყვით ვქმნით საკუთარ თავს იმ ენის საშუალებით, რომელზედაც ვსაუბრობთ.

მეოცე საუკუნეში, ენის კვლევა სუბიექტურობის, ისტორიის და სოციალური ფუნქციონირების თვლსაზრისით ცენტრალური გახდა. ფროიდმა დეტალურად შეისწავლა თავისი პაციენტების 'ენობრივი აქტიურობა', რომ შეეცნო ქვეცნობიერი. ფსიქოანალიტიკოსმა ჟაკ ლაკანმა (1977) ლინგვისტურ ჭრილში განიხილა ფროიდის თეორია და აღნიშნა, რომ ქვეცნობიერს ენის მსგავსი სტრუქტურა აქვს, რომ ქვეცნობიერიც სოციალური წყობის ნიშანთა დომინანტური სისტემით განისაზღვრება. მას ლაკანმა 'სიმბოლოკა' უწოდა (1977). ოიდიპოსის სინდრომის (1977) ლაკანისეული ვერსიით, ბავშვი დედის მიმართ გრძნობას აკონტროლებს ენის (შეთვისების) საშუალებით.

ასე რომ, ლაკანისთვის ენა აყალიბებს არამარტო ჩვენს ცნობიერ სოციალურ ყოფას, არამედ ჩვენს არაცნობიერსაც. ადამიანი, როგორც სოციალური სუბიექტი, მუდმივად ხვდება სხვადასხვა დისკურსულ პოზიციებში, სუბიექტის პოზიციებში, რომლის მიღმაც სუბიექტი არ არსებობს. უფრო მეტიც, დისკურსის სუბიექტის პოზიციები შეიძლება იცვლებოდეს ადამიანის სიცოცხლის განმავლობაში ან თუნდაც ერთ დღეში (Talbot 1998, 156-157).

დისკურსი და იდეოლოგია. იდეოლოგია, როგორც ფეარკლაფი, მალდერიგი და ვოდაკი განსაზღვრავენ (Fairclough, Mulderrig, Wodak 2011,371), არის საზოგადოების კონსტრუირების და რეპრეზენტაციის გარკვეული გზები, რომლებიც ქმნიან ძალაუფლების, დომინირების და ექსპლუატაციის არათანაბარ ურთიერთმიმართებებს. იდეოლოგიის დამსახურებაა ის, რომ საზოგადოებაში

არსებობს რწმენის და ღირებულებათა სისტემები, რომლებიც გავლენას ახდენენ არა მარტო ადამიანების სოციალურ ქმედებებსა და დისკურსზე, არამედ აკონტროლებენ მათ (van Dijk 2011,380). ტრადიციულად, იდეოლოგია არის გარკვეული საზოგადოებისთვის მიღებული მრწამსი, რომელიც წარმოადგენს ადამიანების მიერ საკუთარი თავის ხედვას და რომელიც ასევე მოიცავს ძალის და ინტერესების ურთიერთებას სხვა ჯგუფებთან (ibid.: 382, 388). აღნიშნული მრწამსი ნატურალურ და ლოგიკურ სახეს იღებს და ადამიანები იღებენ მას როგორც ურყევ, ლოგიკურ ნაკადს, რომელიც ადამიანების არსებობას წარმართავს (Jones & Peccei 2004,38).

იდეოლოგია, ფეარკლაფის (1992) აზრით, ცვალებადია; იგი დისკურსის მეშვეობით აწესებს ნორმებს, განიცდის ნატურალიზაციის, მაგრამ დისკურსის საშუალებითვე განიცდის დენატურალიზაციას, რაც უწყვეტი პროცესია და ერთი შეხედვით ყოველდღიური, უბრალო ტექსტიც კი გაჟღენთილია იდეოლოგიით (Kress 1993,174).

ტექსტების იდეოლოგიური დატვირთვა გარკვეულ როლს თამაშობს დისკურსის ფუნქციონირებაში; როგორც ჩანს, იდეოლოგიები არის წესების მთელი სისტემა, რომლითაც სოციალური აქტორები „თამაშობენ“.

იდეოლოგია ტექსტში ტიპურად იმპლიციტურია, ის მნიშვნელობათა სისტემას ქმნის, რომელიც ტექსტის ინტერპრეტაციით მიიღწევა; ტექსტი კი მრავალმხრივი ინტერპრეტაციის წყარო შეიძლება გახდეს (Fairclough 1995a, 71). აქედან გამომდინარე, ტექსტის გაფილტვრა იდეოლოგიისგან შეუძლებელია, რადგან იდეოლოგია 'ჩაქსოვილია' ტექსტში და უფრო მეტიც, იდეოლოგია უკავშირდება არა მარტო სოციალური რეალობის რეპრეზენტაციას, არამედ იდენტობების კონსტრუირებასაც (van Dijk 2011, 372). ადამიანები იდეოლოგიების ზეგავლენით ქმნიან იდენტობებს ემორჩილებიან რა მათ, მაგრამ ამავე დროს იდეოლოგიები თავად განიცდიან გარდაქმნას ინდივიდების ან ინდივიდთა ჯგუფების მიერ.

წინამდებარე კვლევა იდენტობის კონსტრუირების იმპლიციტურ გზებს განიხილავს, როდესაც აზრობრივი ასოციაციები-კოგნიტური მეტაფორის მოდელები და სოციალური აქტორების რეპრეზენტაციის საშუალებანი გენდერთან მიმართებაში წარმოაჩენენ სტერეოტიპულ იდენტობებს ომის დისკურსში. იდენტობას კი, პოსტმოდერნული შეხედულებით, სუბიექტის პოზიციები ქმნის (Haraway 1991,

155) და ის პოზიცია, რომელსაც სუბიექტი აფიქსირებს გარკვეულ მომენტში, გარკვეულ კონტექსტთან მიმართებით, არის სტრატეგიული და, სავარაუდოდ, გენდერული იდეოლოგიის ფარული ზემოქმედების შედეგია, რომელსაც საზოგადოებაში ნატურალიზებული სახე აქვს (Goldstein 2001).

თავი 2. უახლესი თეორიული და მეთოდოლოგიური ტენდენციები

2.1. კრიტიკული დისკურს-ანალიზი და გენდერი

კვლევის ინტერდისციპლინური ხასიათიდან გამომდინარე ჩვენ წინა თავში განვიხილეთ მნიშვნელოვანი კონცეპტები, რომლებიც დისკურსს, გენდერს და იდენტობას შეეხებოდა. თეორიული ღერძი, რომელიც კონცეპტუალურ მეტაფორებს და სოციალურ აქტორებს გენდერთან მიმართებაში განიხილავს არის **დისკურსის კრიტიკული ანალიზი (დკა)** ან შეიძლება ასეც ვუწოდოთ - **კრიტიკული დისკურს-ანალიზი (კდა)**, რომელშიც ჩართულია კონცეპტუალური მეტაფორის და სოციალური აქტორების რეპრეზენტაციის თეორიები. **კდა** მიმართულია დისკურსში გარკვეული სოციალური უთანასწორობის იდენტიფიცირებისა და გაანალიზებისთვის, რომელიც, თავის მხრივ, დისკურსის დაბალანსებას განაპირობებს.

კრიტიკული დისკურს-ანალიზი, როგორც კრიტიკული სოციოლინგვისტიკის თეორიის და მეთოდის განვითარება მრავალ სოციოლინგვისტთან ასოცირდება (Fairclough 1989, Fairclough & Chouliaraki 1999, van Dijk 1993a, 1993b, Wodak 1989, 1999, 2003), რომელთა მიხედვითაც კრიტიკული დისკურს-ანალიზის შესწავლის საგანია: „იდეოლოგიის - მრწამსის და ღირებულებათა სისტემის- პროდუცირება, რომელსაც საზოგადოება 'სად აზრად' მიიჩნევს" (Bucholtz 2003, 57). **კდა** წარმოადგენს სოციალური პროცესების ლინგვისტურ და სემიოტიკურ ანალიზს, რომელიც განიხილავს, თუ როგორ ქმნის ენა სოციალური პროცესების მნიშვნელობას (Fairclough, Mulderrig & Wodak 2011,368; Litosseliti 2002,130; Talbot 1998, 149-150).

კრიტიკული დისკურს-ანალიზი ენის დენატურალიზაციას ახდენს. ის ასევე არკვევს ენის როლს დისკურსში ძალების დაუბალანსებელი ურთიერთმიმართებების გამოვლენაში; შედეგად კი ვიღებთ სოციალურ ცვლილებას (Fairclough 1989; Mumby & Claire 1997; Oktar 2001). ვოდაკი დეტალურად აღწერს, რომ დისკურსის კრიტიკული ანალიზი დისკურსს განიხილავს, როგორც სოციალურ ქმედებას, რომელიც მიუთითებს დიალექტიკურ ურთიერთმიმართებაზე გარკვეულ დისკურსულ მოვლენასა და სიტუაციას, ინსტიტუციასა და სოციალურ

სტრუქტურას შორის, რომელიც მათ ქმნის. ამიტომ დისკურსის შექმნას სოციალური საფუძველი აქვს - ის ქმნის სიტუაციებს, ცოდნის ობიექტებს, სოციალურ იდენტობებს და ადამიანებს შორის ურთიერთობებს. დისკურსი განაპირობებს სოციალური სტატუს-კვოს შექმნას და შენარჩუნებას, აგრეთვე მის ცვლილებას (Wodak1996, 17).

დისკურსის კრიტიკული ანალიზი საფუძველს იღებს სისტემურ-ფუნქციონალური გრამატიკიდან (Sunderland and Litosseliti 2001,19), რომელსაც ზოგიერთი ლინგვისტი სოციალური საკითხების უკეთ გასაანალიზებლად მიმართავს (van Dijk 1993 b, 280), ზოგი კი დკა-ს მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით სწავლობს დისკურსის როლს დომინირებისა და უთანასწორობის გამოვლინებებში (2001,123). ამ მხრივ, ენას გადამწყვეტი როლი ენიჭება, რადგან ენობრივი საშუალებები გავლენას ახდენს, შეიძლება ითქვას, აყალიბებს ადამიანების აზროვნების მოდელებს (Johnstone 2002,45), რომლებიც შემდგომში ასახვას დისკურსში პოვებენ. როგორც ვხედავთ, მრავალფეროვანია კდა-ს გამოყენების არეალი.

ჩულიარაკი და ფეარკლაფი (1999,67) ყურადღების ცენტრში ტექსტთან ერთად კონტექსტსაც განიხილავენ, რადგან მის გარეშე არ არსებობს ჟანრი, სოციალური სიტუაცია, მიმართებები მონაწილეებს შორის, კულტურასთან ასოცირებული ვარაუდები და ფასეულობები (Sunderland & Litosseliti 2002,15). სიტყვის სოციალური, კულტურული თუ პოლიტიკური კონტექსტის გააზრება, მისი გაგებისა და ინტერპრეტაციის მნიშვნელოვანი პროცესია. ამიტომ სიტყვის არსი გარკვეულ კონტექსტში რომ გავიგოთ, უნდა შევისწავლოთ სიტყვა მისი იდეოლოგიური ელფერით იმ დისკურსში, სადაც ის იყო გამოყენებული.

კონტექსტის მნიშვნელობაზე საუბრობს ჯონსტონი (Johnstone 2002, 9) და წარმოადგენს ექვს ასპექტს, რომლითაც დისკურსი ქმნის კონტექსტს და ამასთანავე იქმნება კონტექსტით:

დისკურსს ქმნის სამყარო და დისკურსი ქმნის სამყაროს;

დისკურსს ქმნის ენა და დისკურსი ქმნის ენას;

დისკურსს ქმნიან დისკურსის მონაწილეები და დისკურსი ქმნის მონაწილეებს;

დისკურსს ქმნის მანამდე არსებული დისკურსი და არსებული დისკურსი განაპირობებს მომავალი დისკურსის შექმნის ალბათობას;

დისკურსს განაპირობებს მისი გამოხატვის გზა და დისკურსი განაპირობებს მისი გამოხატვის გზების შექმნის ალბათობას.

დისკურსს აყალიბებს მიზნები და დისკურსი აყალიბებს შესაძლო მიზნებს;

დისკურსის კრიტიკული ანალიზის ძირითადი პრინციპები კი შემდეგია (Fairclough & Wodak 1997, 271-281; Wodak 1996, 17-20):

(1) კდა იხილავს სოციალურ პრობლემებს; მისი ინტერესის სფეროა სოციალური პრობლემის ენობრივი განზომილების კვლევა;

(2) ძალის ურთიერთმიმართებები (ძალის გამოვლენა, შენარჩუნება და დომინირება) დისკურსულია ;

(3) დისკურსი იდეოლოგიურ საქმეს ასრულებს-იდეოლოგია ვოდაკის მიხედვით არის „საზოგადოების წარმოდგენის და კონსტრუირების საშუალება, რომელიც ქმნის ძალის არათანაბარ ურთიერთმიმართებებს” (ibid.)


(4) დისკურსი ისტორიულია - დისკურსი არ არსებობს დამოუკიდებლად კონტექსტის გარეშე;

(5) დისკურსი სოციალური ქმედების გამოვლინებაა, რომელიც დისკურსული პრაქტიკის მეშვეობით ქმნის და წარმოადგენს უთანასწორობას.

დისკურსის კვლევის საშუალებით შესაძლებელია ენისა და გენდერის ურთიერთმიმართების დადგენა, იმ რთული გზების გამოვლენა, რომლითაც გენდერული იდენტობები იქმნება, წარმოჩნდება და კონკურენტუნარიანი ხდება ენის საშუალებით. დისკურსის და გენდერის საკითხები მნიშვნელოვანია სოციოლინგვისტიკისთვის, ენისა და მედიის, ენისა და საზოგადოების კვლევებისთვის. დისკურსის კრიტიკული გაანალიზება ახალი სოციალური წესრიგის ჩამოყალიბების წინაპირობაა (Jaworski & Coupland 1999,38).

ტექსტის ანალიზი მოიცავს ლექსიკის, გრამატიკის, კოჰეზიის და ტექსტის სტრუქტურის კვლევას. დისკურსული ქმედება მოიცავს ტექსტის შექმნას, გავრცელებას და აღქმას (ტექსტის შექმნა და აღქმა შესაძლებელია იყოს ინდივიდუალური და კოლექტიური).

ნორმან ფერკლავის დისკურსის ანალიზის დიაგრამა (1992,73)



ფეარკლაფმა (1995, 33-34) შეიმუშავა რეგულაციები მედია-დისკურსის ანალიზისთვის:

1. როგორ არის წარმოდგენილი დისკურსში საზოგადოებასა და კულტურაში მომხდარი ცვლილებები.
2. ტექსტის დეტალური ანალიზი, რომელიც შეიძლება მოიცავდეს არამარტო ვერბალური, არამედ ვიზუალური და ბგერითი ეფექტების შესწავლას.
3. ტექსტის ანალიზთან ერთად უნდა მოხდეს ტექსტის შექმნის და ტექსტის მიღების/რეცეფციის ანალიზი.
4. ტექსტის და ქმედებების ანალიზი უნდა მოხდეს ფართო სოციალური და კულტურული კონტექსტის გათვალისწინებით.
5. ტექსტის ანალიზი უნდა შეიცავდეს დისკურსის ანალიზს.
6. ტექსტის ლინგვისტური ანალიზი უნდა მოხდეს მულტიფუნქციონალურად, და უნდა ემსახურობდეს იდენტობის კონსტრუირების შესწავლას. მულტი-ფუნქციურობა გულისხმობს ანალიზის განხორციელებას ჰალიდის მიერ შერჩეულ ფუნქციებზე-*იდეაციური, ინტერპერსონალური და ტექსტუალური*-დაყრდნობით, რომლებიც ფეარკლაფთან წარმოგვიდგება, როგორც რეპრეზენტაცია, იდენტობა და ურთიერთობები.
7. ტექსტის ლინგვისტური ანალიზი მოიცავს ტექსტის ანალიზს ფონეტიკურ, ლექსიკურ, გრამატიკულ ან მაკროსტრუქტურულ/სქემატურ დონეზე.
8. ტექსტებსა და საზოგადოება/კულტურას შორის ურთიერთკავშირი უნდა დავინახოთ დიალექტიკურად. ტექსტები სოციოკულტურული ქმნილებაა, მაგრამ ისინი ამასთანავე ქმნიან საზოგადოებას და კულტურას.

ფეარკლაფის დისკურსის ანალიზი ეფუძნება ჰალიდის ფუნქციონალურ ლინგვისტიკას (1978, 1985). ენის კვლევის ეს თეორიული მიდგომა ეყრდნობა იმ აზრს, რომ ენას აქვს სამი ფუნქცია: *იდეაციური* (ტექსტში წარმოდგენილია მოვლენები, მდგომარეობები და ა.შ), *ინტერპერსონალური* (ენა აკვავშირებს ერთმანეთთან მოსაუბრეს და მსმენელს, მწერალს და მკითხველს) და *ტექსტუალური* (ენა ტექსტების სახით რეალიზდება). ფეარკლაფის მიდგომაში კი გამოიყოფა სამი

ფოკუსი კომუნიკაციის ნებისმიერი გამოვლენის ანალიზისთვის: *ტექსტი, დისკურსული პრაქტიკა/ქმედება* (ტექსტის შექმნის და მკითხველის მიერ მისი აღქმის პროცესი) და *სოციო-კულტურული პრაქტიკა/ქმედება* (ის სოციალური და კულტურული სტრუქტურები, რომლებიც განაპირობებენ საკომუნიკაციო აქტს).

ფეარკლაფი რეპრეზენტაციების შესახებ ამბობს (1995,103-104), რომ მნიშვნელოვანია ვიკვლიოთ, როგორ არის წარმოდგენილი ტექსტში მოვლენები, სიტუაციები და ურთიერთობები. მედია ტექსტები და ზოგადად ტექსტი ვერ იქნება არალინგვისტური რეალობის აბსოლუტური ანარეკლი; ტექსტები ქმნიან რეალობის ვერსიებს და რეალობის თუ რამდენი ვერსია იქმნება, დამოკიდებულია იმ სუბიექტების სოციალურ პოზიციებზე, ინტერესებსა და მიზნებზე, ვინც ამ ტექსტებს ქმნის.

პოსტსტრუქტურალიზმის არსებითი ამოცანაა იდენტობების დისკურსული კონსტრუირების კვლევა. იდენტობები განისაზღვრება „სუბიექტური პოზიციების“ მრავალსახეობით, რომლებიც, თავის მხრივ, გარკვეულ კულტურაში იქმნება, გარკვეული დისკურსების ზემოქმედებით.

რა ურთიერთმიმართებაა დისკურსსა და სუბიექტს შორის პოსტსტრუქტურალისტური თეორიის მიხედვით?

ფუკოს ნაშრომები სუბიექტურობის შესახებ გულისხმობს იმას, რომ სუბიექტი არსებობს გარკვეულ დისკურსთან რეზისტენციის ან დაქვემდებარების გამო. პოსტმოდერნიზმის განვითარებას თან სდევდა, ან შეიძლება ითქვას, წინ უსწრებდა „ლინგვისტური გარდაქმნა“ („linguistic turn“), რაც იმას ნიშნავს, რომ სამყაროს აღქმა წარმოუდგენელია ენის გარეშე, რომელიც გვესმის, რომელზეც ვკითხულობთ და ვსაუბრობთ. ამგვარი შეხედულება მოდის ფერდინანდ დე სოსიურისგან (1983), რომლის მიხედვითაც ლინგვისტური ერთეული მნიშვნელობას იძენს სხვა ერთეულისგან განსხვავებულობის გამო.

თუ დისკურსს განვიხილავთ, როგორც სოციალურ ქმედებას, მაშინ უნდა დავინახოთ დიალექტიკური ურთიერთმიმართება გარკვეულ დისკურსულ მოვლენასა და სიტუაციას, ინსტიტუციასა და სოციალურ სტრუქტურას შორის. დისკურსული მოვლენა ყალიბდება სიტუაციებით და სოციალური სტრუქტურებით, მაგრამ ამასთანავე დისკურსული მოვლენა თავად ქმნის მათ. ანუ, დისკურსი ქმნის

სიტუაციებს, ცოდნის ობიექტებს და სოციალურ იდენტობებს, ასევე ურთიერთობებს ადამიანებს შორის. დისკურსი განამტკიცებს სოციალურ სტატუს-კვოს და ამასთანავე გარდაქმნის მას. რადგან დისკურსი სოციალური ქმედებაა, იგი უკავშირდება ძალის საკითხებს. დისკურსულ ქმედებებს შესაძლებელია ქონდეს იდეოლოგიური ეფექტები. ე.ი. აღნიშნული ქმედებები საზოგადოებაში ქმნის არათანაბარ ურთიერთმიმართებებს მაგ, ქალსა და მამაკაცს შორის.

მიშელ პეშო დისკურსული ფორმირებების იდეოლოგიურ გავლენაზე საუბრობს, რომელიც ადამიანებს აყალიბებს სოციალურ სუბიექტებად. მისი ძირითადი ფოკუსი იყო დისკურსული ფორმირებები და გრამატიკის როლი იდეოლოგიური ანალიზის დროს.

იდეოლოგიები (გენდერი) სოციალური კონსტრუქტია. იმის დასადგენად, თუ რა იდეოლოგიურ საქმეს ასრულებს დისკურსული მოვლენა, მარტო ტექსტების ანალიზი არ არის საკმარისი. მნიშვნელოვანია, იმის გააზრება, თუ როგორ იქმნება ტექსტები და რა სოციალური ეფექტები აქვთ მათ.

ფუკოს ნაშრომები პირდაპირ არ შეეხება გენდერის საკითხებს. ფემინისტური თეორიები კი ძირითადად აანალიზებენ ძალის მიმართებებს, რომლებსაც ქალები როგორც საზოგადოების წევრები ავლენენ და ამყარებენ. თანამედროვე თეორიები არ განიხილავს ქალებს, როგორც დაჩაგრულ ჯგუფს; ეს თეორიები ანალიზებს გზებს, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელია ქალთა ძალა წარმოჩინდეს ყოველდღიურობაში.

ნორმან ფარკლაფის მიხედვით, ფუკო მნიშვნელოვანია ლინგვისტიკისთვის, რადგან მისი ნაშრომები ხაზს უსვამს დისკურსის როლს სოციალური სუბიექტის კონსტრუირებისას (1992,3). მისი აზრით, ფუკოს ნაშრომი დისკურსის შესახებ ლინგვისტიკისთვის მნიშვნელოვანია ორი მთავარი შეხედულების გამო: 1. დისკურსის მაკონსტიტუირებელი ბუნება - დისკურსი ქმნის სოციალურ ობიექტებს და სუბიექტებს. 2. ინტერდისკურსულობის და ინტერტექსტუალობის უპირატესობა - ნებისმიერი დისკურსული ქმედება განისაზღვრება მისი სხვა ქმედებებთან ურთიერთმიმართებით (1992,55). ფარკლაფმა ფუკოს ნაშრომს შესძინა ლინგვისტური ანალიზის/კვლევის განხორციელების აუცილებლობა რეალურ ტექსტებზე და გარკვეულ კონტექსტზე დაყრდნობით. იგი ხაზს უსვამს სოციალური

ურთიერთობების და „საკუთარი თავის“ კონსტრუირებას გარკვეულ ტექსტებში. ამ მხრივ, ფუკოს მიდგომა კი შედარებით აბსტრაქტულია.

ყოველივე ზემოხსენებულის გათვალისწინებით, ტექსტზე ორიენტირებული დისკურსის ანალიზი (ტოდა) იძლევა იმის საშუალებას, რომ მოხდეს რეალურ ტექსტებზე დაყრდნობით სოციალური სუბიექტების კვლევა, რასაც ეფუძნება წინამდებარე ნაშრომი.

2.2. კონცეპტუალური მეტაფორის თეორია და დისკურსის კრიტიკული

ანალიზი

დისკურსის ანალიზში ჩვენ ჩავრთეთ კონცეპტუალური მეტაფორის თეორია, რადგან ის სამყაროსეული რეალობის იდეაციის (რეალობის კონცეპტუალიზაციის) ფუნქციას ასრულებს (Halliday 1978,117; Lakoff & Johnson 1980; Koller 2004). ტრადიციულად, მეტაფორა განიხილება, როგორც სტილისტური ხერხი ლიტერატურაში. უძველესი რომაული და ბერძნული რიტორიკის მიხედვით ზემოთ ხსენებული ტერმინი აღნიშნავდა მნიშვნელობის გადატანას ერთი სიტყვიდან მეორეზე, შემდგომში კი მნიშვნელობის გადატანას ერთი ობიექტიდან მეორეზე. მეტაფორა წარმოადგენს ურთიერთმიმართებას სიტყვის ძირითად და კონტექსტუალურ-ლოგიკურ მნიშვნელობას შორის, რაც ეფუძნება ორ შესაბამის კონცეპტს შორის თვისებების მსგავსებას ან შედარებას (Galperin 1981,17).

მეტაფორა შედარებისგან (similie) განსხვავდება ფუნქციონალური სიტყვების "like" "as" არქონის მიხედვით. მეტაფორაც და შედარებაც ერთ საგანს აკავშირებს მეორესთან. შედარება ზემოთ ხსენებული სიტყვების მეშვეობით, ხოლო მეტაფორა კი მათ გარეშე და შეიძლება განვიხილოთ, როგორც შექმუნული შედარება, რომელიც პირდაპირ ურთიერთმიმართებას ადგენს საგნებს შორის. შედარება შემთხვევაში A არის როგორც B ან B-ის მსგავსი. მეტაფორა კი ამბობს, რომ A არის B (ibid. 17).

1980 წელს ლაკოფმა და ჯონსონმა გამოაქვეყნეს უმნიშვნელოვანესი ნაშრომი მეტაფორების შესახებ, სადაც მეტაფორების წყებებია წარმოდგენილი, რომლებიც ადამიანის ფიქრის და კონცეპტუალური სისტემის სტრუქტურას აირეკლავენ. ამ ნაშრომმა სრულიად შეცვალა წარმოდგენა მეტაფორების დისკურსული ფუნქციის შესახებ და მეტაფორა კოგნიტური სოციოლინგვისტიკის მსჯელობის ობიექტი გახდა (Kristiansen & Dirven 2008). ერთ-ერთი ასეთი წყების მაგალითია (Lakoff & Johnson 1980, 46):

What he said left a *bad taste in my mouth*.

All this paper has in it are *raw facts, half-baked ideas, and warmed-over theories*.

There are too many facts for me *to digest* them all.

I just can't *swallow that claim*.

That argument *smells fishy*.

Let me *stew over that* for a while.

Now there's a theory you can really *sink your teeth into*.

We need to let that *idea percolate* for a while.

That's *food for thought*.

He's a *voracious reader*.

We don't need to *spoon-feed our students*.

He *devoured the book*.

Let's let that *idea simmer on the back burner* for a while.

This is the *meaty part of the paper*.

Let that *idea jell* for a while.

That *idea has been fermenting* for years.

დახრილი სიტყვები აღნიშნავენ არა საკვებს, არამედ უფრო აბსტრაქტულ იდეას. ე.ი. რაღაც აბსტრაქტული, რთული კონცეპტი წარმოდგენილია უფრო მარტივი ფიზიკური კონცეპტით, რომელიც საკვებს შეეხება. აქ მეტაფორა კოგნიტური ლინგვისტიკის თვალსაწიერიდან წარმოდგენილია, როგორც ადამიანის აზროვნების კონკრეტული დომენის (მაგ, საკვები) და აბსტრაქტული დომენის (მაგ. იდეა) გადაკვეთა. ყველა ზემოხსენებული მეტაფორა ერთიანდება კოგნიტურ შედარებაში: IDEAS ARE FOOD/ იდეები საკვებია. აზროვნების/ფიქრის ამ მოდელს, რომელიც საფუძვლად უდევს ზემოთ ხსენებულ ლინგვისტურ გამონათქვამებს, ეწოდება კონცეპტუალური მეტაფორა¹, ხოლო თავად გამონათქვამებს კი - ლინგვისტური მეტაფორა. ლაკოფის და ჯონსონის მტკიცებით, მეტაფორა ჩვეულებრივი ლინგვისტური მოვლენა კი არ არის, არამედ ის ადამიანის აზროვნების მეტაფორულ მოდელზე მიგვითითებს, რაც ნიშნავს იმას, რომ ადამიანის კონცეპტუალური სისტემა მეტაფორულად არის სტრუქტურირებული (ibid. 6).

ასე რომ, მეტაფორა უბრალო ტროპი არ არის, ის სამყაროს კონცეპტუალური ხედვის მოდელია. კონცეპტუალური მეტაფორები უნდა ვეძიოთ კონტექსტზე

¹კოგნიტური ლინგვისტიკის კონცეპტუალურ მეტაფორას კოგნიტურ მეტაფორასაც უწოდებენ, თეორიას კი კოგნიტურ თეორიას (Kovecses 2008,168).

დაფუძნებულ ტექსტებში, რადგან ბუნებრივი დისკურსი არის მდიდარი წყარო მეტაფორის ფუნქციის კვლევისთვის (van Dijk 1988,2).

ჩვენი ყოველდღიური ვერბალური აქტივობა ძირითადად მეტაფორულია (Reddy1989), ამიტომ კოგნიტური თვალსაზრისით მეტაფორა ძლიერი ინსტრუმენტია, რომელიც ახდენს ჩვენი გამოცდილებების ორგანიზებას, მათ ექსპრესიას, ასევე განსაზღვრავს/აყალიბებს ჩვენს ყოველდღიურ რეალობებს (Lakoff & Johnson 1980,19).

უფრო მეტიც, მეტაფორა დისკურსის მონაწილეებს შორის ამყარებს ურთიერთობას, რადგან ის ჩართულია კომუნიკაციურ გარემოში (Eubanks 2000,8), რის გამოც აღნიშნული ენობრივი ერთეული მნიშვნელოვან როლს თამაშობს რეალობის იდეაციური ფუნქციის შესრულებაში (Koller 2004 ,2).

ბუნებრივი დისკურსის სივრცეა მედია ენა და რადგან ის საზოგადოებაშია შეჭრილი, მისი განუყოფელი ნაწილი ხდება (Bell 1991,1). პრესა ცოდნის შექმნასა და მის ადაპტაციას ემსახურება; მეტაფორა კი, რომელიც მედია-დისკურსშია ჩართული, მნიშვნელოვან როლს ასრულებს ჩვენ მიერ მიმდინარე მოვლენების აღქმაში (Kennedy 2000,209).

მეტაფორას აქვს უნარი კონცეპტის გარკვეული ასპექტები გამოკვეთოს, გარკვეული- კი დამალოს (Lakoff & Johnson 1980,10). ამის გამო, ის არის ძლიერი, დამარწმუნებელი იარაღი, რომელსაც იდეოლოგიური დატვირთვა აქვს პრესაში (Charteris-Black 2004; Santa Ana 1999).

საგაზეთო ტექსტებში მეტაფორების იდენტიფიცირებისა და სისტემური ანალიზისთვის საჭიროა სოლიდური ბაზის შექმნა, რისთვისაც ორი მიდგომა არსებობს. პირველია *დაღმავალი* (“top-down”) მიდგომა: მკვლევარი იწყებს კონცეპტუალური მეტაფორით და შემდეგ მოიპოვებს ლინგვისტურ მეტაფორებს/გამოხატულებებს, რომლებიც ამ ჩარჩოში ჯდება (Chilton 1996; Koller 2004; Musolf 2004). მეორეა *აღმავალი* (“bottom-up”) მიდგომა (Pragglejaz 2007,3), სადაც პირველ ეტაპზე მკვლევარი ჯერ ლინგვისტურ მეტაფორებს მოიძიებს, შემდეგ კი მათ კლასიფიკაციას ახდენს კონცეპტუალური მეტაფორების მიხედვით, რასაც ეწოდება მეტაფორის ამოცნობის პროცედურა - *მაპ* (Metaphor Identification Procedure - MIP). ჩვენი კვლევის ის ნაწილი, რომელიც კონცეპტუალურ მეტაფორებს იხილავს

გენდერთან მიმართებაში მეტაფორების იდენტიფიცირების მეორე მიდგომას ეფუძნება. პროცედურა შემდეგ ეტაპებს მოიცავს (Pragglejaz 2007,3)²:

1. დისკურსის/ტექსტის სრული გაცნობა/წაკითხვა;
2. სამიზნე ლექსიკური ერთეულების განსაზღვრა/იდენტიფიცირება;
- 3ა. თითოეული ლექსიკური ერთეულისთვის კონტექსტუალური, ძირითადი მნიშვნელობის დადგენა;
- 3ბ. საჭიროა იმის დადგენა, მოცემული ლექსიკურ ერთეულს სხვა კონტექსტში გააჩნია ძირითადი მნიშვნელობა, თუ კონტექსტუალური მნიშვნელობა ახალი და განსხვავებულია ძირითადი მნიშვნელობისგან,
4. უნდა მოხდეს ლექსიკური ერთეულის ძირითადი და ახალი კონტექსტუალური მნიშვნელობების შედარება;
5. თუ კონტექსტუალური მნიშვნელობა ძირითადი მნიშვნელობისგან განსხვავდება, ის ახალ ელფერს იძენს და მეტაფორულია;

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კრიტიკული ლინგვისტიკა და დისკურსის კრიტიკული ანალიზი ეფუძნება ჰალიდის (1978, 89) ნაშრომს, რომლის მიხედვითაც ენა დიალექტიკურ მიმართებაშია საზოგადოებასთან: „სოციალური სტრუქტურა აკონტროლებს ენას და ენა კი თავის მხრივ ახდენს სოციალური სტრუქტურის შენარჩუნებას და გავრცელებას“. აქედან გამომდინარე, ტექსტი შეიძლება განვიხილოთ, როგორც ლინგვისტური სისტემის „აქტუალიზებული მნიშვნელობა“ (ibid. 109), რომელსაც სოციალური სტრუქტურების განმტკიცების ფუნქცია გააჩნია.

ამ კონტექსტში ენა ამჟღავნებს სამ მაკრო ფუნქციას: პირველია, მისი იდეაციური ფუნქცია - ენა ახდენს სოციო-კულტურული რეალობის რეპრეზენტაციას და კონსტრუირებას. მეორეა, ენის ინტერპერსონალური ფუნქცია- ენა ქმნის სოციალურ ურთიერთობებს და იდენტობებს. და ბოლოს, ენას აქვს ტექსტუალური ფუნქცია-ის ქმნის ტექსტებს და ურთიერთობებს ტექსტებსა და მათ ვერბალურ თუ არავერბალურ კონტექსტსა და კულტურას შორის (Halliday & Hasan 1985, 23).

² PRAGGLEJAZ წარმოადგენს აკრონიმს, რომელიც იმ ლინგვისტების გვარებისგან არის ნაწარმოები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს მეტაფორის ამოცნობის პროცედურის შემუშავებაში.

აღნიშნული სამი ლინგვისტური მაკრო ფუნქცია მოქმედებს ერთობლიობაში, რომელიც ენის ნებისმიერ გამოვლინებას მრავალფუნქციურს ხდის. შედეგად, ენის მეტაფორული გამოხატულებებიც სამივე ფუნქციას ასრულებს. მეტაფორას გააჩნია იდეოლოგიური ასპექტიც, რომელიც მის იდეაციურ და ინტერპერსონალურ ფუნქციებში აისახება (Goatly 1997, 148-67).

ლაკოფმა და ჯონსონმა (1980) მეტაფორა დისკურსის კრიტიკულ ანალიზში შემოიტანეს; რადგან მეტაფორები ჩვენი გამოცდილებებისა და შეხედულებების ანარეკლია, ადამიანები მათი საშუალებით ქმნიან სოციალურ რეალობებს და მათი სელექციური რეპრეზენტაცია განსაზღვრავს სწორედ მათსავე დამარწმუნებელ ძალას (ლაკოფი და ჯონსონი 1980, 156-157). კრესი (1989, 70) მეტაფორას განსაზღვრავს, როგორც „იდეოლოგიური ჭიდილის“ მიმანიშნებელ ფაქტორს და დასძენს, რომ დისკურსში მეტაფორულ აქტივობას ადგილი აქვს იქ სადაც წარმოჩნდება განსხვავებულობა და ძალისმიერი უთანასწორობა (ibid. 71).

ფეარკლაფი (1995, 74) თავის ნაშრომში დისკურსის კრიტიკული ანალიზის შესახებ წარმოგვიდგენს ლაკოფის და ჯონსონის დამოკიდებულებას დისკურსში მეტაფორის როლის შესახებ და ხაზს უსვამს მეტაფორის როლს სოციალური და პოლიტიკური რეალობის კონსტრუირებაში, რადგან ის იდეოლოგიურად არის დატვირთული (ibid. 159). აქიდან გამომდინარე, შემდეგ ქვეთავში განვიხილავთ კონცეპტუალურ მეტაფორებს, რომლებიც სპეციფიკურად დაკავშირებულია ომის დისკურსთან.

2.3. ომის კონცეპტუალური მეტაფორები ლინგვისტურ კვლევებში

მეტაფორა ძლიერი დისკურსული იარაღია, რომელსაც ძალუმს ტექსტს იმპლიციტურად იდეოლოგიური ელფერი შესძინოს. ლაკოფის (1992) კონცეპტუალურმა მეტაფორებმა ომის კონცეპტი ლინგვისტიკის მსჯელობის საგნად აქცია. ეს მეტაფორები ერთმანეთის საპირისპირო აზრს ავითარებენ: WAR IS POLITICS და WAR IS A VIOLENT CRIME. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ლაკოფმა ეს კონცეპტუალური მეტაფორები ლინგვისტური მეტაფორების მეპინგის შედეგად წარმოადგინა კიდევ ორ კონცეპტუალურ მეტაფორასთან ერთად: WAR IS A GAME და WAR IS MEDICINE. როგორც ვხედავთ, ომის ნეგატიური მნიშვნელობა მხოლოდ ერთ მეტაფორაში - WAR IS A VIOLENT CRIME - არის გადმოცემული, დანარჩენი სამი კი ომის დამანგრეველი შედეგისგან შორს დგას. შესაბამისად, იდეოლოგიურად მათ წამახალისებელი მნიშვნელობა გააჩნიათ და ერთგვარად ამართლებენ კიდევ ომს.


ანდერჰილის კვლევებმა გამოავლინა ახალი კონცეპტუალური მეტაფორა: WAR IS PROBLEM-SOLVING (Underhill 2003,135). აქ როგორც ვხედავთ, ომი წარმოდგენილია, როგორც პრობლემის გადაჭრის საშუალება და, შესაბამისად, მოგება არის გამოსავალი. მისი სხვა მეტაფორული წყვილია: WAR IS CRIME-FIGHTING და ERRADICATING TERRORISM IS WAR, რომელიც ამართლებს ომს (ერაყის შემთხვევაში).

ჩარტერის-ბლეკი (Charteris-Black 2004) ყველა ზემოხსენებულ ომთან დაკავშირებულ კონცეპტუალურ მეტაფორას შემდეგი კოგნიტური გასაღებით ხსნის: LIFE IS STRUGGLING FOR SURVIVAL და დასძენს, რომ ომის დომენი ხაზს უსვამს დისკურსის მონაწილეების ბრძოლას გარკვეული მიზნების მისაღწევად (ibid. 2004, 91). აღნიშნულ შემთხვევაში ეს მიზანი- გადარჩენაა.

მეტაფორა და ომის კონცეპტი ძირითადად მასკულინობასთან ასოცირდება (Fleischman 2001,485; Wilson 1992, 892). ომის დომენის შემცველი მეტაფორა გენდერულ მიკერძოებულობას ზრდის და ახდენს ფემინურობის მარგინალიზაციას (Koller 2004,5). ომის მეტაფორების გამოყენება აძლიერებს მასკულინობის შეგრძნებას და ,შესაბამისად, ამკვიდრებს მის ჰეგემონობას (Wilson 1992,898).

ომის კონცეპტუალური მეტაფორების (ანდერჰილი მას პროტომეტაფორას უწოდებს) საწყისი ომის კონცეპტია. ისევე, როგორც ნებისმიერი კონცეპტი ომის კონცეპტს ცვალებადია და დისკუსიის საგანია, უფრო ზუსტად „ომის“ კონცეპტი ცივი ომის შემდეგ მუდმივად განიცდის მუტაციას (Underhill 2004,141).

გაზეთში *The Economist* 2002 წლის სექტემბრიდან 2003 წლის მაისამდე გამოქვეყნებულ სტატიებში, რომლებიც ერაყის ომს შეეხებოდა, იდენტიფიცირებული იქნა შემდეგი ომის კონცეპტუალური მეტაფორები ლინგვისტურ მეტაფორებზე დაყრდნობით (პროტომეტაფორები) (ibid. 2004, 142)



მეტაფორების კვლევისათვის მნიშვნელოვანია **ლინგვისტური მეტაფორების** (კონცეპტუალური მეტაფორის ტექსტობრივი/ვერბალური გამოვლინებების) იდენტიფიცირება, რომლებიც მიუთითებენ კონცეპტუალურ მეტაფორებზე. აღსანიშნავია, რომ კოგნიტური სემანტიკისათვის რაღაცის **ცნება** ან **კონცეპტი** გონებაში განცალკევებული, დამოუკიდებელი სახით კი არ არსებობს, არამედ ის ასოცირდება ადამიანის კოჰერენტულად ორგანიზებული გამოცდილებების სქემასთან და ცოდნასთან, რასაც **კონცეპტუალური დომენი** ეწოდება (Langacker 1987, Lakoff 1987). კონცეპტუალური მეტაფორა შედგება **სამიზნე** და **წყარო დომენებისაგან** (“*target and source domains*”). მაგ. მეტაფორაში *War is a Film* ცნება *War* აიხსნება ცნებით *Film*. შესაბამისად, ყველა ის წარმოდგენა, უფრო მართებული იქნება, თუ

ვიტყვიტ გონებაში არსებული წარმოდგენათა ასოციაციური ქსელი - კონცეპტუალური დომენი, რაც უკავშირდება ცნებას *ფილმი: სცენარის დაწერა, მსახიობების ჩართვა, რეჟისორის დავალებების შესრულება, სცენარის მიხედვით მოქმედებების განხორციელება* გარკვეულწილად ახასიათებს ადამიანის გონებაში ომის ცნებასთან დაკავშირებულ ასოციაციურ ქსელს, ომის დომენს: *სტრატეგიების შემუშავება, სამხედრო თავდასხმის დაგეგმვა და განხორციელება, გენერლების მიერ განკარგულებების გაცემა*. მაშასადამე **ცნება** არის არსი, წარმოდგენა რაღაცის შესახებ, ხოლო **კონცეპტუალური დომენი** არის ადამიანის გონებაში ამ ცნებასთან ასოციირებული ლოგიკურად დალაგებული წარმოდგენები. **სამიზნე** და **წყარო დომენებს** შორის შესაბამისობის და მიმართებების დადგენას კონცეპტუალური მეტაფორის გამოვლენის მიზნით ეწოდება **დომენტაშორისი მეპინგი** (“cross-domain mapping”), რომელიც პირველად ლაკოფმა და ჯონსონმა ახსენეს ნაშრომში “Metaphors We Live By” (1980) და მის ასახსნელად შემოგვთავაზეს მნიემონიკური ფრაზები:

სამიზნე დომენი არის წყარო დომენი
 ან
სამიზნე დომენი, როგორც წყარო დომენი

მეპინგის გაკეთების დროს მნიშვნელოვანია იმის გააზრება, რომ თვითონ *მეპინგი* არის ონტოლოგიურ-ეპისტემური შესაბამისობის დადგენა დომენების ლექსიკურ ერთეულებს შორის, ხოლო *მეპინგის* შედეგი კი არის კონცეპტუალური მეტაფორა. ასეთი ურთიერთმიმართებების საშუალებით ერთი კონცეპტზე მსჯელობისას ვიყენებთ ცოდნას და გონებაში არსებული წარმოდგენების ქსელს, რომელიც გვჭირდება მეორე კონცეპტზე მსჯელობის დროს (Lakoff 1992, 5). აღნიშნული, რა თქმა უნდა, გვადლევს იმის თქმის საფუძველს, რომ კონცეპტუალური სისტემა მეტაფორულია, რომელიც ადამიანის აზროვნებას წარმართავს (ibid. 1992,6).

კონცეპტუალური მეტაფორის: WAR IS A GAME შემთხვევაში WAR არის „სამიზნე (კონცეპტუალური) დომენი“, ხოლო GAME არის „წყარო (კონცეპტუალური) დომენი“.

მაგალითისთვის განვიხილოთ ლინგვისტური მეტაფორა ანდერჰილის კვლევიდან: ‘From the first he (Rumsfeld) pushed for an all-out-war on terrorism rather than just a **surgical strike on Al Qaeda.**’ (Underhill 2004,143). ამ შემთხვევაში ჩვენი ყურადღების ცენტრშია ლინგვისტური მეტაფორა: “a **surgical strike on Al Qaeda.**”. მეტაფორული დატვირთვა გააჩნია ფრაზას “surgical strike”. გავანალიზოთ ლექსიკური ერთეული “strike” („სამხედრო იერიში“), რომელიც მნიშვნელობიდან გამომდინარე ომის სამიზნე დომენის ლექსიკურ ერთეულად შეიძლება მივიჩნიოთ, ხოლო ლექსიკური ერთეული “surgical”, მისი ძირითადი მნიშვნელობიდან გამომდინარე, მიეკუთვნება წყარო დომენს „ქირურგიული ოპერაცია“, რომლის საშუალებითაც უნდა ავხსნათ „სამხედრო იერიში“. ასე რომ, აღნიშნულ კონტექსტში სიტყვა “surgical” მეტაფორულ მნიშვნელობას იძენს, რადგან ის განსაზღვრავს *ალ ქაიდას* წინააღმდეგ მიმართულ საომარ მოქმედებას, რათა მოხდეს ამ ტერორისტული დაჯგუფების, როგორც დაზიანებული სხეულის ნაწილის მოკვეთა. თუ ლაკოფის და ჯონსონის მნემონიკურ ფრაზას გავიხსენებთ, მივიღებთ შემდეგ კონცეპტუალურ მეტაფორას: **ომი არის ქირურგიული ოპერაცია.**

მაშასადამე, ომის აღქმასაც მეტაფორულ-კონცეპტუალური საწყისი ან საფუძველი გააჩნია (Lakoff 1991), რომელიც ჰეგემონურ მასკულინობასთან და სპორტთან ასოცირდება (Jorgensen 1992). ომის პროცესი და გენდერი ერთმანეთთან კულტურულად და ისტორიულადაც არის დაკავშირებული, რადგან საომარი მოქმედებები ძირითადად ასოცირდება მეომრებთან, რომლებიც ძირითადად მამაკაცები არიან (Goldstein 2001). ომი განიხილება როგორც მასკულინური ქმედება, მასკულინობის გამოცდა (Wilson 1992) და სამხედრო სამსახურიც მასკულინური პატრიოტიზმის თუ მოვალეობის ნიშანია (Jorgensen 1992). მიუხედავად იმისა, რომ ომი საზოგადოების ნებისმიერი წევრის ცხოვრებაზე ახდენს გავლენას, ის მაინც გენდერიზებულია. გენდერიზაცია, კი გულისხმობს გენდერული დიქტომიის უფრო გაღრმავებას; კერძოდ, მამაკაცების დაწინაურებას და ქალების ფემინურობის გამოკვეთას, რაც მათ, ძირითადად, მხარდამჭერ როლში წარმოგვიდგენს (Wilson

1992). როლების ასეთი გადანაწილება კი ქალს გამორიცხავს კონფლიქტის გადაჭრის საკითხში რაიმე გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობიდან. ომის მნიშვნელოვანი მეტაფორაა მისი სპორტთან შედარება, რომელიც ხაზს უსვამს ომში მამაკაცების დომინანტურ როლს (Jorgensen 1992), რადგან ორივე პროცესის ძირითადი პრინციპი შეჯიბრობითობაზეა აგებული, მოგებული და დამარცხებული მხარით.

გენდერი ყველა კულტურაში მეტნაკლებად იჭრება და მედიაც გენდერული ჰეგემონიის „თამაშში“ ერთვება ომის დროს. “Men fight as avatars of a nation’s sanctioned violence. They are the life takers. Women work and weep and sometimes protest. They are life givers and collective ‘other’ to the male warrior” (Elstein 1987,4). აღნიშნული ციტატა ცხადყოფს გენდერული როლების და ჰეგემონიის გამოვლენას საომარი ვითარების დროს.

განვიხილოთ რა ომის დისკურსთან ასოცირებული კონცეპტუალური მეტაფორები, ბუნებრივია, შემდეგ ქვეთავში გვინდა ვისაუბროთ კონცეპტუალური მეტაფორების მნიშვნელოვან ფუნქციაზე-ფრეიმინგზე, რომელიც სამყაროს დისკურსული რეპრეზენტაციის კოგნიტურ მოდელს წარმოგვიდგენს.

2.4. ომის მეტაფორული ფრეიმინგი

მედია-დისკურსში მნიშვნელოვანი როლი აქვს „ფრეიმინგს“. „ფრეიმი“ არის დისკურსის ორგანიზების ცენტრალური იდეა, რომელიც მნიშვნელობას შესძენს, ხსნის მოვლენების განვითარებას (Gamson & Modigliani 1989,3). პირველად *ფრეიმინგის* თეორია განავითარა ირვინ გოფმანმა სოციოლოგიის კუთხით (1974), ლინგვისტური ნაშრომები კი ეკუთვნის ტროსბორგს (1995) და ფილმორს (1977). მეტაფორები, რა თქმა უნდა, სხვა ენობრივ საშუალებებთან ერთად, ახდენენ მოვლენების ფრეიმინგს, რომელიც სამყაროს აღქმის კოგნიტურ მოდელს გვთავაზობს (Lakoff 1993).

ნებისმიერი მოვლენა, რომელიც ადამიანის არსებობას უკავშირდება, შესაძლებელია, რომ მეტაფორების საშუალებით იქნას ახსნილი თუ გაგებული (Lakoff 1991). ომის შემთხვევაში მეტაფორები აფიქსირებენ მასკულინური ჰეგემონიის ნიშნებს მედია-დისკურსში (Wahl-Jorgensen 2000), რომელთა უმეტესობაც ასოცირებულია სპორტთან (Jorgensen 1992).

ომის სპორტთან ასოცირება, მაგალითად ფეხბურთთან, ახალი მოვლენა არ არის (O'Bar & Conely 1992). ფეხბურთის თამაში მოითხოვს რაციონალურ აზროვნებას, სტრატეგიის შემუშავებას და სხვა ტექნიკურ ცოდნასთან დაკავშირებულ ასპექტებს, რომლებიც ძირითადად სტერეოტიპულ მასკულინობას უკავშირდება. ამგვარი მეტაფორები ხაზს უსვამენ გუნდური მუშაობის პრინციპებს, მზადყოფნას იერიშისთვის, მაცურებლების არენას, მოგების დიდებას და დამარცხების სიმწარეს (Lakoff 1991). აღნიშნულის თვალსაჩინოდ გამოდგება სპარსეთის ყურის ომი, რომელიც მედიაში 'ომი, როგორც ფეხბურთი' კონცეპტუალური მეტაფორის სახით არის წარმოდგენილი. ამონარიდში გამუქებულია აღნიშნული კონცეპტუალური მეტაფორის ლინგვისტური/ტექსტობრივი გამოვლინებები (Lapham 1992, 258-259):

The Pentagon produced and directed the war...with a script that borrowed the elements of *“Monday Night Football.”* ...The synchronization with *the prime-time entertainment* was particularly *striking on Super Bowl Sunday*. ABC new intercut its *coverage of the game in progress* in Tampa with news of the bombing in progress in the middle east... The newscasters were indistinguishable from sportscasters, all of them drawing diagrams in chalk and talking in similar voices about *the flight of a forward pass or a flare of a Patriotic missile*

აღნიშნულ სპორტთან დაკავშირებულ მეტაფორებთან ერთად (“Monday Night Football”, “prime-time entertainment”, “striking on Super-Bowl Sunday”, “coverage of the game in progress”, “the flight of a forward pass or a flare of a Patriotic missile”) ამონარიდში ასევე იკვეთება „ომი, როგორც თეატრალური წარმოდგენა“ კონცეპტუალური მეტაფორა შემდეგი ლინგვისტური ვარიაციების სახით: “The Pentagon produced and directed the war”, “...with a script that borrowed the elements of “Monday Night Football”.

მეტაფორული ენა მნიშვნელოვანია (Lakoff 1993), რადგან ფეხბურთელების მსგავსად ჯარისკაცების მოქმედება მათი ზემდგომების (გენერალი, მწვრთნელი) განკარგულებებით რეგულირდება. აღნიშნული კი მამაკაცებს განიხილავს ორ ტერიტორიულ აქტივობაში: ფეხბურთი და საომარი მოქმედება. ფეხბურთის თამაში ძირითადად დაკავშირებულია ისეთ თვისებებთან, როგორცაა სიმამაცე, გამბედაობა, დისციპლინა, მოგების ძლიერი სურვილი და დომინირება (McBride 1995). ამიტომ გასაკვირი არ არის ალბათობა იმისა, რომ მამაკაცებმა უფრო ხშირად გამოიყენონ აღნიშნული კონცეპტუალური ფრეიმი, ვიდრე ქალებმა (O’Bar & Conely 1992).

ომის მეტაფორები ხშირად პატრიარქატს უსვამს ხაზს, ხდება რა საომარი მოქმედების, როგორც მტრისგან დამცველი ოპერაციის ფრეიმინგი. აღნიშნულ შემთხვევაში ქალები და ბავშვები საჭიროებენ მტრისგან დაცვას და, შესაბამისად, მტერი განიხილება, როგორც მკვლელი, რომელიც შეიძლება თავად მოკლან (“killable killers”) (Ruddick 1992), ქალები და ბავშვები კი - როგორც მსხვერპლი. რადგან, ომის დროს ქალები, ძირითადად, მამაკაცებისგან განსხვავებულ როლებში გვევლინებიან, ისინი სხვა ტიპის მეტაფორებსაც შემოიტანენ დისკურსში, რომლებიც მათ გამოცდილებებთან იქნება დაკავშირებული. მეტაფორების არჩევანი კი განპირობებულია ადამიანის პერსონალური ისტორიით, გამოცდილებებით და აღქმით (Deignan 1999; Cameron 1999). აღნიშნული კი დისკურსში სუბიექტს ქმნის, რაც პოსტმოდერნული მიდგომით იდენტობის კონსტრუირების წყაროა.

2.5. სოციალური აქტორების რეპრეზენტაცია

კრიტიკული სოციოლინგვისტიკის სფეროში მოიაზრება სოციალური აქტორების რეპრეზენტაცია, რომელსაც საფუძვლად უდევს სოციალური კონსტრუქტივიზმი, რაც მიუთითებს იმაზე, რომ სამყარო სოციალურად არის კონსტრუირებული (van Leeuwen 2008). სოციალური წესრიგი, რა არის მართებული/მისაღები და რა არის არასწორი, დროში და სივრცეში მუდმივად განიცდის ცვალებადობას. მნიშვნელობა იქმნება სხვადასხვა ადამიანებს და საგნებს შორის ურთიერთმიმართებების დამყარებით. მნიშვნელობა კი ცვალებადია სხვადასხვა კულტურის თუ სიტუაციის გათვალისწინებით. აღნიშნული ურთიერთმიმართებების დამყარება ენის საშუალებით ხდება, რაც იმას ნიშნავს, რომ საგანს თუ ხდომილებას მნიშვნელობას ენა აძლევს. ამასთანავე, უნდა აღვნიშნოთ ადამიანური ფაქტორი. სწორედ დისკურსის მონაწილენი თავიანთი ენობრივი და კონცეპტუალური სისტემების საშუალებით ქმნიან მნიშვნელობას (Hall 1997,25). ასე რომ, ენა არის ურთიერთობის და კომუნიკაციის ძირითადი საშუალება ადამიანებისთვის. ენა ფუნქციონირებს, როგორც რეპრეზენტაციული სისტემა ნიშნების და სიმბოლოების საშუალებით (Hall 1997,1).

რეპრეზენტაციის ცნება, განსაკუთრებით კი გენდერული რეპრეზენტაცია, მნიშვნელოვანია ჩვენი კვლევისთვის. ჰოლი (1997, 61) რეპრეზენტაციას იხილავს, როგორც პროცესს, რომლის მეშვეობითაც გარკვეული კულტურის წარმომადგენლები გამოიყენებენ განსხვავებულ აღმნიშვნელ სისტემებს მნიშვნელობის შესაქმნელად; განსხვავებული სისტემები კი განსხვავებულ მნიშვნელობებს ქმნიან. ამიტომ მნიშვნელობა არ არის ფიქსირებული, ის მუდმივად ცვალებადია დროსა და სივრცეში. ჩვენს კვლევაში აქცენტს ვაკეთებთ სოციალურ აქტორებზე, რომლებიც გარკვეული დისკურსული სიტუაციის გამო (კონფლიქტური, საომარი მოქმედებები) მედიაში გარკვეულ რეპრეზენტაციას პოვებენ.

რეპრეზენტაციის არსი მდგომარეობს იმაში, რომ სიმბოლური ელიტა - ხალხი, რომელიც აკონტროლებს ყველაზე მნიშვნელოვან სახალხო დისკურსებს: პოლიტიკოსები, ჟურნალისტები, მწერლები, მეცნიერები, მასწავლებლები და ა.შ.,

ასევე ხალხი, რომელმაც თავად განიცადა ომის დამანგრეველი ზემოქმედება მნიშვნელოვან როლს თამაშობენ დაწინაურებული იდეოლოგიების შექმნაში (van Dijk 2005). ეს ადამიანები არიან სწორედ გარკვეული დისკურსის, ჩვენს შემთხვევაში ომის ამსახველი მედია-დისკურსის, სოციალური აქტორები, რომლებიც გენდერული როლების ზემოქმედებით გარკვეულ სუბიექტურ პოზიციებს ავითარებენ. შესაბამისად, მედია მათ სხვადასხავგვარ რეპრეზენტაციას აირეკლავს. რეპრეზენტაციულობასთან მიმართებაში კი შეგვიძლია ვთქვათ, რომ გენდერი როგორც სოციალური კონსტრუქტი დისკურსულად იქმნება, გამოვლინდება და გამოწვევების წინაშე დგება. ადამიანის არსებობა, მისი აქტივობა მედია-დისკურსის სივრცეში მუდმივად აისახება და შეიძლება ითქვას, გავლენასაც კი ახდენს იმაზე, თუ როგორ აღიქვამენ დისკურსის მონაწილეები საკუთარ თავს და სამყაროს (Gauntlett 2008,1-3).

რეპრეზენტაციის ცნება მჭიდროდ არის დაკავშირებული დისკურსის ცნებასთან. დისკურსი სოციალური ქმედებაა, რომელიც გვიყალიბებს სამყაროს ჩვენურ/ადამიანურ აღქმას ენის რეპრეზენტატიული უნარის საშუალებით. გენდერული რეპრეზენტაცია ხშირია, როგორც ვიზუალურ მედიუმში (ფილმი, რეკლამა), ისე წერილობით და ზეპირ დისკურსში (Litosseliti & Sunderland 2002). გამოდის, რომ დისკურსს, როგორც სოციალური კონსტრუქციის უმნიშვნელოვანეს „აქტორს“, აქვს მაკონსტიტუირებელი ბუნება და შესაბამისად, „დისკურსი სოციალური ქმედებაა, რომელიც სისტემტიურად ქმნის იმ ობიექტს, რაზეც საუბრობს“ (Foucault 1972,49).

კრიტიკული დისკურს-ანალიზი წარმოადგენს კვლევის იმ მიმართულებას, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია სოციალურ-დისკურსული მოდელების გამოკვლევა, რომლებიც წინადადების დონეზე, ერთი შეხედვით არც თუ ისე ადვილი შესამჩნევია (Fairclough & Wodak 1997). ვან დაიკის მიხედვით (2001), კრიტიკული დისკურს-ანალიზი აერთიანებს სოციოლოგიურ და ლინგვისტურ თეორიებს, რათა გამოავლინოს მიმართებები ენას, საზოგადოებას, ძალას/ძალაუფლებას, იდეოლოგიას, ღირებულებებსა და შეხედულებებს შორის.

რადგანაც ენა სოციალიზაციის მნიშვნელოვანი საშუალებაა, გენდერის რეპრეზენტაცია და კონსტრუირება ენის საშუალებით ხორციელდება (Hruska 2004),

ამიტომ კვლევის ფოკუსიც გენდერის დისკურსული მანიფესტაციის შესწავლაში მდგომარეობს. გენდერული ნიშნით სოციალური აქტორების რეპრეზენტაცია ენაში საგულისხმო შეფასებების და დასკვნების გამოტანის საშუალებაა, რომელიც გარკვეული სოციალური ცვლილებისკენ უბიძგებს საზოგადოებას, სახელმწიფო ინსტიტუციებსა და მედიას. აღნიშნული ცვლილება კი განაპირობებს გენდერული მიკერძოებულობის, დომინირებისა და უთანასწორო დისკურსული სიტუაციების დაბალანსებას.

ვან ლიუვენის მოდელი ეფუძნება შემდგომ თეორიულ დაშვებას, რომ „ყველა დისკურსი ახდენს სოციალური ქმედების/პრაქტიკის რეკონტექსტუალიზაციას” (van Leeuwen 2008, vii). სოციალური ქმედება კი ადამიანის გარეშე და ამ ქმედების დისკურსული რეპრეზენტაციის გარეშე წარმოდგენელია. შესაბამისად, რეკონტექსტუალიზაციის პრინციპები, თავის მხრივ, დაკავშირებულია სოციალური ქმედების ძირითად ერთეულთან, როგორცაა სოციალურ აქტორები და მათი რეპრეზენტაცია, მათი იდენტობის დისკურსული კონსტრუირება.

თავი 3. ომის კონცეპტუალური მეტაფორების კრიტიკული ანალიზი გენდერთან მიმართებაში

ამ თავში განხილულია ომის კონცეპტუალური მეტაფორები, რომლებიც, სავარაუდოდ, აყალიბებენ ადამიანების მსოფლმხედველობას გენდერთან მიმართებაში. ნებისმიერი სოციალური მოვლენა თუ ქმედება დაკავშირებულია ადამიანის აქტივობასთან, რომელიც დისკურსულ რეპრეზენტაციას პოვებს მედიაში. ომი არ არის გამონაკლისი. დისკურსულ სტრუქტურებს გააჩნიათ იდეაციის ფუნქცია, რომელიც სამყაროს ადამიანისეულ ხედვას წარმოაჩენს. ჩვენი კვლევის მიზანია ომის კონცეპტუალური მეტაფორების გამოვლენა, რომლებიც ასახავენ ქალისა და მამაკაცის მიერ რეალობის აღქმას. უფრო ზუსტად კი, როგორ აღიქვამენ დისკურსის მამრობითი და მდედრობითი სქესის მონაწილენი ომს კონცეპტუალური მეტაფორების საშუალებით *ლოკალურ (ტექსტის)* და *დისკურსულ დონეზე*. კვლევაში შერწყმულია კრიტიკული დისკურს-ანალიზი და კოგნიტური მეტაფორის თეორია, რომლებიც წარმოადგენს რელევანტურ თეორიულ და მეთოდოლოგიურ საფუძველს კონცეპტუალური მეტაფორების გამოვლენისათვის. კვლევის მიხედვით, ქალი და მამაკაცი გარკვეულწილად განსხვავებულად აღიქვამენ ომს, რაც მედიაში გენდერთან ბმულ კონცეპტუალურ მეტაფორებში აირეკლება.

3.1. კვლევის მეთოდი

სხვადასხვა მეთოდოლოგიური მიდგომების ერთობლიობიდან, წინამდებარე კვლევა ეყრდნობა კრიტიკული დისკურს-ანალიზის და კონცეპტუალური მეტაფორის თეორიის შესატყვის მეთოდოლოგიურ ჩარჩოს. ამ მხრივ, კონცეპტუალური მეტაფორის თეორიის მეთოდოლოგიური აპარატი (მეტაფორის დომენების შესახებ) ჩართულია დისკურსის კრიტიკულ ანალიზში, რათა მოხდეს მეტაფორების როლის განსაზღვრა სოციალური რეალობის კონცეპტუალიზაციაში (Charteris-Black 2004; Musolf 2004). ჩარტერის-ბლეკი აღნიშნულს მეტაფორის კრიტიკულ ანალიზს უწოდებს, რომელიც სამიზნე დისკურსში მეტაფორების იდენტიფიკაციას, ინტერპრეტაციას და გაანალიზებას გულისხმობს კონცეპტუალური მოდელების დადგენის მიზნით. აღნიშნული წარმოადგენს ახალ მეთოდოლოგიურ მიდგომას, რომელიც ძირითადად თვისობრივ - მანუალურია, თუმცა შეიცავს კვანტიტატურ (რაოდენობრივ) ელემენტსაც - კონცეპტუალური მეტაფორის პროდუქტულობა/ სისტემატიურობის განსაზღვრის სახით. წინამდებარე კვლევის პროცესი შედგება შემდეგი ეტაპებისგან:

(1) კვლევის მიზნის განსაზღვრა;

(2) რელევანტური წყაროების შერჩევა;

(3) ტექსტების დეტალური წაკითხვა ლინგვისტური მეტაფორების იდენტიფიცირების მიზნით;

(4) კონცეპტუალური მეტაფორების იდენტიფიცირება და მათი სისტემატიურობის/ პროდუქტულობის განსაზღვრა;

(5) შედეგების ინტერპრეტაცია.

გვინდა ხაზი გავუსვათ ერთ გარემოებას, რომელიც შეეხება გენდერთან ასოციირებულ კორპუსულ კვლევებს. ტრადიციულად, სოციოლინგვისტური კვლევები ემპირიულ მონაცემებს ეფუძნება და კორპუსული კვლევების გენდერთან მიმართებაში გავრცობა ლიმიტირებულია შემდეგი პრობლემების გამო:

1) სოციოლინგვისტური კატეგორიების ელექტრონული კორპუსის კატეგორიებთან შეთავსება,

2) კორპუსების უმეტესობას არ აქვს მეტა-მონაცემები; მაგ, ინფორმაცია იმის შესახებ, თუ ვინ არის ლექსიკური ერთეულის „ავტორი“ - ქალი თუ მამაკაცი (McEnery et al 2006, 108; McEnery & Wilson 2001, 116).

კონცეპტუალური მეტაფორების მანუალური ანალიზი გაცილებით შრომატევადი მცდელობაა ციფრულ კორპუსზე დაფუძნებული კვლევისგან განსხვავებით. თუმცა უნდა აღვნიშნოთ, რომ მრავალი მეთოდოლოგიური უპირატესობის მიუხედავად, ციფრულ-კორპუსულ კვლევას აღნიშნული შემთხვევისთვის, შესაძლებელია, გარკვეული წინააღმდეგობა ჰქონოდა. იმ ფაქტის გამო, რომ ლინგვისტური მეტაფორების ტექსტიდან გამოყოფა ხდება კომპიუტერულ პროგრამაში წინასწარ შერჩეულ ლექსიკურ ერთეულებზე დაყრდნობით, შესაძლებელია, ტექსტში არსებობდეს ისეთი ლინგვისტური სტრუქტურები, რომელიც არ უკავშირდება აღნიშნულ წინასწარ შერჩეულ დომენებს; აღნიშნულის გამო, არსებობს იმის ალბათობა, რომ პოტენციური მასალა გაუნაალიზებელი დარჩეს. კორპუსული მიდგომით შესაძლებელია გენდერული რეპრეზენტაციების იდენტიფიცირება და კვლევა სამიზნე ლექსიკური ერთეულების გათვალისწინებით. თუმცა, კორპუსის ავტომატიზირებული საძიებელი ვერ გამოარჩევს ლინგვისტური სტრუქტურები ქალის თუ მამაკაცის მიერ იქნა ტექსტებში წარმოდგენილი. შედეგად, კონცეპტუალური მეტაფორების მანუალური იდენტიფიცირება და გამოვლენა როგორც ტექსტის/ ლოკალურ დონეზე, ისე საკვლევი კორპუსის დისკურსულ დონეზე, მეტად მნიშვნელოვანია.

კვლევის შედეგების გადამოწმება-გამყარებისთვის გამოვიყენეთ Brigham Young University Corpora (BYU), რომელიც რამდენიმე კორპუსის გააერთიანებაა: COCA-the Corpus of Contemporary American English, COHA- Corpus of Historical American English, NOW Corpus- News on the web, GLOWBE- Corpus of Web-based English, BYU-BNC - British National Corpus, (<http://corpus.byu.edu/>). საკვლევი ლექსიკური ერთეულების კონკორდანსის ცხრილები გამოვიკვლიეთ კონტექსტუალურად ტექსტის ავტორის სოციალური სქესის გამოვლენის მიზნით. გენდერული მეტა-ინფორმაცია არ იყო მითითებული ყველა შემთხვევაში, რაც კვლევის შეზღუდვას წარმოადგენს. თუმცა

გასაანალიზებელი კორპუსული მასალის ძირითადი, მნიშვნელოვანი ნაწილი ანოტირებულია გენდერის მიხედვით, რამაც გარკვეული დასკვნების გაკეთების საშუალება მოგვცა.

(1) კვლევის მიზნის განსაზღვრა

წინამდებარე კვლევა წარმოადგენს ომის კონცეპტუალური მეტაფორების განხილვას გენდერთან მიმართებაში; უფრო ზუსტად კი, როგორ იქმნება განსხვავებული მსოფლმხედველობები ომის კონცეპტუალური მეტაფორების საშუალებით მედიაში ქალი და მამაკაცი დისკურსის მონაწილეების მიერ. აღნიშნული შემთხვევის ჰიპოთეზა და საკვლევი კითხვებია:

ჰიპოთეზა: დისკურსის მდებრობითი და მამრობითი სქესის მონაწილენი ომის კონცეპტუალური მეტაფორების საშუალებით განსხვავებულ მსოფლმხედველობებს წარმოაჩენენ მედიაში, ისინი ომის ფრეიმინგს განსხვავებულად ახდენენ.

საკვლევი კითხვები:

1. რომელ ლინგვისტურ მეტაფორებს გამოიყენებენ ქალი და მამაკაცი დისკურსის მონაწილეები ომის კონცეპტუალიზაციისთვის/ ფრეიმინგისთვის?
2. კონცეპტუალური მეტაფორების რომელი წყარო დომენები ახდენენ ომის კონცეპტუალიზაციას?
3. როგორია კონცეპტუალური მეტაფორების პროდუქტულობა/ სისტემატიურობის მაჩვენებელი, რომელთა საშუალებით ქალი და მამაკაცი დისკურსის მონაწილეები ახდენენ ომის ფრეიმინგს? (კვლევის რაოდენობრივი ასპექტი)
4. რომელი კონცეპტუალური მეტაფორები ქარბობს ქალისა და მამაკაცის დისკურსში?

(2) რელევანტური წყაროს შერჩევა

კვლევის მასალა წარმოდგენილია ადგილობრივი ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ინგლისურენოვანი გაზეთის *The Georgian Times* 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის ამსახველი ტექსტებით. რადგან ამ გაზეთების მხოლოდ ბეჭდური ვერსია მოიპოვება აღნიშნული პერიოდისთვის, ასლები

დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის პერიოდიკის განყოფილებაში. (ქართული ნაციონალური კორპუსი არ არის სრულად გაციფრებული, რის გამოც საკვლევი მასალა მანუალურად იქნა შესწავლილი). დროის ჩარჩო მოიცავს პერიოდს 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის დაწყებიდან (7 აგვისტო) 11 სექტემბრამდე, როდესაც ფაქტობრივად მოხდა რუსული ჯარების საქართველოს ტერიტორიიდან გაყვანა. ომის ამსახველი პირველი სტატიები დაიბეჭდა 11 აგვისტოს. *The Georgian Times* არის ინგლისურენოვანი გაზეთი რომელიც გვთავაზობს მოცემული პერიოდისთვის საკითხების ვრცელ მიმოხილვას;

საკვლევი კორპუსი (*The Georgian Times*) წარმოდგენილია აღნიშნულ თემაზე 68 საგაზეთო ტექსტით (სტატია და ინტერვიუ), რომელიც შეადგენს სულ 57267 სიტყვას (იხ. დანართი დეტალური ინფორმაციისთვის). აღნიშნულ ტექსტებში დისკურსის მონაწილენი არიან პოლიტიკოსები, ჟურნალისტები და ექსპერტები, როგორც ქართველები, ისე სხვა ეროვნების წარმომადგენლები, რომლებიც აღნიშნული ომის შეფასებას აკეთებენ. აქ კონცეპტუალური მეტაფორები განხილულია ძირითადად გენდერთან მიმართებაში; ამასთანავე, საკვლევი კორპუსის ყველა ტექსტის ერთობლიობა განაპირობებს დისკურსის ფორმირებას, რომლის წიაღიდანაც მოვახდინეთ ზოგადი კონცეპტუალური მეტაფორების გამოყოფა; ზოგადი კონცეპტუალური მეტაფორა ატარებს უნივერსალურ ხასიათს და შესაძლებელია, წარმოაჩინდეს ფარულ გენდერულ იდეოლოგიას (ლაკოფი და ჯონსონი 1980). საკვლევი კორპუსი წარმოდგენილია თითქმის თანაბარი მოცულობის დაახლოებით 30000 სიტყვიანი ორი ქვეკორპუსით (სულ დაახლოებით 60000 სიტყვა-ერთული): ქვეკორპუსი A (28328 სიტყვა - ტექსტები ქალ დისკურსის მონაწილეებს ეკუთვნის) და ქვეკორპუსი B (28939 სიტყვა - ტექსტები მამაკაც დისკურსის მონაწილეებს ეკუთვნის). საკვლევი კორპუსის ტექსტები კოდირებულია [GT 1]- დან [GT 68] -მდე (გაზეთისთვის *The Georgian Times*), რაც მოცემულია ნაშრომის ბოლოს დანართში.

(3) ტექსტების დეტალური წაკითხვა ლინგვისტური მეტაფორების იდენტიფიცირების მიზნით

მეთოდის ამ ეტაპზე განვახორციელებთ შერჩეული ტექსტების დეტალური წაკითხვა მამაკაცი და ქალი დისკურსის მონაწილეების მიერ დისკურსში რეალიზებული ლინგვისტური მეტაფორების იდენტიფიკაციის მიზნით, რომლებიც

ომს შეეხებოდა. „იმისათვის, რომ დავადგინოთ კონცეპტუალური მეტაფორები, რომლებიც საფუძვლად უდევს ლინგვისტურ მეტაფორებს, აუცილებელია შევისწავლოთ ის ლინგვისტური მეტაფორები, რომლებიც მათ არსებობაზე მიუთითებენ” (Kovecses 2010,4). სწორედ ლინგვისტური სტრუქტურის/ფრაზის მეტაფორული ღირებულების დადგენის მიზნით „პრაგლეჯაზ” (2007) ჯგუფმა შეიმუშავა *მეტაფორის ამოცნობის 5-საფეხურიანი პროცედურის (მაპ)*, რომლის მიზანია სამიზნე ლექსიკური ერთეულის ძირითად და კონტექსტუალურ მნიშვნელობებს შორის კონტრასტის დადგენა (Kovecses 2010,5). თუ ახალი კონტექსტუალური მნიშვნელობა ძირითადი მნიშვნელობისგან განსხვავებული და მისი საწინააღმდეგოა, ლექსიკური ერთეული მეტაფორულია. Macmillan English Dictionary for Advanced Learners და Cambridge Advanced Learner’s Dictionary არის ლექსიკონები, რომლებიც პრაგლეჯაზ ჯგუფის მიერ იქნა შემოთავაზებული ლექსიკური ერთეულების მნიშვნელობის შემოწმების და დადგენის მიზნით. ლექსიკური ერთეულების მნიშვნელობები გადავამოწმეთ სხვა დიდ ლექსიკონებშიც, მაგ. Collins Online, რომლის ბეჭდური ვერსია 1918 წლიდან არსებობს. შედეგები, რა თქმა უნდა, მსგავსია თუ არა იდენტური.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მაპ-ზე დაყრდნობით საგაზეთო ტექსტებიდან გამოვყავით როგორც ტრადიციული, ისე ახალი ლინგვისტური მეტაფორები. შედეგად მივიღეთ, 34 მეტაფორული მნიშვნელობის ლექსიკური ერთეული თუ ფრაზა, რომელიც ომის კონცეპტუალიზაციას ახდენს დისკურსში.

(4) კონცეპტუალური მეტაფორების იდენტიფიცირება და მათი სისტემატიურობა/პროდუქტულობის განსაზღვრა

მას შემდეგ რაც მოვახდინეთ ლინგვისტური მეტაფორების იდენტიფიცირება, ყურადღება გავამახვილეთ კონცეპტუალური მეტაფორების გამოვლენაზე, რომლებიც აღნიშნული ლინგვისტური მეტაფორების კოგნიტური საფუძველია. ლინგვისტურ და კონცეპტუალურ მეტაფორებს შორის ურთიერთმიმართება შესაძლებელია შემდეგნაირად ავხსნათ: „ლინგვისტური მეტაფორული გამონათქვამები (ვერბალური საშუალებანი) არის კონცეპტუალური მეტაფორების (კოგნიტური საშუალებების) ექსპლიკაცია, დისკურსული მანიფესტაცია. ასეც

შეიძლება ითქვას, რომ ენობრივი საშუალებანი სწორედ რომ ამჟღავნებენ ადამიანის გონებაში არსებულ კონცეპტუალურ მოდელებს” (Kovecses 2010,7).

ტრადიციულად, ლინგვისტური მეტაფორა შედგება ორი ნაწილისგან *tenor*-შედარების ობიექტი და *vehicle*-მეტაფორის ღერძი (Richards 1936), რომლებიც ლაკოფის და ჯონსონის მიერ დამკვიდრებული კონცეპტუალური მეტაფორის *სამიზნე* და *წყარო* დომენებს შეესაბამება(1980). ტრადიციული ტერმინები ვერ ხსნიან ურთიერთმიმართებას მეტაფორის ნაწილებს შორის, მაშინ როდესაც კოგნიტური თვალსაზრისით „წყარო დომენის საშუალებით ხდება სამიზნე დომენის ახსნა, კონცეპტუალიზაცია” (Kovecses 2010). მაგალითისთვის განვიხილოთ ლინგვისტური მეტაფორა “You are **wasting my time**”, სადაც ლექსიკური ერთეული ‘time’ არის შედარების ობიექტი, ხოლო ‘wasting’ არის მეტაფორის ღერძი, რადგან ის ‘დროს’ მიანიჭებს ისეთ თვისებას როგორცაა ‘ხარჯვა’. აღნიშნული კი ძირითადი მნიშვნელობით ლექსიკურ ერთეულს ‘ფული’ შეეხება, კონტექსტუალური მნიშვნელობით კი ეს თვისება ‘დროს’ მიენიჭება, რის გამოც გამოთქმა მეტაფორულია. ლაკოფის და ჯონსონის მეპინგის მიხედვით ‘**დრო**’ - არის სამიზნე დომენი (აბსტრაქტული კონცეპტი), რომელიც აიხსნება კონკრეტული წყარო დომენით ‘**ფული**’. შედეგად ვიღებთ კონცეპტუალურ მეტაფორას: **დრო ფულია**. ჩვენს კვლევაში წარმოდგენილია კონცეპტუალური მეტაფორები, რომელთა წყარო დომენები ახდენენ სამიზნე დომენის ‘ომი’ კონცეპტუალიზაციას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენ მიერ იდენტიფიცირებული 34 მეტაფორული მნიშვნელობის გამოთქმა შეიცავს მეტაფორის ღერძს, რომელიც მიუთითებს იმ წყარო დომენზე, რომელიც ახდენს სამიზნე დომენის- ‘ომი’ კონცეპტუალიზაციას. კონცეპტუალური მეტაფორების გამოვლენა ეფუძნება *წყარო და სამიზნე დომენების მეპინგს*, რომელიც აღნიშნულ დომენებს შორის ურთიერთმიმართების დადგენას გულისხმობს. შესაბამისად, ამ ეტაპზე ასევე მოვახდინეთ მეტაფორული ლექსემების კატეგორიზაცია განსხვავებული წყარო დომენების მიხედვით, შემდეგ კი დომენთაშორისი მეპინგის საშუალებით გამოვავლინეთ კონცეპტუალური მეტაფორები.

რაც შეეხება კონცეპტუალური მეტაფორის სისტემატიურობას, კამერონი განასხვავებს *ლოკალურ*, *გლობალურ* და *დისკურსულ* სისტემატიურობას (1999,16).

ლოკალური სისტემატიურობა ასახავს კონცეპტუალური მეტაფორის განვითარება-რეალიზაციას ტექსტის დონეზე, გლობალური სისტემატიურობა კი კონცეპტუალურ მეტაფორებს გამოყოფს სხვადასხვა დისკურსების წიაღიდან. დისკურსული სისტემატიურობა კი ზემოაღნიშნული ორი ტიპის სისტემატიურობას შორის მოიაზრება. წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილია ქვედა- ტექსტის დონის კონცეპტუალური მეტაფორები, რომელსაც ვუწოდებთ **ტექსტთან ბმულ კონცეპტუალურ მეტაფორებს**. ტექსტთან ბმული კონცეპტუალური მეტაფორების დამუშავება დისკურსულ დონეზე (სხვადასხვა ტექსტებიდან ამოღებული მეტაფორების კატეგორიზაცია წყარო დომენების მიხედვით) გვაძლევს ზოგად კონცეპტუალურ მეტაფორებს, რომელსაც ვუწოდებთ **დისკურსთან ბმულ კონცეპტუალურ მეტაფორებს**. კონცეპტუალური მეტაფორების სისტემატიურობის/პროდუქტულობის ხარისხის დასადგენად მოვახდინეთ ვერონიკა კოლერის მეთოდის ადაპტაცია (2009), რომელიც შემდეგ საფეხურებს მოიცავს:

1. თითოეულ წყარო დომენში შემავალი ლექსიკური ერთეულების სიხშირის და პროცენტული მაჩვენებლის გამოთვლა, რომელიც გვიჩვენებს ქალისა და მამაკაცის დისკურსში მეტაფორის სისტემატიურობას/პროდუქტულობას;
2. ინდივიდუალური მეტაფორული გამოთქმების რაოდენობის გამოთვლა;
3. მეტაფორული TTR¹-ის გამოთვლა, რაც გვიჩვენებს მეტაფორული ლექსემის ვარიაციულობის ხარისხს;
4. ქალისა და მამაკაცის დისკურსში მეტაფორული სიხშირის² გამოთვლა ყოველ 1000 სიტყვაზე;

კვლევის ამ საფეხურს მოჰყვება (5) **შედეგების ინტერპრეტაცია და დასკვნები**.

¹mTTR (The metaphoric Type-Token ratio) განსხვავებული ლემების (ლექსიკური ერთეულების) რაოდენობა იყოფა თითოეული ლემის სიხშირეზე, რაც ლექსიკური მრავალფეროვნების მარკერია. რაც უფრო მაღალია მარკერი, მით უფრო მრავალფეროვანია დისკურსი ლექსიკურად.

² გარკვეული მეტაფორების ტოკენების სრული რაოდენობა იყოფა ქალის/მამაკაცის დისკურსის საკვლევი მინიკორპუსის (A/B) ლექსიკური ერთეულების სრულ რაოდენობაზე.

3.2. შედეგები

ნაშრომის აღნიშნული ნაწილი წარმოადგენს ტექსტების დეტალური წაკითხვის შედეგად გამოვლენილ ლინგვისტურ მეტაფორებს; ასევე *ტექსტთან* და *დისკურსთან* ბმულ კონცეპტუალურ მეტაფორებს, რომლებიც ლინგვისტური მეტაფორების სხვადასხვა წყარო დომენებში კატეგორიზაციით გამოვავლინეთ. ნაშრომში წარმოდგენილია აღნიშნულ დისკურსში კონცეპტუალური მეტაფორების სისტემატიურობა/ პროდუქტულობა გენდერთან მიმართებაში.

3.2.1. ლინგვისტური მეტაფორული გამოთქმები

ჩვენმა კვლევამ მეტაფორის ამოცნობის პროცედურის საშუალებით გამოავლინა 34 მეტაფორული ლექსემის კომბინაცია, რომელიც ახდენს მეტაფორების რეალიზაციას დისკურსში. აღნიშნული კი სამიზნე და წყარო დომენების მეპინგის მიხედვით კონცეპტუალური მეტაფორების დადგენის წინარე ეტაპია.

ცხრილი1. გაზეთის (*The Georgian Times*) კორპუსის ბაზაზე მოძიებული მეტაფორული გამოთქმები

მეტაფორული გამოთქმები	
expansionist gambit	flare up
play a dangerous game	Ethnic cleansing
the world's biggest player	cleansing operation
a game of Russian Roulette	flush out
zero sum game	torrent of refugees
unleash offensive	flow of refugees
the wolf that ate Georgia	war erupted
push (the boundaries of intervention)	break out
stretch (the boundaries of intervention)	spill-over combat
expansion exercise	spiral out of control
adventure in assault	batter neighbour
sheepish heroes	razed to the ground
cope with the challenges	death rain
defense campaign	resolve the conflict
safeguard lives	solution to the current crisis
respond to threats	campaign of killing
retaliatory fire	violate territorial integrity

დავიწყით ლექსიკური ერთეულით “gambit”. აღნიშნული სიტყვის ძირითადი მნიშვნელობაა ჭადრაკის თამაშის დროს საწყისი სვლის გაკეთება, როდესაც მოთამაშე რისკავს ერთ ან რამდენიმე ფიგურას, რათა მოიპოვოს ხელსაყრელი პოზიცია. მაგალითში (1) ფრაზის „**გამავრცობელი გამბიტი**” კონტექსტუალური მნიშვნელობა არის „სამხედრო ინტერვენცია”, რომელიც ჭადრაკის სვლის მსგავსად მეომარი ქვეყნის ხელსაყრელი პოზიციის დაკავებას განაპირობებს საზღვრების გაფართოება/გავრცობის მიზნით. აღნიშნულ შემთხვევაში „გამბიტი” ახალ კონტექსტუალურ მნიშვნელობას იძენს, რაც მას მეტაფორის სახით წარმოგვიდგენს.

(1) *How NATO responded and will continue to react to **the expansionist gambit** of its former adversary towards NATO’s closest de facto ally, will have a lot to say about the relevance of the alliances* [GT 33]

მაგალითში (2) პუტინი წარმოდგენილია, როგორც არაკეთილსინდისიერი მოთამაშე, რომელმაც „ოსტატურად” ჩააბა „**მოთამაშე**”- საქართველო „**რუსული რულეტის თამაშში**”. ამასთანავე, ის ერთადერთია, რომელიც თამაშში გამარჯვებულს წარმოადგენს. ლექსემის „მოთამაშე” კონტექსტუალური მნიშვნელობაა „მეომარი ქვეყანა”, რომელიც ძირითადი მნიშვნელობისგან განსხვავებულია („ადამიანი, რომელიც სპორტულ ღონისძიებაში იღებს მონაწილეობას”) და მას მეტაფორად აქცევს. მეორე ლინგვისტური გამოთქმა, რომელიც უნდა გავანალიზოთ არის „**თამაში ნულოვანი ჯამით**”, რომლის კონტექსტუალური მნიშვნელობაა ომის შედეგი, როდესაც ერთი ქვეყნის დაკარგული ტერიტორია (საქართველო), მეორე ქვეყნის(რუსეთის) „მონაპოვარი” ხდება თამაშის თეორიის მიხედვით. კონტექსტუალური მნიშვნელობა ფრაზას “zero sum game”, რომლის ძირითადი მნიშვნელობა ომთან არ არის დაკავშირებული, ახალ მეტაფორად წარმოაჩენს მას დისკურსში.

(2) *As it stands now, Putin has manipulated **the player in the verbal game of Russian Roulette**, where only he is deciding... who is to win and who is to lose in a **zero sum game*** [GT35]

შემდეგ ამონარიდში ყურადღებას ვამახვილებთ ლექსემაზე “unleash”, რომლის ძირითადი მნიშვნელობაა “to give freedom to an animal by setting the leash/lead loose”. აღნიშნულ კონტექსტში კი სამხედროების გარკვეულ რაოდენობას ენიჭება სრული თავისუფლება, რათა თავს დაესხას და მხეცურად შეებრძოლოს მეორე ქვეყანას. ახალი კონტექსტუალური მნიშვნელობა ლექსემას მეტაფორულ დატვირთვას ანიჭებს.

(3) *The Russians captured Tskhinvali, then **unleashed their offensive** nationwide*
[GT25]

მტრის მხეცთან შედარება თვალნათელია შემდეგ ფარზაშიც: “The wolf that ate Georgia” [GT 57], სადაც რუსეთი შედარებულია მგელთან, რომელიც დაუნდობლად ჭამს კრავს-საქართველოს.

ლინგვისტური გამოთქმები, რომელიც მოცემულია მაგალითში (4) წარმოადგენს მეტაფორულ ურთიერთმიმართებებს, რომელიც ეფუძნება ზმნებს “push” და “stretch”

(4) “What will stop Russia” cites the political analyst : “*In the last few days the Kremlin has been **pushing the boundaries of military intervention** to see how far they would be allowed to **stretch.***” [GT 14]

ზმნის “push” ძირითადი მნიშვნელობაა “to use hands, arms or body to make some part of a body move into a particular position”, რაც შეეხება ზმნას “stretch”, მისი ძირითადი მნიშვნელობაა “to make sth. longer by expanding it”. აღნიშნულ მაგალითში ზმნები „ბიძგება, მიწოლა” და „გაჭიმვა, გაწელება, გავრცობა” არის წყარო დომენის „ვარჯიში” ლექსიკური ერთეულები, რომელიც სხეულის ნაწილების გაჭიმვას, გავრცობას გულისხმობს. ამ კონტექსტში აღნიშნული ზმნები გულისხმობს რუსეთის მიერ „სამხედრო ინტერვენციის” განხორციელებას, რომლის მიზანია განავრცოს საზღვრები და მოიპოვოს კონტროლი საქართველოს ტერიტორიაზე ხისტი ძალის გამოყენებით იმდენად მასშტაბურად, რამდენადაც ეს შესაძლებელია. სამხედრო ინტერვენცია გამავრცობელი ვარჯიში ხდება (“expansion exercise”). შესაბამისად, სახეზე გვაქვს აღნიშნული ზმნების მეტაფორული დატვირთვა.

რალფ ჰალბიგი თავის სტატიაში, "It doesn't matter who began war because that is a childish question which attempts to skirt the problems", აფასებს რა აღნიშნულ რეგიონში

შეიარაღებულ კონფლიქტს, ოსებს მოიხსენიებს, როგორც „ბრიყვ გმირებს“, რომლებმაც რუსეთის სამხედრო ძალებთან ერთად ომი წამოიწყეს საქართველოს წინააღმდეგ.

(5)... *the **sheepish heroes** of the mountains have now undertaken their risky and inequitable **adventure in assault*** [GT 45]

აქ ყურადღებას ვამახვილებთ ფრაზაზე “adventure in assault”, სადაც ლექსემის “adventure” კონტექსტუალური მნიშვნელობაა “a risky military endeavor to attack the country the part of which they used to be”. თუმცა, აქ მას უარყოფითი კონოტაცია აქვს, რადგან ზედსართავი სახელი “inequitable” ხაზს უსვამს ომის გაუმართლებელ ხასიათს. შემდეგი ფრაზაა ‘sheepish heroes’, სადაც ლექსემის ‘hero’ ძირითადი მნიშვნელობაა: “a person who is admired by many people for doing something brave or good”. აღნიშნულის მიუხედავად, იგივეს ვერ ვიტყვით მის კონტექსტუალურ მნიშვნელობაზე, რადგან ამ ხალხს საგმირო საქმე არ ჩაუდენიათ. უფრო მეტიც, ზედსართავი სახელი “sheepish” ირონიულ ელფერს ანიჭებს ლექსიკურ ერთეულს ‘hero’, რომელიც ჩართულია ‘ომის თავგადასავალში’. *თავგადასავალი და გამოწვევა* ომის დამახასიათებელი თვისებები ხდება ფრაზაში “cope with the challenges [of war]”.

ვახტანგ მაისაია, საქართველოს საგარეო პოლიტიკის ასოციაციის თავმჯდომარე, სტატიაში “Why and How Georgia Overlooked the Russia’s Aggression?” აფასებს საქართველოს სამხედრო აქტივობას რუსეთის აგრესიის მიმართ.

(6) *However, before touching on the concrete facts of the Russian planned incursion, it is more adequate to underscore what were the reasons of our military misuse in waging **a military defense campaign** against Russian Troops* [GT 68]

ამ შემთხვევაში სამიზნე ფრაზაა “a military defense campaign”, რომლის ღერძსაც წარმოადგენს ლექსიკური ერთეული ‘campaign’, რომელსაც თან ახლავს დამხმარე კონცეპტები ‘military’ და ‘defense’. რაც შეეხება სიტყვის ‘campaign’ ძირითად მნიშვნელობას, ის აღნიშნავს ‘a series of planned activities that are intended to achieve a particular social, commercial or political aim’. ამონარიდის კონტექსტი კი გვკარნახობს, რომ საქართველომ აწარმოა თავდაცვითი სამხედრო ქმედებები რუსეთის წინააღმდეგ ქვეყნის ტერიტორიაზე უკანონო შემოჭრის საპასუხოდ. საომარი

მოქმედებების თავდაცვითი ხასიათი ჩანს ფრაზებში: “safeguard lives”, “retaliatory fire” და “respond to threats”.

შემდეგი ლინგვისტური მეტაფორა, რომელიც საკვლევ კორპუსში გვხვდება არის “*hostilities flaring up*” (მაგალითი 7). ფრაზული ზმნის ძირითადი მნიშვნელობაა: “to suddenly start burning more brightly (of flames, a fire, etc.), to burst into intense, sudden flame, to intensify especially after having died down”. თუმცა, აღნიშნულ კონტექსტში მნიშვნელობა შეეხება ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის გაუარესებას საომარი მოქმედებების გამძაფრების გამო.

(7) *The sight of **hostilities flaring up** on the doorstep also prompted European leaders to take action* [GT 1]

ქალი ჟურნალისტი საუბრობს საომარ მოქმედებებზე სტატიაში “GORI- the Town Which Has Survived”, რომელიც 26 აგვისტოს რუსეთმა განახორციელა, რათა აღენიშნა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების -აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის- დამოუკიდებლობა. ლინგვისტური მეტაფორული გამოთქმები აღნიშნულია მაგალითში (8).

ლექსიკური ერთეულის “flush out”(გამორეცხვა) ძირითადი მნიშვნელობა განმარტებულია შემდეგნაირად: “to clean sth by causing water to pass through it”. რაც შეეხება აღნიშნული ფრაზული ზმნის კონტექსტუალურ მნიშვნელობას, ის შემდეგია: “to force a person or an animal to leave the place where they are hiding or dwelling”, რაც ხსენებულ ფრაზულ ზმნას მეტაფორად აქცევს. რაც შეეხება ფრაზას ‘cleansing operation’, მეორე მეტაფორაა, რომელსაც ზედსართავი სახელი ‘cleansing’ ანიჭებს მეტაფორულ ელფერს. აღნიშნულის ძირითადი მნიშვნელობაა ‘to clean the skin or wound, to take the impurities off the surface’, კონტექსტი მის მნიშვნელობას ცვლის ‘to force the people abandon their residence through military operation’, რის გამოც იგი მეტაფორულ გამოთქმად წარმოჩნდება დისკურსში.

(8) Russian “storm troopers” “...conducted one more **cleansing operation** and **flushed** the old people still remaining in their houses **out of the gorge**” [GT46]

ადამიანების ხეობიდან 'გამორეცხვამ' გამოიწვია იძულებით გადაადგილებულ პირთა ნაკადი ('დინება, ნიაღვარი') "*torrent of refugees*" or "*flow of refugees*" [GT 46], რომელიც ზემოთ ხსენებული მეტაფორის ერთ-ერთი ვარიანტია. ლექსიკური ერთეულის 'torrent' ძირითადი მნიშვნელობაა 'a large amount of water moving very quickly'. კონტექსტი კი მას ახალ დატვირთვას აძლევს აღნიშნავს რა 'people's rapid movement from one place to another as a result of war hostile operation'.

ქალი პოლიტიკოსი, ოპოზიციური პარტიის ლიდერი ახდენს რუსეთ-საქართველოს ომის შეფასებას ქვემოთ მოყვანილ ტექსტში, სადაც შეიმჩნევა ლინგვისტური მეტაფორა "war erupted" ("ომი ამოიფრქვა").

*(9) I used to say that had war **erupted** in Georgia, Abkhazia and South Ossetia would be a part of that war. But I could not imagine that actions would be unfolded on such a large scale [GT 25]*

ლექსიკონში დაფიქსირებულია ზმნის "erupt" ძირითადი მნიშვნელობა: "To throw or force something out violently, as lava, ash, and gases." კონტექსტი კი აღნიშნულ ლექსიკურ ერთეულს მნიშვნელობას უცვლის, რადგან იგი აღნიშნავს ომის დაწყებას, როდესაც დამაბულობა ორ ქვეყანას შორის კრიტიკულ ნიშნულს აღწევს. იგივე შეიძლება ითქვას შემდეგ ფრაზებზე: "*war broke out*" და "*spill-over combat*".

შემდეგი მეტაფორული ფრაზა, რომელიც უნდა განვიხილოთ, არის "*violence could quickly spiral out of control*" (მაგალითი 10). ლექსიკური ერთეული, რომელიც უნდა გავანალიზოთ არის "spiral", რადგან ის ამყარებს მეტაფორულ ურთიერთმიმართებას ლექსიკურ ერთეულებს შორის. აღნიშნული სიტყვის ძირითადი მნიშვნელობაა: "to move in continuous circles, going upwards or downwards", თუმცა კონტექსტის მიხედვით ის აღწერს ძალადობას, რომელიც სპირალური მოძრაობით არ ხასიათდება და სწორედ ამიტომ ის მეტაფორულია შემდეგ ფრაზებთან ერთად: "*batter the neighbour*", "*Gori - the town razed to the ground*" [GT 15]

(10) *All the negotiations have been stalled since summer 2006 contributing to increasing tensions and the likelihood that any **violence could quickly spiral out of control** is rising* [GT9]

შემდეგი ფრაზები, რომლებსაც გავანალიზებთ, წარმოდგენილია მაგალითებში 11 და 12.

(11) *They are just bullets now! Directed at innocent people -the bullets that have killed the parents of the displaced children living beside me!!! ... I do believe that God will stop **the death rain** and soon a kind rainbow will appear shining again*
[GT 64]

(12) *We Hope a Kind Rainbow Will Replace **the Death Rain** Soon*

[GT 64]

ლინგვისტური გამონათქვამი, რომელზედაც შევაჩერებთ ყურადღებას არის '**the death rain**'. აქ მეტაფორის ღერძი არის 'rain', რომელიც კონტექსტის მიხედვით ტყვიებს აღნიშნავს, რაც მისი ძირითადი მნიშვნელობისგან განსხვავებულია და შესაბამისად ლინგვისტურ მეტაფორად გვევლინება. რაც შეეხება გაზედსართავებულ სახელს 'death', ის როგორც ძირითადი, ისე კონტექსტუალური მნიშვნელობით აღნიშნავს რაღაცას, რაც იწვევს სიკვდილს.

ლექსიკური ერთეულის 'violate' ძირითადი მნიშვნელობაა "to go against or refuse to obey a law, disturb or not respect someone's privacy". აღნიშნული ომის კონტექსტის გათვალისწინებით კი, ის აღნიშნავს ერთი ქვეყნის სამხედრო ძალების მეორე ქვეყნის ტერიტორიაზე უკანონო შეღწევას, რაც გამოთქმას მეტაფორულს ხდის. რაც შეეხება ლექსიკურ ერთეულს 'campaign', მისი ძირითადი მნიშვნელობაა "a series of planned activities to achieve a particular social, commercial or political aim." მას მეტაფორულ მნიშვნელობას ანიჭებს ლექსიკური ერთეული "killing", რომელიც აღნიშნულ კამპანიას კრიმინალურ ელფერს შესძენს.

და ბოლო ფრაზები, რომლებსაც განვიხილავთ არის: "solution to the current crisis" და "resolve the conflict." ლექსიკური ერთეულები, რომლებიც გაანალიზებას საჭიროებს არის 'solution' და 'resolve', რომელთა ძირითადი მნიშვნელობაა 'to find a method or process of dealing with a problem'. აღნიშნულ კონტექსტში კი 'პრობლემის/ამოცანის' თვისებები მიეწერება 'ომს', რომელიც რთული ამოცანის

მსგავსად ამოხსნას/გადაჭრას საჭიროებს, რომ ქვეყანა საომარი კრიზისიდან გამოვიდეს; აღნიშნულის გამო ფრაზები მეტაფორულ დატვირთვას იძენენ.

ყველა ზემოთ განხილული მეტაფორული გამოთქმა ძირითადად ტრადიციული მეტაფორული მოდელია, რადგან ლექსიკონში დაფიქსირებულია როგორც ძირითადი, ისე კონტექსტუალური მნიშვნელობა.

3.2.2. ომის კონცეპტუალური მეტაფორები

კონცეპტუალური მეტაფორების ამოცნობა, როგორც მეთოდოლოგიის ნაწილშიც აღნიშნეთ, ეფუძნება წყარო და სამიზნე დომენების მეპინგს, რომელიც გულისხმობს ერთი ცნების ახსნას მეორე ცნების საშუალებით (ლაკოფი და ჯონსონი 1980). აღნიშნულის განხორციელებისთვის, ჩვენ ყურადღება გავამახვილეთ შემდეგ პროცედურებზე:

1. კონცეპტუალური მეტაფორის წყარო დომენის დადგენა;
2. მეტაფორული ლექსიკური ერთეულების კატეგორიზაცია სხვადასხვა წყარო დომენის მიხედვით;
3. წყარო და სამიზნე დომენების მეპინგი;

ცხრილი 2. ომის კონცეპტუალიზაციის წყარო დომენები

წყარო დომენი	მეტაფორები	ცალკეული სიხშირე მამაკაცის დისკურსში	ცალკეული სიხშირე ქალის დისკურსში	
<i>თამაში/სპორტი</i>	expansionist gambit	3		
	(the world's biggest) player	8		
	a game of Russian Roulette	2		
	zero sum game	2		
	play a dangerous game	7		
	push the boundaries of intervention	1		
	stretch the boundaries of intervention	1		
	expansion exercise	1		
<i>თავდაცვა</i>	defense campaign	4		
	safeguard lives	1		
	retaliatory fire	2		
	respond to the threats	1		
<i>დანაშაული</i>	violate territorial integrity	4	1	
	campaign of killing	1		
<i>პრობლემა</i>	solution to the current crisis	5	2	
	resolve the conflict	4		
<i>თავგადასავალი</i>	adventure in assault	1		
	cope with the challenge	8		
	sheepish heroes	1		
<i>მხეცი</i>	unleash offensive	4		
	the wolf that ate Georgia	2		
<i>ბუნებრივი კატასტროფა</i>	<i>ცეცხლი</i>		1	
	<i>ვულკანი</i>	hostilities flare up		
		Erupt	2	5
		break out	2	
	<i>ტორნადო</i>	spill-over combat	1	
<i>გრიგალი</i>	(violence) spiral out		2	
	(the city) razed to the ground		2	
<i>წყალდიდობა</i>	batter the neighbor	1		
	death rain		3	
	flush out		4	
	torrent of refugees		5	
	flow of refugees		3	
	cleansing operation	4	1	
Ethnic cleansing		2		

კონცეპტუალური მეტაფორის წყარო დომენზე მიუთითებს ლინგვისტური მეტაფორის ღერძული ნაწილი-vehicle, რომელსაც შედარების ფუნქცია აკისრია. აღნიშნულის გათვალისწინებით, ლინგვისტურ მეტაფორებში არსებობს ორი ტიპის ურთიერთმიმართება: 1. ურთიერთმიმართება, რომელიც ცალსახად და

ერთმნიშვნელოვნად მიუთითებს წყარო დომენზე; და 2. ორაზროვანი ურთიერთმიმართება, რომელიც რამდენიმე წყარო დომენს შორის არჩევანის წინაშე გვაყენებს (Shaikh et al 2014,215) და, შესაბამისად, არჩევანიც შედარებით სუბიექტური იქნება.

ცხრილში 2 (გვ.84) წარმოდგენილია წყარო დომენები, რომლებიც ახდენენ ომის კონცეპტუალიზაციას გენდერთან მიმართებაში. მეტაფორების უმეტესობა წარმოდგენილია შემდეგი სახით 'ომი, როგორც თამაში/სპორტი'. აღნიშნულ წყარო დომენი (სპორტი/თამაში) დისკურსში შემდეგი ლექსიკური ერთეულებით არის რეალიზებული: 'gambit', 'player', 'game', 'play', 'push', 'stretch', 'exercise'.

მეტაფორული გამოთქმა 'expansionist gambit'/'გამავრცობელი გამბიტი' (არსებითული მეტაფორა, რომელიც განსაზღვრულია დამხმარე კონცეპტით 'expansionist'. მაგ.1 გვ.77) მიუთითებს იმაზე, რომ 'military intervention'/'სამხედრო ინტერვენცია' ჭადრაკის სვლის მსგავსად მანევრია, რომელიც მეომარი ქვეყნის წინსვლას და საზღვრების გავრცობას გულისხმობს.

მაგალითში (2) (გვ.77) კი პუტინი წარმოდგენილია როგორც 'თაღლითი მოთამაშე', რომელმაც ომის ქარცეცხლში, 'რუსული რულეტის თამაშში' (არსებითული მეტაფორა) ჩააბა 'მოთამაშე საქართველო' (არსებითული მეტაფორა). შედეგად, აღნიშნული 'სამხედრო ინტერვენცია' მსგავსია თამაშის ნულოვანი ჯამით /'zero sum game' (არსებითული მეტაფორა), როდესაც ერთი ქვეყნის დაკარგული ტერიტორია ხდება მეორე ქვეყნის 'მონაპოვარი'. ამ შემთხვევაში კონცეპტუალური კავშირი მყარდება საომარ მოქმედებებს და თამაშს შორის, ასევე მეომარ ქვეყანასა და მოთამაშეს შორის.

რაც შეეხება ლექსიკურ ერთეულებს 'push', 'stretch', 'expansion exercise' (მაგალითი 4,გვ.78), ისინიც სპორტის/თამაშის ზოგად წყარო დომენს მიეკუთვნება, რომლებიც ახდენენ საომარი მოქმედებების და სამხედრო ძალების სტრატეგიული გადანაწილების კონცეპტუალიზაციას. სახეზე გვაქვს ტექსტთან ბმული კონცეპტუალური მეტაფორები: *სამხედრო იერიში გამავრცობელი გამბიტია, სამხედრო იერიში გამავრცობელი ვარჯიშია, ომი რუსული რულეტის თამაშია, მეომარი ქვეყანა მოთამაშეა.* აღნიშნული ტექსტთან ბმული კონცეპტუალური

მეტაფორების გაერთიანება მეპინგზე დაყრდნობით გვამღვეს ზოგად დისკურსთან-ბმულ კონცეპტუალურ მეტაფორას: *ომი თამაშია*. ეს კონცეპტუალური მეტაფორა ხაზს უსვამს „სტრატეგიულ აზროვნებას, გუნდურ მუშაობას, მზადყოფნას და მაყურებლებს მსოფლიო არენაზე, გამარჯვების ზეიმსა და დამარცხების სირცხვილს“ (Lakoff 1992, 473).

მეპინგი: ომი, როგორც თამაში

<u>წყარო დომენი- თამაში</u>		<u>სამიზნე დომენი - ომი</u>
თამაშის/შეჯიბრისმონაწილენი	→	მეომარი ქვეყნები/ძალები/ჯარისკაცები
თამაშის სვლები	→	მანევრირება/თავდასხმა/შეჭრა
მოგებული/წაგებული	→	დამპყრობელი/დამარცხებული
სხეულის მოძრაობები	→	ძალების სტრატეგიული მოძრაობა/ გადაადგილება

ფრაზაში ‘unleash offensive’ კონცეპტუალური კავშირი მყარდება სამხედრო იერიშის დაწყებასა და მხედის აშვებას შორის. ანდერჰილი აღნიშნავს, რომ პირველად ამ კოგნიტური მეტაფორის ლინგვისტურ გამოვლინებას ადგილი ჰქონდა შექსპირის ტრაგედიაში „იულიუს კეისარი“, სადაც მარკ ენტონი აღნიშნავს “let loose the dogs of war”(Act 3, sc.1, 1.273 cited in Underhill 2003,144). კვლევის მიხედვით, შედარების აღნიშნული ტრადიციული კოგნიტური მოდელი მამაკაცებთან არის ძირითადად დაკავშირებული. ამ შემთხვევაში წყარო დომენია ‘მხეცი’. აღნიშნული წყარო დომენი არის შემდეგი მეტაფორის კოგნიტური საფუძველი “the wolf that ate Georgia”, სადაც მეომარი ქვეყანა, მისი სამხედრო ძალები გვევლინება, როგორც მხეცი- მგელი. ამ შემთხვევაში სახეზეა მტრის დეჰუმანიზაცია.

მეპინგი: ომი, როგორც მხეცი

<u>წყარო დომენი- მხეცი</u>		<u>სამიზნე დომენი - ომი</u>
საშიში და გააფთრებული	→	მზადყოფნაში მყოფი მეომარიძალები/ ჯარისკაცები
ღვედის ახსნა	→	აგრესიული ძალა შეუბოჭავი ხდება

შემდეგი მნიშვნელოვანი ზოგადი წყარო დომენი არის 'ბუნებრივი კატასტროფა', რომელიც წარმოდგენილია შემდეგი ქვედომენებით: 'ცეცხლი', 'ვულკანი', 'ტორნადო/გრიგალი' და 'წყალდიდობა'. წყარო დომენი 'ცეცხლი' წარმოდგენილია შემდეგი ლინგვისტური მეტაფორით, „აალებული/ აგიზგიზებული საომარი მოქმედებები”, სადაც „საომარი მოქმედებები” სამიზნე დომენის „ომი” ლექსიკური ერთეულია. რაც შეეხება მეტაფორის წყარო დომენის დადასტურებას, ლექსიკურ ერთეულს „საომარ მოქმედებები” შესაძლებელია ჰქონდეს ლექსიკური ერთეულის „ცეცხლი” მსგავსი თვისებები. კოგნიტურ დონეზე საომარი მოქმედებები ცეხლივით შეიძლება გაძლიერდეს, ააღდეს/აგიზგიზდეს. თვისება, რომელიც „კონცეპტუალურ მეპინგს” უდევს საფუძვლად, არის ცეცხლის თვისება გაძლიერების, ინტენსივობის მომატების, რომელიც კოგნიტურ დონეზე ასოცირდება სამიზნე დომენტან „საომარი მოქმედებები”. უფრო მეტიც, ანდერჰილი გამოყოფს ლინგვისტურ მეტაფორას: „...to ignite a war”, სადაც ლექსიკური ერთეული “to ignite” თავის თავში მოიაზრებს კონცეპტუალურ კავშირს წყარო დომენტან „ცეცხლი” (2004:143). შესაბამისად, “ignite” და “flare up” სინონიმებია და ერთმნიშვნელოვნად მიუთითებს წყარო დომენტზე.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ზოგიერთი ურთიერთმიმართებანი ლინგვისტურ მეტაფორაში ცალსახაა წყარო დომენის დამოწმების თვალსაზრისით. ზოგიერთი კი, შეიძლება, რამდენიმე წყარო დომენის არსებობის შესაძლებლობას ქმნიდეს. ამის გამო, რელევანტური წყარო დომენის ძიებაში, რამდენიმე შესაძლო ვარიანტი გამოდის წინა პლანზე. აღნიშნულის გათვალისწინებით უნდა განვიხილოთ კონცეპტუალური შედარება სამიზნე დომენტს „გამწმენდი ოპერაცია” და სავარაუდო წყარო დომენტს შორის, რომელიც დაკავშირებულია ლექსიკურ ერთეულთან „გამორეცხვა”. შედარების წყარო შეიძლება იყოს „წყალდიდობა”, რომელსაც შეუძლია ობიექტების/საგნების დაკავებული ადგილიდან გამორეცხვა, ან „ანტისეპტიკი” (იოდი, პეროქსიდი), რომელიც საზიანო ბაქტერიებს გამორეცხავს ჭრილობიდან. აღნიშნული ორი შესაძლო წყარო დომენი გვთავაზობს ორ ალტერნატიულ კონცეპტუალურ მოდელს/ფრეიმს: **გამწმენდი ოპერაცია წყალდიდობაა და გამწმენდი ოპერაცია ანტისეპტიკია.**

სემანტიკურად, ლექსიკურ ერთეულს „წყალდიდობა“ გააჩნია ურყოფითი კონოტაცია, მაშინ როდესაც „ანტისეპტიკი“ უფრო პოზიტიურად არის დატვირთული, რადგან ის ჭრილობას წმენდს/ასუფთავებს. საქართველოს ომის კონტექსტიდან გამომდინარე „გამწმენდი ოპერაცია“ უფრო ახლოს დგას წყარო დომენთან „წყალდიდობა“, რომელიც ხეობიდან გამოდევნის საქართველოს მოსახლეობას. რუსეთის ინტერესებიდან გამომდინარე კი, ალტერნატიული კონცეპტუალური მოდელის მიხედვით, რუსმა ჯარისკაცებმა ანტისეპტიკით გამოდევნეს მათთვის არასაჭირო ხალხი ხეობიდან. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს კონტექსტის გათვალისწინებით რელევანტურია კოგნიტური მოდელი³: **გამწმენდი ოპერაცია წყალდიდობაა.**

მეტაფორა ‘cleansing operation’ პირველად გამოჩნდა ბოსნია-ჰერცეგვინას ომის დისკურსში, რაც გულისხმობს ხალხის იძულებით განდევნას მათი საცხოვრებელი ადგილიდან. ამ მნიშვნელობიდან გამომდინარე, კონცეპტუალურად იგი ახლოს დგას ფრაზასთან ‘flush out’, რომელიც მსგავს მოქმედებას აღნიშნავს. ამიტომ აღნიშნული ფრაზაც გავაერთიანეთ წყარო დომენში ‘წყალდიდობა’, რომელიც ზოგადი დომენის ‘ბუნებრივი კატასტროფა’ ქვედომენია.

ზოგადი დომენის ‘ბუნებრივი კატასტროფა’ შემდეგი ქვედომენია ‘ვულკანი’. აქ განვიხილავთ ფრაზას ‘war erupted’. ზმნა ‘erupt’/ამოფრქვევა გვამლევს რამდენიმე წყარო დომენის არსებობის ალბათობას, რადგან “active volcano”, “geyser”, “tooth” და “rash” შესაძლებელია ხასიათდებოდეს მოქმედებით “erupt”. შესაბამისად ოთხი კონცეპტუალური მოდელი გვექნება: *‘საომარი მოქმედებები, როგორც აქტიური ვულკანი/გეიზერი/გამონაყარი/კბილი’*.

ლინგვისტური მეტაფორის ლექსიკური ერთეული "erupt" ძირითადი მნიშვნელობით ასახავს აქტიური ვულკანის ამოფრქვევის პროცესს. კოგნიტურ დონეზე „აქტიური ვულკანი“ წყარო დომენია, რომელიც განსაზღვრავს სამიზნე

³ ჯორჯ ლაკოვი [2002] აღნიშნავს, რომ მეტაფორა ფუნქციონირებს როგორც კონცეპტუალური მოდელი (*ფრეიმი*) და შესაბამისად გავლენას ახდენს ადამიანების განზრახვებზე, დამოკიდებულებებზე და მოქმედებებზე.

დომენს „ომი“ კონცეპტუალური მეპინგის მიხედვით. აქტიური ვულკანის თვისება ამოიფრქვეს კრიტიკული წერტილის მიღწევის შემდეგ გაიგივებულია საომარი მოქმედებების წამოწყებასთან რეგიონში, რომელიც მხარეებს შორის დაძაბულობის ზღვრული მომენტისას იჩენს თავს. სახეზე გვაქვს ტექსტთან ბმული ტრადიციული მეტაფორა.

ომს მოაქვს ნგრევა, დესტრუქცია და სიკვდილი; მისი დაწყება განპირობებულია რეგიონში დაძაბულობის კრიტიკულ ზღვრამდე მისვლით მსგავსად აქტიური ვულკანისა, რომელიც ამოიფრქვევა მაშინ, როდესაც ლავის წნევა კრიტიკულ ნიშნულს მიაღწევს. მეორე ანალოგიური თვისება, რაც ლექსიკურ ერთეულებს „აქტიური ვულკანი“ და „ომი“ აკავშირებს, არის მათი გამანადგურებელი ძალა. ამიტომ საფრთხეები, რომელსაც საომარი მოქმედებები განაპირობებენ, უმეტესწილად, ასოცირებულია „აქტიურ ვულკანთან“, ვიდრე ლექსიკურ ერთეულებთან: „გეიზერი“, „კბილი“ და „გამონაყარი“.

შემდეგი წყარო დომენი უნდა გამოვყოთ მეტაფორულ ფრაზაში “*violence could quickly spiral out of control*”. ლექსიკური ერთეული, რომელიც განხილვას საჭიროებს არის ზმნა “spiral”, რომელიც მეტაფორულ ურთიერთმიმართებას განაპირობებს. სავარაუდო წყარო დომენები, რომლებმაც შეიძლება იტვირთონ შედარების წილი აღნიშნულ კონტექსტში, არის ლექსიკური ერთეული „ტორნადო /გრიგალი“, „თვითმფრინავი“ ან „მანქანა“ (გადასაადგილებელი საშუალება). ფრაზა “spiral out of control” ძირითადად ითქმის გადასაადგილებელ საშუალებებზე, როდესაც პილოტი ან მძღოლი მათ ვერ იმორჩილებს და ისინი უკონტროლო წრიულ მოძრაობას იწყებენ. ლიტერატურაში მოიძიება მაგალითები, რომლებიც აღნიშნულ ფრაზას ტორნადოსთან მიმართებაში აფიქსირებენ: “she felt as if a *tornado had settled deep in the pit of her stomach and was just starting to spiral out of control*” (Arthur 2008,97), ასევე “*I am a Tornado. Sometimes life situations cause me to spiral out of control*” (Heitz 2014) და “*The Red Tornado whizzed out of control over the jungle canopy*” (Wood 2011,18).

როგორც ჩანს, არჩევანი უნდა გაკეთდეს შემდეგ ორ კონცეპტუალურ მოდელს/ჩარჩოს შორის: **ომის ძალადობა ტორნადოა/გრიგალია** ან **ომის ძალადობა კონტროლოდან გამოსული თვითმფრინავი/მანქანაა**. სიტყვის სემანტიკიდან

გამომდინარე თუ ვიმსჯელებთ, ყურადღებას გავამახვილებთ ომის გამანადგურებელ ძალაზე, რომელიც საცხოვრებელ გარემოს და ხალხს ტორნადოსავით დაატყდება თავს და მასობრივ განადგურებას იწვევს. აღნიშნული კონტექსტი გვკარნახობს ანალოგიაზე დაფუძნებულ კავშირს ომის ძალადობას და ტორნადოს/გრიგალს, როგორც კონცეპტუალური მეტაფორის წყარო დომენს შორის. შესაბამისად, *ომის ძალადობა ტორნადოა/გრიგალია* ტრადიციული კონცეპტუალური მეტაფორაა.

და ბოლო მეტაფორა, რომელსაც კონცეპტუალური მოდელის დადგენის მიზნით გავანალიზებთ, არის *“the death rain”*. სტრუქტურულად, აღნიშნული არის სახელური მეტაფორა, რომელსაც განსაზღვრავს დამხმარე კონცეპტი “death” და ტექსტში ჩანაცვლებს კონცეპტუალური შედარების სამიზნე ლექსიკურ ერთეულს ‘ტყვიები’. სახელური მეტაფორების შემთხვევაში, თითქმის ეჭვგარეშეა, რომ აღნიშნული სახელური ფრაზა კონცეპტუალური მეტაფორის წყარო დომენია.

საომარი მოქმედებები და, შესაბამისად, ომის ლექსიკური დომენი ტიპურად დაკავშირებულია ლექსიკურ ერთეულთან ‘ტყვია’/‘ტყვიები’. აღნიშნულ კონტექსტში „ტყვიები“ ხალხისკენ სიკვდილის და უბედურების მომტანი წვიმასავით მოემართება.

ქვედომენები ‘ვულკანი’, ‘ცეცხლი’, ‘ტორნადო’ და ‘წყალდიდობა’ მეპინგის საფუძველზე შესაძლებელია გავაერთიანოთ ზოგად წყარო დომენში ‘ბუნებრივი კატასტროფა’(ცხრილი 2, გვ.84). შესაბამისად, *ომი აქტიური ვულკანია, ომი ცეცხლია, ომი ტორნადოა* და *ომი წყალდიდობაა* არის ტექსტთან-ბმული კონცეპტუალური მეტაფორები, რომლებიც დისკურსთან-ბმულ კონცეპტუალურ მეტაფორაში ერთიანდება: *ომი ბუნებრივი კატასტროფაა*.

მეპინგი: ომი, როგორც ბუნებრივი კატასტროფა	
<u>წყარო დომენი-ბუნებრივი კატასტროფა</u>	<u>სამიზნე დომენი - ომი</u>
ვულკანის ამოფრქვევა	→ დაძაბულობა კრიტიკულ ნიშნულს აღწევს
ტორნადოს დამანგრეველი ძალა	→ ომის ძალადობა
თავსხმა წვიმა	→ ტყვიები, ყუმბარები
წყალდიდობა	→ სამხედრო, გამწმენდი ოპერაცია

კონცეპტუალური მეტაფორის წყარო დომენი 'თავდაცვა' რეალიზებულია შემდეგი ლინგვისტური ვარიაციებით: “safeguard lives” (ზმნური მეტაფორა), “retaliatory fire” (სახელური მეტაფორა), “respond to the threats”(ზმნური მეტაფორა) (ცხრილი 2, გვ.84). ლექსიკური ერთეულები ‘safeguard’, ‘retaliatory’ და ‘respond’ ორაზროვნების გარეშე ხაზს უსვამენ ომის თავდაცვით და არა დესტრუქციულ მხარეს, რაც თავის მხრივ მიუთითებს კონცეპტუალურ მეტაფორაზე **ომი თავდაცვაა**. თავდაპირველად აღნიშნული კონცეპტუალური მეტაფორა გამოჩნდა ანდერჰილის კვლევაში ერაყის ომის შესახებ (2003:142) შემდეგი ლინგვისტური ვარიაციების სახით: *“(George Bush) has rewritten America’s security doctrine around the notion of pre-emption, so that he can confront the worst threats before they emerge”* და *“France and Germany both worried about America’s claim to a right pre-emptive action to deal with new threats from terrorism and weapons of mass destruction”*.

მეპინგი: ომი, როგორც თავდაცვა

<u>წყარო დომენი-თავდაცვა</u>	<u>სამიზნე დომენი - ომი</u>
საფრთხის წინააღმდეგ მედეგობა	→ სამხედრო მოქმედებები მტრის წინააღმდეგ
ვიღაც/რადაც, ვინც/რაც იცავს	→ ქვეყნის შეიარაღებული ძალები
დაცვის რესურსები	→ უსაფრთხოების დოქტრინა

რაც შეეხება ომის როგორც ‘დანაშაულის’ კონცეპტუალიზაციას, შემდეგი მეტაფორული გამოთქმები ახდენენ მის რეალიზაციას ‘violate territorial integrity’ (ზმნური მეტაფორა), ‘campaign of killing’ (არსებითული მეტაფორა). ლექსიკური ერთეულის ‘violate’ ძირითადი მნიშვნელობაა “to go against or refuse to obey a law, disturb or not respect someone’s privacy”. აღნიშნული ომის კონტექსტის გათვალისწინებით კი აღნიშნავს ერთი ქვეყნის სამხედრო ძალების მეორე ქვეყნის ტერიტორიაზე უკანონო შეღწევას, რაც გამოთქმას მეტაფორულს ხდის. რაც შეეხება ლექსიკურ ერთეულს ‘campaign’, მისი ძირითადი მნიშვნელობაა “a series of planned activities to achieve a particular social, commercial or political aim”. როგორც ვხედავთ, ძირითადი დენოტატიური მნიშვნელობა დადებითია. თუმცა, ლექსიკური ერთეული ‘killing’ მას უარყოფითი კონოტაციით ტვირთავს. სახეზე გვაქვს ორი ტექსტთან

ბმული კონცეპტუალური მეტაფორა: *სამხედრო იერიში ტერიტორიული მთლიანობის დარღვევაა* და *სამხედრო იერიში მკვლელობის კამპანიაა*, რომლებიც ომის კრიმინალურ მხარეს წარმოაჩენენ. შედეგად მეპინგის საფუძველზე აღნიშნული ტექსტთან ბმული კონცეპტუალური მეტაფორები ერთიანდება დისკურსთან ბმულ კონცეპტუალურ მეტაფორაში: *ომი დანაშაულია*.

მეპინგი: ომი, როგორც დანაშაული

<u>წყარო დომენი-დანაშაული</u>	<u>სამიზნე დომენი - ომი</u>
დამნაშავენი	→ ქვეყანაში შემოჭრილი სამხედრო ძალები
შენობაში უკანონო შეღწევა	→ ქვეყანაში უკანონო შეღწევა
პატივყრილი მსხვერპლი	→ ტერიტორიული ერთიანობის შეზღავანვა

კვლევის მიხედვით გამოვავლინეთ წყარო დომენი, რომელიც ომს ადარებს თავგადასავალს, რაც ფაქტობრივად ზემოთ აღნიშნული დომენის საწინააღმდეგოა (ცხრილი 2, გვ.84). აქ ყურადღებას ვამახვილებთ ფრაზებზე “**adventure** in assault” (სახელური მეტაფორა), “cope with the **challenges**” (სახელური მეტაფორა), “sheepish **heroes**” (სახელური მეტაფორა), რომლებიც შემდეგ ტექსტთან ბმულ კონცეპტუალურ მეტაფორებზე მიუთითებს: *თავდასხმა თავგადასავალია, სამხედრო ინტერვენცია გამოწვევაა, სამხედროები ბრძოლაში გმირები არიან*. ამ შემთხვევაში კონცეპტუალური კავშირი მყარდება თავგადასავლის გამოწვევასა და სამხედრო იერიშს შორის, ასევე გმირებსა და მეომრებს შორის, რომელიც მეპინგის მიხედვით გვამღვს ზოგად დისკურსთან ბმულ მეტაფორას: *ომი თავგადასავალია*.

მეპინგი: ომი, როგორც თავგადასავალი

<u>წყარო დომენი-თავგადასავალი</u>	<u>სამიზნე დომენი - ომი</u>
თავგადასავლის მოყვარული	→ მეომარი
გამოწვევები	→ სტრატეგიული ინტერესები
თავგადასავლის ძიება	→ თავდასხმა
სათავგადასავლო ადგილები	→ მეომარი ქვეყნის ტერიტორიები

შემდეგი წყარო დომენი, რომელიც წარმოდგენილია ცხრილში 2, არის 'პრობლემა/ამოცანა', რომელიც შემდეგი ლინგვისტური მეტაფორებით არის რეალიზებული: "solution to the current crisis"(არსებითული მეტაფორა), "resolve the conflict" (ზმნური მეტაფორა). ლექსიკური ერთეულები, რომლებიც გაანალიზებას საჭიროებს არის 'solution' და 'resolve', რომელთა ძირითადი მნიშვნელობაა 'to find a method or process of dealing with a problem'. აღნიშნულ კონტექსტში კი 'პრობლემის/ამოცანის' თვისებები მიეწერება 'ომს', რომელიც რთული ამოცანის მსგავსად ამოხსნას/გადაჭრას საჭიროებს, რომ ქვეყანა საომარი კრიზისიდან გამოვიდეს. მეტაფორული ერთეულები ცალსახად მიუთითებენ წყარო დომენზე "პრობლემა/ამოცანა".

მეპინგი: ომი, როგორც პრობლემა/ამოცანა

<u>წყარო დომენი-პრობლემა/ამოცანა</u>	<u>სამიზნე დომენი - ომი</u>
ადამიანი, რომელიც ამონახსენს პოულობს	→ მთავრობა/ სამხედრო ძალებია ჩართული პროცესში
ლოგიკური აზროვნებაა საჭირო	→ სტრატეგიული აზროვნებაა საჭირო
სირთულე	→ კრიზისი

როგორც ჩანს, კონცეპტუალური მეპინგის საფუძველზე სამიზნე დომენი "ომი" მრავალი წყარო დომენით არის წარმოდგენილი, რომელიც აღნიშნული კონცეპტის რელიზაციას სხვადასხვა კოგნიტური მოდელის-კონცეპტუალური მეტაფორის სახით ახდენს. საკვლევი საკითხის თემატიკიდან გამომდინარე შემდეგ ქვეთავში წაროდგენილია ამ თავში განხილული კონცეპტუალური მეტაფორების კავშირი, ურთიერთმიმართება გენდერთან.

3.2.3. ომის კონცეპტუალური მეტაფორების დისკურსული სისტემატიურობა

კვლევამ გვიჩვენა, რომ ომის კონცეპტუალიზაციის მეტაფორული მოდელების გარკვეული წყარო დომენები ძირითადად ასოცირებულია მამაკაცების დისკურსთან. ეს წყარო დომენებია *სპორტი/თამაში*, *თავდაცვა*, *თავგადასავალი* და *მხეცი*. მეტაფორული გამოთქმების სიხშირე სხვადასხვა წყარო დომენტან მიმართებაში წარმოდგენილია ცხრილში 3.

ცხრილი 3. სხვადასხვა წყარო დომენების მეტაფორული პროდუქტულობა გაზეთის *The Georgian Times* მასალის მიხედვით

წყარო დომენები	მეტაფორების ვარიაციები/ ტიპები		მეტაფორული ტოკენები (სრული რაოდენობა)		mTTR		მეტაფორული სიხშირე	
	მამაკაცი	ქალი	მამაკაცი	ქალი	მამაკაცი	ქალი	მამაკაცი	ქალი
<i>თამაში/სპორტი</i>	8	-	25	-	0.32	-	0.86	-
<i>თავდაცვა</i>	4	-	8	-	0.5	-	0.28	-
<i>დანაშაული</i>	2	1	5	1	0.4	1	0.17	0.04
<i>პრობლემა</i>	2	1	9	2	0.22	0.5	0.31	0.07
<i>თავგადასავალი</i>	3	-	10	-	0.3	-	0.35	-
<i>მხეცი</i>	2	-	6	-	0.3	-	0.21	-
<i>ბუნებრივი კატასტროფა</i>	5	10	10	28	0.5	0.36	0.35	0.98
	26	12	73	31	0.36	0.39	2.52	1.09

თუმცა, მეტაფორული TTR გვიჩვენებს (ცხრილი 3), რომ ქალისა და მამაკაცის დისკურსის ლექსიკური მრავალფეროვნება თითქმის თანაბარია (0.39 და 0.36 შესაბამისად). მიუხედავად ამისა, ცალკეულ წყარო დომენებს თუ გავანალიზებთ, მამაკაცების დისკურსი უფრო მრავალფეროვანია ლექსიკურად გარკვეული კონცეპტუალური მოდელების მხრივ, როგორცაა *თამაში/სპორტი*, *თავდაცვა*, *დანაშაული*, *პრობლემა*, *თავგადასავალი* და *მხეცი*.

ზოგადი დომენი *ბუნებრივი კატასტროფა* რამდენიმე ქვედომენს აერთიანებს (ტექსტთან ბმული კონცეპტუალური მეტაფორა). ქვედომენი *წყალდიდობა* კი ძირითადად ასოცირებულია ქალის დისკურსთან. ბუნებრივი კატასტროფის სხვა ქვედომენები მეტნაკლებად გაზიარებულია მამაკაცების დისკურსში; თუმცა, ნაკლები სიხშირით.

მეტაფორული სიხშირე მიუთითებს, რომ მამაკაცის დისკურსში ჭარბობს კონცეპტუალური მეტაფორები წყარო დომენით *თამაში/სპორტი* (1000 სიტყვაზე 0.86), ხოლო ქალის დისკურსში ჭარბობს კონცეპტუალური მეტაფორები წყარო დომენით *ბუნებრივი კატასტროფა* (1000 სიტყვაზე 0.98). რაც შეეხება ზოგად სიხშირეს, მამაკაცის დისკურსი თითქმის ორჯერ უფრო მეტად არის დატვირთული ომის მეტაფორებით ვიდრე ქალის (2.52 და 1.09 შესაბამისად). მიუხედავად ამისა, ლექსიკური მრავალფეროვნება თითქმის თანაბარია.

3.2.4. BYU კორპუსის მონაცემები

კვლევამ გამოავლინა ქალისა და მამაკაცის მიერ რეალობის აღქმის განსხვავებული ტენდენციები, რომელიც, ვფიქრობთ, რომ გენდერის ზეგავლენით არის განპირობებული. 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის ამსახველი კონცეპტუალური მეტაფორების ანალიზი გვიჩვენებს, რომ მამაკაცები კონცეპტუალურ დონეზე ომს უმეტესწილად ადარებენ თამაშს და სპორტს, ხოლო ქალები კი კატასტროფას და უბედურებას. BYU კორპუსის მონაცემები, რომელიც კვლევის შედეგების გამყარებისთვის და განზოგადებისთვის გამოვიყენეთ, ხაზს უსვამს ტექსტის შემქმნელის მიერ რეალობის აღქმის განსხვავებულ, საპირისპირო ასპექტებს გენდერთან მიმართებაში.

ცხრილი 4 (გვ.96) წარმოგვიდგენს მეტაფორულ გამონათქვამებს, რომლებიც სხვადასხვა წყარო დომენების მიხედვით არის დალაგებული. მეტაფორული სიხშირეები კი წარმოდგენილია BYU კორპუსის შემადგენელი 5 ქვეკორპუსის მონაცემებზე დაყრდნობით: COCA, COHA, NOW, GLOBWE და BNC. აღნიშვნები გულისხმობს: m-მამაკაცთან ასოცირებულ მეტაფორული გამოთქმების სიხშირეს,

f-ქალთან ასოცირებულ მეტაფორების სიხშირეს და n- კი ლექსიკურ ერთეულებს მეტა მონაცემების გარეშე.

ცხრილი 4. წყარო დომენები BYU კორპუსის მონაცემებში

წყარო დომენი	მეტაფორა	COCA			COHA			NOW			GLOBWE			BNC		
		m	F	N	M	F	n	M	F	n	m	F	n	m	f	n
game/ sport	war play*	6	2	-	39	2	-	231	18	18	81	-	35	5	-	-
	zero sum game	78	12	-	18	1	-	388	26	123	363	21	78	17	-	-
	war is a game	-	-	-	10	-	-	7	-	1	7	-	3	-	-	-
Crime	violat* territorial integrity	-	-	-	-	-	-	4	-	-	3	-	-	-	-	-
	campaign of killing	4	-	1	-	-	-	26	4	7	3	-	2	-	-	-
Problem	resolve conflict/ war	6	16	3	11	-	-	1	-	-	-	1	-	3	1	1
	solution to war	-	-	-	-	-	-	4	2	-	1	2	3	-	-	-
Beast	unleash war/offensive	1	-	-	1	-	-	14	-	-	2	-	3	2	-	-
Defense	defense campaign	2	1	-	1	-	-	16	-	5	4	-	-	1	1	2
	retaliatory fire	2	-	-	-	-	-	275	5	64	22	-	11	1	-	-
	safeguard lives	3	-	-	-	-	-	141	6	16	9	-	4	1	-	-
natural disaster	war erupt*	18	8	8	8	4	3	64	151	391	14	19	85	2	3	9
	war spill* over	-	1	-	-	-	-	11	11	19	4	10	7	1	-	-
	rain of death	-	1	-	4	2	2	2	1	2	2	5	1	1	-	-
	violence spiral* out	1	-	-	-	-	-	6	8	12	1	6	5	-	-	-
	hostilities flare* up	1	-	-	1	-	1	3	3	-	1	-	1	-	-	-
	soldiers flush* out	-	-	-	-	-	-	2	1	-	-	-	-	-	-	-
	torrent of refugees	10	2	-	8	4	3	6	2	-	16	36	25	2	-	4
	cleansing operation	-	-	-	-	-	-	16	10	24	4	5	6	1	-	1

BYU კორპუსში, კვლევის შედეგად გამოვლენილ მეტაფორებთან ერთად (ცხრილი 4, გვ.96) აღმოჩნდა მეტაფორული გამოთქმა “war is a game...”. ამ შემთხვევაში სხვადასხვა ლინგვისტური ინტერპრეტაციების კოგნიტური საწყისი „ჩაკერებულია” დისკურსში, როგორც პირდაპირი კონცეპტუალიზაცია, როგორცაა კლაუზვიცის მეტაფორა “War is politics pursued by other means”. დისკურსში პირდაპირი კონცეპტუალიზაციის დროს მეტაფორის წყარო და სამიზნე დომენი ვერბალურად არის მოცემული, რომლებიც ერთმანეთს ზმნით “to be” უკავშირდება. კოგნიტური მეტაფორის პირდაპირი დისკურსული კონცეპტუალიზაცია გვხვდება შექსპირთანაც. მაგ. *“All the world's a stage, And all the men and women merely players;”* ასეთ შემთხვევებში ლინგვისტური ვარიაციები კი არ გვაქვს, არამედ წყარო და სამიზნე დომენი თვალნათლივ ჩანს ფრაზაში (წყარო დომენი - stage, player, სამიზნე დომენი - world, men/women).

ცხრილი 5. კონკორდანსი WAR IS A GAME (COHA)

The screenshot shows the COHA website interface. The search bar contains the text "war is a game". The results table below shows 10 entries with columns for ID, Year, Genre, Source, and the context of the phrase.

ID	Year	Genre	Source	Context
1	1832	MAG	NorthAmRev	philosophy on this subject is contained in the words of Cowper; War is a game, which, were
2	1835	NF	EssayOnRateWages	such a curse as to the labourers. " Senior. u War is a game, which, were their subjects wise,
3	1837	FIC	LettersLuciusM	about to extend their dominion over new territories, and to whom war is a game of pleasur
4	1839	MAG	USDemRev	main cause of war and the mode of removing it, that war is a game which, if nations were v
5	1843	FIC	LettersFromNew-	to inspire terror, which leads to the execution of spies. War is a game, in which the devil pla
6	1856	FIC	EutawASequelThe	. We are strong, and will make good fight; but war is a game of great uncertainty. Panics are
7	1889	MAG	NorthAmRev	and Washington in the Peninsula. There are some who think that war is a game of pure che
8	1904	MAG	Nation	truths, happy will Peace Congresses be if they boldly utter them War is a game which kings
9	1981	FIC	LionIreland	had you for his dinner. Idiot child, do you think war is a game for babies to play?" The exub
10	1981	FIC	LionIreland	had you for his dinner. Idiot child, do you think war is a game for babies to play?" The exub

ცხრილი 6. კონკორდანსი WAR IS A GAME (GLOWBE)

The screenshot shows the GloWbE interface with a search bar and navigation tabs for SEARCH, FREQUENCY, and CONTEXT. Below the search bar, there are options to 'CLICK FOR MORE CONTEXT', 'SAVE LIST', 'CHOOSE LIST', and 'CREATE NEW LIST'. The main table displays 10 search results, each with a row number, language code, domain, and a snippet of text containing the search term 'war is a game' highlighted in green.

Row	Language	Domain	Text Snippet
1	BD B	wereviewer.com	like.' Because for them, for most children in the world today, war is a game , so they like it. And this movie, because they
2	GB G	ppu.org.uk	going out on a war party. # In many parts of the world, war is a game in which the individual can win counters - counter
3	GB B	order-order.com	the Pallie accusations of indiscriminate Israeli bombing of civilian targets? # Casual Observer thinks war is a game or is
4	HK G	home.mira.net	by travel ". # Military: what is the epistemology of the Conqueror? War is a game of wits for the general, it is not a physi
5	IE G	...hreads-of-aether.net	penis (except by proxy, and that doesn't count). Gears of War is a game aimed squarely at the male demographic who l
6	IN G	...sharewarecentral.com	country's destiny: suffers... # Stargate Empire at War 1.0 Stargate Empire at War is a game mod for Stargate fans. This i
7	PK G	inter-islam.org	Before going away, he shouted as loudly as he could: 'Assuredly, war is a game of chance. This day avengeth the day of
8	US G	codeofhonor.com	than the unit AI. # Pawe? Stuglik # First of all, Brood War is a game of strategy moreso than StarCraft 2. The only match
9	US G	rense.com	shattered.14 # Churchill and Roosevelt knew what was going on. Churchill bragged that " War is a game that has to be j
10	US B	vg247.com	, is something I don't understand and is incredibly distasteful. # Gears of War is a game of excessive violence and very lit

ზემოთ ხსენებულის მნიშვნელოვანი მაგალითები მოვიპოვეთ ქვეკორპუსში COHA (ცხრილი 5, გვ.97):

“War is a game of pleasure, rather than dark hazard” (N3)

“War is a game of pure chance, in which great leaders form their plans on some unintelligible inspiration” (N7).

“War is a game, which, were their subjects wise, Kings would not play at” (N1-უილიამ კუპერი).

ქვეკორპუსში GLOBWE (ცხრილი 6, გვ.98) წარმოდგენილია შემდეგი მაგალითები:

In many parts of the world, war is a game, in which the individuals can win counters - counters which bring him prestige in the eyes of his own sex; he plays for these counters as he might, in our society, strive for a tennis championship. Then proving oneself a man and proving this by success norganized killing due to a definition which many societies have made manliness (N2)

“*War is the game of the wits for the general*” (N4-სამხედრო უნარების მიმართ დეკარტისეული მიდგომა).

“*War is a game of strategy fought between generals, and soldiers are unwitting participants*”(N 8- პატრიკ ვიატი, ჟურნალისტი).

და ჩერჩილის ფრაზა: “*War is a game that is played with a smiling face, if you can't smile, grin, keep out of the way till you can*”(N9).

ცხრილი 7. კონკორდანსი WAR IS A GAME (NOW).

The screenshot shows the NOW Corpus interface with search results for 'WAR IS A GAME'. The interface includes a search bar, navigation tabs (SEARCH, FREQUENCY, CONTEXT), and a table of results. The table columns are: Rank, Date, Country, Source, and Text. The text column contains snippets from various news sources, with 'War is a game' highlighted in green.

Rank	Date	Country	Source	Text
1	16-10-29	AU	Kotaku Australia	the next the map resets as if nothing was lost. Everything is consequence-free. War is a game. # After
3	16-09-29	IN	Hindustan Times (1)	. But, as Lieutenant General HS Panag reminded us on Thursday, "war is a game of chess". And the t
4	16-04-09	IE	The42	8160439 War Is A Game (But Still Hell
5	14-10-26	AU	The Conversation UK	7 fer. # At first, this is an unreflecting patriot for whom the war is a game played according to rules ac
6	13-08-21	ZA	Mail & Guardian Online	469499 # Winston Churchill once said that war is a game that is played with a smile. " If you can't.
7	13-02-09	AU	Kotaku Australia	real shame, because Berserk: Millennium Falcon Arc: Chapter of the Holy Demon War is a game talio
8	12-05-23	US	WNYC	these weapons have the potential to pollute the earth for a very long time... War is a game where ind

ქვეკორპუსში NOW (ცხრილი 7):


“*War is a game of chess*”(N3- ინდოელი გენერალი),

“*War is a game played according to rules accepted by both sides... We are sportsmen not butchers, we shoot down planes, not pilots*” (N5 - პირველი მსოფლიო ომის წითელი ბარონი, მანფრედ ფონ რიხტჰოფენი).

“*War is a game tailor-made for fans of berserk*” (N 7- რიჩარდ აიზენბაისი, ჟურნალისტი).

კონცეპტუალური მეტაფორების გენდერთან ასოცირებული სიხშირეების დათვლის მიზნით ყველა ქვეკორპუსის მონაცემები სხვადასხვა წყარო დომენის გათვალისწინებით შევკრიბეთ, რაც წარმოდგენილია დიაგრამაში 1 (გვ.100). მამაკაცის დისკურსისთვის ჭარბი კონცეპტუალური კონცეპტუალური ფრეიმებია „ომი სპორტია/თამაშია“ და „ომი თავდაცვაა“, რომლებიც სხვადასხვა ლინგვისტური ვარიანტების საფუძველს წარმოადგენს (ცხრილი 4, გვ.96). ქალის დისკურსში კი ჭარბობს შემდეგი კონცეპტუალური ფრეიმი „ომი ბუნებრივი კატასტროფაა“.

დიაგრამა 1. ომის მეტაფორული გამოთქმების სიხშირეები BYU კორპუსში სხვადასხვა წყარო დომენის მიხედვით



3.2.5. ქართული ენის ეროვნული კორპუსის (ქეეკ - GNC) მონაცემები

ჩვენ კვლევაში ჩავრთეთ ქართული ენის ეროვნული კორპუსის რეფერენციალური ქვეკორპუსის კონკორდანსის მასალა, რომელიც რელევანტურია მედია ტექსტების ანოტირების თვალსაზრისით და ამასთანავე შედარებისთვის და განზოგადებისთვის საგულისხმო შედეგებს გვაძლევს.

ქეეკ-ში, ისევე როგორც ინგლისური ენის კორპუსში, მოვიძიეთ კონცეპტუალური მეტაფორების წყარო დომენების ცენტრალური ლექსიკური ერთეულები ლემების სახით. ლემებს არ გააჩნია მეტამონაცემები გენდერის მიხედვით, ამიტომ ქართული ენის რეფერენციალური კორპუსის მონაცემებიც კონტექსტუალურად შევისწავლეთ. ლემები გამუქებულია და თან ახლავს პუნქტუაციის ნიშნები ისე, როგორც კორპუსის საძიებელ ველში აღინიშნება.

1) წყარო დომენი თამაში/სპორტი

პირველი მარტივი ლემა, რომელიც კორპუსში შევისწავლეთ არის **"გამბიტ.*"** (რთული ძიება). კონკორდანსმა აღნიშნული ლემის 73 შემთხვევა გვიჩვენა, საიდანაც პოლიტიკური კონტექსტი აქვს 70 შემთხვევას (61 შემთხვევა მამაკაცის დისკურსში გვხვდება, 1 კი-ქალის, 8-ს კი არ ახლავს მეტამონაცემი)

მაგალითი 1

„დასავლეთი უნდა განთავისუფლდეს აპათისაგან, **დაგმოს პუტინის გამბიტი** და მხარდაჭერა გამოუცხადოს საქართველოს სამშვიდობო წინადადებებს. მოსკოვის მიერ ტერიტორიების საბჭოთა სტილში მიტაცების იგნორირება კიდევ უფრო გამწვავებს განხეთქილებას სამხრეთ კავკასიაში” – წერს მარტ ლაარი

[GRC -tavisupleba/content/article/1557355]

მაგალითი 2

„რადიო „თავისუფლების” დიპლომატიურმა კორესპონდენტმა აპტო ლობიაკასმა სარკოზის ნაბიჯი ნაწილობრივ „მოურიდებელ ბლეფად”, ნაწილობრივ კი **„ჩახლართულ სამართლებრივ გამბიტად”** დაახასიათა.

[GRC- tavisupleba/content/article/1560354]

მაგალითი 3

„ბატონ პუტინის *ბოლო გამბიტი ეს არის პრეტენზია*, რომ ის იცავს სილიაღეს რუსეთისას, რომელსაც მტრები ახვევია. მას შემდეგ, რაც პუტინის შეტევა უკრაინაში ჩაიფუშა, მას დასჭირდა ახალი ფრონტი, რაც სირიასა და გაეროში გახსნა”, – წერს გარი კასპაროვი „უოლ სტრიტ ჯოურნალში” გამოქვეყნებულ სტატიაში, რომელშიც აკრიტიკებს ბარაკ ობამას არათანამიმდევრულ და გაუბედავ პოლიტიკას სირიის საკითხში, რასაც შედეგად მოჰყვა „ისლამისტური სახელმწიფოს” გააქტიურება სირიასა და ერაყში.”

[GRC - tavisupleba2015/content/siriis-dilema/27281717]

მაგალითი 4

„რუსეთი: კავკასიური გამბიტი” - სტივენ ლარაბი

[GRC - opentext-old/24hours/2005/053/053-029]

მაგალითი 5

“*შუამდინარული გამბიტი*: დაპირისპირება ერაყში – ბზარი მუსლიმურ ერთიანობაში” ნიკა თარაშვილი

[GRC - opentext-old/24hours/2006/040/040-002]

მაგალითი 6

“ეს ერთ საათში როდი მოხდება, მაგრამ დროთა განმავლობაში რუსეთს მოუწევს სულ უფრო ღრმად დაიწყოს სანგრების თხრა, რის შედეგადაც აღმოჩნდება კიდევ უფრო დიდ იზოლაციაში, გახდება უფრო საშიში და ნაკლებად კეთილსაიმედო. ყველა ჩამოთვლილი მიზეზის გამო რუსეთისათვის გონივრული იქნებოდა *კიდევ ერთხელ ღრმად მოეფიქრებინა პუტინის ქართული გამბიტი*. თუ ის ყურს უგდებს ამ რჩევას, ჩვენი მხრიდან გონივრული იქნებოდა კიდევ ერთხელ დავფიქრებულობით, თუ საითმივეყვართ ჩვენს პოლიტიკას რუსეთთან ურთიერთობაში – და ნამდვილად გვსურს 21-ე საუკუნეში რუსეთის შეკავება ზუსტად ისე, როგორც მე-20 საუკუნის უდიდეს ნაწილში ვეწეოდით საბჭოთა კავშირის შეჩერებას.”- ტომას ლ. ფრიდმანი

[GRC - opentext-old/sakartvelos-respublika/2008/157/157-023]

ზემოაღნიშნული წყარო დომენის დისკურსში რეალიზაციას შემდეგი ლემები ახდენს: "**მოთამაშ.***" "**რუსეთი**". კონკორდანსმა სამი შემთხვევა მოგვცა, 1 მამაკაცის დისკურსში, 2 მეტა მონაცემის გარეშე.

მაგალითი 7

“კოსოვოსგან განსხვავებით, საქართველოს სეპარატისტულ რეგიონებში არსებობს მესამე მოთამაშე – რუსეთი, რომელიც ხელს უწყობდა, როგორც სეპარატიზმის გაძლიერებას, ასევე დღევანდელი მყიფე პოსტკონფლიქტური სტატუს კვოს შენარჩუნებას.” - ზენიო ბარანი

[GRC - opentext-old/24hours/2006/109/109-003]

აღნიშნულ წყარო დომენში ასევე მოიაზრება ლემები “რუსული” “რულეტი”. კონკორდანსის 6 შემთხვევიდან პოლიტიკური კონტექსტი გააჩნდა 5 შემთხვევას, რომელიც მამაკაცის დისკურსთან არის ასოცირებული.

ლემების ერთობლიობა “თამაში” “ნულოვანი” “ჯამით” წარმოდგენილია მამაკაცის დისკურსთან ასოცირებული 2 შემთხვევით.

მაგალითი 8

დემურ გიორხელიძე: *„კავკასიაში პოლიტიკური თამაში ნულოვანი ჯამით მიმდინარეობს“*

[GRC- opentext-old/resonance/2006/027/027-019]

ლემები “საშიში” “თამაში” წარმოდგენილია 13 შემთხვევით. 10 მამაკაცის დისკურსში, 2 მეტამონაცემის გარეშე და 1 ქალის დისკურსში.

მაგალითი 9

„ჩვენ ვიცით ისტორიიდან, რომ თუ სადმე „შპიონომანია“ იფეთქებს, ეს იმას ნიშნავს, რომ ომისთვის მზადება მიდის ...*საქართველოს ხელმძღვანელობამ „ძალიან საშიში თამაში“ წამოიწყო.*” -სერგეი მირონოვი

[GRC- civil/texts/013810]

მაგალითი 10

“ერთი მხრივ, სახეზე გვაქვს მძაფრი, ანტირუსული რიტორიკა, რომელიც რუსეთს სრულიად ბუნებრივად აღიზიანებს. ეს გასაგებიცაა, *რადგან ამ შემთხვევაში ის არის ტრავმირებული დათვი და დაჭრილ დათვთან საშიში თამაში არ ღირს.*” - ნიკო ორველაშვილი

[GRC- opentext-old/akhalitaoba/2006/105/105-010]

2) შემდეგი წყარო დომენი, რომელსაც განვიხილავთ არის - „დანაშაული“.

კორპუსში აღნიშნული წყარო დომენის შემდეგი ლექსიკური ერთეულების კონკორდანსი მოიძებნა: "ტერიტორიულ.*" "ერთიანობ.*" "დარღვევ.*" ორი შემთხვევა ფიქსირდება და ორივე მამაკაცის დისკურსთან არის ასოცირებული.

3) წყარო დომენი - „პრობლემა“ წარმოდგენილია ლექსიკური ერთეულებით "კონფლიქტის" "გადაჭრა.*". აღნიშნული ლემების კომბინაცია კონკორდანსში 61 შემთხვევითაა წარმოდგენილი: 41 მამაკაცის დისკურსში, 8 ქალის და დანარჩენ 12-ს არ ჰქონდა მეტა მონაცემი.

4) წყარო დომენის “ზუნებრივი კატასტროფა” ფარგლებში განვიხილეთ შემდეგი ლემები.

"ტყვიების" "წვიმა" / "ტყვიების" "სეტყვა". კონკორდანსი წარმოდგენილია 20 შემთხვევით, საიდანაც 13 შემთხვევა ქალის დისკურსს მიეკუთვნება, 6 მამაკაცს და ერთს არ ჰქონდა მეტამონაცემი.

“ომის” “ქარიშხალ.*” წარმოდგენილია 4 შემთხვევით, საიდანაც 2 ქალის დისკურსთან ასოცირდება, 1 მამაკაცთან, 1 მეტამონაცემის გარეშეა.

ასევე გვხვდება “სიკვდილის” “წვიმა”, “ომის” “გრიგალი” და “ომის ქარცეცხლი”.


ცხრილი 8 (გვ.105) გვიჩვენებს მეტაფორულ გამონათქვამებს, რომლებიც სხვადასხვა წყარო დომენების მიხედვით არის დალაგებული და ქვევ-ის კონკორდანსის მონაცემებს ეყრდნობა.

ცხრილი 8. კონცეპტუალური მეტაფორის წყარო დომენები ქვევ-ში

კონცეპტუალური მეტაფორის წყარო დომენები	მეტაფორული გამოთქმები	სიხშირეები		
		მამაკაცი	ქალი	მეტამონაცემის გარეშე
თამაში/სპორტი	გამბიტი	61	1	8
	მოთამაშე (რუსეთი)	1	-	2
	რუსული რულეტი	5	-	-
	თამაში ნულოვანი ჯამით	2	-	-
	საშიში თამაში	10	1	2
დანაშაული	ტერიტორიული ერთიანობის დარღვევა	2	-	-
პრობლემა/ამოცანა	კონფლიქტის გადაჭრა	41	8	12
ბუნებრივი კატასტროფა	ტყვიების წვიმა/სეტყვა	6	13	1
	სიკვდილის წვიმა	-	1	-
	ომის გრიგალი	-	1	-
	ომის ქარიშხალი	1	2	1
	ომის ქარცეცხლი	5	6	6

კონცეპტუალური მეტაფორების გენდერთან ასოცირებული სიხშირეების დათვლის მიზნით ქვევ-ის ყველა კონკორდანსის მონაცემები სხვადასხვა წყარო დომენის გათვალისწინებით შევკრიბეთ, რაც წარმოდგენილია დიაგრამაში 2 (გვ.106). მამაკაცის დისკურსისთვის ჭარბი კონცეპტუალური კონცეპტუალური მოდელებია: „ომი სპორტია/თამაშია” და „ომი პრობლემაა/ამოცანაა” (რომელიც ამოხსნას საჭიროებს), რომლებიც სხვადასხვა ლინგვისტური ვარიანტების საფუძველს წარმოადგენს (ცხრილი 8). ქალის დისკურსში კი ჭარბობს შემდეგი კონცეპტუალური მეტაფორები „ომი ბუნებრივი კატასტროფაა”. ასევე „ომი ამოცანაა/პრობლემაა”, თუმცა მამაკაცების დისკურსისგან განსხვავებით შედარებით ნაკლები სიხშირით.

დიაგრამა 2. ომის მეტაფორული გამოთქმების სიხშირეები სხვადასხვა წყარო დომენის მიხედვით ქვევ-ში



თუ შევადარებთ ქართული და ინგლისური ენის მონაცემებს წყარო დომენების მიხედვით, სიჭარბის ტენდენცია მსგავს დომენებზე იკვეთება. თუმცა, ინგლისურ ენაში არის წყარო დომენები, რომლებიც ქართული ენის კორპუსის დღეისთვის ხელმისაწვდომ მასალაში არ მოიპოვება. ასეთია, „ომი, როგორც მხეცი“ ან „ომი, როგორც ვულკანი“, ასევე „ომი, როგორც თავგადასავალი“.

3.3. დისკუსია

წინამდებარე კვლევის საშუალებით შევეცადეთ გაგვერკვია, თუ როგორ მოქმედებს გენდერი ქალისა და მამაკაცის დისკურსში მეტაფორების არჩევანზე, გარკვეული მეტაფორების სიჭარბეზე, 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის და ინგლისური და ქართული ენის კორპუსების მაგალითზე. გენდერთან მიმართებაში მეტაფორული გამოთქმების და, შესაბამისად, კონცეპტუალური მეტაფორების განსხვავებულობა ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ ქალი და მამაკაცი ომის კონცეპტუალიზაციის/ფრეიმინგის დროს განსხვავებულ მეტაფორებს ანიჭებენ უპირატესობას.

კვლევის გამორჩეული ნაწილი იყო კონცეპტუალური მეტაფორების იდენტიფიცირება დისკურსში წარმოდგენილ ლინგვისტურ მეტაფორებზე დაყრდნობით. კონცეპტუალური მეტაფორის ღერძს წყარო დომენი წარმოადგენს, როგორც შედარების საწყისი. ამიტომ მათი დადასტურება მნიშვნელოვანია. ლინგვისტური მეტაფორული გამოთქმები, რომლებიც სტრუქტურულად წარმოდგენილია არსებითი სახელებით, რომლებიც განსაზღვრულია დამხმარე კონცეპტებით, წყარო დომენის გამოვლენის თვალსაზრისით ბუნდოვანებას არ ქმნის, რადგან არსებითი სახელები მიუთითებენ შედარების წყაროზე. ამგვარი ლინგვისტური მეტაფორული გამოთქმებია “death rain” (ქალის დისკურსში) and “expansionist gambit”, “a game of Russian Roulette”, “a zero sum game”, “adventure in assault”, “defense campaign/practice”, and “player”(მამაკაცის დისკურსში).

რაც შეეხება ზმნებით ან ზმნური ფრაზებით წარმოდგენილ მეტაფორულ გამოთქმებს, (“erupt”, “spiral out of control”, “flush out”), ისინი გვთავაზობენ რამდენიმე კონცეპტუალურ ფრეიმს, ისეთი შემთხვევების გარდა, როდესაც ზმნაში ჩანს შედარების სავარაუდო წყარო (“unleash”, “flare up”). კონცეპტუალურ მეტაფორაში რელევანტური წყარო დომენის დადგენის მიზნით, ჩვენ განვიხილეთ სამიზნე ლექსიკური ერთეულების დენოტატიური (სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობა) და კონოტატიური (ემოციური და წარმოსახვითი მნიშვნელობა) მნიშვნელობები. ლექსიკური ერთეულების კონოტატიური მნიშვნელობების განხილვამ დაგვიდასტურა წყარო დომენების არჩევანი კონცეპტუალურ

ფრეიმში: „გამწმენდი ოპერაცია წყალდიდობა“, „საომარი მოქმედება აქტიური ვულკანია“, „ომის ძალადობა ტორნადო“.

თუ ყოველივე ზემოხსენებულს შევაჯამებთ მეტაფორის დისკურსული სისტემატიურობის თვალსაზრისით, ვნახავთ, რომ კონცეპტუალური მეტაფორების სიხშირე მამაკაცების დისკურსში ორჯერ მაღალია ქალის დისკურსთან შედარებით (2.52 და 1.09 შესაბამისად). თუმცა, მეტაფორების ლექსიკური მრავალფეროვნება, ორივე დისკურსის შემთხვევაში თითქმის თანაბარია (mTTR 0.36 მამაკაცის დისკურსისთვის და 0.39 ქალის დისკურსისთვის). ეს კი მიუთითებს იმაზე, რომ მამაკაცების მეტაფორული აქტივობა აღნიშნულ დისკურსში უფრო მაღალია, ვიდრე ქალების. რაც შეეხება ლექსიკური მრავალფეროვნების ინდექსს, ის თითქმის თანაბარია გენდერთან მიმართებაში, თუმცა ძირითადი განსხვავება განპირობებულია მეტაფორული ერთეულების არჩევანით. მეტაფორების სელექციური არჩევანის საშუალებით ქალი და მამაკაცი დისკურსში ქმნიან სხვადასხვაგვარ რეალობებს. მამაკაცის მიერ კოგნიტურ დონეზე „შერჩეული“ მეტაფორები იდეაციური ფუნქციიდან გამომდინარე განიხილავენ ომს, როგორც „კონკურენტულ თამაშს“, რითაც ისინი ქმნიან აგრესიულ და კონკურენტულ მენტალურ მოდელს, რომელიც სტერეოტიპულ მასკულინურ თვისებებს უსვამს ხაზს. რაც შეეხება, ომის აღქმას როგორც „ბუნებრივი კატასტროფა“, რომელიც სამყაროს აღნიშნული მოვლენის, უმეტესწილად, ქალისეულ ხედვას წარმოადგენს, ქმნის რადიკალურად განსხვავებულ სუბიექტურ რეალობას, რომელიც ხაზს უსვამს გაქცევას, საფრთხისგან თავის დაღწევას, სიცოცხლის დაკარგვას და ა.შ.

BYU გაერთიანებული კორპუსის მონაცემები ადასტურებს კვლევის შედეგებს, რომ ომის ასოციირება თამაშთან და პოლიტიკურ ხისტ ძალასთან ძირითადად დამახასიათებელია მამაკაცებისთვის. რაც შეეხება, ომის ბუნებრივ კატასტროფასთან/უბედურებასთან შედარების კორპუსულ მაჩვენებელს, ის განსხვავებულია. *ომი, როგორც ტორნადო/ვულკანი/წყალდიდობა* ჭარბობს ქალების შემთხვევაში. თუმცა, კონცეპტუალური მეტაფორა - *ომი, როგორც ცეცხლი* - ჭარბობს მამაკაცების შემთხვევაში. *ომი, როგორც მხეცი* კონცეპტუალური მეტაფორის სიხშირე ქალისა და მამაკაცის შემთხვევაში თანაბარია. უნდა აღვნიშნოთ, რომ

კორპუსული კვლევის შედეგები (დიაგრამა N2) შეიცავს ისეთ მონაცემებს, რომელსაც არ ახლდა გენდერული მეტა ინფორმაცია სრულად. თუმცა, მონაცემების საგულისხმო ნაწილი გარკვეული დასკვნების გაკეთების საშუალებას გვაძლევს.

BYU გაერთიანებული კორპუსის მონაცემები ამყარებს კვლევის შედეგებს, ხაზს უსვამს რა ქალისა და მამაკაცის დისკურსში განსხვავებული მეტაფორების სიჭარბეს, რომლებიც გარკვეული ტენდენციის მატარებელია. კერძოდ, მამაკაცების შემთხვევაში ომი უმეტესწილად პოლიტიკურ თამაშთან და თავდაცვასთან ასოცირდება, ქალების შემთხვევაში კი- უბედურებასთან და ბუნებრივ კატასტროფასთან, რომლის ლინგვისტური ვარიაციები დისკურსის დამახასიათებელი ნიშანია, რადგან ბუნებრივი ძალების გამანადგურებელი და დამანგრეველი თვისება მიემართება ომის მსგავს თვისებას (Charteris-Black 2006; Wodak 2006). ბუნებრივი კატასტროფის მეტაფორები აღმოჩნდა როგორც ქალის, ისე მამაკაცის დისკურსში, თუმცა განსხვავებული სიხშირით. ომის მეტაფორული რეპრეზენტაცია, რომელიც ასოცირდება თამაშთან და პოლიტიკურ ძალასთან ძირითადად მამაკაცებთან არის დაკავშირებული და გარკვეულწილად ამართლებს მას.

ქართული ენის ეროვნული კორპუსის (ქეეკ-ის) მონაცემების შედარებით ზემოაღნიშნულ ინგლისური ენის კორპუსის მონაცემებთან შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქართულ ენაშიც მსგავსი ტენდენცია იკვეთება ომის კონცეპტუალური მეტაფორების თვალსაზრისით. მამაკაცების დისკურსში ჭარბობს კონცეპტუალური ჩარჩო „ომი სპორტია/თამაშია“ და „ომი ამოცანაა/პრობლემა“, რომელიც გადაჭრას საჭიროებს სხვადასხვა გზებით. ქალის დისკურსში კი, ქართული ენის კორპუსიც გვიდასტურებს, რომ უპირატესობა შემდეგ კოგნიტურ მოდელს ენიჭება: „ომი ბუნებრივი კატასტროფაა“. თუმცა უნდა აღვნიშნოთ, რომ არის გარკვეული წყარო დომენები, რომლებიც ქართული ენისთვის დისკურსულად პრიორიტეტული არ არის, მაგალითად ომის *მოქმედ ვულკანთან, მხეცთან ან თავგადასავალთან* შედარება.

აღნიშნული კვლევა ხაზს უსვამს კოგნიტურ დონეზე მეტაფორების სელექციური არჩევანის ალბათობას გენდერთან მიმართებაში. ლაკოფი და ჯონსონი

აღნიშნავენ: „მეტაფორებს შეუძლიათ შექმნან რეალობები ჩვენთვის, განსაკუთრებით სოციალური რეალობები“, რომელიც მათ დამარწმუნებელ ძალას ამტკიცებს (1980,156). ზემოთ ხსენებული მეტაფორების სელექციური არჩევანი ახდენს გენდერთან განპირობებული რეალობის კონსტრუირებას, რადგან „გარკვეული მეტაფორების გამოყენებით დისკურსის მონაწილე განსაზღვრავს თემას, ახდენს მის კონცეპტუალიზაციას და არწმუნებს მკითხველს გაიზიაროს მისი კოგნიტური მოდელი. ერთი სიტყვით, მეტაფორა ასრულებს დამხმარე როლს რეალობის გარკვეული ხედვის კონსტრუირებაში“ (Koller 2004, 2). შედეგად, მამაკაცისა და ქალის მიერ კონცეპტუალური მეტაფორების ტენდენციური არჩევანი რეალობას განსხვავებულად წარმოგვიდგენს, რაც გარკვეულწილად დისკურსის გენდერიზაციას იწვევს.

კოგნიტური მოდელების გენდერთან ასოცირებული განსხვავებული სიჭარბე თუ ტენდენციურობა დისკურსში, შესაძლებელია, რამდენიმე ფაქტორით იყოს გამოწვეული. ერთ-ერთის მიხედვით, ომი არის: *“the space where women... are not”* (Higonnet 1995, 87). საუკუნეებია ომი აღიქმება, როგორც მასკულინური აქტივობა, რომლის დროსაც ქალი და მამაკაცი *“were fighting different wars”* (Watson 2004). უოტსონი ამბობს, რომ ეს განსხვავებები უნდა შეფასდეს: *“how people thought about gender and class...profoundly influenced how they imagined the experience of different kinds of war work”* (ibid. 6), რადგან ისტორიულად გენდერი ომზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა კულტურის და ეროვნების მიუხედავად (Goldstein 2001). მედია კი აგრძელებს ომის სტერეოტიპულ ფრეიმინგს ჩვენს გონებაში (Lipman 1922), რომელიც აღნიშნულს მამაკაცების დომენად, საქმედ წარმოგვიდგენს (Goldstein 2001), რომელსაც ნატურალიზებული სახე აქვს. აღნიშნულის შედეგია ის, რომ ომის დომენის შემცველი მეტაფორა გენდერულ მიკერძოებულობას ზრდის და ახდენს ფემინურობის მარგინალიზაციას (Koller 2004,5), ასევე აძლიერებს მასკულინობის შეგრძნებას და, შესაბამისად, ამკვიდრებს მის ჰეგემონობას (Wilson 1992,898).

აღნიშნული კონცეპტუალური მეტაფორები ქმნიან გენდერთან ასოცირებულ ფრეიმებს, რომელიც რეალობას განსხვავებულად წარმოგვიდგენს იმის გამო, რომ ქალისა და მამაკაცის დისკურსში ჭარბობს სხვადასხვა მეტაფორული ერთეულები. მეტაფორა კი ადამიანის სუბიექტური პოზიციის გამომხატველია, ის მიუთითებს იმ

კონცეპტუალურ მოდელებზე, რომლებიც თავად ქმნიან სუბიექტს დისკურსში. ადამიანის მიერ გარკვეული შეხედულების გამოხატვა არაპირდაპირ, კონცეპტუალურად ასევე განაპირობებს მისი იდენტობის ფორმირებას.

ადამიანი, როგორც სუბიექტი, მუდმივად ხვდება სხვადასხვა დისკურსულ პოზიციაში (Talbot 1998,156-157). აქიდან გამომდინარე, ქალი და მამაკაცი ომის დროს სხვადასხვა დისკურსულ პოზიციაში აღმოჩნდება, ისინი განსხვავებულ სუბიექტურ პოზიციებს იკავებენ, რაც მათ მეტყველ სუბიექტებად აყალიბებს. ისინი საუბრობენ გარკვეული მოვლენის-ომის შესახებ, აფასებენ მას საკუთარი გამოცდილებების საფუძველზე. როგორც ვნახეთ, ომის შეფასების კოგნიტური მოდელები განსხვავებულია ქალისა და მამაკაცის დისკურსში გარკვეული ლინგვისტური მეტაფორების სიჭარბის გამო. ადამიანი კი ვერ ისაუბრებს რაღაცაზე საკუთარი თავის რეპრეზენტაციის გარეშე (Chouliaraki & Fairclough 1999:14). ამიტომ, ადამიანის სუბიექტური პოზიცია, რასაც იგი ამბობს ნარაციის დროს მოვლენის შეფასებისას, მისი იდენტობის შემადგენელი ნაწილი ხდება. ან შეიძლება ასეც ითქვას, გენდერულ იდენტობას ქმნის არა მარტო საკუთარი თავის აღქმა, ან სხვების მიერ შეფასება, არამედ დისკურსში კოგნიტური მოდელების გზით საკუთარი სუბიექტურობის დაფიქსირებაც. ამ შემთხვევაში გენდერული იდენტობა არაპირდაპირი გზით იქმნება (de Fina 2011, 269), როდესაც კოგნიტური მოდელები/ფრეიმები იმპლიციტურად მიგვითითებენ ფემინურობაზე ან მასკულინობაზე.

როგორც ჩანს გენდერთან ბმული კონცეპტუალური მეტაფორები, განსაკუთრებით ზოგადი/დისკურსთან ბმული კონცეპტუალური მეტაფორები ქალისა და მამაკაცის განსხვავებულ კონცეპტუალურ სისტემას აყალიბებს. კონცეპტუალური მეტაფორა იმპლიციტური ძალაა, რომელიც რეალობის გენდერიზაციას ახდენს და ამასთანავე წარმოაჩენს ძალის ურთიერთმიმართებებს, „რადგან მეტაფორულ აქტივობას ადაგილი აქვს განსხვავებულობის არეალში, იქ სადაც მიმდინარეობს ბრძოლა ძალაუფლებისთვის” (Kress 1989,71).

და მართლაც, თუ კვლევის შედეგად გამოვლენილ კონცეპტუალურ მეტაფორებს გადავავლებთ თვალს, რომლებიც მამრობითი სქესის წარმომადგენლებთან არის

დაკავშირებული, ვნახავთ, რომ ისინი მათ უფრო ძლიერ დისკურსულ პოზიციას მიაკუთვნებენ, რადგან ომის აღქმა, როგორც „კონკურენტული თამაში“ არის კლავიზაციისეული მეტაფორის „ომი არის პოლიტიკა, განხორციელებული სხვა საშუალებებით“ კონცეპტუალური ვარიაცია, რომელიც ხაზს უსვამს მამაკაცების ომში კონკურენტულ/ შეჯიბრებითობის პრინციპზე დამყარებულ მონაწილეობას და, შესაბამისად, დისკურსულ ჰეგემონიასაც. ქალთან ასოცირებული რეალობის კონსტრუირების კოგნიტური მოდელი კი, საპირისპიროდ, გამოკვეთს ომის გამანადგურებელ და რეპრესიულ ძალას, რომელიც მათ უფრო დისკურსულად სუსტ პოზიციაში ათავსებს. ამგვარად, „კოგნიცია/შემეცნება ამტკიცებს იდეოლოგიას მენტალური (მეტაფორული) მოდელების სახით, რომლებიც დისკურსის შექმნისას გამოიყენება“ (Koller 2004,42). აღნიშნული კოგნიტური პროცესის გამო მეტაფორები, სავარაუდოდ, ახდენენ საზოგადოებაში აღიარებული გენდერული სტერეოტიპების წარმოჩენას აძლიერებენ რა ტრადიციულ გენდერულ მიკერძოებულობას (Fleischmann 2001,485), რაც დიდი ალბათობით განაპირობებს დისკურსული ძალის შენარჩუნებას დომინანტური ჯგუფის ხელში.

კონცეპტუალური მეტაფორების კრიტიკული ანალიზი გენდერთან მიმართებაში განაპირობებს საომარი კონფლიქტების მიმართ დამოკიდებულებების, მათი გააზრების და შეფასების სტერეოტიპული კოგნიციისგან განსხვავებული, ახალი გზების შექმნას. მეტაფორული ენის ცვლილება გავლენას ახდენს სოციალურ ქმედებაზე (Sapienza 1987) „კოგნიტური გარდატეხის“ მეშვეობით (Sackman 1989). ეგრეთწოდებული „კოგნიტური გარდატეხა“ კი გავლენას ახდენს მედია-დისკურსზე, როგორც ძლიერი სოციოლინგვისტური იარაღი, რომელიც მიმართულია დისკურსში და სოციუმში არსებული ასიმეტრიების (მაგ. გენდერული ასიმეტრიების) აღმოფხვრისკენ.

3.4. დასკვნები

2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის ამსახველი კონცეპტუალური მეტაფორების კრიტიკული ანალიზი წარმოადგენს თვისობრივი და რაოდენობრივი კვლევის კომბინაციას და შედეგები, რომელიც მივიღეთ ასახავს კონცეპტუალური მეტაფორების გარკვეულ დისკურსულ ტენდენციებს გენდერთან მიმართებაში. BYU კორპუსის გენდერის მიხედვით ანოტირებული მონაცემების საკმაოდ დიდმა ნაწილმა დაადასტურა ჩვენი კვლევის შედეგები, ისევე, როგორც ქეეკ-ის მონაცემებმა. თუმცა, BYU კორპუსის ლიმიტაცია იყო ის, რომ ლექსიკური ერთეულები გენდერის მიხედვით (ვის ეკუთვნის ტექსტი, ქალს თუ მამაკაცს) სრულად არ არის ანოტირებული, ხოლო ქართული ეროვნული კორპუსი (ქეეკ) სრულად არ შეიცავს გაციფრებულ მასალას ამ ეტაპისთვის,

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, შედეგების სრული/აბსოლუტური განზოგადება ამ ეტაპზე არ არის შეასძლებელი. თუმცა, ჩვენ ვფიქრობთ, რომ კოგნიცია, რომელიც ჩვენს მიერ გაანალიზებული კონცეპტუალური მეტაფორების საშუალებით ქალისა და მამაკაცის დისკურსში აირეკლება, დაახლოებით მსგავს შედეგებს გვაჩვენებს სხვა შემთხვევებშიც.

ამ ეტაპზე, აღნიშნული კვლევა შემდეგი დასკვნების გაკეთების საშუალებას გვაძლევს:

1) ქალისა და მამაკაცის დისკურსში კონცეპტუალური მეტაფორების განსხვავებულობა/ტენდენციური სიჭარბე ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ სავარაუდოდ ისინი ომის კონცეპტუალიზაციას / ფრეიმინგს განსხვავებულად ახდენენ.

2) ლინგვისტური მეტაფორული გამოთქმები, რომლებიც სტრუქტურულად წარმოდგენილია არსებითი სახელებით და მისი განმსაზღვრელი დამხმარე კონცეპტებით, წყარო დომენის გამოვლენის თვალსაზრისით ბუნდოვანებას არ ქმნიან, რადგან არსებითი სახელები მიუთითებენ შედარების წყაროზე.

რაც შეეხება ზმნებით ან ზმნური ფრაზებით წარმოდგენილ მეტაფორულ გამოთქმებს ისინი გვთავაზობენ რამდენიმე კონცეპტუალურ ფრეიმს, ისეთი

შემთხვევების გარდა, როდესაც ზმნაში ჩანს შედარების სავარაუდო წყარო (“unleash”, “flare up”). ლექსიკური ერთეულების კონოტატიური მნიშვნელობების განხილვამ დაგვიდასტურა წყარო დომენების არჩევანი.

3) დისკურსში შესამღებელია გვქონდეს კონცეპტუალური მეტაფორის პირდაპირი ჩართვა ლინგვისტური ვარიაციის გვერდის ავლით. მაგ. „ომი თამაშია“. (ლინგვისტური ვარიაცია კი არის: „რუსეთმა საქართველო რუსული რულების თამაშში ჩააბა“). ამ შემთხვევაში სხვადასხვა ლინგვისტური ინტერპრეტაციების კოგნიტური საწყისი „ჩაკერებულია“ დისკურსში, როგორც პირდაპირი კონცეპტუალიზაცია, როგორცაა მაგალითად კლაუზვიცის მეტაფორა “War is politics pursued by other means”. დისკურსში პირდაპირი კონცეპტუალიზაციის დროს მეტაფორის წყარო და სამიზნე დომენი ვერბალურად არის მოცემული, რომლებიც ერთმანეთს ზმნით “to be” უკავშირდება. კოგნიტური მეტაფორის პირდაპირი დისკურსული კონცეპტუალიზაცია გვხვდება შექსპირთანაც. მაგ. *“All the world's a stage, And all the men and women merely players;”* ასეთ შემთხვევებში ლინგვისტური ვარიაციები კი არ გვაქვს, არამედ წყარო და სამიზნე დომენი თვალნათლივ ჩანს ფრაზაში. შეიძლება ვთქვათ, პირდაპირი /დისკურსული კონცეპტუალიზაცია **აზროვნების დისკურსული ანარეკლია**.

4) მეტაფორების სელექციური არჩევანის საშუალებით ქალი და მამაკაცი დისკურსის მონაწილეები ქმნიან სხვადასხვაგვარ რეალობებს. მამაკაცის მიერ კოგნიტურ დონეზე „შერჩეული“ მეტაფორები იდეაციური ფუნქციიდან გამომდინარე განიხილავენ ომს, როგორც „კონკურენტულ თამაშს“, რითაც ისინი ქმნიან აგრესიულ და კონკურენტულ მენტალურ მოდელს, რომელიც ტიპურად მასკულინური თვისებებია. რაც შეეხება, ომის აღქმას როგორც „ბუნებრივი კატასტროფა“, რომელიც სამყაროს აღნიშნული მოვლენის უმეტესწილად ქალისეულ ხედვას წარმოადგენს, ქმნის რადიკალურად განსხვავებულ სუბიექტურ რეალობას, რომელიც ხაზს უსვამს გაქცევას, საფრთხისგან თავის დაღწევას, სიცოცხლის დაკარგვას და ა.შ. აღნიშნულს ინგლისური და ქართული ენის კორპუსებიც უმეტესწილად გვიდასტურებს.

5) ქართული ენის ეროვნული კორპუსის (ქეეკ-ის) და ინგლისური ენის კორპუსის (BYU) მონაცემების შედარებამ გვიჩვენა, რომ ქართულ ენაშიც მსგავსი ტენდენცია იკვეთება ომის კონცეპტუალური მეტაფორების თვალსაზრისით. მამაკაცების დისკურსში ჭარბობს კონცეპტუალური ჩარჩო „ომი სპორტია/თამაშია“ და „ომი ამოცანაა/პრობლემაა“. ქალის დისკურსში უპირატესობა შემდეგ კოგნიტურ მოდელს ენიჭება: „ომი ბუნებრივი კატასტროფაა“. თუმცა უნდა აღვნიშნოთ, რომ ქეეკ-ის ამჟამად არსებული მონაცემების მიხედვით გამოიკვეთა გარკვეული წყარო დომენები, რომელიც ქართული ენისთვის დისკურსულად პრიორიტეტული არ არის, როგორებიცაა მაგალითად, ომის მოქმედ ვულკანთან, მხეცთან ან თავგადასავალთან შედარება.

ფაქტობრივად, გენდერთან ბმული აღნიშნული კონცეპტუალური მოდელები უნივერსალურ ხასიათს ატარებს (Lakoff & Johnson 1980); რაც შეეხება ლინგვისტურ ვარიაციებს, ანუ კონცეპტუალური მეტაფორების დისკურსულ გამოვლინებებს, ისინი ენის და კულტურის გავლენით შესაძლებელია ცვალებადობდეს.

6) მეტაფორა ადამიანის სუბიექტური პოზიციის გამომხატველია, ის მიუთითებს იმ კონცეპტუალურ მოდელებზე, რომლებიც თავად ქმნიან სუბიექტს დისკურსში. ადამიანის მიერ გარკვეული შეხედულების გამოხატვა არაპირდაპირ, კონცეპტუალურად განაპირობებს მისი იდენტობის ფორმირებას. ადამიანის სუბიექტური პოზიცია, რასაც იგი ამბობს ნარაციის დროს მოვლენის შეფასებისას, მისი იდენტობის შემადგენელი ნაწილი ხდება. ან შეიძლება ასეც ითქვას, გენდერული იდენტობას ქმნის არა მარტო საკუთარი თავის აღქმა, ან სხვების მიერ შეფასება, არამედ დისკურსში კოგნიტური მოდელების გზით საკუთარი სუბიექტურობის დაფიქსირებაც.

ომის მეტაფორები ხშირად პატრიარქატს უსვამენ ხაზს, ხდება რა საომარი მოქმედების, როგორც მტრისგან დამცველი ოპერაციის ფრეიმინგი. აღნიშნულ შემთხვევაში, ქალები და ბავშვები საჭიროებენ მტრისგან დაცვას და „შესაბამისად, მტერი განიხილება მკვლელად, რომელიც შეიძლება თავად მოკლან (“killable killers”) (Ruddick 1992), ქალები და ბავშვები კი-როგორც მსხვერპლი. რადგან, ომის დროს ქალები, ძირითადად, მამაკაცებისგან განსხვავებულ როლებში გვევლინებიან, ისინი

სხვა ტიპის მეტაფორებსაც შემოიტანენ დისკურსში, რომლებიც მათ გამოცდილებებთან იქნება დაკავშირებული. მეტაფორების არჩევანი კი განპირობებულია ადამიანის პერსონალური ისტორიით, გამოცდილებებით და ალქმით (Deignan 1999; Cameron 1999). შედეგად მეტაფორული მოდელები აზროვნების მოდელებს აირეკლავს.

თამაში ძირითადად დაკავშირებულია ისეთ თვისებებთან, როგორებიცაა სიმამაცე, გამბედაობა, დისციპლინა, მოგების ძლიერი სურვილი და დომინირება (McBride 1995). ამიტომ გასაკვირი არ არის ალბათობა იმისა, რომ მამაკაცებმა უფრო ხშირად გამოიყენონ აღნიშნული კონცეპტუალური ფრეიმი, ვიდრე ქალებმა (O'Bar and Conely 1992).

შედეგად, სუბიექტური პოზიციების ტენდენციური ხასიათი მამაკაცი და ქალი სოციალური აქტორების შემთხვევაში გენდერულ იდენტობას არაპირდაპირი გზით ქმნის, როდესაც კოგნიტური მოდელები/ფრეიმები იმპლიციტურად მიგვითითებენ მათ ფემინურობაზე ან მასკულინობაზე.

შემდგომი ეტაპისთვის ჩვენი მიზანია კვლევის მიერ გამოვლენილი ტენდენციის გადამოწმება სხვა კორპუსში, როგორიცაა Bank of English COBUILD corpus (აღნიშნული კორპუსი ინსტიტუციონალურ წვდომას საჭიროებს), რომლის ფილტრი გენდერის მიხედვით განზოგადებისთვის უფრო ნათელ სურათს მოგვცემს.

კვლევამ შესაძლებელია მიიღოს შემდეგი მიმართულებებიც, კერძოდ, წყარო დომენების დამოწმება ტექსტის რეციპიენტის ფაქტორის გათავლისწინებით. ჯორჯ ლაკოფი აღნიშნავს, რომ მეტაფორა შეიძლება ფუნქციონირებდეს როგორც კონცეპტუალური ჩარჩო (2002), რომელიც სავარაუდოდ გავლენას ახდენს ადამიანის გარკვეული მოვლენისადმი დამოკიდებულებაზე, განზრახვაზე და შემდგომ ქმედებაზე. კონცეპტუალური მეტაფორის აღნიშნული გავლენების კვლევა არანაკლებ მნიშვნელოვანი იქნება კრიტიკული დისკურს-ანალიზის სივრცეში.

თავი 4. ომის ვიზუალური მეტაფორების კრიტიკული ანალიზი გენდერთან მიმართებაში

კოგნიტური ლინგვისტიკის თვალსაწიერიდან, კონცეპტუალური მეტაფორა (Lakoff & Johnson 1980), განიხილება როგორც საშუალება, რომლითაც ერთი კონცეპტუალური დომენი აიხსნება, განისაზღვრება მეორე დომენით. კოგნიტური მეტაფორები რთულ ან აბსტრაქტულ კონცეპტებს შედარებით მარტივი კონცეპტებით ხსნიან (Lakoff & Johnson 1980; Forceville 2006). ეს არის კონცეპტუალური დომენების მეპინგის პროცესი ადამიანის გონებაში, რომელიც კოგნიტური ლინგვისტიკის მიერ განიმარტება, როგორც შესადარებელ კონცეპტუალურ დომენებს შორის ურთიერთმიმართებების დადგენა (Lakoff & Johnson 1980). მეპინგის მთავარი პრინციპი არის ის, რომ ადამიანის გონება იყენებს მარტივ, ფიზიკურ კონცეპტს შედარებით რთული ან აბსტრაქტული კონცეპტის ასახსნელად/აღსაქმელად. აღნიშნული ფიზიკური კონცეპტი არის წყარო დომენი, ხოლო რთული ან აბსტრაქტული კონცეპტი კი - სამიზნე დომენი.

მეტაფორებთან ურთიერთმიმართებაში ორი მნიშვნელოვანი ფაქტორი უნდა განვიხილოთ, სოციო-კულტურული (Gibbs & Cameron 2008) და მეორე უფრო კოგნიტური (Steen 1999). სოციო-კულტურული ფაქტორი მნიშვნელოვანია, რადგან გარკვეული საზოგადოების საკომუნიკაციო სტილზე დამოკიდებულებით, მეტაფორების არჩევანი, შესაძლოა, სხვადასხვაგვარი იყოს (Gibbs & Cameron 2008). კოგნიტური თვალსაზრისით კი, ადამიანის აზროვნება მეტაფორულია, ის მუდმივად ამყარებს კავშირებს კონცეპტებს შორის (Steen 1999); შემდეგ კი გონებაში არსებული კონცეპტუალური ურთიერთმიმართებების (მეპინგის) საფუძველზე ხდება აზრების ვერბალიზაცია. ე.ი მეტაფორები აყალიბებენ ჩვენს აზროვნებას და სამყაროსეულ გამოცდილებებს.

ლაკოფის და ჯონსონის ნაშრომი (1980) კონცეპტუალური მეტაფორების შესახებ ძირითადად ეყრდნობოდა ვერბალურ ლინგვისტურ მეტაფორებს, ანუ კონცეპტუალური მოდელების შემუშავება მოხდა მეტაფორების ვერბალური გამოვლინებების საფუძველზე. თუმცა შემდგომმა კვლევებმა დაადასტურა, რომ მეტაფორები არავერბალური-პიქტორიალური და მულტიმოდალური (მაგ.

ვერბალური და პიქტორიალური ერთად) ფორმითაც გვხვდება (Fauconnier and Turner 2002).

ფორსვილის მიხედვით (1996, 138-163), არავერბალური ანუ ვიზუალური/მონო მოდალური პიქტორიალური მეტაფორის ოთხი ტიპი არსებობს:

1) *ჰიბრიდული პიქტორიალური მეტაფორა*: სურათზე გამოსახული ერთი საგანი შედგება ორი განსხვავებული ნაწილისგან. ინტერპრეტაციის თვალსაზრისით, ერთი ნაწილი ხსნის მეორე ნაწილს. შესაბამისად, ასახსნელი ნაწილი - სამიზნე, ხოლო ამხსნელი ნაწილი წყარო დომენია.

2) *კონტექსტუალური პიქტორიალური მეტაფორა*: ამ ტიპის ვიზუალურ მეტაფორაში არ ჩანს სამიზნე დომენი, ის კონტექსტით აღიქმება; კონტექსტი კი წყარო დომენია.

3) *პიქტორიალური შედარება (pictorial similitude)*: აქ წყარო და სამიზნე დომენები ერთმანეთის უპირისპირდება და რეციპიენტი კონცეპტუალური მეპინგის საშუალებით აღიქვამს მეტაფორას (წყარო და სამიზნე დომენები ჩანს პიქტორიალურ მეტაფორაში).

ჩვენს კვლევაში ძირითადად მეორე და მესამე ტიპის მეტაფორებია განხილული.

4) *ინტეგრირებული პიქტორიალური მეტაფორა*: გამოსახული საგანი ჰგავს მეორე საგანს (ხის გამოსახულება, რომელიც ჰგავს ფილტვებს. ამ შემთხვევაში კონცეპტუალური კავშირი მყარდება ხეს და სუნთქვის ორგანოს შორის. აღნიშნული პიქტორიალური მეტაფორა შეიქმნა გარემოზე ზრუნვის მიზნით).

მულტიმოდალურ პიქტორიალურ მეტაფორაში კი წყარო და სამიზნე დომენი ძირითადად სხვადასხვა საშუალებით არის წარმოდგენილი: სამიზნე დომენი შესაძლებელია იყოს ვერბალური და წყარო დომენი კი ვიზუალური, ან პირიქით (Forceville 2006,384). ამასთანავე, პიქტორიალური მეტაფორების ანალიზისთვის მნიშვნელოვანია მეპინგის წყარო და სამიზნე დომენების დადგენა.

4.1. კვლევის მეთოდი

კვლევის დროს ჩარჩოს მიხედვით, გაზეთების, *The Georgian Times* და *The Messenger*, კორპუსიდან ამოვიღეთ კარიკატურები, რომლებიც ვიზუალური/პიქტორიალური მეტაფორების წყაროა. აღნიშნული კარიკატურები შეიქმნა 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომთან მიმართებაში. კარიკატურები კოდირებულია გაზეთების მიხედვით [GT] - *The Georgian Times* და [M] - *The Messenger*, რაც ნაშრომის ბოლოს დანართშია წარმოდგენილი.

ნაშრომის ამ ნაწილში შევეცდებით პასუხები გავცეთ შემდეგ საკვლევ კითხვებს:

1. როგორი ტიპის პიქტორიალური მეტაფორები არის წარმოდგენილი საკვლევ ბაზაში?
2. რა კოგნიტური საფუძველი აქვს პიქტორიალურ მეტაფორებს?
3. რა მიმართებაა გენდერულ იდენტობასთან აღნიშნული პიქტორიალური მეტაფორები?

კვლევის მეთოდი ეფუძნება კოგნიტური მეტაფორის თეორიას (Lakoff & Johnson 1980) და პიქტორიალური მეტაფორის ანალიზს (Forceville 2006). კერძოდ, მოვახდინეთ პრაგმლეჯაზის ჯგუფის მიერ შემუშავებული 5-საფეხურიანი ლინგვისტური მეტაფორის იდენტიფიკაციის მეთოდის ადაპტაცია. ლინგვისტური მეტაფორის შემადგენელი ერთეულები - სიტყვები ვიზუალურ მეტაფორაში გამოსახულებებით არის ჩანაცვლებული. შედეგად აღნიშნული მეთოდის საფეხურები შემდეგ სახეს იღებს:

1. პიქტორიალური მეტაფორების იდენტიფიკაცია და საკვლევ კორპუსის შექმნა აღნიშნული გაზეთების ბაზაზე, გამოსახულების/ სურათის მნიშვნელობის, მისი შინაარსის დადგენა;
2. სურათში/ გამოსახულებაში ვიზუალური ელემენტების გამოყოფა. ვიზუალურ ელემენტებს მიეკუთვნება ობიექტები, მოქმედებები, მახასიათებელი ნიშნები;

3. თითოეული ვიზუალური ელემენტის კონტექსტუალური მნიშვნელობის დადგენა;


4. ვიზუალური ელემენტის ძირითადი მნიშვნელობის განხილვა, რაც მას ზოგადად გააჩნია;

5. თუ ვიზუალური ელემენტის კონცეპტუალური და ძირითადი მნიშვნელობა ერთმანეთის საწინააღმდეგოა, ვიზუალური ელემენტი მეტაფორულია.

4.2. შედეგები და დისკუსია

ნაშრომის ამ ნაწილში განვიხილავთ ყველა კარიკატურას, რომელიც პიქტორიალურ მეტაფორას წარმოადგენს ზემოხსენებულ გაზეთებში.

სურათი 1. *The Georgian Times*, 01/09/2008



ეს კარიკატურა (სურათი 1) თან ახლავს ენდრიუ ვების სტატიას “Georgia: More Sinned Against than Sinning”[GT 58]. აღნიშნულ გამოსახულებაში შემდეგი ვიზუალური ელემენტები შეგვიძლია გამოვყოთ: **ოლიმპიური თამაშების სიმბოლო, ოლიმპიური კვარცხლბეკი, დათვი, დაღუპული მეომრების ცხედრები და ჩამოგდებული ვერტმფრენები**. აღნიშნულ სურათში დათვი წარმოადგენს რუსეთს, რომელმაც გაიმარჯვა. ოლიმპირი კვარცხლბეკი და ოლიპიური სიმბოლო რუსეთ-საქართველოს ომს წარმოგვიდგენს. დაღუპული მეომრები კი „ოლიმპიურ თამაშებში“ დამარცხებული მოთამაშეები არიან. აღნიშნული ვიზუალური ელემენტების ძირითადი მნიშვნელობა განსხვავებულია კონტექსტუალური მნიშვნელობისგან. რის საფუძველზეც შეგვიძლია ვთქვათ, რომ აღნიშნული კარიკატურა ვიზუალური მეტაფორაა.

რაც შეეხება კოგნიტურ საწყისს, მოვახდინეთ წყარო დომენების და სამიზნე დომენების დადგენა, რომელიც შედარების საფუძველია. წყარო დომენი, რა თქმა უნდა, არის საომარი მოქმედებები, ომი, რომლის მიმანიშნებელი სურათზე არის ჩამოგდებული თვითმფრინავები და დაღუპული ქართველი ჯარისკაცები ოლიმპიური ჩემპიონატის კვარცხლბეკთან. სამიზნე დომენი კი - ოლიმპიური ჩემპიონატია. სურათზე ჩანს ოლიმპიური ჩემპიონატის სიმბოლო და გამარჯვებული, სამხედრო ფორმაში ჩაცმული დათვი, რომელიც რუსეთს/მტერს წარმოადგენს. რაც შეეხება წარწერას “11/08/08 Russia wins their first medals” მიუთითებს სამიზნე დომენზე, მაგრამ მის გარეშეც მკითხველს შეუძლია დასკვნა გამოიტანოს, რომ რუსეთია (მტერია) ომში/ ოლიმპიურ სპორტში გამარჯვებული.

კოგნიტური ანალიზი:

კონცეპტუალური მეტაფორები: 1. *მტერი დათვია/მხეცია.*

წყარო დომენი: დათვი / მხეცი

სამიზნე დომენი: მტერი

2. *ომი ოლიმპიური ჩემპიონატია /ომში გამარჯვება ოლიმპიურ ჩემპიონატში გამარჯვებაა/ ომში გამარჯვებული ოლიმპიური ჩემპიონია*

წყარო დომენი: ოლიმპიური ჩემპიონატი

სამიზნე დომენი: ომი

როგორც ვხედავთ ამ სურათზე ორი პიქტორიალური მეტაფორა იკვეთება. მეტაფორა “მტერი დათვია/მხეცია” კონტექსტუალური მონომოდალური მეტაფორაა, რადგან წყარო დომენი მხეცის სახით არის წარმოდგენილი, მტერი -რუსეთი სამიზნე დომენი კი იგულისხმება. მეორე მეტაფორა “*ომი ოლიმპიური ჩემპიონატია*” შესატყვისი ალტერნატიული მეტაფორებით: “*ომში გამარჯვება ოლიმპიურ ჩემპიონატში გამარჯვებაა/ომში გამარჯვებული ოლიმპიური ჩემპიონია*”, რაც მონომოდალური პიქტორიალური მეტაფორაა (პიქტორიალური შედარებაა), რადგან სამიზნე დომენი და წყარო დომენი (ერთმანეთის საპირისპირო) ორივე ნახატის სახითაა წარმოდგენილი.

ზემოთ გაანალიზებული კარიკატურა ასევე მოიცავს ირონიულ ალუზიას „ოლიმპიელი დათუნას“ მიმართ, რომელიც რუსეთში/საბჭოთა კავშირში შექმნილი თვითრეფერენციული დადებითი სიბოლოა. ოლიმპიელი დათუნაც, თავის მხრივ, „კომპლექსური“ მეტაფორაა (დათვი როგორც რუსეთის სიმბოლო, რუსული ზღაპრების პერსონაჟი, დათვთან ასოცირებული სიცივე, სიდიდე და ა.შ.). აღნიშნული კარიკატურა რადიკალურად ცვლის რუსეთის ოლიმპიური სიმბოლოს დადებით იმპლიკაციას.

სურათი 2 წარმოადგენს პირველი სურათის მსგავს პიქტორიალურ მეტაფორას; აქ „ომი“- სამიზნე დომენი არ ჩანს, თუმცა წყარო დომენი კი გამოხატულია- „ოლიმპიური ჩემპიონატი“. წარწერა სურათზე წყარო დომენის ახსნისთვის გადამწყვეტი არ არის, ისედაც ჩანს, რომ გამარჯვებული პუტინია, შესაბამისად რუსეთი-მტერი. ამიტომ ის მონომოდალური კონტექსტუალური მეტაფორაა. მონომოდალური გულისხმობს შემდეგს, კონცეპტუალური შედარებისთვის ვიზუალური მოდუსი არის ვიზუალური ელემენტი, და ვერბალური ელემენტი მხოლოდ დამატებითი ინფორმაციის მოწოდების ფუნქციას ასრულებს.

სურათი 2. *The Georgian Times*, 01/09/2008



ეს კარიკატურაც (სურათი 2) თან ახლავს ენდრიუ ვების სტატიას “Georgia: More Sinned Against than Sinning”[GT 58]. აღნიშნულ გამოსახულებაშიც პირველი სურათის მსგავსად შემდეგი ვიზუალური ელემენტები შეგვიძლია გამოვყოთ: ოლიმპიური თამაშები/სპორტი, ოლიმპიური დროშა, რუსეთის და საქართველოს დროშები, პუტინი ოქროს მედლით, დამარცხებული ქართველები. კონტექსტუალური მნიშვნელობით, პუტინი ოქროს მედლით ომში გამარჯვებულ რუსეთს წარმოადგენს, ოლიმპიური დროშა და კვარცხლბეკი საომარ პროცესს ასახავს.

კოგნიტური ანალიზი:

კონცეპტუალური მეტაფორები: 1. *ომი ოლიმპიური ჩემპიონატია / ომში*

გამარჯვება ოლიმპიურ ჩემპიონატში

გამარჯვება/ ომში გამარჯვებული

ოლიმპიური ჩემპიონია

წყარო დომენი: ოლიმპიური ჩემპიონატი

სამიზნე დომენი: ომი

სურათი 3 წარმოგვიდგენს პიქტორიალურ მეტაფორას, რომელიც ასევე ენდრიუ ვების სტატიას ახლავს თან “Georgia: More Sinned Against than Sinning”[GT58].

სურათის შინაარსი ნადირობასთან ასოცირდება. ვიზუალური ელემენტები ნადირობის პროცესის შემადგენელი ერთეულებია: მონადირე იარაღით, მწევარი, ნანადირევი. აღნიშნული ვიზუალური ერთეულები კონტექსტთან მიმართებაში შემდეგ მნიშვნელობას იძენენ: მონადირე - პუტინია, მწევარი- მედვედევი, რომელიც ნანადირვეს მოარბენინებს. ნანადირევი მოგლეჯილი ფეხია, რომელიც საქართველოს დაკარგულ ტერიტორიასთან ასოცირდება. რა თქმა უნდა, აღნიშნული ვიზუალური ელემენტების კონტექსტუალური მნიშვნელობები განსხვავდება მათი ძირითადი მნიშვნელობებისგან, რის გამოც სურათი მეტაფორულ ელფერს იძენს.



კოგნიტური მოდელი აღნიშნულ შემთხვევაშიც სამიზნე დომენით “ომი” განისაზღვრება, რომელიც სურათზე მარცხენა კუთხეში აფეთქებების სახით არის წარმოდგენილი. მკითხველი კონტექსტიდან გამომდინარე ამყარებს კოგნიტურ კავშირს ომსა და ნადირობას შორის; ნადირობა სამიზნე დომენია და სურათზეც ასეთი ფორმითაა წარმოდგენილი. პუტინი/რუსეთი/მტერი - სამიზნე დომენი, წარმოდგენილია მონადირის სახით (წყარო დომენი). მონადირის მწევარი (წყარო დომენი) არის მედვედევი (სამიზნე დომენი), მწევარს საყელურზე აწერია გვარი. ‘მწევარი’ მედვედევი პუტინის დავალებებს ასრულებს, რომელიც მონადირესთან მიარბენინებს სხეულის ნაწილს - ფეხს, რომელსაც საქართველო აწერია. აღნიშნული კი საქართველოს დაკარგულ ტერიტორიაზე მიუთითებს.

კოგნიტური ანალიზი:

კონცეპტუალური მეტაფორები: **1. ომი ნადირობაა**

სამიზნე დომენი: ომი

წყარო დომენი: ნადირობა

2. მტერი მონადირეა

სამიზნე დომენი: მტერი

წყარო დომენი: მონადირე

3. ომში დაკარგული ტერიტორია სხეულის

მოგლეჯილი ნაწილია.

სამიზნე დომენი: ომში დაკარგული ტერიტორია

წყარო დომენი: სხეულის მოგლეჯილი ნაწილი

პირველი კოგნიტური მეტაფორა “ომი ნადირობაა” მონომოდალური პოქტორიალური შედარებაა, რადგან სამიზნე დომენი (ნადირობა) და წყარო დომენი (აფეთქებები) თვალნათლივ ჩანს. მეორე მეტაფორაც მონომოდალური, პიქტორიალური შედარებაა, რადგან პუტინი/მტერი წარმოდგენილია, როგორც მონადირე. მესამე მეტაფორა მულტიმოდალურია, რადგან წყარო დომენია სხეულის მოგლეჯილი ნაწილი, სამიზნე დომენი კი არის ომში დაკარგული ტერიტორია, რაც წარწერაში “საქართველო” ჩანს. ფაქტობრივად წარწერა ასრულებს განმსაზღვრელის როლს. მესამე კოგნიტურ მოდელში ვიზუალურ მოდუსთან ერთად ვერბალური მოდუსიც მნიშვნელოვანია. ამიტომ არის აღნიშნული მეტაფორა მულტიმოდალური.

მტრის დეჰუმანიზაცია ომის კარიკატურების დამახასიათებელი ნიშანია, რომლის კოგნიტური საწყისი არის *მტერი როგორც მხეცი/ცხოველი*. სურათი 4 კარიკატურაა, რომლის ვიზუალური ელემენტებია: ორთავიანი ღორი (რუსეთი), რომელიც საქართველოს ჭამს.

კარიკატურის შემადგენელი ელემენტებია პრეზიდენტების ნიკოლა სარკოზის და ჯორჯ ბუშის გამოსახულებები, რომლებიც ცდილობენ ღორი ჯოხის დარტყმით გააძევიონ საქართველოს ტერიტორიიდან. აღნიშნული კარიკატურა თან ერთვის სტატისას: “Russia plays with words to prolong its stay”.

მეტაფორული დატვირთვა ამ კარიკატურაზე ცხოველს აქვს. ორთავიანი ღორი რუსეთს წარმოადგენს პუტინის და მედვედევის სახით. ღორის ორი თავი მიმართულია საქართველოს რუკის ორი პუნქტისაკენ: აფხაზეთისა და სამაჩაბლოსკენ. პრეზიდენტები ჯობით ხელში კი პოლიტიკური წნეხის მაჩვენებელია, რომელსაც პოლიტიკოსები რუსეთზე ახორციელებდნენ, რათა მას საქართველოს ტერიტორია დაეტოვებინა.

სურათი 4. *The Messenger*, 29/08/2008



კონკრეტული ანალიზი:

კონცეპტუალური მეტაფორები: 1. **მტერი მხეცია**

სამიზნე დომენი: მტერი

წყარო დომენი: მხეცი

2. **საომარი მოქმედება მხეცის ნადირობაა**


სამიზნე დომენი: საომარი მოქმედება

წყარო დომენი: მხეცის ნადირობა

ეს კარიკატურა პიქტორიალური მეტაფორაა, რომელზეც წყარო დომენები გვაქვს გამოსახული. კონტექსტის აღსაქმელად ვერბალური ელემენტი არ არის საჭირო, ის იგულისხმება, ამიტომ აღნიშნული კარიკატურა კონტექსტუალური მონომოდალური მეტაფორაა.

სურათი 5 (გვ.122) წარმოგვიდგენს საქართველოს პრეზიდენტს და რუსეთის პრემიერ მინისტრს. კარიკატურის მნიშვნელოვანი ვიზუალური ელემენტია იარაღი, რომელსაც პუტინი სააკაშვილს გადასცემს. წარწერა კარიკატურაზე “Roulette with fully loaded gun” იარაღთან ერთად ქმნის მეტაფორულ ელემენტს.

სურათი 5. *The Georgian Times*, 25/08/2008



კოგნიტური ანალიზი

კონცეპტუალური მეტაფორა: 1. საომარი მოქმედება რუსული რულეტის თამაშია

სამიზნე დომენი: საომარი მოქმედება

წყარო დომენი: რუსული რულეტის თამაში

წარწერა კარიკატურაზე იარაღთან ერთად მულტიმოდალურ მეტაფორას ქმნის. იარაღის გადაცემა ომში ჩაბმას/ჩათრევას გულისხმობს. მაგრამ რუსული რულეტის თამაში სავსე მჭიდით პოლიტიკური ხრიკია, რომელიც გადარჩენის შანსს არ უტოვებს მოწინააღმდეგეს.

4.3. დასკვნები

ვიზუალური მეტაფორები კოგნიტური მეტაფორების მსგავსად წყარო და სამიზნე დომენების შედარებაა, მხოლოდ ვიზუალურ ჭრილში. ერთი სურათი/კარიკატურა შესაძლებელია რამდენიმე კოგნიტურ მეტაფორას წარმოადგენდეს. პიქტორიალური მეტაფორები ძირითადად მონომოდალურია, რაც იმას ნიშნავს, რომ წყარო და სამიზნე დომენები ნახატის სახითაა წარმოდგენილი. თუმცა, გვაქვს მულტიმოდალური პიქტორიალური მეტაფორაც, რომლის წყარო დომენი ვერბალური სახით არის წარმოდგენილი, ხოლო სამიზნე დომენი კი ნახატის სახით.

ვიზუალური მეტაფორები აღნიშნულ დისკურსში ვერბალური მეტაფორების ბაზაზე გამოყოფილი კონცეპტუალური მეტაფორების გავრცობაა, შეიძლება ითქვას ერთ-ერთი სახესხვაობა ან საკვლევი კორპუსის, BYU და ქეკ კორპუსების მასალაზე იდენტიფიცირებული კონცეპტუალური მოდელების ვიზუალური მხარეა, სადაც წყარო დომენები ვერბალური/ლინგვისტური მეტაფორებისგან განსხვავებით უფრო თვალსაჩინოა.

ომი, კლაუზვიცისეული მოსაზრებით, პოლიტიკური აქტივობის ერთ-ერთი სახეა. პოლიტიკური აქტივობა კი აღნიშნულ დისკურსში მეტაფორულად (ვერბალურად თუ ვიზუალურად) თამაშთან, სპორტთან და ნადირობასთან არის გაიგივებული. ისინი ვიზუალური მოდელების შემთხვევაშიც ხაზს უსვამენ შეჯიბრს და კონკურენციას, რაც ტიპური მასკულინური თვისებებია. უფრო მეტიც, პიქტორიალურ მეტაფორებში წარმოდგენილი სოციალური აქტორები მამაკაცები არიან უმეტესად. ამიტომ, ვიზუალური მეტაფორებიც წინა თავში განხილიული კონცეპტუალური მეტაფორების მსგავსად, რომლებიც უფრო მამაკაც სოციალურ აქტორებთან არის ასოცირებული ვიდრე ქალებთან, ჰეგემონური დისკურსის განმტკიცებაა მედიაში.

თავი 5. ქალი და მამაკაცი, როგორც სოციალური აქტორები და მათი დისკურსული რეპრეზენტაცია კონფლიქტის ამსახველ მედიაში

წინამდებარე კვლევა კრიტიკული დისკურსის მეთოდოლოგიური ჩარჩოს და ვან ლიუვენის მიერ შემუშავებული კვლევის ანალიტიკური მოდელის ფარგლებში განიხილავს ქალი და მამაკაცი სოციალური აქტორების რეპრეზენტაციას და გენდერული იდენტობის რეპრეზენტაციას ორი ინგლისურენოვანი გაზეთის *The Georgian Times* და *The Messenger* კორპუსების ბაზაზე. რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, აღნიშნულ თეორიაზე დაფუძნებით სოციალური აქტორების დისკურსული რეპრეზენტაციის შესწავლა ქართულ სოციოლინგვისტურ რეალობაში პირველი მცდელობაა, ამიტომ მოგვიწია ვან ლიუვენის ანალიტიკური მოდელის ინგლისურენოვანი ტერმინებისთვის ქართული შესატყვისების შერჩევა, რაც ტექსტში გამუქებულია.

რეპრეზენტაციის არსი მდგომარეობს იმაში, რომ სიმბოლური ელიტა - ხალხი, რომელიც აკონტროლებს ყველაზე მნიშვნელოვან სახალხო დისკურსებს: პოლიტიკოსები, ჟურნალისტები, მწერლები, მეცნიერები, მასწავლებლები და ა.შ., ასევე ხალხი, რომელმაც თავად განიცადა ომის დამანგრეველი ზემოქმედება მნიშვნელოვან როლს თამაშობენ დაწინაურებული იდეოლოგიების შექმნაში (van Dijk 2005). ეს ადამიანები გარკვეული დისკურსის სოციალური აქტორები ხდებიან.

ჩვენი კვლევა ვან ლიუვენის მოდელის (1996) იმ ძირითად ელემენტებს განიხილავს სოციალურ აქტორთა რეპრეზენტაციის საკითხთან მიმართებაში, რომლებიც შეიძლება ჩავთვალოთ კვლევის ძირითად კრიტერიუმებად. ესენია, სოციალური აქტორების დისკურსიდან *გამორიცხვა* (exclusion) და *ჩართულობა* (inclusion) (van Leeuwen 2008). *გამორიცხვა* არის პროცესი, რომლის დროსაც ხდება სოციალური აქტორის გამოტოვება დისკურსში გარკვეული ლინგვისტური მექანიზმების საშუალებით. გამორიცხვის ორი სახე არსებობს: *ჩახშობა* (suppression) და *ფონირება* (backgrounding).

ჩახშობის დროს სოციალური აქტორის და არც მისი ქმედების კვალი არ ჩანს ტექსტში, რომელსაც ვან ლიუვენი *რადიკალურ გამორიცხვას* უწოდებს (radical exclusion) (2008:29). ამის მაგალითია:

ა) *პასიური აგენტის წაშლა* (passive agent deletion)

“The robber *was shot*”.

ამ წინადადებაში ნამდვილი აქტორი არ ჩანს, რომელიც ზოგადად “by” ფრაზით ემატება. ამ შემთხვევაში ფოკუსი მსხვერპლზე გადადის.

ბ) *ინფინიტივიანი სტრუქტურები*.

“*To maintain* the policy is hard”

ამ წინადადებაში ინფინიტივი “to maintain” გამორიცხავს სოციალურ აქტორს, რადგან უცნობია, ვინ უნდა შეინარჩუნოს პოლიტიკა.

გ) *ნომინალიზაციები და პროცესების გამომხატველი სახელური ფრაზები*, მაგ.

“*Financial support* was the most essential issue”,

ფრაზა “financial support” გამორიცხავს სოციალურ აქტორს, რადგან არ ჩანს ვისგან არის შემოთავაზებული ფინანსური დახმარება .

ფონირება არის გამორიცხვის ისეთი სახე, რომელიც ტოვებს სოციალური აქტორის კვალს რეპრეზენტაციაში. სოციალური აქტორი წინადადების ან ტექსტის სხვა ნაწილში ჩნდება, რომელსაც ლიუვენი ნაკლებად რადიკალურ გამორიცხვას უწოდებს (2008,30-31).

ა) *ფონირება ხორციელდება -ed და -ing მიმდებარებით*:

“*Clearing* the case, *police* set up the evidence.”

ფრაზაში “clearing the case” აქტორი არ ჩანს, მაგრამ წინადადების მეორე ნაწილში ჩანს, რომ აღნიშნულს პოლიცია ასრულებს. იგივე შეიძლება ითქვას

ბ) *ინფინიტივიან სტრუქტურაზე*:

“*To maintain* the policy, *the government* has invited some experts.”

გ) თანწყობილ წინადადებაზე

“John invited *them* to the party, but *the Wilsons* didn’t show up.”

დ) ვნებით სტრუქტურაზე, როდესაც მოქმედების შემსრულებელი ტექსტში სხვა ადგილზე ჩნდება.

“John *was hit* *Mary* was a woman to commit a crime.”

გამორიცხვა განვიხილეთ ზემოთ. რაც შეეხება *ჩართულობას*, მას განაპირობებს სოციალური აქტორების:

- აქტივაცია/პასივაცია (Activation/Passivation)

დისკურსში სოციალური აქტორი გააქტიურებულია, თუ ის წარმოდგენილია როგორც აქტივობის, მოქმედების დინამიური ძალა. სოციალური აქტორი პასივირებულია, თუ ის თავად განიცდის ზემოქმედებას, ამ მოქმედების მიმღებია. *აქტივაციის* კატეგორიაში განვიხილავთ ორ ქვეკატეგორიას:

* *მონაწილეობა* (Participation), როდესაც სოციალური აქტორი თავად არის მოქმედების შემსრულებელი

“*The president* approved of the legitimate candidate.”

* *სირკუმსტანციალიზაცია* (circumstantialization), როდესაც აქტივაცია ხორციელდება წინდებულიანი ფრაზებით, მაგალითად როგორცაა ინგლისურ ენაში “from” და “by”.

“The new-comers received cold-shoulder *from the colleagues*.”

სოციალური აქტორის *გაპასიურება* (passivation) ორ ქვეკატეგორიას მოიცავს:

* *დაქვემდებარება* (subjection)- აქტორი ხდება მოქმედების საგანი (წინადადებაში ობიექტია, ან ვნებით კონსტრუქციაში ზემოქმედების საგანია)

“Australia brings in about 70,000 *migrants* a year.”

“*African street vendors* were attacked by young white thugs. ”

* **ბენეფიციალიზაცია** (beneficialization) - აქტორი არის მესამე პირი, რომელიც პოზიტიურად ან ნეგატიურად იღებს მოქმედების შედეგებს (van Leeuwen 1996,44-45).

“Two thousand Chinese arrived last year bringing bulging wallets to the *cities like Vancouver.*”

რეპრეზენტაციისთვის მნიშვნელოვანია განვიხილოთ, თუ როგორ ხდება სოციალურ აქტორებზე როლების გადანაწილება დისკურსში; შესაბამისად, თუ ვინ ხდება ‘აქტორი’/‘აგენტი’(actor/agent) და ვინ - ‘პაციენტი’/ ‘მიზანი’ (patient/goal) ლინგვისტების განსჯის საგანია (van Dijk 1991; Fowler 1991; Fairclough 1989; Kress & Hodge 1979). *ჩართულობის* შემთხვევაში სოც. აქტორებს შესაძლებელია ჰქონდეთ ‘აქტიური’ ან ‘პასიური’ როლები. აქტიური როლი გულისხმობს, რომ სოციალური აქტორი დინამიურ, აქტიურ როლში გვევლინება, ხოლო აქტორი პასიურ როლშია, როდესაც ის თავად განიცდის ზემოქმედებას. *აქტივაციის* შემთხვევაში სოციალური აქტორი იღებს შემდეგ როლებს: *აგენტი* (agent) - მოქმედების შემსრულებელი, *მთქმელი* (sayer) და *სენსორი* (sensor).

გაპასიურების შემთხვევაში, სოციალური აქტორი შეიძლება იყოს *დაქვემდებარებული* (subjected) და *ბენეფიციალიზებული* (beneficialized):

* *დაქვემდებარებული* სოციალური აქტორი რეპრეზენტაციის ობიექტია;

“Australia brings in about 70,000 *migrants* a year”.

* *ბენეფიციალიზებული* სოციალური აქტორები წარმოადგენენ მესამე მხარეს, რომელიც ხდება მოქმედების/ქმედების მოსარგებლე.

“Two thousand Chinese arrived last year bringing bulging wallets to the *cities like Vancouver.*”

შემდეგი კატეგორიაა *პერსონალიზაცია* (Personalization), რომლის ფარგლებშიც განვიხილავთ *განსაზღვრულობას* (determination), რომელიც თავის მხრივ, მოიცავს სოციალური აქტორების *კატეგორიზაციას* (categorization) და *ნომინაციას* (nomination).

კატეგორიზაციაში მოაიზრება:


- *ფუნქციონალიზაცია* (functionalization) - სოციალური აქტორი დისკურსში წარმოდგენილია საქმიანობის, დაკავებული თანამდებობის ან პოზიციის მიხედვით.
- *კლასიფიკაცია* (classification) - ამ შემთხვევაში სოციალური აქტორები იყოფა გარკვეულ კლასებად, მაგ. ასაკის, გენდერის, ოჯახობრივი სტატუსის და ა.შ მიხედვით.
- *რელაციური იდენტიფიკაცია* (relational identification)- სოციალური აქტორი ამ კრიტერიუმის მიხედვით განიხილება სხვა ადამიანებთან მიმართებაში (ნათესაური კავშირი, თანამშრომლობა) ან სხვა ცნებასთან მიმართებაში, მაგ. ქვეყანა. რელაციური იდენტიფიკაციის დროს სოციალური აქტორების აღმნიშვნელ ლექსიკურ ერთეულებს შეიძლება თან ახლდეს კუთვნილებითი ნაცვალსახელი.

განსაზღვრულობის (determination) მეორე ქვეკატეგორიაა *ნომინაცია* (nomination), რომელიც სოციალური აქტორებს წარმოგვიდგენს შემდეგი სახით:

- *ფორმალიზაცია* (formalization) - სოციალური აქტორი წარმოდგენილია მხოლოდ გვართ, რომელსაც შეიძლება თან ახლდეს ჰონორიფიკაცია.
- *სემი-ფორმალიზაცია* (semi-formalization) - სოციალური აქტორი წარმოდგენილია სახელით და გვართ.
- *ინფორმალიზაცია* (informalization) – სოციალური აქტორი წარმოდგენილია მხოლოდ სახელით.

შემდეგ გვერდზე (გვ.134) წარმოდგენილია ვან ლიუვენის მოდელის ადაპტირებული ვერსია იმ კატეგორიების ჩათვლით, რომელიც ჩვენი კვლევისთვის საჭირო კრიტერიუმებს წარმოადგენენ (van Leeuwen 2008:52):

სოციალური აქტორების ჩართულობა დისკურსში



5.1. კვლევის მიზანი და საკვლევი კითხვები

მედია წარმოადგენს ინფორმაციის და ამასთანავე ღირებულებების გავრცელების უმნიშვნელოვანეს საშუალებას. მედიას შეუძლია „იდეოლოგიების რეფორმულირება, ნატურალიზაცია და ლეგიტიმაცია“, ასევე ინფორმაციის მიმღების/ 'რეციპიენტის' მსოფლმხედველობის კონსტრუირება (Fairclough 1992; van Dijk 2001). აღნიშნული კვლევის მიზანია ინგლისურენოვანი გაზეთების *The Georgian Times* და *The Messenger* საკვლევი კორპუსის რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომის ამსახველი მასალის შესწავლა/გაანალიზება ვან ლიუვენის (1996) მეთოდოლოგიურ მოდელზე დაყრდნობით. შესაბამისად, ძირითადი საკვლევი კითხვებია:

- 1) როგორ არიან წარმოდგენილი ქალი და მამაკაცი სოციალური აქტორები ომის ამსახველ ბეჭდურ მედიაში?
- 2) თუ ქალი და მამაკაცი სოციალური აქტორები განსხვავებულად არიან წარმოდგენილი, რა საფუძველი შეიძლება ჰქონდეს ამ განსხვავებულობას?

5.2. კვლევის მეთოდი

კვლევის მეთოდი ეფუძნება ვან ლიუვენის ანალიტიკურ მოდელს (1996), რომელიც ჩართულია კრიტიკულ დისკურს-ანალიზში. კვლევა არის კომბინირებული რაოდენობრივ-თვისობრივი, ამავდროულად მანუალური. კვლევის პროცესი მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

- 1) ორივე ინგლისურენოვანი გაზეთის *The Georgian Times* და *The Messenger* კორპუსში შემავალი ტექსტების დეტალური წაკითხვა.
- 2) მეორე ეტაპი კვლევის რაოდენობრივ მონაცემებს შეეხება, რაც გულისხმობს, ვან ლიუვენის მეთოდოლოგიური ჩარჩოს გათვალისწინებით წინასწარ შერჩეული კატეგორიების მიხედვით, ქალი და მამაკაცი სოციალური აქტორების რეპრეზენტაციის სიხშირეების და პროპორციების დათვლას მონაცემების სტატისტიკური ანალიზით (χ^2 -ის და სტატისტიკური მნიშვნელობის p გამოთვლა, როდესაც $p < 0.05$).
- 3) მესამე ეტაპი კი არის შერჩეული კატეგორიების მიხედვით მიღებული მონაცემების თვისობრივი ანალიზი.

5.3. შედეგები

ნაშრომის ამ ნაწილში წრმოდგენილია კვლევის რაოდენობრივი მაჩვენებლები ვან ლიუვენის მოდელის წინასწარ შერჩეული კატეგორიების მიხედვით, რომლებსაც თან ერთვის თვისობრივი მონაცემები. კვლევისთვის მნიშვნელოვანი კატეგორიებია სოციალური აქტორების *გამორიცხვა* და *ჩართულობა*, *აქტივაცია* და *პასივაცია*, ასევე *კატეგორიზაცია* და *ნომინაცია*. აღნიშნულ კატეგორიებზე ჩვენ ვისაუბრეთ აღნიშნული თავის შესავალ ნაწილში.

5.3.1. სოციალური აქტორების აქტივაცია და პასივაცია

სოციალური აქტორების გამორიცხვას და ჩართულობას დისკურსულ რეპრეზენტაციებში გვიჩვენებს ცხრილი 9.

ცხრილი 9. სოციალური აქტორების გამორიცხვა და ჩართულობა გაზეთების *The Georgian Times* და *The Messenger* კორპუსებში

სოც. აქტორები	გამორიცხვა	ჩართულობა	X ²	Sig.
მამაკაცი	6	294	63.7	0.00
ქალი	21	51		

როგორც ჩანს, ქალი სოციალური აქტორების რეპრეზენტაციებში გამორიცხვის მაჩვენებელი უფრო მაღალია ვიდრე მამაკაცების; მამაკაცების ჩართულობა კი გაცილებით მაღალია ვიდრე ქალების. აღნიშნული განსხვავება სტატისტიკურად მნიშვნელოვანია რადგან $p=0.0 < 0.05$

მაგალითები 1-5 ქალი სოციალური აქტორების დისკურსული რეპრეზენტაციიდან **ნაკლებად რადიკალური გამორიცხვის - ფონირების** შემთხვევებია, რომელიც **ინფინიტივის, მიმღობის და ვნებითი გვარის** სტრუქტურებით არის წარმოდგენილი. ამ შემთხვევაში სოციალური აქტორის კვალი ჩანს წინადადებაში ან ტექსტის სხვა მონაკვეთში (ვნებითი გვარის სტრუქტურის შემთხვევაში). სრული, **რადიკალური ჩახშობის** შემთხვევები არ ფიქსირდება.

მაგალითი 1

“**To support** the case, **she** directly cited the six-point ceasefire agreement and the letter of clarification” [M 42]

მაგალითი 2

“**Looking at** the passers-by, **she** said ‘all the Tskhinvali Georgians are here’[M45]

მაგალითი 3

“**Having established** the foundation for Democartic Georgian Parliamentary, **ex-speaker Nino Burjanadze** is preparing to take an action” [GT 25]

მაგალითი 4

“*Referring to* the surprise move, *foreign Minister Tkeshelashvili* said “the russian side should not be allowed to interpret this arrangement wrongly” [GT 41]

მაგალითი 5

“This interview *was given* early last week, before fighting broke out on Georgian territory” [GT 25]

მაგალითში 1 წინადადება იწყება ზმნის განუსაზღვრელი ფორმით - ინფინიტივით “*To support* the case”, რომელიც არ ასახელებს სოც.აქტორს. თუმცა წინადადების მეორე ნაწილში სოც.აქტორი შემოდის პირის ნაცვალსახელით “*she*”. იგივე შეიძლება ითქვას მაგალითზე 2, 3, სადაც წინადადებები იწყება მიმდებარის ფორმებით (present participle - “*Looking at* the passers-by”, “*Referring to* the surprise move” და perfect participle - “*Having established* the foundation for”), რომლებიც გამორიცხავენ სოც.აქტორს, მაგრამ ფონირების მეშვეობით აღნიშნული ჩნდება წინადადების მეორე ნაწილში. მაგალითში 5 სოციალური აქტორი აღნიშნულ წინადადებაში არ ჩანს ვნებითი კონსტრუქციის გამო, თუმცა ტექსტში აქტორის კვალი ჩანს.

მამაკაცი სოციალური აქტორების შემთხვევაშიც ფონირების მაგალტები (ზმნის განუსაზღვრელი ფორმები) გვაქვს, თუმცა ქალებთან შედარებით მცირე რაოდენობით და ისიც უცხოელი მამაკაცი აქტორების რეპრეზენტაციაში, როგორც არის თურქეთის პრემიერ მინისტრი და რუსეთის მთავარსარდალი ბორისოვი.

მაგალითი 6

“*After attending* a meeting with Georgia’s President on August 14, *Turkish Prime Minister Recep Tayyip Erdoan* commented that Turkey will continue sending humanitarian aid to Georgia”[M16]

მაგალითი 7

“*Pointing to* the large number of troops, *Borisov* explained that...” [M18]

მაგალითი 6, წინადადება იწყება წინდებულიანი მიმღობით, რომელიც გამორიცხავს სოც. აქტორს, მაგრამ ფონირების შედეგად ის ჩნდება წინადადების მეორე ნაწილში. იგივე შეიძლება ითქვას მაგალითზე 7.

ცხრილი 10 გვიჩვენებს მამაკაცი და ქალი სოციალური აქტორების რეპრეზენტაციის სიხშირებს და პროპორციებს კატეგორიების-*აქტივაცია* და *პასივაცია*-მიხედვით გაზეთისთვის *The Georgian Times*. აქტივაცია ორი ქვეკატეგორიით არის წარმოდგენილი, როგორცაა *მონაწილეობა* და *სირკუმსტანციალიზაცია*. მონაწილეობის საერთო სიხშირიდან (N150) უდიდესი წილი 87% მოდის მამაკაცების რეპრეზენტაციაზე, ქალებზე კი 13%. *სირკუმსტანციალიზაცია* კი მხოლოდ მამაკაცი სოციალური აქტორების შემთხვევაში გვაქვს. რაც შეეხება *პასივაციას*, იგი წარმოდგენილია ორი ქვეკატეგორიით: *დაქვემდებარება* და *ბენეფიციალიზაცია*. აღნიშნულის პროცენტული მაჩვენებელი უფრო მაღალია მამაკაცების შემთხვევაში.

ცხრილი 10. გაზეთში *The Georgian Times* სოციალური აქტორების როლების გადანაწილება გენდერის მიხედვით

როლების გადანაწილება		მამაკაცი	ქალი
აქტივაცია	მონაწილეობა (N150)	133 (87 %)	17 (13%)
	სირკუმსტანციალიზაცია(N2)	2 (100%)	- (0%)
პასივაცია	დაქვემდებარება (N2)	22 (79%)	6 (21%)
	ბენეფიციალიზაცია(N3)	3 (100%)	- (0%)

ცხრილი 11(გვ.143) გვიჩვენებს მამაკაცი და ქალი სოციალური აქტორების რეპრეზენტაციის სიხშირებს და პროპორციებს კატეგორიების-*აქტივაცია* და *პასივაცია* - მიხედვით მეორე ინგლისურენოვანი გაზეთისთვის *The Messenger*. ამ

შემთხვევაშიც, *აქტივაცია* ორი ქვეკატეგორიით არის წარმოდგენილი, როგორცაა *მონაწილეობა* და *სირკუმსტანციალიზაცია*. კატეგორიის- *მონაწილეობა*- საერთო სიხშირიდან (N147) უდიდესი წილი 84 % მოდის მამაკაცების რეპრეზენტაციაზე. *სირკუმსტანციალიზაციის* შემთხვევა კი მხოლოდ მამაკაცი სოციალური აქტორების შემთხვევაში ფიქსირდება. რაც შეეხება *პასივაციას*, იგი წარმოდგენილია ორი ქვეკატეგორიით: *დაქვემდებარება* და *ბენეფიციალიზაცია*. ამ გაზეთის შემთხვევაშიც პროცენტული მაჩვენებელი უფრო მაღალია მამაკაცების შემთხვევაში.

ცხრილი 11. გაზეთში *The Messenger* სოციალური აქტორების როლების გადანაწილება გენდერის მიხედვით

როლების გადანაწილება		მამაკაცი	ქალი
აქტივაცია	მონაწილეობა (N147)	122 (84 %)	23 (16%)
	სირკუმსტანციალიზაცია(N5)	5 (100%)	- (0%)
პასივაცია	დაქვემდებარება (N12)	7 (58%)	5 (42%)
	ბენეფიციალიზაცია(N-)	- (0%)	- (0%)

ცხრილი 12 (გვ.144) წარმოგვიდგენს ორივე გაზეთის კორპუსის ბაზაზე საერთო სიხშირეებს და პროპორციებს კატეგორიებისთვის *აქტივაცია* და *პასივაცია*. შედეგად, პროცენტული მაჩვენებელი, რომელიც მამაკაცი სოციალური აქტორების რეპრეზენტაციაზე მიუთითებს 87%-ია აქტივაციის მხრივ, 74 % კი პასივაციის მხრივ და იგი ჭარბობს ქალი სოციალური აქტორების რეპრეზენტაციას. აღნიშნული მონაცემების სტატისტიკური ანალიზი გვიჩვენებს, რომ $X^2=4.547$ და $p=0.03$, რაც მიუთითებს იმაზე, რომ აღნიშნული განსხვავება სტატისტიკურად მნიშვნელოვანია, როდესაც $p<0.05$.

ცხრილი 12 გაზეთებში *The Georgian Times* და *The Messenger* სოციალური აქტორების რეპრეზენტაციის სიხშირეების სტატისტიკური სანდოობის ტესტი

როლების გადანაწილება	მამაკაცი	ქალი	X ²	Sig.
აქტივაცია (N302)	262 (87%)	40 (13 %)	4.547	0.03
პასივაცია (N43)	32 (74%)	11 (26%)		

როგორც ვხედავთ, რაოდენობრივი შედეგები გარკვეულ ტენდენციებს წარმოგვიდგენს ქალი და მამაკაცი სოციალური აქტორების რეპრეზენტაციის კუთხით. თვისობრივი ანალიზი კი ამ განსხვავებების ახსნისათვის მნიშვნელოვანია.

მაგალითი 8

Obama also condemned “the violation of Georgia’s sovereignty” [GT 3]

მაგალითი 9

Zenyo Baran has explicitly stated that no one is going to start a war for Georgia’s sake.

[GT 2]

მაგალითი 10

MP Paata Davitaia says he is ready to provide assistance in person to Georgian fighters.

[GT 5]

მაგალითი 11

Popov, the special Ambassador of Russia, visited Georgia as part of this systematic provocation. [GT5]

მაგალითი 12

Georgia’s foreign Minister Nika Giliauri maintains that there are enough fuel stocks in the country despite the war. [M41]

მაგალითი 13

On August 7th the spokesperson for UN Secretary-General Ban Kimoon expressed his “serious concerns about the mounting violence in South Ossetia”. [M 2]

მაგალითი 14

“I am afraid for my children... even a small noise makes them panic” Nodar asatiani from Gori said. [M11]

მაგალითები 8-14 ამონარიდებია გაზეთებიდან, რომლებიც მამაკაც სოციალურ აქტორებს წარმოგვიდგენს მოქმედი სუბიექტის როლში.

ცხრილის 13 (გვ.146) მიხედვით, სოციალური აქტორების საერთო პროპორციის უდიდესი ნაწილი მოდის მამაკაცების აქტიური სახით წარმოდგენაზე (93%) ქალებთან შედარებით (7%). ზემოთ აღნიშნული მაგალითები ძირითადად წარმოგვიდგენს პოლიტიკოსებს აქტიური სახით (მაგალითი 8-13), რომლებიც მოქმედების დინამიურ ძალას წარმოადგენენ დისკურსში. ბოლო მაგალითი 14 კი წარმოგვიდგენს კონფლიქტის ზონის მობინადრეს. უნდა ავლნიშნოთ, რომ მამაკაცი სოციალური აქტორების აქტივობის საერთო სიხშირიდან (N 262) აქტივაციის 245 შემთხვევა წარმოდგენილია მამაკაცებით პოლიტიკოსების, მაღალი რანგის სახელმწიფო და სამხედრო პერსონალის როლში. 17 შემთხვევა კი წარმოდგენილია ჩვეულებრივი მოქალაქეებით (მაგალითი 14), რომლებიც გარკვეულ კომენტარს აკეთებენ კონფლიქტის შესახებ და ამავდროულად ოჯახის დამცველის როლში გვევლინებიან. ზემოთქმულს რაოდენობრივ მონაცემებს ადასტურებს ცხრილი 5, რომლის მიხედვით განსხვავება სტატისტიკურად მნიშვნელოვანია ($p=0.000$).

ცხრილი 13. გაზეთებში *The Georgian Times* და *The Messenger* სხვადასხვა როლში წარმოდგენილი მამაკაცი და ქალი სოციალური აქტორების რეპრეზენტაციის სიხშირეები და პროპორციები

როლების გადანაწილება		პოლიტიკოსი/ სამხედრო პირი	მოქალაქე	X ²	sig.
მამაკაცი	აქტივაცია (N262)	245 (93%)	17 (7 %)	111.03	0.000
	პასივაცია (N32)	27 (84%)	5 (16%)		
ქალი	აქტივაცია (N40)	16 (40%)	24 (60 %)		
	პასივაცია (N11)	2 (19%)	9 (81%)		

მამაკაცი სოციალური აქტორების პასივაციის ამსახველი მაგალითებია:

მაგალითი 15

*President Bush also instructed his **Defence Secretary, Bob Gates**, to begin sending assistance to Georgia by air as well as sea. [M 16]*

მაგალითი 16

*Many criticize **President Saakashvili** for having miscalculated Russia's response [GT]*

მაგალითი 17

***Giorgi Dzedzibashvili**, a 4th **Brigade Sergeant** for the past 12 years, was seriously wounded fighting in the conflict zone [GT 31]*

მაგალითი 18

*27 year-old **Giorgi Romelashvili's brother** was killed. [GT 41]*

აღნიშნული მაგალითები (15-18) წარმოგვიდგენს მამაკაც სოციალურ აქტორებს პასიურ როლში, რადგან აღნიშნულ შემთხვევებში ისინი ზემოქმედების ობიექტები არიან. მაგ.15-16 სოციალური აქტორები წინადადების ობიექტებია, რომლებიც გარკვეულ ზემოქმედებას განიცდიან. ხოლო მაგალითებში 17-18 სოც.აქტორი

ვნებითი კონსტრუქციით პასიურდება. ცხრილის 12 (გვ.144) მიხედვით, მამაკაცი სოციალური აქტორების გაპასიურების მაჩვენებელი უფრო მაღალია (74%), ვიდრე ქალი სოციალური აქტორების (26%). ზემოაღნიშნული მაგალითები ძირითადად წარმოგვიდგენს პოლიტიკოსებს და სამხედრო პირებს პასიური სახით (მაგალითი 15-17), ბოლო მაგალითი 18 კი წარმოგვიდგენს მამაკაცს კონფლიქტის ზონიდან უნდა აღვნიშნოთ, რომ მამაკაცი სოციალური აქტორების გაპასიურების სიხშირიდან (32) გაპასიურების 27 შემთხვევა წარმოდგენილია მამაკაცებით პოლიტიკოსების და სამხედრო პერსონალის როლში, 5 შემთხვევა კი წარმოდგენილია მოქალაქეებით, რაც ჩანს ცხრილში 13 (გვ.146).

რაც შეეხება ქალი სოციალური აქტორების პრეზენტაციის საერთო პროცენტულ წილს, აქტივაციის (13%) და პასივაციის(26%) შემთხვევაში ის დაბალია მამაკაცების რეპრეზენტატიულობასთან შედარებით (ცხრილი 12, გვ.144). ცხრილი 13 კი წარმოგვიდგენს მონაცემებს, რომლებიც ქალების დისკურსული აქტივაციის შემთხვევაში საერთო რაოდენობის 40 შემთხვევიდან, 24 შემთხვევა მოქალაქეებს წარმოგვიდგენს აქტიურ როლში (60%), გაპასიურების შემთხვევების საერთო რაოდენობის 11 შემთხვევიდან კი 9 (82%) მოქალაქეებს შეეხება. ამას თვისობრივი მონაცემებიც ადასტურებს. ფაქტობრივად როლები, რომელსაც ქალი სოციალური აქტორები ძირითადად ასრულებენ არის დაზარალებული მეუღლის, დედის და შვილის როლი, რომლის წილიც უფრო მაღალია ვიდრე ქალი სოციალური აქტორის, რომელიც პოლიტიკოსის როლში გვევლინება.

მაგალითი 19

Salome Zourabichvili, leader of Georgian way and a member of the opposition coalition, says that the Russian demand to change the leadership is “impossible” and “unacceptable”
[GT 37]

მაგალითი 20

United States President George W. Bush has made a statement condemning Russian Military adventures in Georgia and sent Secretary of State Condoleezza Rice to France and Georgia to take part in negotiations. [M 8]

მაგალითი 21

“We will carry on protesting here in London until the international community takes effective steps to stop this madness”, Ketik Sikharulidze, a Georgian citizen in London, told the Messenger on August 11. [M 7]

მაგალითი 22

Shida Kartli residents Nana Matrasidze and Mikheil Kaidarashvili were also blown up ...by land mines Russian aggressors left in the village. [M 38]

მაგალითი 19 და 20 წარმოგვიდგენს ქალ პოლიტიკოსებს აქტიურ და პასიურ როლში, ხოლო მაგალითი 21 და 22 წარმოგვიდგენს მოქალაქეებს კონფლიქტის ზონიდან აქტიურ და პასიურ როლში. თუმცა უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვეულებრივი ქალების დისკურსული აქტიურობის და გაპასიურების პროცენტული მაჩვენებელი უფრო მაღალია, ვიდრე პოლიტიკოსი ქალების (ცხრილი 13 გვ.146).

როგორც აქამდეც აღვნიშნეთ, გააქტიურებული სოციალური აქტორი დისკურსში შეიძლება მრავალი სახით იქნას წარმოდგენილი. ჩვენს კვლევაში ყურადღებას ვამახვილებთ შემდეგ როლებზე: *აგენტი, მთქმელი და სენსორი*. ცხრილი 14 (გვ.148) გვიჩვენებს გენდერის მიხედვით სოციალური აქტორების როლების კონკორდანსს.

ცხრილი 14. სოციალური აქტორების როლების კონკორდანსი (GT- შედეგები გაზეთისთვის *The Georgian Times* და M შედეგები გაზეთისთვის *The Messenger*)

დისკურსული როლები	მამაკაცი		ქალი		მამაკაცი (სრული)	ქალი (სრული)
	GT	M	GT	M		
აგენტი	18	27	2	5	45	7
მთქმელი	128	96	17	19	244	36
სენსორი	10	3	-	-	13	-

როგორც ვხედავთ მამაკაცი და ქალი სოციალური აქტორების უმეტესობა დისკურსში წარმოდგენილია, როგორც მთქმელი, აზრის გამომხატველი და არა

როგორც რაღაც მოქმედების შემსრულებელი. თუმცა, მამაკაცების რაოდენობა როგორც მთქმელის, ისე აგენტის აღმატება ქალის, როგორც მთქმელის და აგენტის რაოდენობას.

ჰალიდის ტრანზიტულობის მიხედვით (2004), რომელიც ვან ლიუვენის მოდელის საფუძველია, ზმნები, რომლებიც აქტორების არსებობას ახლავს დისკურსში შეიძლება იყოს *ვერბალური პროცესის, მატერიალური პროცესის და მენტალური პროცესის* გამომხატველი. ვერბალური პროცესის ზმნები დაკავშირებულია *მთქმელ* აქტორებთან, მატერიალური პროცესის ზმნები დაკავშირებულია *აგენტ*, ხოლო მენტალური პროცესის ზმენი კი - *სენსორ* სოციალურ აქტორებთან.

კვლევამ გვიჩვენა, რომ აღნიშნულ დისკურსში ჭარბობს ვერბალური პროცესების გამომხატველი ზმნები: *urge, say, reiterate, add, propose, tell, warn, voice, threaten, state, speak, condemn, talk, attack (verbally), declare, note, comment, demand, explain, point out, recount, threaten, share, defy, pledge, assert, call for, evaluate, claim, admit, announce, reaffirm, address, insist, deny*. შედარებით ნაკლებია მატერიალური პროცესის გამომხატველი ზმნები: *visit, die, sign, continue, demonstrate, broker, mount on, leave, rape, torture, work, weep, bury, serve, wound, remain, drive, save, live, pound, launch, arrive, attack, hold hostage*. ყველაზე დაბალი წილი კი მოდის მენტალურ ზმნებზე, რომელსაც სენსორი სოციალური აქტორები იყენებენ დისკურსში: *think, estimate, reflect, sense, foresee, suffer*. აღნიშნულ ზმნებს გენდერთან მიმართებაში თუ განვიხილავთ, ვნახავთ, რომ ქალისა და მამაკაცის დისკურსში ჭარბობს ვერბალური პროცესის გამომხატველი ზმნები. თუმცა, აღნიშნული ლექსიკური ერთეულები მამაკაცის დისკურსში უფრო ხშირად გვხვდება, ვიდრე ქალის დისკურსში.

5.3.2. სოციალური აქტორების კატეგორიზაცია და ნომინაცია

ჩვენი კვლევა სოციალური აქტორების განსაზღვრულობის კატეგორიის ორ ქვეკატეგორიას წარმოადგენს. კატეგორიზაციის შესწავლამ გვიჩვენა, რომ კონფლიქტის ამსახველ დისკურსში მამაკაცი სოციალური აქტორები უფრო მეტად არიან ფუნქციონალიზებული ვიდრე ქალი სოციალური აქტორები, რაც გულისხმობს მათ გარკვეული სტატუსით წარმოდგენას, თუ რას საქმიანობენ, რას აკეთებენ. სოციალური აქტორების კლასიფიკაცია მსგავსს შედეგს აჩვენებს, რაც გულისხმობს აქტორის იდენტიფიკაციას გენდერის, ასაკის, ეროვნების, ოჯახობრივი სტატუსის თუ სხვა სოციალური კატეგორიის მიხედვით. რელაციური იდენტიფიკაცია კი სოციალურ აქტორს წარმოგვიდგენს სხვა ადამიანთან, ქვეყანასთან და ა.შ მიმართებაში. ცხრილში 15 წარმოდგენილი რაოდენობრივი მონაცემების განსხვავება სტატისტიკურად მნიშვნელოვანია, რადგან $p=0.0002$ ($p < 0.05$)

ცხრილი 15. სოციალური აქტორების კატეგორიზაცია (GT- შედეგები გაზეთისთვის *The Georgian Times* და M შედეგები გაზეთისთვის *The Messenger*)

დისკურსული როლები	მამაკაცი		ქალი		მამაკაცი (სრული)	ქალი (სრული)	X ²	Sig.
	GT	M	GT	M				
ფუნქციონალიზაცია	78	116	8	10	194	18	16.9	0.0002
კლასიფიკაცია	24	31	14	5	55	19		
რელაციური იდენტიფიკაცია	15	10	1	-	25	1		

კვლევის შედეგებმა გვიჩვენა, რომ მამაკაცი სოციალური აქტორები კატეგორიზაციის ყველა გამოვლინებით ჭარბობენ ქალი სოციალური აქტორების დისკურსულ კატეგორიზაციას.

მაგალითი 23

“George Khelashvili, Political analyst at oxford university said...” [GT 14]

მაგალითი 24

“US President George W. Bush and French President Nicola Sarkozy spoke on the phone and shared the opinion that...” [GT 29]

მაგალითი 25

“President Saakashvili told Reuters that the buffer zone was unacceptable”. [GT 29]

მაგალითი 26

“Georgian Soldier Imeda ... was held hostage on 8 August in Tskhinvali” [GT49]

მაგალითი 27

“Eka Tkeshelashvili, the Georgian Foreign Minister, stressed that opening stationary checkpoints outside the zone a violation of the accord” [M 42]

მაგალითი 28

“Russian troops had planned to remain in Georgia but did not succeed”, Deputy Interior Minister Eka Zguladze said yesterday at a briefing. [M 12]

ყველა ზემოთ ხსენებული მაგალითი (23-28) სოც.აქტორების ფუნქციონალიზაციის რეპრეზენტაციაა, მათი საქმიანობის/სტატუსის გამომხატველი, მაგალითები 23-26 წარმოგვიდგენს მამაკაც სოციალურ აქტორებს, როგორც პრეზიდენტს, პოლიტიკურ ანალიტიკოსს და სამხედრო პირს. ხოლო, მაგალითები 27-28 წარმოგვიდგენს ქალ სოციალურ აქტორებს - მინისტრებს, რომლებიც კომენტარს აკეთებენ შექმნილ სიტუაციასთან დაკავშირებით. თუმცა, უნდა აღვნიშნოთ, რომ ფუნქციონალიზაციის 194 შემთხვევა მამაკაცებს წარმოგვიდგენს დისკურსში, მხოლოდ 18 კი ქალებს (ცხრილი 15, გვ.150).

კლასიფიკაციის ქვეკატეგორია სოციალურ აქტორებს წარმოგვიდგენს ასაკის, გენდერის, კლასის, ეროვნების, სოციალური თუ ოჯახობრივი სტატუსის და სხვ. მიხედვით, რომლის სიხშირეც ორივე გაზეთის კორპუსში უფრო მაღალია მამაკაცების შემთხვევაში. იგივე შეიძლება ვთქვათ რელაციურ იდენტიფიკაციაზე, რომელიც სოციალურ აქტორებს წარმოგვიდგენს სხვა ადამიანთან (კოლეგასთან, ნათესავთან) ან ქვეყანასთან მიმართებაში (ცხრილი 15, გვ.150).

მაგალითი 29

Russia's Prime Minister Vladimir Putin has voiced threats against Ukraine as well as Georgia [GT]

მაგალითი 30

As for the President Medvedev, Putin's student and prtegee, he himself had never had to work to win the hearts and minds of the Russian people [GT 35]

მაგალითი 31

A 66-year old lady, an IDP from Eredvi, said: "My orphaned granddaughter, 14-year old Niniko, was first raped, then tortured to death by a Cossack" [GT 41]

მაგალითი 29 არის რელაციური იდენტიფიკაციის გამოვლინება, სადაც სოციალური აქტორი პუტინი ფუნქციონალიზებულია (მინისტრის როლში) და იდენტიფიცირებულია ქვეყანასთან- რუსეთი. მაგალითში 30 მედვედევი ფუნქციონალიზებულიც არის და იდენტიფიცირებულიც, როგორც პუტინის სტუდენტი და პროტეჟე. მაგალითი 31 კი არის კლასიფიკაციის ნიმუში, სადაც სოციალური აქტორის კლასიფიკაცია ხდება, ასაკის და გენდერის მიხედვით (*A 66-year old lady*), ხოლო პირდაპირი ნათქვამი, რომელიც ფუნქციონალური გრამატიკის მიხედვით სიტყვიერ გამოხატულებად ითვლება, კი წარმოგვიდგენს გაპასიურებულ სოციალურ აქტორს, 14 წლის ნინიკოს, რომელიც რელაციურად არის იდენტიფიცირებული (*My orphaned granddaughter*), კლასიფიკაცია კი ხდება

გენდერის, ასაკის და ოჯახობრივი სტატუსის მიხედვით (*orphaned granddaughter, 14-year old Niniko*).

ცხრილი 16 წარმოადგენს სოციალური აქტორების ნომინაციას დისკურსში. მიღებული განსხვავებები სტატისტიკურად მნიშვნელოვანია, რადგან $p=0.0003$. ამ მონაცემების მიხედვით, მამაკაცი სოციალური აქტორები უფრო მეტად არიან ნომინირებულები, ვიდრე ქალი სოციალური აქტორები.

ცხრილი 16. სოციალური აქტორების ნომინაცია (GT- შედეგები გაზეთისთვის *The Georgian Times* და M შედეგები გაზეთისთვის *The Messenger*)

ნომინაცია	მამაკაცი		ქალი		მამაკაცი (სრული)	ქალი (სრული)	X ²	Sig.
	GT	M	GT	M				
ფორმალიზაცია	22	38	2	1	60	3	16.04	0.0003
სემიფორმალიზაცია	71	88	20	24	159	44		
ინფორმალიზაცია	3	-	4	-	3	4		

ფორმალიზაცია გულისხმობს სოციალური აქტორის მხოლოდ გვართ წარმოდგენას, *სემიფორმალიზაცია* კი სახელით და გვართ, *ინფორმალიზაცია* კი მხოლოდ სახელით წარმოგვიდგენს სოციალურ აქტორს. პირველი ორი ქვეკატეგორიის სიხშირე (*ფორმალიზაცია* და *სემიფორმალიზაცია*) მამაკაცების შემთხვევაში ჭარბობს. *ინფორმალიზაცია*- მხოლოდ სახელით აღნიშვნა- კი გენდერის მიხედვით თითქმის თანაბარია. სტატისტიკური სანდოობის ტესტი გვიჩვენებს, რომ აღნიშნული განსხვავებები გენდერის მიხედვით მნიშვნელოვანია, რადგან სანდოობის კოეფიციენტი არის 0.0003, რაც დაბალია 0.05-ზე.

5.3.3. სოციალური აქტორების გენდერული როლები

სოციალური აქტორების რეპრეზენტაცია მედია ტექსტებში გენდერული იდენტობების კონსტრუირების თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანია. კონფლიქტის დროს კი, სავარაუდოდ, ჰეგემონური და სტერეოტიპული როლების შესრულება თითქოს უფრო მისაღებს ხდის გენდერულ იდეოლოგიას, რომელიც სწორედაც რომ გენდერულ დიქტომიას განაპირობებს დისკურსულ დონეზე.

ჩვენი კვლევის შედეგები ეფუძნება ვან ლიუვენის კატეგორიების მნიშვნელოვან ნაწილს და გამოხატავს გარკვეულ ტენდენციებს ქალის და მამაკაცის, როგორც სოციალური აქტორების მედიაში რეპრეზენტაციის თვალსაზრისით. გენდერული იდენტობის კონსტრუირების მხრივ, საყურადღებოა სოციალური აქტორების როლების გაანალიზება, რომლებსაც ისინი დისკურსში ასრულებენ. ქვეკატეგორიებზე - *კატეგორიზაცია* და *ნომინაცია* - დაკვირვებამ გარკვეული წარმოდგენა შეგვიქმნა აღნიშნულთან დაკავშირებით. მამაკაცი, როგორც აქტიური სოციალური აქტორი, 244 შემთხვევით არის წარმოდგენილი; ქალები კი მხოლოდ 36 შემთხვევით, რაც მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ მამაკაცების წილი როგორც აგენტების/მთქმელის, რომელიც შეფასებას აკეთებს და აზრს გამოხატავს უფრო მაღალია, ვიდრე ქალების (ცხრილი 14, გვ.148). მამაკაცები უმეტესწილად წარმოდგენილები არიან პოლიტიკოსის ან სამხედრო პერსონალის როლში, ხოლო ქალები კი - ჩვეულებრივი მოქალაქეებით, ძირითადად კონფლიქტის ზონიდან.

გენდერულ როლებზე დაკვირვებისათვის არანაკლებ მნიშვნელოვანია სოციალური აქტორის *სიტყვიერი გამოხატულებების* (“verbiage”) შესწავლა. *სიტყვიერი გამოხატულება*, ვან ლიუვენის მიხედვით, არის ის, რასაც ამბობს სოციალური აქტორი, რომელიც საკომუნიკაციო აქტის თეორიის მიხედვით კატეგორიის -*ლოკუცია*- ანალოგია. რადგან დისკურსში მამაკაცებთან შედარებით ქალები ნაკლებად არიან ნომინირებულები, საინტერესოა განვიხილოთ მათი სიტყვიერი გამოხატულება. ეს უკანასკნელი კი სუბიექტის პოზიციის პირდაპირი რეპრეზენტაციაა და აღნიშნულ დისკურსში ქალის მიერ შესრულებულ გენდერულ როლზე მიუთითებს.

ქალი, როგორც დედა და მეუღლე

სიტყვიერი გამოხატულება, რომელიც ქალებს დედის სტატუსით წარმოგვიდგენს, ქმნის ომისთვის დამახასიათებელ სტერეოტიპულ ფემინურ იდენტობას, სადაც ქალი-დედაა, რომელმაც შვილი ომში დაკარგა და მისი საფლავიც კი სანატრელი გაუხდა. განადგურებული ქალის სუბიექტური პოზიცია არის მხოლოდ სიკვდილს ნატვრა, რასაც მეტაფორული ასახვა აქვს: “My dear only son, who I raised alone with so much suffering - is there not one more bullet for me?! The boy who was fighting with him told me that he was dead, I ask God to let me find his body, know where his grave is and weep” [GT 50]. ფაქტობრივად, ადამიანის მიერ საკუთარი თავის აღქმა სიკვდილთან ასოცირდება, როდესაც ამბობს: “is there one more bullet for me?”

დედების უმრავლესობა, რომლებიც ომში დაღუპული შვილების დაკრძალვას ესწრებოდნენ, საუბრობდნენ ომის გამანადგურებელ ძალაზე: “Oh, God, let our son be the last ones who die for Georgia; so there will not be any more mothers mourning for their sons”[GT 50]

ზოგმა დედამ არც კი იცოდა, რომ მისი შვილი ომში იყო. აღნიშნული დაბნეულობის და გაურკვევლობის პოზიციაში აყენებს ქალს. ერთ-ერთი დედა ამბობს:

He did not tell me he was fighting in Tskhinvali, he said that his battalion was in Kutaisi. In the end he call his wife and told her that he would call soon but had not called since then. We had been searching for him for two days. Quite by chance I saw him on TV wounded, lying on a stretcher. My daughters did not believe me, saying I was mistaken... he was not in the war and could not be wounded [GT 51].

სიტყვიერი გამოხატულება დაკავშირებულია ომის დამანგრეველ ძალასთან, ახლობლების დაკარგვასთან და სასოწარკვეთილებასთან:

I have lost my 86 year-old mother Maro. If anybody knows anything about her, please inform me. We do not know where and ho she is. My niece, aged 17, was also with her when the soldiers came and held the girl hostage. She managed to escape and we found her. But my mother is old and cannot walk, she could not even leave the village. I have just earn from the villagers that my village had been burnt completely. Everything is burnt and destroyed

[GT 51]

ერთ-ერთი იძულებით გადაადგილებული მდედრობითი სქესის წარმომადგენელი ომის დამანგრეველ ძალას ასე ასახავს: “The whole population of the village emigrated... According to the information we possess the whole village has been reduced to ashes”[GT 6]

ომი ქალებს უძლურ პოზიციაში აყენებს; ჰეგემონური, ბრძოლასთან დაკავშირებული დისკურსი თითქოს მოქმედების გზებს ჭრის და თანადგომის ასეთ სახეს იღებს: “I came here to give blood as we can do nothing more. We will do everything we can do to help these boys” [GT 17].

იგივე შეიძლება ითქვას ქალის ნარატივზეც, რომელმაც ომს თავი დააღწია:

It is true we survived but we are not in our right minds. Does the state need so many insane people? For 18 years we tried to keep all this. And everything was destroyed in a few hours. Did we need such a war?

[GT 17]

ამ ამონარიდში აქტორის სუბიექტური პოზიცია ცხადყოფს, რომ ისინი ომის სისასტიკით შეძრწუნებულნი არიან, რადგან ომის სასოწარკვეთილებამ და სიგიჟემ 18 წლის განმავლობაში შენარჩუნებული „მშვიდობა“ დაანგრია.

ომის მსხვერპლი ქალის პოზიცია და საკუთარი თავის აღქმა დაკნინებული და დამცირებულია. ეთნიკური ოსი მდედრობითი სქესის სოციალური აქტორი, რომელსაც ქართველი მეუღლე ჰყავდა და კონფლიქტის ზონაში ცხოვრობდა; ახალა იგი დამცირებული და განადგურებულია:

...I met Russian soldiers on the way; they first raped me, and then took me to the house. I pleaded that my disabled husband was in the house and to let me bring him out, but I think this made them even happier and they set the house on fire. I heard my husband screaming and asking for help. This gives me no peace. What will happen to us?

[GT 41].

ომის დისკურსი მსხვერპლი ქალების შემზარავ ნარატივს ქმნის, რომელიც დამცირებასთან, თავმოყვარეობის შელახვასთან და სიკვდილთან ასოცირდება. 66 წლის ქალი ასე აღწერს ომით მიღებულ შემზარავ გამოცდილებას:

I did not want to leave the house that I had been building for years, but the Russians burnt it and left only ruins. My orphaned granddaughter, 14-year old Niniko was first raped, then tortured to death by a Cossack. I pleaded with him to kill me and pity the child, but he did not listen. One of the soldiers tied me to a tree and made me watch this torture... I do not want to live!”

[GT 41].

ყოველივე ზემოთ ხსენებული ქალებს ფსიქიკური და მორალური წნეხის ქვეშ აქცევს და ისინი თითქოს პასუხს მთავრობას სთხოვენ: “It is true we survived but we are not in our right minds. Does the state need so many insane people? For 18 years we tried to keep all this. And everything was destroyed in a few hours. Did we need such a war?”

[GT 17].

ქალი პროფესიულ როლში

ქალი-ჟურნალისტი

ომის დისკურსი აძლიერებს ქალის ფიზიოლოგიური ბუნებით განპირობებულ სტატუსს, იყოს დედა, რომელიც გაზრდის შვილებს მეომრებად ან სხვაგვარად, რომ ვთქვათ, ქალის რეპროდუქციული როლი კულტურულ ნიშან-თვისებებთან ერთობლიობაში დიდ მნიშვნელობას იძენს ომის პერიოდში (Yuval-Davis 1997). *The Georgian Times*-ის ერთ-ერთი ჟურნალისტი ეუბნება არასრულწლოვან შვილს, რომელსაც ომში წასვლა და ბრძოლა სურს: “My dear boy, Abkhazia should also be taken back. When you grow up, you can go to regain Abkhazia” [GT 29]. სოციალური აქტორი, ამავდროულად თავის პროფესიულ ჟურნალისტურ როლსაც ასრულებს და ომის შესახებ სუბიექტურ პოზიციას იჭერს. იგი ომს და ქართველი ჯარისკაცების სიკვდილს შინაარსობრივად მძიმე და დამთრგუნველი იდიომური ფრაზის სახეს აძლევს: “ Russians Won’t Ever Stretch the Skins of Georgians on Drums” [GT 29]. ამ ფრაზით აქტორის სუბიექტური პოზიცია ცხადია, რომ აგრესორის დამაკნინებელ მოქმედებას უსვამს ხაზს.

მეორე მდებარეობითი სქესის აქტორი, რომელიც დედაა და ამავდროულად ჟურნალისტი წერს სტატიას შემდეგი მეტაფორული სათაურით: “We Hope a Kind Rainbow Will Replace the Death Rain Soon”[GT 64]. იგი წუხილს გამოთქვამს საომარი მოქმედებების დამანგრეველ და დამღუპველ ზემოქმედებაზე; მით უფრო, რომ მისი

11 წლის ქალიშვილი კონფლიქტის ზონაში იმყოფება: “While the Russian President was signing the ceasefire agreement, the bombardment of various parts of Georgia was still going on. The war has damaged the psyches of children” [GT 64]. როგორც დედა, შვილების დაუცველობის ფაქტზე წუხს:

Yes, the children of all the nations living in Georgia, like my children are unprotected, their life is under threat, and the borders are closed by Russian occupiers. As my little Annie says ‘the death rain is still falling down from dark clouds, as Georgia is being bombed

[GT 64]

ქალი პოლიტიკოსი

The Georgian Times -ში მხოლოდ რამდენიმე პოლიტიკოსი ქალის (ნინო ბურჯანაძე, სალომე ზურაბიშვილი, ეკა ბესელია) დისკურსული აქტივობა ჩანს. გაზეთში *The Messenger* კი დისკურსული აქტივობა ქალის, როგორც პოლიტიკოსის ძირითადად ორ მინისტრს შეეხება- ეკა ზღულაძეს და ეკა ტყეშელაშვილს. შედეგად მასშტაბური ფემინური კონტრიბუცია ომის რეზოლუციის საკითხში ჰეგემონური მასკულინური დისკურსის დაბალანსების მიმართებაში არ ჩანს.

სალომე ზურაბიშვილი, საქართველოს გზის ლიდერი და ოპოზიციური კოალიციის წევრი, ერთიანობაში და დიპლომატიურ თანამშრომლობაში ხედავს სიძლიერეს, რაც ტიპური ფემინური თვისების გამოვლინებაა:

...Today as ever we need inner unity and not artificial unity which would only strengthen Saakashvili... We should stand and fight together in this diplomatic war today and tomorrow. But this should not be turned into an attempt of political survival and a justification for new intrigues. This would destroy Georgia and those who will survive will soon fall.

[GT 36]

ნინო ბურჯანაძის ნარატივიც ზემოთ ხსენებული ნარატივის მსგავსია:

It is absolutely unacceptable for Russian tanks to be stationed in Georgia and for neighbouring states to demand a change of president...I think the Georgian people should make these decisions. I believe the unity that political spectrum has shown is right and should be welcomed at this stage.

[GT 36]

როგორც ვხედავთ, ომის დისკურსში ქალი სოციალური აქტორების მიერ შექმნილი ნარატივი, რასაც თითქოს ომის დისკურსი კარნახობს, ამ ნარატივის შექმნის წესებს ქმნის, მონოტონური და მონოვოკალურია. ქალის სახე/იდენტობა,

რომელიც მედიის მასალებში ომის დისკურსის წიაღში იქმნება ძირითადად სტერეოტიპული როლების წარმოჩენით იქმნება. ქალი -დედა, მეუღლე, შვილი-დაზარალებული, დაჩაგრული, პატივყრილი და სასოწარკვეთილია, თითქოს ფსიქიური აშლილობის ზღვარზე. მსხვერპლი სოციალური აქტორები შვებას კვლავ სიკვდილში ხედავენ. ომის დისკურსი აძლიერებს სტერეოტიპულ როლებს და ქალი თანადგომას როგორც დედა, მეომარი შვილების აღზრდაში ხედავს ან ხდება სისხლის დონორი, რომელიც ჯარისკაცებს გადაარჩენს. რაც შეეხება პოლიტიკოს ქალებს, მათი ნარატივიც ფემინურობასთან ტიპიურად ასოცირებული თვისებების თანამშრომლობის და ერთიანობის დემონსტრაციაა, რადგან გენდერული სტერეოტიპები დისკურსში წარმოდგენილია როგორც თვისებები და როლები, რომლებიც გენდერული ჯგუფის ყველა წევრისთვის მისაღებია (Peterson & Runyan 2010, 47).

როგორც ვხედავთ, მედია ნარატივებში ჩანს, რომ მდებარეობითი სქესის სოციალური აქტორები გარკვეულ სუბიექტურ პოზიციებს იკავებენ დისკურსში, რასაც მათ სოციალური სტრუქტურა და ძალის ურთიერთმიმართება „კარნახობს“. ამის შედეგად ვიღებთ „სუბიექტებს“, რომლებიც ერთვებიან გარკვეულ იდეოლოგიურად დამუხტულ დისკურსულ ბრძოლაში.

მამაკაცი სოციალური აქტორები, კი ძირითადად პროფესიულ, პოლიტიკოსების და სამხედრო პერსონალის როლს ასრულებენ დისკურსში, რომელთა სიტყვიერი გამოხატულებაც ომის შეფასებას, გადაწყვეტილებების მიღებას და გარკვეული ქმედების შესრულებას შეეხება.

5.5. დისკუსია და დასკვნები

პირველი კატეგორია, რომლის მიხედვითაც ქალი და მამაკაცი სოციალური აქტორების რეპრეზენტაცია განვიხილეთ არის *აქტივაციის* და *პასივაციის* კატეგორია. მამაკაცი სოციალური აქტორები უფრო მეტად არიან აქტივირებული დისკურსში ვიდრე ქალები, რაც, სავარაუდოდ, სტერეოტიპული გენდერული როლების შესრულების შედეგია.

კვლევის რაოდენობრივი მონაცემების სტატისტიკური ანალიზი გვიჩვენებს, რომ სოციალური აქტორების დისკურსული რეპრეზენტაციის კატეგორიები გენდერთან მიმართებაში საგულისხმოა შედეგების თვალსაზრისით. კერძოდ, კატეგორიების *აქტივაცია* და *პასივაცია*, ასევე *ნომინაცია* და *კატეგორიზაცია* რაოდენობრივი ანალიზი (χ^2 -ის გამოთვლა) გენდერთან მიმართებაში გვაძლევს სტატისტიკური მნიშვნელობის ერთეულის p -ს (sig.) ისეთ სიდიდეებს, რომელიც ნაკლებია 0.05. ეს კი ნიშნავს იმას, რომ ცვლადებს (გენდერი და რეპრეზენტაციის კატეგორიები) შორის არსებობს კავშირი, რომ დამოუკიდებელი სოციოლოგიური ცვლადი - *გენდერი* გავლენას ახდენს დამოკიდებულ ცვლადზე - *აქტორების დისკურსულ რეპრეზენტაციაზე*.

რაც შეეხება საკვლევი მასალის თვისობრივ ანალიზს, კვლევამ გვიჩვენა, რომ ძირითადი როლები, რომელშიც ქალები არიან წარმოდგენილი, არის ქალი, როგორც მეუღლე, რომელიც მზად არის თანადგომა გაუწიოს სამხედრო მეუღლეს, გაზარდოს შვილები, რომლებიც სამშობლოს დაიცავენ; ასევე ქალი, რომელიც შვილის დადუპვით სასოწარკვეთილია ან ქალი, რომელიც მსხვერპლია. არიან ქალი პოლიტიკოსები, რომელთა წილი გაცილებით მცირეა და ძირითადად კომენტარის გაკეთებით შემოიფარგლებიან, ვიდრე გარკვეული ქმედებით; თუმცა დღეს, ჩვენს ხანაში ქალის როლების შეზღუდვა, როგორც დიასახლისის ან მხოლოდ მეუღლის სახით მიუღებელია, მაშინ როდესაც მათ მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა შეუძლიათ ქმედითი ღონისძიებების გატარებაში (Otlowski 2003).

საგულისხმოა, რომ ტრანზიტიულობის თვალსაზრისით მამაკაცები უფრო მეტად არიან დაკავშირებული ქმედებასთან ვიდრე ქალები. ფაქტობრივად მათი როლი, როგორც გადაწყვეტილების მიმღების და გარკვეული პოლიტიკური

აქტივობის შემსრულებლის, უფრო გამოკვეთილია, ვიდრე ქალების. შედეგად ქალების და მამაკაცების მიერ შესრულებული სტერეოტიპული როლები გენდერული იდეოლოგიის კუთხით აძლიერებს ჰეგემონურ მასკულინობას.

რაც შეეხება მომავალი კვლევის პერსპექტივას აღნიშნული მიმართულებით, საინტერესო იქნება სოციალური აქტორების რეპრეზენტაციის ენობრივი სტრუქტურების შესწავლა და გაანალიზება ქართული ენის მასალაზე, რომელიც მნიშვნელოვან შედეგებს მოგვცემს ქართული ენისთვის დამახასიათებელი ენობრივი სტრუქტურების იდენტიფიცირების და კატეგორიზაციის მხრივ, რომლებიც სოციალური აქტორების რეპრეზენტაციას (მათ ჩართულობას თუ გამორიცხვას) განაპირობებენ მედიაში.

შემაჯამებელი დასკვნა და მომავალი კვლევის პერსპექტივები

ჩვენმა კვლევამ გამოავლინა ლინგვისტური და ვიზუალური მეტაფორები, რომელთა კოგნიტურ საფუძველს კონცეპტუალური მეტაფორები წარმოადგენს. ძირითადი დასკვნა, რომელიც აღნიშნულ მონაცემებზე დაყრდნობით შეიძლება გავაკეთოთ არის ის, რომ მეტაფორული აქტივობა დისკურსში გენდერის მიხედვით განსხვავებული არ არის; თუმცა, სახეზე გვაქვს კონცეპტუალური მეტაფორების განსხვავებული ტენდენციური არჩევანი გენდერთან მიმართებაში. კერძოდ, მამაკაცი სოციალური აქტორები უპირატესობას ანიჭებენ ისეთ კოგნიტურ მოდელს, რომელიც კონფლიქტს/ომს უმეტესად სპორტის სახით წარმოადგენს; ქალები კი „ირჩევენ“ ისეთ კოგნიტურ მოდელს, რომელიც ომს უბედურებას და კატასტროფას ადარებს.

ომი, კლაუზვიცისეული მოსაზრებით, პოლიტიკური აქტივობის ერთ-ერთი სახეა. პოლიტიკური აქტივობა კი მამაკაცების დისკურსში მეტაფორულად (ვერბალურად თუ ვიზუალურად) უმეტესწილად თამაშთან, სპორტთან და ნადირობასთან არის გაიგივებული. ისინი ხაზს უსვამენ შეჯიბრს და კონკურენციას, რაც ტიპური მასკულინური თვისებებია და ამასთანავე ჰეგემონური დისკურსის განმამტკიცებელია მედიაში. ვიზუალური მეტაფორები ვერბალური მეტაფორების გავრცობაა, რომელთაც საერთო კოგნიტური საფუძველი აქვს და ზემოაღნიშნულ ტენდენციურობას ამტკიცებენ.

სოციალური აქტორების დისკურსული რეპრეზენტაციების შესწავლამ გვიჩვენა, რომ ქალი და მამაკაცი განსხვავებულად არიან წარმოდგენილი. მამაკაცები უფრო მეტად არიან ფუნქციონალიზებული და გააქტიურებული ომის დისკურსში, ვიდრე ქალები. სოციალური აქტორების სიტყვიერი გამოხატულება მათ გენდერულ როლებს უსვამს ხაზს, რომელიც სტერეოტიპულ სახეს იღებს და შედეგად ქალის აქტიურ ჩართულობას ამცირებს ქმედით და გადაწყვეტილების მიმღებ როლში, რაც თავისთავად ჰეგემონური მასკულინობის კონსტრუირებას უწყობს ხელს. დისკურსული ჰეგემონია კი სოციალური ჰეგემონიის ანარეკლია.

ადამიანები ფრეიმების/კონცეპტუალური მოდელების საშუალებით რომ აზროვნებენ, მრავალი მეცნიერის განსჯის საგანს წარმოადგენს (ტროსბორგი, ფილმორი, ლაკოფი). ჩვენი კვლევა ფოკუსირებულია კოგნიტურ მოდელებზე, რომლებიც გენდერთან ასოცირდება და სამყაროს განსხვავებულ ხედვის თუ აღქმის მოდელებს/ფრეიმებს გვთავაზობს.

ამ მხრივ, კოგნიტური მოდელები **იმპლიციტურად, არაპირდაპირი გზით ქმნიან დისკურსში გენდერულ იდენტობებს**, რადგან ის თუ რას და როგორ ამბობს ადამიანი (ქალი და მამაკაცი) ატარებს ინფორმაციას მისი არსის/სუბიექტურობის შესახებ და ამგვარად, მისი იდენტობის შემადგენელი ნაწილიც ხდება.

აღნიშნული ნაშრომი გვისახავს მომავალი კვლევის პერსპექტივას. კერძოდ, გენდერთან მიმართებაში მეტაფორების ტენდენციური „არჩევანის“ გადამოწმება უფრო მასშტაბურ კორპუსში, როგორცაა Bank of English COBUILD corpus. კვლევამ შესაძლებელია მიიღოს შემდეგი მიმართულებაც: კონცეპტუალურ მეტაფორებში წყარო დომენების დამოწმება ტექსტის მიმღების ფაქტორის გათვალისწინებით. ის, თუ რა წყარო დომენს მიანიჭებს უპირატესობას ტექსტის რეციპიენტი, სავარაუდოდ, გავლენას ახდენს ადამიანის განზრახვაზე და მის შემდგომ ქმედებაზე.

კონცეპტუალური მეტაფორის და სოციალური აქტორების რეპრეზენტაციის აღნიშნული გავლენების კვლევა მნიშვნელოვანი იქნება კრიტიკული დისკურს-ანალიზის სივრცეში, რადგან აღნიშნული ტიპის კვლევები მიმართულია დისკურსული ასიმეტრიების იდენტიფიცირებზე და მათი აღმოფხვრაზე. აღნიშნული კი უნდა იყოს ბიძგი სოციალური ცვლილების, რომელიც, თავის მხრივ, მედიაში აისახება.

დანართი

კვლევის კორპუსი *The Georgian Times* (August 11- September 15, 2008) Print

ქვეკორპუსი A

- [GT 1] Georgia All Alone in Standoff with Russia. (Ketevan Khachidze-Journalist) 11/08/2008 p.2,3
- [GT 5] Opposition Declares Moratorium on Domestic Political Disputes. (Nino Japaridze-Journalist) 11/08/2008 p.6
- [GT 6] Georgian Rally for Sick and Wounded. (Rusudan Gvazava-Journalist) 11/08/2008 p.6
- [GT 7] Human Chain Stretches from Russian Embassy to Freedom Square. (Nino Japaridze) 11/08/2008 p.6
- [GT 9] Georgian Conflict Alert: the Need for an Immediate End to Hostilities in South Ossetia. (Nino Japaridze)11/08/2008 p.7
- [GT 10] Hackers Also Target Saakashvili's Site. (Nino Japaridze) 11/08/2008 p.8
- [GT 11] Russian Hackers Attack Georgian Websites. (Nino Japaridze)11/08/2008 p.8
- [GT 14] What Will Stop Russia? (Nino Japaridze) 18/08/2008 p.2.
- [GT 15] Gori Razed to the Ground. (Nino Japaridze)18/08/2008 p.3
- [GT 17] Refugees Flee to the Capital. .(Rusudan Gvazava) 18/08/2008 p.6
- [GT 20] Roki-Tunnel of Misfortune. (Marika Kakhadze-Journalist) 18/08/2008 p.3,8.
- [GT 21] Georgians Rally Worldwide to Protest Against Russia's Offensive. (Eka Chikovani-Journalist)18/08/2008 p.10
- [GT 24] Georgia: Russian Cluster Bombs Kill civilians. (Nino Japaridze) 18/08/2008 p.13
- [GT 25] Nino Burjanadze: "Demonstrating unity is very important but we have nothing to celebrate". 18/08/2008p.13. (Nino Burjanadze-opposition party leader)
- [GT 26] "Putin Cannot be Stopped by Russian Public Opinion" - Valeriya Novodvorskaya-politician).
- [GT 28] IOC Comments on Situation in Georgia. (Giselle Davies-Head of IOC) 11/08/2008 p.3

- [GT 29] Russia Leaves but Stays. (Nino Japaridze)25/08/2008. p.2
- [GT 30] Russian Won't Ever Stretch the Skins of Georgians on Drums. (Nana Gagua-Journalist) 25/08/2008. p.2
- [GT 32] Georgia Sues Russia in the Hague and Strasbourg for "Ethnic Cleansing". (Dali Bzhalava-journalist) 25/08/2008. p.3
- [GT 34] Who Here Helped Russia Occupy Georgia? (Dali Bzhalava) 25/08/2008 p.5,10
- [GT 37] Despite Provocation, Politicians Stand Together. (Nino Japaridze)25/08/2008. p.8
- [GT 40] New "Weapon" Against Georgia- Forest Fires. Nino Japaridze)25/08/2008 p.11
- [GT 41] More Victims of Russian Peace. (Shorena Tsivkarashvili-journalist) 25/08/2008 p.13
- [GT 42] Tsotne Bakuria: "Saakashvili has fulfilled the most beautiful dream of Russia". 18/08/2008 p.16 (Jana Asanidze-Journalist)
- [GT 43] In War and Peace. (Tinatin Dzhaparidze) 25/08/2008 p.18,19.
- [GT 44] Why do Georgian Emigrants in Russia Keep Silent? Nino Japaridze) 25/08/2008 p.18
- [GT 46] GORI - the town which has survived. Nino Japaridze) 01/09/2008 p.3.
- [GT 49] Dead but not forgotten. (Rusudan Gvazava)01/09/2008 p.4
- [GT 51] "The Population is assisting us immensely, but what is the government would take care of us as well?" (Shorena Tsivkarashvili) 01/09/2008 p.5
- [GT 54] We shall Overcome, Says Business Community. (Manana Abashidze) 01/09/2008 p.9
- [GT 55] Rompetrol Has Enough European To Last Several Months. (Manana Abashidze) 01/09/2008 p.9
- [GT 59] Much is Promised, But What Will It Deliver?(Nino Japaridze) 08/09/2008 p.6
- [GT 64] We Hope a Kind Rainbow Will Replace the Death Rain Soon. (Nino Japaridze) 08/09/2008 p.17
- [GT 65] Russia's Hard Stance on EU Observers May Challenge EU-Bordered Deal. 15/09/2008 p.2 (Nino Japaridze)
- [GT 66] Burjanadze Presses for Facts. (Ketevan Khachidze-Journalist)15/09/2008 p.4

[GT 67] Salome Zourabishvili: “Resolution in Georgia stalled with frozen relations in Europe”. p.5 (opposition party leader)

ქვეორპუსი B

[GT 2] Europe has learned nothing from the Crimes of Hitler. (Kakha Lomaia - State Secretary of Georgia) 11/08/2008 p.2

[GT 3] Obama, McCain Urge Restraint in Georgia. (Obama and McCain cited) 11/08/2008 p.3

[GT 4] Russia Crosses the Line. 18/08/2008 (Richard Holbrooke and Ronald Asmus- Journalists) p.17

[GT 8] Euronews Lies About South Ossetia Fighting. (I.G. Chopan- Journalist) 11/08/2008 p.7

[GT 12] The SU-24 Bomber and Russian Military Diplomacy. (Amiran Salukvadze- Journalist) 11/08/2008 p.8, 13.

[GT 13] Mzhavia Demands an UN Administration for Gali. (Temur Mzhavia- Head of Legitimate Government of Abkhazia) 11/08/2008 p.10

